

1522
2009



რიტეინატუნა და სეროუნება

N5
5/2009

სააღმომო ავისტოლა

მეზის

ვაჟა ოთარაშვილი

მთბა

გივი სინარულიძე

მუსიკა

როდო

მეუთნეზევი

ნოდარ მამისაშვილი


თეატრი

რობერტ სტურუა

მსჯელობა

იმა ლალაევა-აღიბერიძე

26



ლიტერატურა და ხელოვნება

ISSN 1512-3189



N5(41)

5/2009

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი
მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

ემა ლალაევა-ედიბერიძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

გისთვისაც ძვირფასია
ჟურნალი

„ლიტერატურა და ხელოვნება“,
გისთვით, შეგვეწიოთ!

ს ა რ ჩ ე ვ ი

3. სააღდგომო ეპისტოლე

ქრონოს, ქოფი

8. ვაჟა ოთარაშვილი

- ლექსები

12. ნანა წითელაშვილი

- სიმღერები ჟიჟიხოსებზე
- (იმინი. დასასხელი).

30. ფიქონ ხადაში

- ლექსები

33. გელა ჯობიაშვილი

- მოთხრობები

39. ნინო ნადიხაძე

- ლექსები

41. გივი სიხაუელიძე

- მოთხრობები

თარგმანი

50. დენი დიქსი

- მონაზონი (გაგვიღება.
ფანჯელიდან თახმანა
დავით ჯახაბეიძე)

წერილები

59. თეია ვაშაძე

- ბახათები სიყვარულზე

მოკონტრები

65. ნოდარ მამისაშვილი

- ჯონტრები ქართულ
ხასიათში

თარგმანი

69. მანანა თევზაძე

- ხმები სტუჯა

პოეზია

75. თინათინ ბიგანაშვილი

- ხმები

მხატვრობა

78. ქისტინე დაჩიკა

- უჩინარი ცხოვრება
(ემა ლალაევა-ედიბერიძე)

84. ფოტოაქტივიზმი

„როგორც ყოველი, სამშობლო, ერთი ქვეყანაზედა!“

რადიულ ერთობა

საქონლადგაცათ სანქია:
ქაზუს ამირაქიზი, ზახანა ზარევაძე,
პოსაზ ზეიძენიშვილი, პაყადას ვანაშვილი,
ნათადას ურუშაძე, მუხანზ ქაფიანიძე, ქანსულა ჩარევიანი,
თათიქა ქვარცხელი, თამაზ ჩხენკელი, ვაგი წერეთელი.

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“ იღებს შეკვეთებს
პოლიგრაფიული პროდუქციის ბეჭდვაზე (წიგნები მაგარი
და რბილი ყდით — ფერადი და შავ-თეთრი; ჟურნალები;
სარეკლამო ბუკლეტები და სხვა), დაზიანებული
წიგნების აღდგენაზე
მისამართი: მხატვრის ქ. 4
ტელეფონები: 32-73-62; 31-70-47
E.male. litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



საღვთოძი ქრისტიანული

უნმიდესი და უნეტარესი,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II

*„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“
(რუსთაველი)*

ყოვლადსამღვდელონო, მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო,
დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო საერო დასნო, მკვიდრნო საქართველოისა და
დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო, ჩვენო ძვირფასო
თანამემამულენო!

ქრისტე აღდგა!

საქართველოს
პატრიარქის
ბიზლიოთეკა

ეს სიტყვები პირველად ანგელოზმა ახარა კვირას, გამთენიისას, საფლავთან მისულ მენელსაცხებლე დედებს:

ქრისტე აღდგა!

სიხარულით გაოგნებულმა დედებმა ამცნეს მოციქულებს:

ქრისტე აღდგა!

ეს სასწაული სასწაულთ შორის მოჰფინეს მოციქულებმა მთელ მსოფლიოს; და ჩვენც, არამიწიერი სიხარულით აღვსილნი, ყველას გასაგონად ვხმობთ:

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

-მაგრამ რა არის მიზეზი ჩვენი ზეიმისა?

- ის, რომ სიკვდილი განქარდა და ბჭენი ჯოჯოხეთისა შეიმუსრა; რომ დამთავრდა გარდაცვლილთა მარადიული სიკვდილის ტყვეობაში ყოფნა და ქრისტეს ყველა ჭეშმარიტ მადიდებელს ცხოვნების შესაძლებლობა მიეცა.

ამიტომაც ამიერიდან აღარ გვეშინია სიკვდილისა, რადგან ვიცით, რომ მოვალს უამი, როდესაც სხვა მართლმორწმუნე მიცვალებულთა მსგავსად ჩვენც აღვდგებით საფლავიდან, რათა აღარასოდეს მოვკვდეთ.

მავანი იტყვის: როგორ აღდგებიან მკვდარნი? – პავლე მოციქული მას ასე პასუხობს: „განა არ იცი უგუნურო, რასაც შენ თესავ, ვერ იცოცხლებს თუკი არ მოკვდა? ასევეა მკვდართა აღდგომისასაც: ითესება ხრწნილებასა, აღდგება უხრწნელობასა; ითესება დამცირებასა, აღდგება დიდებასა; ითესება უძლურებასა, აღდგება ძლიერებასა; ითესება სხეული მშვინივერი, აღდგება სხეული სულიერი“ (1 გალატ. 15,35-36, 42-44).

ასე რომ, აღდგომის დღესასწაული ნათელი დადასტურებაა მომავალში ჩვენი მკვდრეთით აღდგომისაც და განღმრთობისაც.

უნდა ვიცოდეთ, რომ მართალთა სულების სავანეს ეწოდება ზეციური ანუ მოზეიმე ეკლესია, ხოლო დედამიწაზე არსებულ მართლმადიდებელ მორწმუნეთა კრებულს – მეზრძოლი ეკლესია.

მოზეიმე და მეზრძოლი ეკლესია, ეს არის ორი ნაწილი ქრისტეს ერთიანი სხეულისა, რომელიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ამასთან, მისი ღვთაებრივი

მადლით არის მოცული და გაერთიანებული.

გარდაცვლილთა სულებთან ჩვენ ლოცვითი ურთიერთობა გვაქვს; ასევე მართალთა სულნიც უფლის წინაშე აგრძელებენ მოღვაწეობას და მიწიერი მეზრძოლი ეკლესიის და მისი წევრების შემწენი და ღვთის წინაშე მეოხნი არიან. ყოვლადნმიდა სამებასთან ყველაზე ახლომდგომი და მთელი კაცობრიობისათვის ყველაზე დიდი შუამდგომელი ყოვლადნმიდა ღვთისმშობელია; ბედნიერია ჩვენი ერი, რომ საქართველო მისი განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფება. სასუფეველი ღვთისა იიძულების, - გვასწავლის მაცხოვარი; ამიტომაცაა, რომ ადამიანის სურვილს და მონდომებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს; ასე იყო ეს ყოველთვის.

გავიხსენოთ, ორმოცი წელი დასჭირდა ებრაელ ერს აღთქმულ ქვეყანამდე მისვლისათვის, თუმცა მათ ღმერთთან მოლაპარაკე მოსე და სინმინდით შემოსილი აარონი წინამძღვრობდნენ.

დიახ, შრომისა და ღვაწლის გარეშე ვერც უფლის მიერ ბოძებულ მიწაზე დაემკვიდრა ძველი აღთქმის სწრაფი და ვერც სასუფეველს მოიპოვებს ახალი აღთქმის ნებისმიერი ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს იგი.

ჩვენ ვამბობთ: ჩვენთან არს ღმერთი და ეს ჭეშმარიტად ასეა, მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენც ვიყოთ ღმერთთან, საჭიროა სწორად ცხოვრება. ცვენ ვამბობთ: ივერია ყოვლადნმინდა ღვთისმშობლის წილხვედრია, მაგრამ ეს წილხვედომილობა რომ ჩვენს დროშიც გამოვლინდეს, საჭიროა შესაბამისი სულიერი ნაბიჯების გადადგმა.

ებრაელებიც ამაცობდნენ და მაცხოვრის წინაშეც იქადოდნენ, რომ აბრაამის შთამომავალი იყვნენ. იესო ქრისტემ კი უპასუხა, რომ აბრაამის და წინასწარმეტყველთა შვილობა მათი საქმეების აღსრულებაში, ანუ სწორად ცხოვრებაში მდგომარეობს და არა მხოლოდ გენეტიკურ ნათესაობაში, რადგან ამ წინასწარმეტყველთა მკვლევლებიც აბრაამის შთამომავალი იყვნენ.

როგორ უნდა მივხვდეთ, სწორად ვცხოვრობთ თუ არა? ადამიანს უნდა ჰქონდეს რეალური შეგრძნება იმისა, რომ ის არის მართალი სამშობლოს, მოყვასისა და თვით თავისი მტრების წინაშეც;

რაც შეეხება ღმერთთან დამოკიდებულებას, უფალთან მიმართებაში მართალი საერთოდ არავინაა, რადგან ცოდვისგან თავისუფალნი არც წმინდანებია; ესა თუ ის პიროვნება ოდენ ჭეშმარიტი სინანულითა და ღვთის მოწყალებით განმართლდება.

დიახ, მხოლოდ გულწრფელი სინანულითა და აღსარებით შევძლებთ, აღვზოცოთ ჩვენი შეცოდებანი და მივალნიოთ იმ მდგომარეობას, რომლის შესახებაც დავით ნინასწარმეტყველი ბრძანებს: „ნეტარ არს, რომელსა არა შეერაცხა ცოდვები“ (ფს).

უფალთან ჩვენი დამოკიდებულება, მართალია, ინდივიდუალურია, მაგრამ საზოგადოებისთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და კვლავაც აქვს ხელისუფალთა რწმენას ან ურწმუნობას.

ამის მაგალითად ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი რთული მონაკვეთი მინდა შეგახსენოთ, კერძოდ, XVII საუკუნე, როცა ერთმანეთის ახლო ნათესავი ორი ქართველი მეფე, - როსტომ ხანი და თეიმურაზ I, - მოღვაწეობდნენ.

როსტომმა ქრისტიანობა უარჰყო; თავის გარშემოც ასეთი შემოიკრიბა და უზნეოდ მცხოვრებს სურდა, ხალხიც მასავით გადაგვარებულიყო. მის დროს „გამრავლდა სიძვა და არანმიდება, ცოდვა იგი შოდომ-გომორული და დედათა თანა-აღრევა...“ ამასთან, ვინც ასე იქცეოდა, მეფისგან დაფასებული იყო, ხოლო სიმართლისმოქმედნი, ცოდვისმოძულენი და წრფელნი გულითა, იჩაგრებოდნენ (ქართლის ცხოვრება).

როსტომ ხანის 26 წლიანმა ბატონობამ ქვეყანა სულიერი დაღუპვის პირამდე მიიყვანა, მაგრამ ერმა დაძლია ეს განსაცდელი. ამისი ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორი ისიც იყო, რომ ამავე პერიოდში მეფობდა თეიმურაზ I, რომელმაც საოცარი ცხოვრება განვლო.

ღვთისა და ქვეყნის ერთგულებისთვის მას შაჰ-აბასმა წამებით მოუკლა დედა, - დიდმონამე ქეთევან დედოფალი, ორი მცირეწლოვანი ყმანვილი და ქალიშვილი, ხოლო მესამე ვაჟი, დავითი, სამშობლოსთვის ომს შეენირა. მტერთაგან შევიწროვებულ თეიმურაზს რამდენჯერმე მოუწია თავისი სამეფოს დატოვება, მაგრამ მარცხს არასოდეს ურიგდებოდა; პირველივე შესაძლებლობისამებრ ბრუნდებოდა და განახლებული ძალით განაგრძობდა სიტყვებით და საქმით ქვეყნის მსახურებას.

ჭარმაგი მეფე 71 წლის ასაკში ბერად აღიკვეცა. რჯულის მტკიცე დამცველს ბოლო გამოცდის ჩაბარება სპარსეთში მოუწია, სადაც ქრისტეს აღმსარებლობისათვის შეიპყრეს და დაატყვევეს. აქ იგი მალევე გარდაიცვალა.

რწმენისა და მამულისადმი ერთგულებით, ვაჟკაცობითა და სიმტკიცით იგი ღვთისთვის და ეროვნული მეობისათვის გაუტყეხელი ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ამ თვისებების გამო მას სანიმუშო მაგალი-

თად მიიჩნევდა არა მარტო მისი ერთგული ხალხი, არამედ შინაური თუ გარეშე მტერიც. „თათრებსაც ბევრსა ერწმუნა, მივლენ უნთებენ სანთელსა... მისებრი სახელოვანი დედამ სხვა ვერვინ შობოსა“, - წერს არჩილ მეფე.

წარსული იმიტომ გავიხსენეთ, რომ იგი გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი და მომავალი ცხოვრებისა და საქმიანობისათვის.

ახლა განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს ქრისტიანული თვალსაზრისით ადამიანის სწორი დამოკიდებულება სამშობლოსადმი.

თითოეული ჩვენგანი უნდა ეცადოს გააკეთოს მაქსიმუმი იმისა, რისი პასუხისმგებლობაც მას აკისრია. ესაა მისი მსახურება ქვეყნისადმი. ყველაზე მეტი უფლებები და პასუხისმგებლობა კი, რა თქმა უნდა, ხელისუფალთ აქვთ. მათ ქვეყნის ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად მოეთხოვებათ სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება. შემდეგ კი - ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, რაც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფას, განათლების ხელშეწყობას და სხვა.

ქვეყნის კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზეც. ჩვენ მათთან, აუცილებლად, უნდა გავალრმავოთ კავშირი, რის წინაპირობადაც უნდა იქცეს კულტურათა შორის დიალოგი; ერთმანეთის სულიერი, მეცნიერული და მატერიალური ფასეულობების წარმოჩენა ხელს შეუწყობს ჩვენს შორის არსებული სხვა საკითხების გადანყვევტასაც.

საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეო-პოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია. იგივე ითქმის ჩვენს თითოეულ მოქალაქეზეც.

ჩვენ ჩვენი მეობა უნდა დავიცვათ, რათა არ ვიქცეთ სხვათა მიზნების განხორციელებისათვის ბრმა იარაღად. ეს ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების გარანტიაა.

ზემოთჩამოთვლილ ინსტიტუტებში ეროვნული მიმართულების გაძლიერებისათვის კი საჭიროა ქართული ბიზნეს-სექტორის გაფართოება და

შეძლებული საშუალო ფენის შექმნა.

სამწუხაროდ კი, ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, საარსებო მინიმუმზე და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს; არადა, საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკის და, მით უმეტეს, მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისათვის. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ნაწარმი თუ მათი გადამამუშავებით მიღებული კვების პროდუქტებისერიოზულ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, ოღონდ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დახმარება სუბსიდიების და გრძელვადიანი კრედიტების სახით.

გვინდა ხელისუფლებას ერთი წინადადებაც შევთავაზოთ: მოგეხსენებათ, მსოფლიო გლობალური კრიზისი საკმაოდ მწვავედ შეეხო ქართულ ბიზნესს და საერთოდ მოსახლეობას. ბუნებრივია, აუცილებელია, ქმედითი ჩრევა, რათა თავიდან ავიცილოთ სამუშაო ადგილების შემდგომი შემცირება. 2009 წლიდან სახელმწიფოს მიერ გადასახადების კლებისკენ გადადგმული ნაბიჯი კარგი ფაქტი იყო, მაგრამ, ალბათ, უფრო შედეგიანი იქნება საგადასახადო ამნისტიის გამოცხადება, რომელიც საქართველოში მოქმედ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს გაათავისუფლებს სანქცია-საურავებისაგან.

რა თქმა უნდა, თუ ეს ნაბიჯი განხორციელდა, იგი სერიოზულად შეამსუბუქებს როგორც მენარმეების, ასევე მოქალაქეების საგადასახადო ტვირთს და ნაახალისებს მათ ეკონომიკურ აქტივობას.

საერთოდ კი, რაც უნდა მძიმე იყოს ჩვენი მდგომარეობა, სულით არ უნდა დავეცეთ და სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავვარდეთ, რადგან ცალკეულ პიროვნებებსაც და ერსაც განსაცდელი ან რწმენაში განსამტკიცებლად ეძლევა, ან მცდარი გზიდან მოქცევისათვის.

ჩვენს თავს მოწვევული განსაცდელი უმეტეს შემთხვევაში სწორედ მეორე მიზეზით იყო ხოლმე განპირობებული. ეს დღესაც ასეა. ბუნებრივია, პრობლემებიდან თავის დაღწევის საშუალებაც ჩვენს ხელთაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია, ამიტომაც ყველამ თავისი წილი შეცდომებისა უნდა გამოასწოროს.

მოყვასის მიმართ ჩვენი სამართლიანი მიდგომა ასეთი უნდა იყოს: „ყველაფერში, როგორც გსურთ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექცით მათ“ (მათე 7.12).

რა მოკლე განმარტებაა, მაგრამ

როგორი მრავლისმომცველი! ეს სიტყვები ყოველთვის გახსოვდეთ და ცხოვრების ნესად გქონდეთ. უნდა ვეცადოთ იმასაც, რომ არ ვიყოთ გულგრილნი სხვათა მიმართ გამოჩენილი უსამართლობისადმი და დავიცვათ ტყუილუბრალოდ დაჩაგრული ადამიანი.

რაც შეეხება მტერთან მიმართებაში ჩვენს დამოკიდებულებას, აქ განვითარების ოთხი საფეხური არსებობს: პირველი – შეურაცხმყოფელს შენც სათანადო პასუხს სცემ (რაც ძველად თქმისეული ანგარიშსწორებაა, - „კბილი კბილისა წილ“ და ახალი აღთქმისთვის მიუღებელია); მეორე - მოყენებული გულისტკივილისათვის სამაგიეროს არ მიაგებ, მაგრამ შინაგანად მრისხანებ; მესამე – დამცირებას უდრტვიწველად იტან; მეოთხე – შენს მიმართ ჩადენილ უსამართლობას აღიქვამ, როგორც შენს სხვა ცოდვათა გამოსასყიდს, მაღლიერი ხარ უფლისა და შინაგანად ხარობ. დაფიქრდი, რომელ საფეხურზე დგახარ და მიხვდები როგორი ქრისტიანი ხარ. „შეიყვარე მტერი შენი“ – გვასწავლის მაცხოვარი. ხოლო ვისთვისაც ეს სიტყვები გაუგებარი და მიუღებელია, მათ პავლე მოციქული ასე არიგებს: „ილოცე შენი მტრებისთვის და ნუ სწყევლი მათ“. ამით თქვენ მოგიზგიზე ნაკვერჩხლებს აგროვებთ მის თავზე. ღმერთი სამართლიანია და ყველას დამსახურებისამებრ მიაგებს. ჩვენი შეურაცხმყოფელიც (და საერთოდ ნებისმიერი ბოროტმოქმედი) დაუსჯელი არ დარჩება, ოღონდ ამას ჩვენს ნაცვლად უფალი გააკეთებს: „ჩემია შურისგება“ – ბრძანებს იგი.

ემსგავსეთ ფუტკარს, - გვასწავლის პაისი ათონელი, - რომელიც მხოლოდ ყვავილებს ხედავს და აგროვებს სიტკბოს თაფლისთვის და არა ბუზს, რომელიც ნაგავს და ათასგვარ სიბინძურეს ეძებს და იმით იკვებება.

დაიხ, სამართლის ქმნა და სიმართლის მსახურება აუცილებელი პირობაა ყოველი ქრისტიანისთვის. ღმერთი სიმართლით მცხოვრებთ მაღლით მოსავს, ცრუთ და თვალთმაქცთ კი – განეშორება. თუმცა ისეც ხდება, რომ სიცრუის გზით მავალნი ზოგჯერ წარმატებულნი ჩანან; მაგრამ არ დაბრკოლდეთ, ეს დროებითია; სიმართლე ბოლოს მაინც, აუცილებლად, იზეიმებს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს. იცოდეთ ისიც, რომ შეიძლება კეთილდღეობა უბედურებაზე საშიში იყოს და პირიქით, უბედურებამ შეიძლება კეთილდღეობაზე მეტი სიკეთე მოუტანოს კაცს. ოცნლიანი გარდამავალი პერიოდით დაღლილი, განამებული და გაღატაკებული ჩვენი მოსახლეობა ხშირად ჩივის: ნეტავ არ დავბადებულყავ, როგორი მრავლისმომცველი!

როდემდე უნდა ვენამო? სად არის სამართალი? სულ მე რატომ უნდა ვიტანჯო?.. რაც უმძიმესი ცოდვის, - მცირედმორწმუნეობის გამოვლინებაა და არასწორი ცხოვრებისა და აზროვნების შედეგია.

უფალი ხომ იმაზე მძიმე ჯვარს არ მოგვცემს, რისი ტარებაც არ ძალგვიძს. ამასთან, მოვლენებს სულიერი თვალთ უნდა შევხედოთ. განა ნებისმიერ დროში ნებისმიერი აღმსარებლობის პიროვნებამ არ იცოდა და არ იცის, რომ ყოველივე წარმავალია: ახალგაზრდობაც და სილამაზეც, ჯანმრთელობაც და ავადმყოფობაც, სიმდიდრეც და სიღარიბეც, პატივიც, თანამდებობაც და თვით სიცოცხლეც?

ასე რომ, ნუ დარდობ და შფოთავ იმისთვის, რაც დღეს არის და ხვალ აღარ იქნება.

თუ გსურს ნამდვილი კეთილდღეობა მოიპოვო (და თანაც მარადიულად), სასუფეველი ღმრთისა უნდა ეძიო, - ანუ უფლის მცნებებით ცხოვრებას უნდა ესწრაფვო, რადგან „სასუფეველი ღმრთისაი არა არის საჭმელი და სასმელი, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარული სულითა წმიდითა“ (რომ. 14,17), - აი, ეს უნდა

დავიმახსოვროთ.

ჩემო საყვარელო შვილებო, ძენო და ასულნო ღვთისმშობლის ნილხვედრი ღვთივეკურთხეული ივერიისა: კახელნო და აფხაზნო, აჭარელნო და თუშნო, ჰერნო და სვანნო, ოსნო და მთიელნო, მეგრელნო, გურულნო, სამაჩაბლოსა და სამცხე-ჯავახეთის მკვიდრნო, ყოველნო ჩვენნო თანამემამულენო, მაშ, შეიყვარეთ სიმართლე და მშვიდობა, განიდარცვეთ ცოდვის სამოსელი და ემსახურეთ ჭეშმარიტებას, რომ „სიმართლე იგი სჯულისაი აღესრულოს“ თქვენს შორის (რომ. 8,4).

ჯოჯოხეთის დამსხვრეულ ბჭეთა ზედაამალღებული და არამინიერინათლით მოსილი, მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი გვიხმობს, რათა მისი მადლით განმართლებულნი, ვითარცა ფინიკნი, აღვყვავდეთ და ვითარცა ნაძვი ლიბანისა განვმრავლდეთ.


ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი
 სრულიად საქართველოს
 კათოლიკოს-პატრიარქი

ქალაქი

აღდგომა ქრისტესი. თბილისი, 2009 წ.



აგვისტო—2008, სოფ. ქვემო-ჭალა

აგვისტოა, სოფლის შარას მივდევ,
სიცხისაგან ყველა ფშანი დაშრა...
გაიარა რუსის ტანკის ჩრდილზე
ამ ფშატივით ჭორფლიანმა ბავშვმა...
ისევ ძველი ნასაყდრალი გვიცავს,
სხვილოს ციხეც მეციხოვნედ შერჩა...
საქართველო დარდით გაიცრიცა
და ცის ნამი ენატრება ბეჩავს...

სასაზღაოზე კასკვი

(დედას)

თებერვლის ქარი საფლავებს ვარცხნის,
ყოჩივარდები მზეზე თბებიან...
იქ ზოლა-ზოლად ნამქერი ჩაცხრა
თუ დედაჩემის თეთრი თმებია?!
კვირტი შეიხსნა იასამანმა
და ვიცი, ყინვა ამოდ დათუთქავს...
აქ ამობურცა იამ სამარე
თუ დედაჩემმა ამოისუნთქა?!

ცრემლი რაა —
დარდი გაანორჩა...
ცრემლებს იქით
ნეტა გამახედა...
მაგრამ იცი,
ყველაფერი მორჩა —
როცა უკვე...
ალარა გყავს დედა...

ბიორგის

ორივე დისთვის შენ ხარ იმედი
და მამის გენტა ტკბილი ფსალმუნი...
ჩვენი სამშობლო, ვით სარკინეთი,
კვლავ იტანჯება ომის ალმურით...
არ შეგაშინოს ჟამის სიმძიმემ,
სხვილოს ციხეზე ლეგა ნისლებმა...
დედის ლოცვები გულს დაიმძივებ,
ალარ შეგაკრთოს მტრისა ისრებმა...
უმცროსი ძმისთვის იყავ სანთელი,
მამულის დარდით ძილშიც იბორგე...
რადგან წმინდანის გქვია სახელი —
იბრწყინვალე და იდიდგიორგე...

ვარა
თქმის მკვირი

XX საუკუნის ექი

(ჭაბუა ამირეჯიბს)

ისტორიას დარჩა
ტრამვაი და ტროლე...
გალას ლექსის ფარჩა,
ლეონიძის „ოლე“...
და ჭაბუას დათა
მარტო ებრძვის ფლიდებს...
წინ დაჭრილი მართვე —
საქართველო გვიდევს...
ჩაიარა მტკვარმაც—
ივერთ სისხლით სავსემ...
ატრიალებს ქარი
მოჭრილ თავებს სარზე...
ღვთისმშობელის კალთას
შეყუყუვია ერი...
და სამების კართან
ისევ ფსალმუნს ვმღერით...
ისტორიას დარჩა
ტრამვაი და ტროლე...
გაზაფხული არ ჩანს,
მამ რა მიგვაქროლებს?!

ატმისფერი ატმოსფერო
ჩემს სულს უცებ მოენატრა...
იქნებ ისევ მომეფერო,
თორემ დარდმა გამომფატრა...
ლილილოთა ღიღინითა
სავსე ველზე ისევ გხედავ:
ძველებურად მიღიმი და,
ნამიც თითქოს განახევრდა...
ატმისფერი ატმოსფერო
ჩემს სულს უცებ მოენატრა,
ვის მიჰყვები ეჰ, სწორფერო,
საქორწინო გადგას ფატა...

მე უკვე მივდივარ!..
ჩემი არსებობით
ყველა შეგანუხეთ,
ყველა გადაგლალეთ...
მე უკვე მივდივარ!
ბევრი ვავსე ბოთლი,
ბევრიც დავლიე და
ბევრიც გადავღვარე...
მე უკვე მივდივარ!
ჩემი ანგელოზი
შემმოსავს ნათელით —
უხმლოს და უფაროს...
მინაზე დამრჩება
ლექსის ავგაროზი
და ის დაიფარე
ერო და უფალო!

ახლა რალა დამაძინებს,
ღამე დარდებს გულში ვერ ტევს...
ლექსს გიგზავნი, როგორც მძივებს,
დაეკიდოს შენს ცხელ კერტებს...
რომ მოხვრიპოს შენი ვნება,
წვეთ-წვეთად და ყლუპა-ყლუპად...
თითქოს იყო შენი ნება,
მაგრამ ცოდვამ მე დამღუპა...

ივლისი ივლის ივრის ქალებში
და ბული ასდის გრემს და უჯარმას,
მზე გორებს იქით კი არ ჩაეშვა,
ღრუბელი ავად გამოუჯა(ვ)რდა...
იქნება ზეცას გავარდეს ნამი,

დაცვაროს მინა გადახრუკული...
საოცარია სიცოცხლის ნამი —
ზოგჯერ მზესაც კი მოჰყავს უკუნი...

ძვირფასო,
სხვასთან სარეცელს ვიყოფ,
ჩემი ოცნების დარდო მარადო...
ჩემთან არ გინდა
და რალა ვიყო,
იძულებული სხვასთან გლალატობ...
გთხოვ მაჰატიო,
თუ შეგიძლია,
სხვას რომ ვკოცნიდი —
შენ არ გიგრძენია...

ამოიოხრე და თითქოს გული
ამოიტანე შენივე ხელით,
რა იყო ნეტა შენი წარსული —
თერგი ღრიალა თუ ბნელი ხევი
თუ აკუნული კლდისგან ნისლები,
ან ონავარი ვნების ზვავები?
მერე კი ჭიქა ღვინით ივსება —
შენივე სისხლით განაზავები...

შენს თვალწინ ქრება
ის, რაც აშენე
და ნანილ-ნანილ
მიაქვთ ყივჩალებს...
აღარსად არის, იცი, საშველი,
გულში დარდები კოცონს გიჩალებს...
თუ სიყვარულის
ბოლო ეს არის,
რატომ გასწიე
მარტოკამ ცაში?!
მკერდს დასობილი
გტკივა ისარი,
თუ სიყვარულის
აბოლებ ჰაშიშს...
აღბათ ღირსი ხარ
ამ ტკივილისა,
შენს თვალწინ ქრება
ის, რაც აშენე,
სულს სიყვარულის
რჩება თილისმა,
სიკვდილის მერე
რომ დაგამშვენებს...

ესეც ბოლო...
საკუთარი ნებით
ემაფოტზე ადიხარ და მორჩა...
კოცონივით ჩაინაცრა ვნებაც —
მდელოზე რომ საცოდავად მოსჩანს...
ჩამოყვითლდა... შემოდგომის ფერებს
ეახლები საკუთარი ნებით,
კოსმოსისკენ ისე იშვერ ხელებს,
ვარსკვლავების ციმციმით თუ თბები...
ესეც ბოლო...
ამოგხადეს სული,
სხეულს თოკზე მოქანავეს ხედავ...
რა თბილია ზოგჯერ თოფის ლულაც,
როცა ცაში გელოდება დედა...

წერილი გოგონასაგან

გთხოვ, უშენობისგან დამიფარე,
გთხოვ უშენობისგან დამიცავი...
მე ვარ გოგონა სიფრიფანა,
შენი სიყვარულის საფიცარი...
გთხოვ შენთან ერთად მააპრილო,
თუნდაც გამინათე წამით ღამე...
როცა სიკვდილი დააპირო,
მეც შენთან ერთად წამიყვანე...

პასუხი გოგონას

მაპატიე, მიგატოვე გგონია,
მაპატიე, მიგატოვე ფიქრობ...
ვინ გაიგებს პოეტის აგონიას,
როცა სანთელს ქარიშხალი მიქრობს.

ლისის ტბაზე

სიჩუმეა... განაბულა ლისი,
შენი გული ვისი არის, ვისი?
მოვიგონებთ ამ წუთებს და წამებს,
ტრფობის ცეცხლით უხმოდ განანამებს...
ჩიტი გალობს, განაბულა ლისი,
შენი გული ვისი არის, ვისი?
ამოვარდა ქარი... ბუჩქებს არხევს,
ვერ ვშორდები მაგ მკერდსა და სახეს...
ქარმა ლელი ლისზე გადაგლისა,
შენი სული ვის ეკუთვნის, ვისა?

მთვარე ღრუბლების კომბალით,
ვარსკვლავებს მიერეკება...
ო, სიყვარულო მომკალი,
გულს დასობილო ეკლებად...
გადამივინყე ნელ-ნელა,
წვიმისფერია სიშორე...
უმთვარო ღამე მეზნელა,
ვარსკვლავიც ვერსად ვიშოვე...
შენ ენთე... შენაც ჩამიქრი,
რა გაანათებს უკუნეთს...
ისევ დარდების ქარი ქრის,
ისევ დარდები გუგუნებს...

გაზაფხულია და ატმის კერტებს,
(ბოდიში, კვირტებს!), პეპელა წუნწის...
და სიყვარულის მინავლულ კრატერს
ნეტა თუ ახსოვს, რა იყო უწინ...
და მერე, როცა ყვავილთა ბანგით
დათვრება მზე და ასჯერ მწველია —
კვირტებს სხივების ალერსი დაღლის
და კერტებივით ზე ინევიან...

შენ ერთადერთმა, ვიცი, გამიგე,
უხიაგობით დაგღალე თუმცა
და ცაში ასულ დღეთა თარიღებს —
ქარი,
ღრუბლების კალენდარს ფურცლავს...
გადამივინყე ჩემს ლექსებს ისე,
რომ წაიშლება, როგორც მესიჯი...
საკვირველია, მწვერვალის ქიმზე,
ქარი დახვრეტას მხოლოდ მე მისჯის...

შენ, რა თქმა უნდა, ძველებური
გაგიქრა ლტოლვა
და რა თქმა უნდა, ძველებურად
ალარ გადარდებ...
ჯერ კიდევ გახსოვს ულამაზეს
გამათა თრთოლვა,
მაგრამ სიზმარი გასტანს სადამდე?

მშვიდად, მშვიდობით იარე,
მე ზედმეტი ვარ უკვე...
ლექსს ვიხვევ, როგორც იარებს,
სულში გაჩხერილ ლუკმებს...

დღე დაიწყება ხვალიდან სულ სხვა,
ხვალიდან შენთან მე აღარ მოვალ...
რაო?.. თვალეები ცრემლმა დასუსხა
თუ სიგარეტის აგინვა ბოლმა?!

მამას

მეგობრებში დგახარ, როგორც ბერი-პაპა,
წლებმა ვერა, ისევ დარდმა მოგტეხა...
შვილიშვილებს ღაჟო ჩიტზე
ეტყვი ზღაპარს
და ლეგენდას
ვეფხვთან მებრძოლ მოყმეთა...
წლები მიდის... საფეთქლები ცისკარდება,
ემატება ეშხი იმ ძველ სიმღერას:
„თოვლი თუ ვერ დაიტყის მთის კალთებმა,
უფსკრულებში ზვავად ჩამოიღვრება...“
აღარ მოგდევს ძველებური აღმაქროლვა
და შვილებსაც უჭირთ შენი გაგება...
დაიღუპა აღტაცება ვისიც გქონდა,
ბინდისფერი გადაიკრეს საგნებმა...
მეგობრებში დგახარ, როგორც ბერი-პაპა,
წლებმა ვერა, ისევ დარდმა მოგტეხა...
შვილიშვილებს ღაჟო ჩიტზე
ეტყვი ზღაპარს
და ლეგენდას სხვილოს ციხის მოყმეთა...

რა ძნელია ემსახურო უფალს,
წერო ლექსი და მოთოკო ვნება...
როცა სიტყვა გაშენებს და გლუპავს,
როცა თოვლი ცეცხლით არა დნება...
როცა სიზმარს ნეტარება ბუგავს
და ყელს ღადრავს რეალობის ჯიქი...
როცა თვალის გაყინული გუგა,
კვლავ მზეჩამქრალ სივრცეებში მიჰქრის,
როცა სული მაცხოვრისკენ ილტვის,
მაგრამ სხეულს ყოფიერი ბილწავს...
როცა კვდები და შენდობის სიტყვით,
გულში გიცემს საქართველოს მინა...

ქარავანი

ქარავანი ისევ მიდის
და ძაღლები ისევ ჰყეფენ...
ერთი აღმაშენებელი!
ღმერთო, ერთი თამარ მეფე!..
ეჰ, ვის დარჩა ნახანძრალი,
კრწანისი და გრემის ციხე...
ვხარით ერთმანეთის ძვალი,
თბილისამდე უკან ვიხევთ...
„ჰე მამულო“, „ვაჰ დრონს“ გაჰყვა,
გადამწვარი გაგრა ბოლავს...
ვამჯობინეთ ქალწულს კახპა,
„ლალიძის წყალს“ „კოკა-კოლა“...
ქარავანი ისევ მიდის,
მშიერ ქართველს ეზიდება...
ვაი, ასეთ სახელმწიფოს,
ვაი, ასეთ გუთნისდედას...

მინებზე რჩება მტვერი და კვამლი,
ყველა მოთენთა ღამის ლოდინმა...
სალამოს ქალაქს სუნი აქვს წამლის,
ქარმა ფოთლები მოილოგინა...
თვლემენ დარდები და ყოველ დილით,
სანამ გულები იწყებენ ფრიალს,
ქალაქის დილა არის ის ჩვილი —
ვისთვისაც რიგში რძის ბოთლი მიაქვს,
უძილობისგან ქანცგაცლილ დედას...





ნანა

ჩიტიელაშვილი

სხაბლაძე

ხვიჯაიოსაბაძე

რომანი

რადგანაც ჩვენი ცხოვრება ბოლოს ამ გზაზე გადის, თითოეულ ადამიანს კი თავისი გზა აქვს, თავისი იდუმალი ხმა წარმართავს მის სულსა და გონებას. რა არის ეს ხმა, საიდან მოდის და საით მიემართება? რომელია ის მერიდიანი, სადაც იკვეთება ხმა დევნისა შეუწყალისა სინდისისა და კოსმიური ხმა წვდომისა საკუთარ სულში კოდირებული ძახილისა, რატომ ეძლევა უნაზეს სულს სევდის ხმა იდუმალი, ხოლო სიყვარული, ტლანქი, მოუქნელ „კოკასა შიგან სდგას?“ ხმა სინდისისა დევნაა, აზროვნების მოწამეობრივი სვეტი... და იგი არსებობს ჩვენი აზროვნების დაუკითხავად... და რბიან წლები დაბადებიდან — გარდაცვა-

ლებამდე და მოგყვება ხმა იდუმალი, ღვთაებრივი სიჩუმის ცეცხლოვანი მუხტი ტლანქ სულში სილაღეს ჰპოვებს, ხოლო უნაზეს სევდით აღავსებს. სევდა სწორედ ის სამშენია, ის თვალთა პატიოსანი, რომლის შემეცნებისას ადამიანი მალდებდა საკუთარ თავზე, იკარგება ხორციელის, მატერიალურის სიმძიმე და მინიერ ყოფა-ცხოვრებას წარმართავს სულის ხელშეუხებელი და მოკვდავთათვის ფარული იმპულსები. „ადამიანებო, იყავით ფრთხილად“.

— თქვენში ცოცხლობს, თქვენში ცხოვრობს წარსული. წარსული ასრულებს წინარე ყოფის დაუსრულებელ სიტყვას, წარსულის სანთელი იღვენთება, წარსული ინანიებს ცოდვებს, მიტევებას ითხოვს, ადამიანებო, იყავით ფრთხილად. თქვენში მომავალი ინთება, — ვედრებით, მუდარით. თქვენში მომავალი გოლგოთას გადის, თქვენივე ცოდვებისას, ადამიანებო, იყავით ფრთხილად. ყველა დუმილი რეკავს, ყველა რეკავს, ყველა სევდა, სიჩუმე გახმოვანებულია თავისთავად, საკითხავია, ვის ესმის და ვის არა და სრულყოფილი, მინიერი ცხოვრებით მაინც თქვენ იცხოვრეთ, წამიერი გაელვებით, მაგრამ სრულყოფილი ცხოვრებით, რადგან, იცოდით ეს თუ არა, — ეს იდუმალი ხმა სინდისისა თან გდევდათ თურმე.

რა იყო უბედურება ჩვენთვის ამ ძმათამკვლელ ომში? ალბათ ერთი: თუკი საზოგადოება დაეცა ისეთი სიმდაბლით, რომ მან თავის თავში მოკლა უფალი, თუკი საზოგადოებამ დამარხა სამუდამოდ ზნეობრივი გმირი და მოსპო ყველა შესაძლებლობა მისი აღდგომისა, მაშინ ფაქტია, რომ „დაცარიელებულს“, შესაძლებელი საშინელებისაკენ მიქცეულს, ვედარავინ შეაჩერებს, ვერავითარი ძალა. ხსნა ერთია, სიკეთე და სიყვარული. ამის ხელყოფა ვერავინ შეძლო. ის მოდის იმ პირველ შეყვირებასთან ერთად, როცა დედის სხეულს ვწყდებით და რჩება, როგორც ჭიპლარის ღრმული. იმ შეძახილში მე მესმის უდიდესი განგაში — გაფრთხილება SOS — იხსენით ჩვენი სულები. ეს მინის, რომლითაც მოგავლინათ უფალმა, ეს სიყვარულის ძახილიცაა, სადაც დამარხულია უდიდესი განძი დედ-მამა. რას მიაპობს, რაზე ტირიან კვიპაროსებზე მიმოხეული „ცრემლები“. იქ, აფხაზეთში რომ მეგულება? რაზე ბობოქრობს ზღვა? როგორ მინდა მოგეალერსო, ლოყა შევეუშვირო ვერცხლისფერ წვიმას, ოო, როგორ მინდა ჯერაც უთქმელი სიყვარული გაგანდო, სიმღერა გითხრა, ჩემს სულში გამოტანჯული, ჩაკოდილი. ზღვაო, დამიბრუნე ყველა მარგალიტი, რაც წარმტაცე. დამიბრუნე განძი მიტაცებული, დიდი საქართველო დამიბრუნე. სულის სიმრთელე დამიბრუნე, დამიბრუნე თუნდაც სევდიანი ზღაპარი, ღამეულ სიზმრებს ცრემლებად მომსკდარს, ზღვად რომ უქცევია.

„რა პატარა ხარ, ალბათ, ცრემლს თუ აღემატები და რამდენ, რამდენ სიმღერას და

დასასრული. დასაწყისი იხ.
№ 11,12-2008 წ., №1,2,3,4-2009 წ.

სიხარულს იტევ“.

ჩემს თაობას ხშირად უკიჟინებდნენ: ომი არ გინახავთო. კი, ომი ჩვენთვის ეკრანიდან და წიგნებიდან მოსული საშინელება იყო, ჩვენი ბიჭები ბავშვობაში თამაშობდნენ ომობანას და თითქოს ამით ხარკს უხდიდნენ დღევანდელობას, ახლა ბიჭები ომში მიდიან. ცეცხლი და ტყვია ანვიმით და წვავთ. იქითაც ჩემიანია, ჩემი სისხლი და ხორცი, აქეთაც ჩემია, ჩემი სისხლი და ხორცი. რა შეანებებს გახლენილ სხეულს.

„ოო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის
 გამდელი,
 მკერდმოჭრილი ხარ, ამორძალი,
 უსაქართველო.
 მაგ ტკბილ კალთაში თავს ჩაგიდებ და
 ავტირდები
 ლოცვით, მადლობით, აღსარებით
 მითრთის ტუჩები.
 შენს კალთას ასდის თაფლის სუნი,
 ირმის რძის სუნი,
 ყრმობის ზღაპარო, მართლაც ზღაპრულ
 სვე-ბედს გისურვებ“.

რა ვქნა? საით წავიდე? როგორ მაგონებს შენი თავი ლურჯ აპრილს, გაგიყურდები, როგორც ბავშვობისას, გალურსული დავაკვდები თბილ ქვიშას. მზე ამინავს სხეულს, ენით მოვლოკავ ზღვის ნაკვალევს ტუჩის კუთხეში — მარილს და... ავტირდები. ოღონდ გნახო, ოღონდ მოვალნიო შენამდე. ცრემლის გემო აქვს შენს სილურჯეს, შენს სილაჟვარდეს, როგორ მაგონებს შენი თავი ლურჯ აპრილს, ციდან მოხეთქილ „შევბას“, „ნეტარებას“ ხეებზე დაფენილ მწვანე, რძეჩამდგარ ბუტკოებს. ჰაერში დარხეულ „ვოი ნანას“, წვიმით აფუებული ნედლი მიწის სუნს. როგორ მაგონებს შენი თავი ლურჯ აპრილს... რად გინდოდა დენტის სუნი... ჩუმიად ვტირით მე და შენ და კვიპაროსებს ვაბნევთ აღმასებად ახლა.

სოხუმში წამოსვლის წინ ჭაბუა ამირეჯიბს ვხვდები. ინტერვიუს ვწერთ. ირაკლი ომშია, ბატონი ჭაბუა შეშფოთებას მალავს. „სამშობლო მოითხოვს ოფლს და მიწა მოითხოვს სისხლს“.

გაბრწყინებული დამხვდა სოხუმი. ოქროსფერ სხივებს ირეკლავს ჩამავალი მზე ზღვის ტალღებზე; სოხუმი ბედნიერი და გაბრწყინებული შემხვდა, განათებული მზითა და ნეტარებით, შეშფოთებული კი მეჩვენა; მაინც შემართულია, მაინც რწმენით სავსე. როგორც დედა, რომელმაც არაფერი იცის ომში წასული შვილისა, მოჩვენებითი სიმშვიდითა და დიდებული ამაყი გამოხედვით ცდილობს ააცილოს მას საშინელება, „შემხედეთ, რა ბედნიერი ვარ, დიდებული, რწმენით სავსე, განა ჩემს შვილს რამე ემუქრება. ის ცოცხალია“. ასეთი შემეგება სოხუმიც, როგორც დედა, რომელმაც არაფერი იცის ომში წასული შვილისა.

წინა ხაზზე ვართ. მეამაყება და მაგონდე-

ბა ის პირველი აღტაცება, მე რომ ბავშვობისას მაჩუქა აფხაზეთის ზეცამ. მახსოვს, როგორ მივედით ზღვასთან... ზღვა აქოჩრილი მოაგორებდა ზვირთებს, ბათქით და ღმუილით აწყდებოდა ნაპირს. ადამიანები შორიდან შეჰყურებდნენ, აღტაცებითა და შიშით აწყდებოდნენ უკან ერთმანეთს. ზღვის მარილიანი შხეფი მაინც გვწვდებოდა, ფეხის წვერებს გვისველებდა, ქაფსა და დუჟს ტოვებდა ქვიშაზე და სადღაც სიღრმეში უჩინარდებოდა. მახსოვს, როგორ ვეკვროდი მამას, სხვებთან ერთად ყოყინით და კივილით გავეურობდი ხახადაღებული ვეშაპის თამაშს.

ახლაც ზღვასთან ვდგავარ. ზღვა წყნარია და თითქოს თვლემს. ოდნავ მოჭუტული თვალებით გვითვალთვალებს, ელიმება და თავისთან გვიშვებს, გადახნიქილა და უზარმაზარი სხეულის ძლიერება ნებაზე მიუშვია. მზე თვალსაწიერზე ჩაიღვენთა კელაპტარივით, სიმშვიდეა, არც გინდა ვინმემ ისროლოს. აქ ქვიშაც ისეთია, როგორც სხვაგან, ბალახიც, სადაფის ნიჟარებიც ისეა მობნეული, სად არ მიწახავს, ბათუმშიც, ფოთშიც, თავდავინყებას თუ მიეცემი, ვერც გააჩრჩევ, ვერც გააცალკევებ. უფალს დაუყვია სამყარო და ამ უდიდეს კანონზომიერებაში საქართველოსთვის თავისი ადგილი მიუჩენია, ვინ აღუდგება, ვინ შეცვლის და ვინ ხელყოფს იმას, რასაც მზის სისტემაში ისევ უფლის ნება აწესრიგებს.

ზაურ აგრბა დგას ჩემს გვერდით, თავისთვის ლაპარაკობს და ცდილობს ყურადღება მიიქციოს ჩემი — Надо всех бесов вернуть в детство, чтобы зонаво воспитать в них чувство любви.

ყველა შეშლილი უნდა დააბრუნო ბავშვობაში და სიყვარული თავიდან ასწავლო, გესმით? ამას აფხაზი ამბობდა, თან სურდა ღიმილით და ლეგენდებით გაეფანტა შიში. ომის საშინელებაში ერთი ჭეშმარიტება დევს, ადამიანებიც, პოლიტიკოსებიც იმ სიმაღლეზე დგებიან, რომელიც მშვიდობიან ხანაში ან შეცდომით, ან შემთხვევით უკავიათ. გუმისთას იქით დარჩა ის, ვისაც აფხაზობა უნდოდა, გუმისთას აქეთ, ვინც აფხაზია.

— რადგანაც ღმერთმა თავის საუფლოდან გვიბოძა მიწა, იმიტომაცა ვართ ასეთი ფართო სპექტრით წარმოდგენილი, ყველა იმ ადამიანური სისუსტითა და ძლიერებით, რაც სხვებთან განსაზღვრულ, ვინრო სპექტრშიაო. იმიტომაცა ვართ გამორჩეულები, სიძულვილით და სიყვარულით, სიმდაბლითა და ამაღლებითო. ჰო, მეც ჩურჩულით ვპასუხობ, რაღაცის მეშინია მეც, უფალი არ გვაპატიებს თუკი გადამითელმა, მოხეტიალე ჩექმებმა აფხაზეთი ბოლმისა და ბოროტების დერეფნად აქცია. სურამის ციხეში ჩატანებული ზურაბი დღეს აფხაზეთში დაღუპული გმირია. ეს ბასტიონი უნდა გადარჩეს. ზღვას თავისი სილურჯე უბო-

ძებია მათი თვალებისათვის. ღმერთო, ვფიქრობ, ამდენი თვალის სილურჯე არსად მინახავს, არასოდეს. ისინი იცავენ საქართველოს, შერვაშიძის ასულის სინმინდესა და ემხვარების ევროპულობას. ეს ბიჭები იცავენ მომავალი საქართველოს ცივილიზაციას ერთიანობაში, ასე მითხრა ზაურ აგრაბამ, იმ საშინელ დღეებში გუმისთას იქით დარჩა, ვისაც აფხაზობა უნდოდა, გუმისთას აქეთ — ვინც აფხაზია. ფერმიხდილია ზღვა, ის ელის სილურჯეს, სილაფვარდეს, ციტადელი ერთიანი საქართველოსი ამ ბიჭების სიცოცხლით არის აღმართული, როგორც ერთ დროს სურამის კარიბჭე ზურაბით. აი, რატომ წყდება აფხაზეთში საქართველოს ბედი. როგორ მაგონებს შენი თავი ლურჯ აპრილს, მიძინებული, ნაზამთრალი მიწის ზმორებას, რა პატარა ხარ, ალბათ ცრემლს თუ ალემატები და რამდენ, რამდენ სიმწარესა და სიხარულს იტევ. ხომ არ აღზევდა, ხომ არ აზვირთდა მტრობა და შური, ხომ არ გვიქადის გადაშენებას. ტყვია აზუზუნდა, შენ კი უფრო მიზიდავ, უფრო მაცდუნებ და მეძახი.

— მამა, მენატრები და მესიზმრები. მამა, შენ რომ დაიღუპო, იმით ვიამაყებ, რომ მამა მყავს გმირი. მე შენთან ერთად წამოვალ, არ შეშინდეთ, დაიცავით სამშობლო. მამა... მამა... მამიკო...

ასეთივეა აფხაზი გოგონას წერილი მამისადმი. ერთ მიწას ვასკდებით, ერთ მიწას ვიცავთ, ვისთვის? არკადი გამახსენდა: Земля Абхазии будет вечно, земля Грузии будет вечно, но кто будет жить на ней, после братоубийственной войны, после бессмысленной братоубийственной войны.

„ჩვენ გვინდა გავიღეთ მინდორში. უიარალოდ და უდაფდაფოდ ვუსმინოთ როგორ ეცემა წვიმის წვეთები ფოთლებს, ჩვენს თმებს და თმებს იმ ქალისას, რომელიც ჩვენ გვიყვარს. მაგრამ დიდხანს, დიდხანს უნდა ზარდო შვილი, ვიდრე ის რაიმე მოთხოვნებს წამოგიყენებს, დიდხანს უნდა არწყულო მუხა, ვიდრე მის ჩრდილქვეშ დაისვენებ. ციხე-ქალაქის შეუვალობა ქვათა ერთობლიობაში არაა, სიმკვიდრე მისი იმ ტვინისა და ხსოვნის ერთობლიობაა, რომელიც აძლევს აზრს ქვათა ერთობლიობას. უნდა დანვა, ამოშანთო, ამოძირკვო ხსოვნა, თუ გინდა ციხე-ქალაქის აღება. ამიტომ წყდება აფხაზეთში საქართველოს ბედი. ციხე-ქალაქში ბიჭები დებენ სიცოცხლეს, სურამის ციხის აზრი ზურაბია. ისინი ქვათა ნაკრებს ისევე აძლევენ აზრსა და ხსოვნას, როგორც ზურაბი სურამის ციხეს. ამიტომ წყდება აფხაზეთში საქართველოს ბედი. ვინ იცის, იქნებ აფხაზეთში სხვათა ბედიც დევს, იქნებ საქართველო ეზიდება უმძიმეს ქვას, გვემისა და ჭირთა თმენის უმძიმეს ქვას. ქეთევანი? რა, ის მარტო ქართული ფენომენია? — ვეკამათები ჩემს თავს.

— არ გძინავს? — მეკითხება ვოვა და სა-

ნოლზე წამოინვეს.

— არა.

— გინდა სინათლეს აგინთებ, ხომ არ გეშინია?

— უკვე აანთე და... — რისი უნდა მეშინოდეს?

— თუ არ გეძინება, ჩავიდეთ ზღვაზე.

— არ გამაცინო, სილურჯე და სილაფვარდე?

— რატომ? — იცინის ვოვა. — რა დაგიშავა?

— რა ვიცი, ასეთი ლამაზი რომ არ იყოს... ვოვას სიცილი აუვარდა.

— რა გაციენებს?

— რალაც გამახსენდა.

— რა?

— ერთი გოგონა სწავლობდა ჩემს კლასში, ძალიან ლამაზი. ბიჭები თავ-პირს ვამტვრევდით ერთმანეთს, ვალურჯებდით, ვახევდით ტანსაცმელს. გამოიძახებდა დედამისს მასწავლებელი. გაგიჟებული ქალი გაოგნებული ანჯღრევდა ქალიშვილს — ჩემს სანამებლად გაგაჩინე ლამაზიო.

— წამოდი, ჩავიდეთ.

— აქვს აზრი? ბიჭებს ეძინებათ.

— ახლა აზრი ყველაფერს აქვს... მერე გული დამწყდება. ერთი ჩვენი სიტყვა ბიჭებისთვის, იცი, რამდენს ნიშნავს?

ქუჩა არც უკაცრიელი იყო, მაგრამ არც გაბრწყინებული. შორიშორს ციმციმებდა სინათლის სვეტი. დანაგვიანებულ ქუჩაზე ერთმანეთის მოშორებით საბურავები იწვოდა. ისეთი სიფხიზლე იყო, როგორც რულმორეული, თვალუბდაჭყეტილი ადამიანი აფრთხობს მოძალებულ ძილს. კოცონს ბიჭები უსხდნენ. ციოდა. გაჭვარტლულ სახეებს და ხელებს უშვერდნენ შავ ბოლს, ავარდნილს ცეცხლიდან, მუხლებზე ხელებს იტყაპუნებდნენ და გარშემო ხტოდნენ. მერე ზურგს უშვერდნენ, ცოტა ხანს მიეფიცებოდნენ და, ეჰ, ეჰ, დავიწვიო — გვერდს იბრუნებდნენ. ქალაქი ძილს ებრძოდა. ვილაცამ პური და ძეხვი მოიტანა, იქვე, კოცონთან დაგლიჯეს ნატეხებად, ერთმანეთს აწვდიდნენ და, — აუ, ახლა ბებიაჩემის ხაჭაპურიო, აუ, ახლა თონეში შემწვარი გოჭიო, აუ, ბიჭო, ერთი კარგი ადესაო — ნერწყვს აყოლებდნენ. არაფერი არ მინდა თქვენი, ერთი კარგად გამოშაძინაო, — ვილაცამ ცეცხლს სკამის ფეხი შეუგდო, მერე ქურთუკის მალალ საყელოში ჩარგო თავი და თვალები მილულა. ცეცხლის ალი ტკაცატკუცით ავარდა.

— აუ, ბიჭო, რა შავი ბოლი აქვს.

— რა გაგვრეცხავს, ბიჭო.

— ზაფხული მაინც იყოს, ზღვაში ჩავიდოდით.

— ზაფხული რომ იყოს, ეს „პაკრიშკები“ რა ოხრად გვინდოდა.

— გამარჯობათ, ბიჭებო. — შორიდან დავუძახე.

— შეჩერდი, რომელი ხარ? — წამოიშალ-
ნენ ბიჭები.

— ჩვენა ვართ, ნუ გეშინიათ. — ხელი და-
უქნია ვოვამ.

— მობრძანდით, დაგვეწვიეთ სუფრაზე.
— ატყდა ხარხარი, — პური და ძეხვი დაგვრჩა?
— იკითხეს. — მობრძანდით ბუხართან.

ისევ სიცილი. ბიჭებმა მიინ-მოინიეს, ად-
გილი გაათავისუფლეს.

— ნუ შენუხდებით, აი, აქ ჩამოვსხდებით.
— ვოვამ ცეცხლის წინ ჩაიმუხლა.

— ქალბატონო ნანა, — საიდანღაც დამ-
ტვრეული, ფეხმორყეული ჯორკო მოარბენი-
ნეს. — აი, დაბრძანდით.

— მანდ დაჯდომას აგერ დაჯდომა გირ-
ჩვენიათ. — ვილაცამ ქურთუკი გაიხადა და ქვა-
ზე დააფინა.

— რას ამბობთ? ცივა, როგორ შეიძლება?
გაცივდებით.

— რა გაგვაციებს, კაცები ვართ. — თავი
მოიწონეს ბიჭებმა. — მიირთვით, დიდი მასპინ-
ძლები ვერა ვართ, მაგრამ რაც გვაქვს...

პურის და ძეხვის ნაჭერი მიანოდეს.

— მაგ მურიანი ხელებით რომ აწვდი? —
ხელში წასწვდა მეორე.

— არა უშავს. — ღიმილით ჩამოვართვი
„მოსაკითხი“.

— დიდი არაფერი შეცოდებაა. — გაელიმა
ვოვას, — სხვა არაფერი გაგვიჭირდეს.

— ამაზე მეტი მური რალა იქნება. — ბიჭმა
ჭვარტლმოყრილი პური შეატრიალა ხელში.

— პურის მადლი გაუნყდეთ, ოხრები. —
ბიჭმა ცხრა მთას იქით შეუკურთხა. — შევიდო-
დით ახლა რომელიმე ოჯახში, გაგვათბობდნენ.

— აბა, ბიჭო, გაგვათბობდნენ, აბა, რა!

— მოიცა, თუ ძმა ხარ,

— რა, აფხაზებთან არ ჩამოვდიოდით,
მთელი ბავშვობა აქა მაქვს გატარებული.

— აბა, ეს ამბავი არ იყოს, ავიდოდით ახ-
ლა ბექნუ ბაბუსთან, „Мой Малхазчик приехал.“
— ხმა დაიბოხა ბიჭმა.

— არძინბასთან ავიდეთ, ჰო, რას გაიხა-
რებს! — ატყდა ხარხარი.

— აუ, მაგისი, — ისევ ცხრა მთას იქით
შეუკურთხა ვილაცამ, — რუსებში როგორ გაგ-
ვცვალეს, ბიჭო. ასე არ არის, ქალბატონო ნა-
ნა?

— თავის დროზე უნდა გვეხმარა ტვინი,
რა, არ ვიცოდით? — იკითხა ვილაცამ.

„აფხაზეთის მიმართ ჯერ კიდევ მეფის
რუსეთის მთავრობას ჰქონდა სპეციალური
გეგმები, რომელთა განხორციელებისათვის
აფხაზეთის ხელისუფლება უნდა მოესპო. გან-
ზრახული იყო რუსი მოსახლეობის გაჩენა შავი
ზღვის სანაპიროზე. 1864 წელს დიდმა მთავარ-
მა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, მეფისნაცვალმა
საქართველოში, აღძრა საკითხი აფხაზთა სამ-
თავროს გაუქმების შესახებ. იგი სწერდა პე-

ტერბურგს, რომ ასეთი ღონისძიების მიღება
საჭიროა იმისათვის, რომ შესრულებული იქნას
უმალლესი მთავრობის მიერ მოწონებული გან-
ზრახვა შავი ზღვის სანაპიროზე ყუბანის შე-
სართავიდან მდინარე ბზიფამდე ყაზახთა სტა-
ნიცების მოწყობის თაობაზე“. ამასთანავე მე-
ფისნაცვლის მიერ წარდგენილი გეგმის მეოთხე
მუხლში ვკითხულობთ: „თუ თავისუფალი მი-
წების რაოდენობა ამის საშუალებას მოგვცემს
დასახლებულ იქნას ყაზახი რუსები ნაპირის
გასწვრივ ინგურის შესართავამდე.“

— რატომ გვქონდა თავისუფალი მიწები?
— წამოიძახა ვილაცამ. — ვერ გავმრავლდით?

— მოიცა, აცალე, — ნაუტყაპუნეს მას
მხარზე.

... „ბზიფის ხეობის (ყაზახებისვე) მოსახ-
ლეობასთან ერთად მათ შეიძლება აფხაზეთის
ყაზახთა „ვოისკო შეადგინონ“, მაგრამ თუ თავისუფალი მიწები არ არსებობდა, შეიძლებო-
და დასახლებული ადგილების გათავისუფლე-
ბა მათი ნამდვილი პატრონებისგან. ამისათვის
რეალური წინადადებები მზად ჰქონდა ქუთა-
ისის გუბერნატორს თავად სვიატოპოლ-მირ-
სკის. იგი ამის შესახებ მთავარ შტაბს სწერდა:
თუ აფხაზეთის ნაწილი (სამთავროს გაუქმების
შემდეგ) მოისურვებს ოსმალეთში გადასახლე-
ბას, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამას ხელი არ უნდა
შევეშალოთ, ამას გარდა მთავრის კერძო მამუ-
ლებს, რომლებიც მეტად ვრცელია და მნიშვნე-
ლოვანი, ჩვენ ესლავე შეგვეძლო შევდგომოდით
აფხაზეთის კოლონიზაციას ყაზახ - რუსების
საშუალებით.

— ეე, — იყვირა ბიჭებში ყველაზე უმ-
ცროსმა. — ეე!

— რა იყო? — ისევ ნაუტყაპუნეს თავში.

— რა, რა იყო — აკი რუსები მაგათ ეხმა-
რებიანო?

— აბა, ვის ეხმარებიან?

— ეგ მოხმარებაა, ბიჭო?

„ყუბანის ოლქსა და ქუთაისის
გენერალ-გუბერნატორს შორის საზღვრად
მიჩნეული იქნას გაგრის ქედი: „ერთი მთავარ-
საფუძველთაგანი ამისათვის ის არის, რომ თუ
ჩვენს ხელთ იქნება ცარიელი ადგილები ბზიფის
ორსავე მხარეს, ჩვენ შევძლებთ იქ საძირკველი
ჩავუყაროთ რუსულ მოსახლეობას აფხაზეთში.
ცნობილია, რომ ამ გეგმის უმნიშვნელოვანესი
ნაწილი იმპერიალისტებმა განახორციელეს კი-
დეც, შავი ზღვის სანაპირო ხაზზე. აფხაზური
მოსახლეობა განადგურებულ იქნა. მისი მამა-
პაპეული მიწა-წყალი დაურიგდა რუს მსხვილ
და წვრილ მოხელეებს და ქვეყნის შუაგულ თე-
მებშიც კი შეიქმნა მნიშვნელოვანი კომპაქტური
მოსახლეობა უცხოური კოლონიზებისა“.

— არა, ძმაო, არძინბა აფხაზი არ არის.

— უუ, მაგისი...

— აბა, ვინ ოხერია?

— ვიცი რო? — ხელები გაშალა ბიჭმა და

ქურთუკი შეიხსნა.

— ქალბატონო ნანა, ეგ სადმე წერია?

— აბა, ერთი შენა ხარ? — ისევ წამოარტყეს თავში.

— შენ რა ხელები დაგიგრძელდა, რა ვთქვი ეგეთი.

— აბა, საიდან იცის.

— მერე, აფხაზებმა არ იციან?

— აფხაზებმაც იციან.

— მერე, სად არიან? — თითქმის ტიროდა ბიჭი.

— ვინ?

— აფხაზები.

— აფხაზები თქვენს გვერდით არიან.

— არა, ძმაო, მე აფხაზს არ ვესვრი. — ბიჭმა ქურთუკი შეიკრა, ცეცხლის წინ ჩაიშურხლა, ხელები მიაფიცხა. სიჩუმე ჩამოწვა.

— ის რომ გესვრის? — იკითხა ვიღაცამ.

— გავამრავლებ მაგ სიტყვებს და გადავუყრი გუმისთას იქით.

— უცხად არ წაიკითხო.

— მაშ, რა გვეშველება? — ისევ იკითხა ყველაზე უმცროსმა.

— ეგ ვიცოდე...

— არა, ბიჭო! — წამოხტა ვიღაც. — ხვალ დილით უნდა ჩავუსაფრდე, იქიდან რომ ამოპყოფს თავს, უნდა დაგუძახო, რასა შერები, ხომ არ გაგიყდი, მიაბრუნე ეგ ავტომატი და გლიჯე ვისაც საჭიროა-მეთქი. ნეტა რას მეტყვის.

— ეგ ვიცოდე, ამაღამვე გადავცურავ გუმისთას.

— არა, აფხაზს მაინც არ ვესვრი. — დაასკვნა ბიჭმა და ახლა ზურგი მიუფიცხა თითქმის ჩაღვნილი ცეცხლს, რომელსაც შავი ბოლი ასდიოდა.

— შენ არ ესვრი, ის გესვრის.

— რაა, დასწრებაზეა?

— ეს გამაგიჟებს. — ხელები ალაპყრო ბიჭმა. — ნადი, შვილო, სახლში, აქ, ომია, ომი.

— არა, არძინბა მაინც არ არის აფხაზი. — ისე თქვა ბიჭმა, თითქოს ვინმე ეკამათებოდა, იყო თუ არა არძინბა აფხაზი. მერე წამოდგა, ხელები წინ გაიშვირა, ცალი თვალი მოჭუტა და...

— არ-ძინ-ბაბ — დაახალა ავტომატი.

— ერთი ეგ დამაჭერინა! — ინატრა ვიღაცამ.

ერთი-ორი მომხვდურიც მიაყოლე და მორჩა, ეს ომიც დამთავრდება.

— ნადი, შვილო, სახლში, ნადი. — ისევ წაუტყაპუნეს ბიჭს. — აქ ომია, რით ვერ გაიგე, ის შენი ბექნუ ბაბუ განა ისეთი დაგხვდება, გუშინ რომ იყო.

— ისეთი დამხვდება. — წამოიფოფრა ბიჭი. — გუშინ ვინც იყო, დღესაც ის იქნება.

„განგებავ? ამას ნუ მიწყენ, ვერ გადავგვარდე გვარადა, ხანდისან დავიღუღუნო მამაპაპური ვარადა.“

იგი ღულუნი — სიმღერა არ არის გასახარადა.

ის არის მძიმე მოთხრობა გულისა სატკივარადა.

ისე ჰგავს დედის საფლავზედ ობლისა მოთქმას მწარადა,

კვნესის და კვნესის, ქვითინებს მტირალის ჩვილის გვარადა.

უზნობს თუ ვითა ცხოვრება ათასის წლისა წყნარადა

ერთბაშად ერთის მობერვით სულ წახვეტილა ქარადა.

ზოგჯერ გიჟურად შეჰკივლებს ბედისა სამუქარადა,

ეტყვის: მარტოკა დამაგედ ნაწყვეტად ნაოხარადა.

მიკვირს საწუთროს ვნებანი ვის ჰფხვრიან, ვის სახმარადა

და მსგავსსა ბოროტებასა ყურსა არ უგდებს ცა რადა!

განგებავ! გვედრებ ნუ მიწყენ, თუ რომ შეგჩივი მარადა,

ხანდისან დავიღუღუნო ვაი და ვაი, ვარადა!”

— ვისია, ქალბატონო ნანა — პირი დაალო ბიჭმა

— გიორგი შერვაშიძის, ზაზა.

— არა, მე წავედი ბექნუსთან. — წამოდგა ბიჭი. — თუ გინდათ, თქვენც წამოდით.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— რა ვქნათ, წავიდეთ?

— წავიდეთ, მართლა თოფს ხომ არ გვესვრის.

— მერე პოსტი? ვინ დარჩება?

— ჩვენ დავრჩებით. — თქვა ვოვამ და წამოდგა. — მე და ქალბატონი ნანა. თქვენ წადით.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— წადით, აგე, რეზოც მოვიდა.

— რა ხდება? — იკითხა რეზო ჩაჩუამ.

— ბიჭებს ერთი საათით გასვლა უნდათ.

— სად მიდიან? — იკითხა რეზომ.

— აი, — ხელი გაიშვირა ბიჭმა — ბექნუსთან.

— დიდხანს არ შეჰყვეთ, ხომ იცით, ომია.

— ვნახავთ და მალე ჩამოვბრუნდებით. ვიდრე თქვენი ცვლა მოვა, აქ ვიქნებით.

— კარგი, ერთი საათი გაქვთ, იცოდეთ.

— ჯიგარი ხართ, რეზო ბიძია! — ბიჭები რეზოს გადაეხვივნენ. მერე მუჯღულუნებითა და მხრებზე ტყაპატყუპით გადაირბინეს ქუჩის მეორე მხარეს.

რეზომ ღიმილი და სევდა ერთად გააყოლა ბიჭებს, მერე ჩამქრალ ცეცხლს სკამის ფეხი შეუგდო, სული შეუბერა, ბოლისგან აცრემლებული თვალები ამოიწმინდა და შემოგვხედა.

— ვის უნდა ეს ომი? — იკითხა.

— ეგ ვიცოდე... — გამოაჯავრა ვოვამ პა-

ტარა ბიჭს და რეზოს გაკვირვებულ მზერას ღიმილი შეაშველა.

ბიჭები კი მოდიოდნენ, ფარაჯიანი, უფარაჯო, მაღალყელიანი სვიტერებით. უფროსი მეგობრის გახუნებული ლაბადით, თბილი ქურთუკით, ბოტასებით, მაღალყელიანი სამხედრო „ბათინკით“, ზოგიც ნახევრად ჩაცვეთილი ქუსლიანი ფეხსაცმლით, ქუდით, უქუდოთ, ჩაჩით, კეპით, რა ვიცი, ვის რა ეცვა. ჩაცმულობაზე გამოარჩევდი, ვინ როგორი ოჯახიდან იყო, რა შეძლებისა, ზოგი თეთრი, ქუნქულა ნაფერები ხელებით, დახვეწილი გრძელი თითებით, ვინრო ხელის მტევნებით, მზემოკიდებული ხელებით, ზოგი ნატიფი, მოვლილი თითებით, და ზოგიც ბრტყელი, დამტვრეული ფრჩხილებით. ყველა აქ იყო...

ჩემი თაობის ბიჭებს კი ხშირად საყვედურობდნენ: ომი არ გინახავთო... და ბიჭებიც „თამაშობდნენ“ ომობანას, თითქოს ამით ხარკს უხდიდნენ ამათ, ახლა რომ ომში მოდიან, ხის თოფებისა და ცხენ-ჯოხების ნაცვლად ცეცხლი და ტყვია რომ აწვიმთ. ამათი „ომობანა“ უფრო დიდია, უფრო ღვთიური, უფრო ნათელი, რადგანაც მათი დაღვრილი სისხლი და ოფლი მამულს ეკუთვნის უპირველესად და ინტერნაციონალური სინჯით არ იზომება. ასეა და, რა ექნათ.

სინდისი კი თრთის და კანკალებს, SOS. SOS. SOS. ინთება და ქრება, როგორც შორს ზღვაში საზღვრის ზოლზე შუქურის მოზუზუნე ნათურა SOS, SOS, SOS, ჩვენთვის იქით არ შეიძლება, მათთვის აქეთ. SOS, SOS. SOS იქით ძიძარია, კვინინია, ჩალაძე, წერეთელი, აქეთ, მარშანია, ანჩაბაძე, შერვაშიძე, ჩალაძე... და შემებრალა საქართველო, როგორც არასოდეს, რადგანაც... „ჩვენს სამშობლოს ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია. იღბლის უკულმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს. ვინაიდან როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეებში. მას მერე, როგორც იყო, ომით, მუდამ დავიდარებით, მოვიტანეთ ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდე, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა, შემდეგ კი უკულმართად დატრიალდა ერის არსება. შემოსეული მტრები არ გვაძლევდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა დიდებული გონებრივი და ქონებრივი თანხა ქვეყნისა და დაიძალა ცხოვრება თვითარსებობისა. ზნეობა წაგვიხდა, პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მივალწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობას ვპოვნიდით ჯაშუშობაში და სამშობლოს მტრობაში. ამ დროს, როდესაც შეგნებული ნაწილი ივერთა დაკუნწული, გათიშული ხალხისა, ხელგულდაკრეფილი იდგა საფლავეებზე, თავის დავინწყებულ, და-

მარხული დიდებისა, დღეს, უეცრად გაისმა ხმა, სიმართლისა და თავისუფლებისა! დაჰკრა საქართველოს ნალარამ და დაჰკვივლა ვაშა! ვაშა!“ (გიორგი შერვაშიძე — „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, 1917, გაზ. „საქართველო“ №137.გვ.140).

**„ზურმუხტის ფერად გაშლილა მთები,
მერად ვბერდები,
ო, რად ვბერდები,
ზღვის სიყვარულად,
მზის სიყვარულად,
მეც დავიცვები,
მოენახება სანაცვლო ყველას
შენ არაფერზე
არ გაიცვლები.“**

დილით, ვიცი, პოზიციებზე გავალთ, შემომეგებებიან ბიჭები, თითქოს არაფერიც არ ხდება. ასე მგონია სასწავლო ექსპედიციაში ვართ და სამხედრო მეცადინეობას ვესწრებით. ისეთი გნისია ირგვლივ, სიმღერა, ფაციფუცი. ყველა ერთად ვსხდებით კოცონთან. იწვის მუშტისოდენა კარტოფილი, ნაკვერჩხალწყრილ ნაცარში, გაშავებული, ნაცრიანი ხელებით იღებენ ბიჭები კარტოფილს, სულს უბერავენ, კანს აცლიან. „უჰ. უჰ“, და მთელ-მთელს იყრიან პირში, მერე ნაცრიან ხელებს შარვლის ტოტებს შეახოცავენ, დამწვარ ენის წვერს იგრილებენ. ზოგი სოფელს იხსენებს, ბებიას, ზოგი აგარაკზე გატარებულ დღეებს. იქვე კუთხეში განმარტოებით ზის ახალგაზრდა.

— რა გქვია?

— იმედა. — თავდაღუნული ამომხედავს.

...იმედა კარგი სახელია, არის ამ სახელში ახლა რაღაც სიმბოლური, ადრე ამას არ მივაცევედი ყურადღებას. რამდენი იმედა მეგულებს, რამდენჯერ მსმენია ეს მშვენიერი მეტყველი სახელი.

— კარგი სახელია იმედა. — ვუღიმი და შენითლებულ, ალაგ-ალაგ კანდამწვარ ნაცრიან კარტოფილს ვანვდი.

— რატომ არ ჭამ, არ გიყვარს ნაცარში შემწვარი კარტოფილი. — ცვდილობ ავალაპარაკო.

— მიყვარს, როგორ არ მიყვარს.

— მერე, რატომ არ ჭამ?

ბიჭი დანის წვერით მიწას ჩიჩქნის, ჩექმებზე ეყრება მიწის ნოტიო ბელტები, რომლებიც უცბად იშლება და ფხვიერდება. გაზაფხული სუნთქავს, მიწა ღელავს, მიწა თრთის, მიწა ვნებით იზმორება და მისი თითოეული ნაწილაკი სითბოთი და სიყვარულით ატაცებული, ხელში გადნება, გემორჩილება, მისი გულის სიღრმიდან უკვე იწყებენ ლორთქოს პანანინა ღერები ჭვრიტინს, მალე გულს მთლიანად გადაიღელავს და ულამაზეს, მთრთოლვარე რძეჩამდგარ მკერდს დაენაფება სიცოცხლე და აბრდღვიალდება მწვანეზე ხასხასა ფარჩით ეს მელოგინე დედა, მდუმარებითა დაახალმობილის

საქართველოს
პარლამენტი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ მისთვის გასაგონი ღუღუნით ნეტარე-
ბაჩამდგარი, სითბოთი და სიყვარულით მოატარე-
რებს ქვეყანას ლიბრგადაკრულ თვალებს.

— ჩვენ კი ახლა ვკვდებით. — იმედამ მი-
ნიდან ამოჩიქნა ყოჩივარდას ალბათ პირველი,
ნედლი უფერული ღერო. — აი, ასე. — თქვა და
ხელში მოსრისა ღერო.

— იმედა. — რალაცის თქმა დავაპირე.

მან მოსრესილი ღეროს რძიანი თითები
შეახოცა შარვალს და შემომხედა. ამ გამოხედ-
ვაში ყველაფერი იყო, სიყვარულიც, შენდობაც,
სიძულვილიც, შიშიც, შურისძიებაც.

— თქვი, იმედა, მითხარი რაც გინდა. —
ვთხოვე და ვიგრძენი როგორ მომანვა ცრემლე-
ბი.

— რა გითხრათ, ქალბატონო ნანა. — იმე-
დამ ბიჭებს გახედა.

— რაც გინდა მითხარი. — მხარზე მოვ-
ხვიე ხელი.

— აი, ასე ვკვდებით. — იმედამ დახედა
გასრესილ ღეროს ნაწილს, რომელსაც ჭიანჭვე-
ლები შესეოდნენ და სადღაც მიათრევდნენ. —
არავინ გვაცლის დავიღეროთ, იცით, რა ფერი
იქნებოდა ეს ყვავილი?

— რა ვიცი. — დავიბენი. — ან ყოჩივარ-
და, ან ენძელა, ან ია. — გავიციენ.

— ამაშია საქმე, არავინ არ იცის, ეგ მარ-
ტო ამან იცის. — იმედამ მიწას დაჰკრა ხელი.

გავყურდი.

— თქვენ გგონიათ მე ვიცი ან იმ ღეროებ-
მა იციან? — ბიჭებისკენ გაიშვირა თითი.

ისევე ვდუმდი, სიტყვა არ მოდიოდა.

— თქვენ გგონიათ, მეშინია? — იმედას
თვალები აუწყლიანდა.

— რა თქმა უნდა, არა. — ძლივს ამოვადრე
სიტყვა. ეტყობა, გულწრფელი ვიყავი. იმედამ
შემომხედა, მენდო, დამიჯერა.

— გმადლობთ, — მითხრა და გაყურდა.
ვაცალე, მივუხვდი ჩემი სიტყვა ფიქრს შეუნყ-
ვეტდა და გაყურდი.

— იცით, რა მინდა... — იმედამ ნერწყვი
გადაყლაპა. — სიკვდილის არ მეშინია, არც იმ
„ღეროებს“, ახარხარებულ ბიჭებს შეხედა, —
მე სიკვდილის არ მეშინია.

— ვიცი, იმედა. — ხმას დაუწიე, თით-
ქმის ჩურჩულითა ვთქვი.

— ნუ გებრალეებით, არ იცით, არავინ არ
იცით. თქვენ ყველამ ერთი რამ იცით, ის, რაც
თქვენ განუხებთ; მე არც არავის სიბრალული
მინდა, არც შეცოდება, მკლავს ეს სიბრალული.
მე სიკვდილის არ მეშინია, — ჩამიმარცვლა იმე-
დამ.

ხელი მოვხვიე და გულში ჩავიკარი. იმე-
დამ თავი დამადო გულზე და ატირდა ჩუმად,
ისე, რომ ბიჭებს არ დაენახათ. იმედა ჩემს
შვილზე ერთო-ორი წლით იყო, ალბათ, უმცრო-
სი, ვცდილობდი სიბრალული არ გაჰკარებოდა
ჩემს გულს. ერთმანეთის მიყოლებით ვყლაპავ-

დი მწარე ნერწყვის ნაკადს და ამით ვიხშობდი
სიტყვას. იმედა გაიმართა, ზურგით შებრუნდა
გუმისთას იქითა მხარისკენ, ცრემლები ამოინ-
მინდა და მითხრა:

— მე მინდა დავინახო, ეს ღეროები რო-
გორ შეიმოსებიან ფერებით, როგორ ამოყელ-
ყელავდებიან მწვანე ველზე, თქვენც ხომ ეს
გინდათ.

— რა თქმა უნდა, — იმედა არ მისმენდა.

— ჩემი საბოლოო სიმაღლეც მინდა ვნა-
ხო. იქნებ, ალვის ხე ვარ, იქნებ, უბრალოდ ბა-
ლახის ღერო, მაგრამ მაინც მინდა ვიცოდე ვინა
ვარ... თორემ სიკვდილი, — ჩაიცინა იმედამ, —
სიკვდილი სულაც არ არის ძნელი, არც ვფიქ-
რობ სიკვდილზე, აქ სიკვდილი არ არის ძნელი,
დამიჯერეთ.

იმედამ მოიძია გასრესილი ღერო, რომე-
ლიც ჭიანჭველებს უკვე წაეღოთ შორეთში, სა-
დაც მას სიცოცხლე აღარ ეწერა.

— აი, ასეთი ღერო გუშინ დილით მოს-
რისა ყუმბარამ. — იმედამ იქვე ეზოს კუთხეში
მიყრილ ნამტვრევებთან სისხლიანი ფარაჯა
დამანახა. — თქვენ შეგიძლიათ მითხრათ, რა
იქნებოდა, როგორ დააჩნდებოდა დედამინას.
— მერე შეხედა ცას, გარშემო მოატარა მზერა.
ღრმად შეისუნთქა ჰაერი, გუმისთაზე დანოლი-
ლი ნისლი იყნოსა, ნაწვიმარი მიწის ოსპივარი...

**„ნუ მწერ რომ ბაღში აყვავდა ნუში,
რომ მთანმინდაზე ცა დანვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის ნააგავს ხვითოს.“**
შემომხედა, „გააგრძელო“, მთხოვა თვა-
ლებით

**„ორთაჭალაში ჰყვაროდა ნუში,
მთანმინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს
და შენ, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, მოჰკავდი
ხვითოს.“**

იმედამ გაოცება დამალა და აღტაცება
მომაგება.

— გახსოვთ? — მკითხა.

— შენ, რა, — გავიციენე და ცხვირზე მიწის
ნარჩენი მოვაშორე. — ბებერი გგონივარ?

— არა, რას ამბობთ? — გულწრფელად
შემომძახა. — მაგრამ, მეგონა, ვინც მიდის.

— აბა, რას ამბობ? — შევწუხდი.

— არა, ვერ ვთქვი. — შეასწორა იმედამ.

— მე მინდოდა მეთქვა, რომ ის მაშინ ცოცხლდე-
ბა, როცა მისი ასაკის ხდებო. გაიხსენებ და გზას
გააგრძელებ, ის კი რჩება იქ, გზაზე, როგორც
ცრემლდაყრილი კვიპაროსი, რომელსაც დრო
და დრო ჩაუვლიან, შეხედავენ და ამოიცნობენ,
აღმოაჩენენ.

— უი, შეხედე, რა ლამაზია ცრემლებად
დაყრილი კვიპაროსი. ო, ამ კვიპაროსებად და-
ვრჩებით ჩვენც...

**„ნუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს
და საშინელი ბრძოლების ნისლში**

**მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან
 აელვებული იდგა თბილისი”.**

— არ მინდა სიკვდილი, თქვენ წარმოიდგინეთ არც გმირობის სანაცვლოდ.

— მესმის. — ვუთხარი იმედას.

— არ შეიძლება გესმოდეთ.

— რატომ? — თვალეები მოვჭუტე.

— იმიტომ, რომ თქვენ რაღაც მოასწავით, მე ჯერ არაფერი გამიკეთებია. იცით, რისთვის ღირს სიკვდილი? მე ახლა ვიგებ ამას. მინდა ვიცოდე, მე რისთვის ვკვდები და ის რისთვის კვდება. სახლებში ნელ-ნელა აინთო სინათლეები, ქვევით დაღმართის ქვეშ ისინი ციციანათელებს ჰგავდნენ. თითქოს ზეციდან დავეყურებდი განათებულ დედამიწას, თვითმფრინავის ილუმინატორიდან ის, რაც ქვევით ჩანდა, თითქოს ზეცის ანარეკლი იყო. „ზეცაში“ რომ ვარსკვლავები ჰქვია, მინაზე ის კერიის ცეცხლია, შუა ცეცხლი, ფანჯრებიდან მოჭვრიტინე, სადღაც უყვარდათ, სადღაც გლოვობდნენ, სადღაც იბადებოდნენ. სულს იცლიდნენ. ასე იყო იქაც. ვერ ამეხსნა, ცა იყო მინის ანარეკლი თუ მინა ზეცისა, რომელი იყო მარადიული და რომელი წუთიერი, მაგრამ მაინც იყო ამ ერთიანობაში დიადი, რადგან შენ, ადამიანს წუთისოფლისას და მერე მარადიულ სულს, ბოძებული გქონდა ცხოვრების გამოცანა, პილპილმოყრილი სიტკბოთი „memento mori“ რატომ ეძლევა უნაზესს სევდა, სიხარული ტლანქს და უხეშს? მე ერთად ავკინძავ ამ ბიჭების ბიოგრაფიას. ყველას. გვერდით რომ მიზის ფიქრიანი, იმისასაც, იმათაც, ორ ნაბიჯზე რომ დახტიან და ბლლარძუნობენ, შევკრებ, რადგან ეს იქნება საქართველოს დიდი ისტორია და როცა თაობები გადაიკითხავენ, იმისთვის, რომ გამოუტანონ სასტიკი განაჩენი ამ ომს, მის „ტყვიისფერ სიმდაბლეს“, გააშიშვლონ მისი წყლულები, გააღვიძონ უდიდესი ნება, აჩვენონ საუკეთესო, უნაზესი, მათი გმირული სული, ვინც ვერ გარიგდა სიმახინჯესთან, უხეშობასთან, დამცირებასთან, ადამიანის დაკნინებასთან და მერე ეს ყველაფერი გზაზე შერჩენილ, ცრემლებდაყრილ კვიპაროსზე ვარსკვლავებად ააციმციმონ ნიშნად წმინდა სიყვარულისა ამ უდიდესი ადამიანებისადმი.

— რას ფიქრობთ? — მეკითხება იმედა.

— შენზე ვფიქრობ, იმედა, ჩემზე, ამ ბიჭებზე, ჩემს შვილებზე.

— გმირებად დავრჩებით?

— რა თქმა უნდა.

— ყველა?

— რა თქმა უნდა.

— ცოცხლებიც და ვინც დავიღუპებით?

— რა თქმა უნდა, — ყელში გამეჩხირა

ნერწყვი და ჩამკანრა.

— ნეტა ყველამ ასე იფიქროს.

— ყველა ასე ფიქრობს.

— ეს დღეს, — იმედას სახე სიბნელეში თითქმის არ ჩანდა. მარტო ორი ვარსკვლავი

ენტო სივრცეში. — მე მინდა მათ ასე იკიაფონ ათი, ოცი, ოცდაათი წლის შემდეგ.

რა გითხრა, ჩემო პატარა მეგობარო, შენ ახლა აფხაზეთში სადღაც, სად არც ვიცი, კვიპაროსად იზრდები და უმადურობის, უღმერთობის დელგმა გლეკავს, მაგრამ ყოველ დილით, ადრეული გაზაფხულის დილით, ნამიც თრთის შენს სხეულზე, როგორც ცრემლები ხსოვნის. მე დავბრუნდები აფხაზეთში, ბევრნი დავბრუნდებით. მოგნახავ, ყოველ გზაგასაყარზე შევჩერდები და გიმზერ მანამდე, ვიდრე მზის სხივები არ აიტაცებენ ცრემლების პანანინა მარგალიტებს, არ შეისრუტავენ მათ, რომ მერე მთელ მინაზე მოაბნიონ, შეყვარებულ წყვილებს დააფრქვიონ თმებში. „სადღაც მითქვამს, ყოველი წვეთი სისხლისა, მამულისათვის დანთხეული მზის სხივად ესხმოდა ქართულ მიწას. საქართველო დაჭრილი მზეა, მაგრამ მაინც მზე, რაც ვერ მძლევს, მხდის უფრო ძლიერს, საქართველოზე თუა გამოჭრილი“, კოცონი მაინც ენთო. ვის გაუგონია-მეთქი ომში კოცონი. მაგრამ აქ ომიც იყო და მშვიდობაც. ბიჭები დარბოდნენ, ზოგი გამურულ ტაფაზე ყრიდა კარტოფილს, ზოგი ნაცრიდან იღებდა და ბურთივით ათამაშებდა ხელისგულეებზე, ზოგს ფარაჯაში თავჩარგულს ეძინა, ზოგი ნამძინარევე თვალეებს ისრესდა, დრო კი დინჯად სცრიდა ქვიშას. დრო ნაიღებს თავისას, ადგილს მიუჩენს სირცხვილს და სიმართლეს, მადლსა და ცოდვებს. წყალნი ნავლენ და ნამოვლენ, ესენი დარჩებიან. ღამეს გათენება მოჰყვება. საქართველო მზე იყო, დაჭრილი, მაგრამ მაინც მზე: „მე დავიბადე უდიდესი, უდიდესი ძვრების მონაწილედ და ამ ომიდან, ამ გრიგალიდან დავბრუნდები გამარჯვებულ ლაშქართან ერთად. მოვივლი ყველა გრიგალებს და დავბრუნდები. ახალგაზრდა ვარ და იმედიანი. არ არის ტყვია, რომელიც მე მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც ჰკლავდნენ და არ კვდებოდა, რადგან იმედიანი ვარ და იმედი ამარცხებს სიკვდილს. რადგან გამბედავი ვარ და სიცოცხლით მოთამაშე“.

ჩამთვლიმა, მხარზე მსუბუქად შემეხო სამოსი. ავიხედე, იმედა იდგა და ფარაჯას მახურებდა მხრებზე.

— თენდება, ამ დროს ცივაო, — გამიღიმა.

ღამე გაცრეცილიყო, მამლები ყიოდნენ. საკვამურებიდან ბოლი ამოდიოდა. აღმოსავლეთი ნითლდებოდა და უშველებელი ნათელი მოიწვედა ჩვენსკენ. იარაღის ჩხარუნი ისმოდა, ბიჭების ხმები, მძიმე ნაბიჯების ხმა: „ეს იყო ყველაზე დიდი ომი, არც ჰანბალის, არც ნაპოლეონის, არც მაკედონელის ომები ამ ომს ვერ შეედრებოდა. ეს იყო უდიდესი ომი, რაც კი ყოფილა დედამიწაზე. რადგან არსად არ ყოფილა ასეთი დიდი გული, როგორც ჰქონდათ ამ ბიჭებს, რადგან საქართველო იყო დაჭრილი მზე, მაგრამ მაინც მზე. ნამოვდექი. ბიჭებს

მინდორზე სუფრა გაეწყობა, არც ასეთი სუფრა მგონია სადმე ჰქონოდათ, რა ლამაზი იყო აფხაზეთი, თავისი ტკივილით, მომავლის იმედით და ცრემლებად დაღვრილი ზეცით. ცოდვითა და მადლით დატბორილი ნეშოთი, მინაში ჩაწყყლებილი „მნიფე მტევნებით“ და მაინც სამამულე რქით. წყალნი ნავლენ და წამოვლენ, ისტორია კი ვიდევით, ზოგი მინაზე მორთხმული, ერთმანეთისთვის ვლოცავდით მზესა და საქართველოს, თავისი დაცემითა და ამალღებით.

სამყარო დიდია, ერთი. ღმერთმა ხომ შექმნა ადამიანი თავის ხატად, როგორც არ უნდა გადახლართონ მავთულები, რკინის ჯვბირები, წამართვან მინა, ჩაბუდდნენ ჩემს ბინაში, წამგლიჯონ სარჩო-საბადებელი, „თვით უძლეველმაც, რომელთა ზედა არც ვინ არიან,“. განმკითხავი მაინც ერთია, ერთია, რომელიც არის ჩვენში და რომელიც იტევს, ჰოი, საოცრებავ, თითოეულ ჩვენთაგანს. მაშ, ყველა ცოდვა და სიკეთე მასთან მიდის. მისი სული იძვრის ლხენითა და ჯავრით და პასუხსაც მისგან ველოდოთ, პასუხს, რომელიც ჩვენი ცოდვათა გამო უპირველესად მის სულს აშფოთებს. „და იხმო თავისთან კრავნი შენირულნი — დასტურად იმისა, რომ ჩვენ ამ დიდი ენერგიის ნაწილი ვართ, სხეულით მასთან ჭიპლარით მიერთებულნი. იქედან მოდის სასიცოცხლო ენერგია, სასიცოცხლო ძალა. ჩვენგან მიედინება ყველა ტოქსიკოზი მასთან და როგორც დედის სულიერ მდგომარეობაზე აღიბეჭდება ტოქსიკური ფეხმძიმობის ნიშნები, ისევე აწამებს ჩვენი ცოდვანი და სულის უჯანსაღობა მის სულს. მოიხმო ბიჭები იმ დიდი რეზერვუარის შესავსებად — გასაჯანსაღებლად, ვითარცა დედას შვილის ტოქსიკოზებით დამძიმებულს მიანვდიან ჟანგბადის გრილ და გამჭვირვალე ნაკადს, რომელიც ჯანსაღ სხეულს უნდა მოხმარდეს. აქ ხომ არ არის გასაღები ჭეშმარიტებისა. „და მოვა ძე კაცისა თეთრი მხედრონით ღრუბლებზე მომავალი“... და წავიდა ზეცისკენ ღვთის მხედრონი.

— ნამეტანს ნუ იპრანჭები, — ეღრიჯება კაკოს დათო და მხარზე ხელს ურტყამს. კაკო ხეზე ჩამოკიდებულ პატარა სარკეში იჭყიტება, წვერს იპრასავს და იცინის.

— შენ რა განუხებს? — ლოყაგამობერილი იღრინება კაკო.

— რა ვიცი, ღმერთს არ მოეწონო, ნამეტანი ლამაზი ხარო.

კაკო შემობრუნდება. ქაფიან ხელს მოუღერებს, დათო გვერდზე გახტება და საპნის ქაფი სახეში ხვდება.

— ეეე, — უკვე გაქცული მიაყვირებს. — გაგიჟდი?

— ენა გააჩუმე. — იცინის კაკო.

— ჰო, ჰო, ნამეტანი ლამაზი ხარ, ღმერთს არ მოეწონო, ხომ იცი ღმერთსაც კარგები უყვარს.

— აბა, შენისთანა დაღრეჯილი რაში სჭირდება, არ გაგიჟდება შენს დანახვაზე, ეს რა გამიკეთებიაო?

— რეებს რომავთ, — ბალახზე განოლილმა ლევანმა თავი წამოჰყო. — მეტი საქმე არა გაქვთ, არა?

— მეტი რა საქმე აქვთ? — პაატამ მკერდზე გადაჯვარედინებული ტყვიების მასრები და საყელო შეიხსნა, მერე ლევანის გვერდით წამოგორდა და ხელები აქეთ-იქით გადაჰყარა. ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი.

— სხვები სად არიან? — ჰკითხა ლევანმა.

— მოდიან, აღმასხანმა შეიყვანა თავისთან, მანდარინებს გამოატანს.

კაკომ სახის ფხეკა დაამთავრა და არყის ბოთლიდან ერთი პეშვი სახეზე მოისვა, დაიჭყანა, ლოყებზე ხელის გულები აატყაპუნა და სარკეში შეამონმა ნახელავი.

— ჰო, ლამაზი ხარ, ლამაზი. — მიაცინა პაატამ. — რაო, ღმერთს არ მოეწონო?

— გიჟები ხართ. — გაიცინა კაკომ. — აბა, თქვენსავით გაბუღული ხომ არ ვიცი? ზარმაცებო, მალე ერთმანეთს ვერ იცნობთ.

— ქალბატონო ნანა, — სკამი მოინია ჩემსკენ კაკომ.

— ჰო, კაკო.

— დღეს გვირილებს მოგიტანთ.

— მადლობა, კაკო.

— ესენი უკვე დაქენენ, გადაყარეთ, ამბობენ არ ვარგაო.

— ახლებს რომ მომიტან, მაშინ გადავყრი, არ მინდა ქილა დაცარიელდეს.

— მე ცისფერ ყვავილებს მოგიტანთ, — ჩაიმუხლა დათომ. — რომელი გირჩევნიათ?

— შენ რომ არ ჩაეჩხირო, არ შეგიძლია, არა? — კაკომ ხელი ჰკრა დათოს და დათო ლევანის ფეხებთან დაგორდა.

— ღმერთო, მთლად ბავშვები ხართ — გამეცინა.

— ქალბატონო ნანა. — წამოჯდა ლევანი და დათო წამოაყენა. — რა აჩხუბებთ ამ ლენჩებს, ერთი ჰკითხეთ.

— ლამაზი რომ ვარ, ვიჟდება! — ხარხარებს კაკო.

— ორივე ერთი თიხიდან ხართ მოზელილი, — ვიცინი.

— აბა რაღა აჩხუბებთ. — ისევ მეკითხება ლევანი.

— ერთი თიხიდან რომ ვართ ის.

— ერთი თიხიდან როგორა ვართ. — იცინის კაკო და დათოს თვალმოჭუტული უყურებს. — მაგის თიხა ნამეტანი ამჟავებული იყო, ალბათ.

— მიდი. — დათო ზურგიდან დაეტაკა კაკოს და ატყდა ბათქაბუთქი, ბიჭები მინდორზე გორაობდნენ და როგორც დაბობრილი ლეკვები, ეგრე ურტყამდნენ ერთმანეთს ტორებს, ფრთხილად, ერთმანეთი არ დავკანროთო.

— ჰოდა, — პაატა ხეს მიეყრდნო ზურგით. — მეშვიდე დღეს თიხისაგან მოზილა ღმერთმა ადამიანი, შთაბერა სული და შექმნა ხატად თვისი.

სიჩუმე ჩამონვა. ბიჭები გაილურსნენ და შემომხედეს, უცხად ჩაცხრა ბავშვური ალტიკინება, ჩემს წინ შემოჯარული მეომრები ისხდნენ, ახლა უკეთ ვხედავდი კაკოს შეფერილ საფეთქლებს, პაატას მზემოკიდებული სახის შეუმჩნეველ ნაოჭებს, ლადოს ნაჭრილობებს, დათოს გადახვეულ ხელს.

— მაშ, აქვს უფლება ადამიანს ეს სული გარყვნას და ღმერთის ბოძებული სატანის კერძად აქციოს?

— რა კარგი იქნება ახლა ცხელი კერძი, სად არის ვარლამა? — მოიკითხეს ბიჭებმა ჩვენი მზარეული.

- ტყეში, სოკოს აგროვებს.
- რა სოკო გვეყოფა ამდენს.
- კარგით, რა, — პაატას წყენა დაეტყო.
- არ მინდა ამდენი ფილოსოფია, ისედაც დამძიმებულია სული. — თავისთვის ჩაილაპარაკა ვიღაცამ, ბიჭები ისე შეგროვილიყვნენ ჩვენს გვერდით, „რომ ვერ შევნიშნე“.

— მიდი, პითაგორა, მიდი, რისი უფლება არა გვაქვს, — შეუძახა პაატას ნოდარმა. — რამდენჯერ მომისმენია, როგორ იმართლებს თავს სუსტი: რა ვქნა, ღმერთმა ეგეთი გამაჩინაო. — მაგარია. ღმერთმა სიყვარული შექმნა, თანაც ერთი სულის შთაბერვით...

— და როცა სული... — გააგრძელა პაატამ, რომელსაც აღარ ესმოდა ბიჭების ქილიკი, სევდის და შიშის გასაფანტავად რომ ეძაღებოდათ. — თიხის ჭურჭელს შემოიმსხვრევს, ის ისევ იმას დაუბრუნდება, ვისაც ამ ნუთისოფელში სტუმრად მოსულმა დაესესხა.

— ჰო, ჰო, რა გაჭვარტლული დაუბრუნდება, დამიტოვე ცოტა. — ხელიდან გაგლიჯა ნახევრად ჩამწვარი სიგარეტი ვახომ. — უფალი თავისას ნაიღებს, სატანას სატანისას დაუტოვებს. ნაბილწული, შერყვნილი ცოდვიანი ველარ დაბრუნდება წმინდა წყაროსთან და ასე, ჩვენივე უმეცრებით, ლალატი ვძარცვავთ, აღარ ვაბრუნებთ. იძარცვება, ცარიელდება და წმინდა რეზერვუარის შესავსებად უფალი თავად ირჩევს საჭიროს, რათა იქ — პაატამ თითი ააშვირა ცისაკენ. — არ დაირღვეს რაღაც იმაზე დიდი, ვიდრე თითოეული ჩვენგანის სიცოცხლია აქ, ამიტომაც მგონია, რომ ღმერთსაც კარგები უყვარს.

პაატამ შემომხედა და — თქვენ როგორ ფიქრობთო, — მკითხა.

- ალბათ, — ვუპასუხე.
- გაიგე ვერან. — დათომ ხელი ნაჰკრა კაკოს. — რა გითხარი: ღმერთს არ მოეწონა მეთქი.
- ელაპარაკე ამას. — კაკოს აღარ ეცინებოდა, აღარც დათოს.

— ქალბატონო ნანა, — შემეხვეწა ვიღაც, ის ჩემს ზურგს უკან იდგა და ვერ ვხედავდი, ისე კი ვიგრძენი, ატირებას ცოტა აკლდა. — მოყევით რამე.

— რა მოყვე? — ვკითხე გულდამძიმებულია.

— სად არის, კაცო, ეს ვარლამა? — იყვირა ნიკამ და სახე შეაბრუნა. — ვარლამ! — გასცახა ტყეს.

— რა იყო, რა დაგეტაკათ? — თავი ამოსწია ვარლამამ, ატყდა გნისასი. ვარლამა, თურმე, აქვე ყოფილა, სავლელ სამზარეულოს ქვეშ შემძვრალს, მხოლოდ თავი მოუჩანდა და ფეხის წვერები. ატყდა სიცილი, ბიჭები მიცვივდნენ და ფეხებში ხელი ჩაავლეს.

— ნელა, ნელა, — ყვიროდა ვარლამა და თავს ხელებით იფარავდა, — თავი არ ნამაგდებინოთ, ღმერთსაც ლამაზი ყვარებია, უთავოდ ხომ არ მიუვალ?

— ძალიან არ სჭირდება შენი გასიებული თავი? კაკოს თავი არა სჯობია?

— რას ჩამაცივდით? — ავარდა კაკო. — თქვენთვის კი არ ნამირთმევია ეს თავი, ბიჭოს!

და იმ ნუთში შემძულდა ყველა, ვინც ე ს ბიჭები „გაღმა-გამოღმაღ“ დაჰყო. არ მინდოდა მეფიქრა, რომ იქითაც ასეთი ლამაზი იყო აფხაზი ძმა, არ მინდოდა დამენახა კაკოს მშვენიერი სახე, ლადოს დიდი თვალები, დათოს გაშლილი მხრები, ნიკას ტანმორჩილი, მაგრამ მშვენიერი სილუეტი. არ მინდოდა „ღმერთსაც კარგები სდომოდა“. ცრემლი მომადგა.

— კაკო, ნავიდეო, გვირილები მოვკრიფოთ, — ვთქვი და ავდექი. პასუხისთვის არ დამიცდია, გზას გაუდექი, პატარა ბილიკს.

— ვირები ხართ. — ჩუმად უთხრა კაკომ ბიჭებს. — ნამდვილი ვირები.

ვგრძნობდი როგორ გაშეშდნენ ბიჭები, ერთმანეთს როგორ გადახედეს, ენა ჩაიკვნიტეს.

— ქალბატონო ნანა, — მეძახის ვიღაც. — დამიცადეთ, მეც ნამოვალ.

- მეც.
- მეც.
- მეც, — და ბიჭები სირბილით დამედევნენ.

— სად გაიკრიფეთ? — ყვირის ვარლამი. — ჭამა თუ არ გინდოდათ რაღას ნამომახტუნეთ? ნახევარი საათი კიდევ მქონდა, ვინ არიან, კაცო, ესენი?!

ტყის პირას პატარა მინდორზე გვირილების მოლია, კრეფდნენ ბიჭები, ფესვიანად გლეჯდნენ გვირილებს. ბოლმასა და სიბრაზეს კლავდნენ. მერე ერთად შეაქურებდნენ და... ხელებში ვერ იტევ, იმდენია.

— არ გენყინოთ, რა, ქალბატონო ნანა. — ხელები უკანკალებს ნიკას.

— ბიჭებს ზოგჯერ ავიწყდებათ, ბატონი ვოვა რომ აღარ არის. იმ ღმერთსაც მართლა

კარგები ჰყვარებია.

ცრემლებს გზას ვაძლევ და სათითაოდ ყველას ვკოცნი, ვიცინი.

— ამას ვილა ეკითხება? — თავში მსუბუქად წამოარტყეს ნიკას. — ჯერ არ გამოძვრალა, მაგრამ ვითომ ბევრი გაეგება...

და უცებ ისე შემოყვარდა სიცოცხლე, გამიხარდა, რომ ასეთი ლამაზია შაკო, მხრებ-გაშლილი ლადო, ნიკა რომ დავაჟყავცდებო, პატარა ნიკა. შემოყვარდა მინა, ცა, გვირილების სინაზე, მომეწონა მისი მომწარო სურნელება, ყველაფერი მშვენიერი იყო, რაც ცოცხალი და სიცოცხლის ტრფიალი იყო, ვარლამას ჩაი მომინდა, ტკბილი, ქაფქაფა, თეთრი ალუმინის „კრუშკებში“ ჩათუხთუხებული, ხელსაც რომ მწვავს და ტუჩებსაც, „ბებერი“, ნაფრონტალი საველე სამზარეულოს მწვანე ფერიც. ისე მშვიდი იყო, ისეთი კოკროჭინა უშველებელ ველზე, ბალახებში ჩაფლული.

— ქალბატონო ნანა, — მექაჩება ნიკა. — ნანა დეიდა.

— ჰო, ნიკა.

— შეიძლება ის ლექსი წაიკითხოთ? — მელრიჯება მორიდებით.

— რომელი?

— აი ის, მიყვარდეს, ვუყვარდე.

— ნადი, შვილო, სახლში, აქ ომია, ამას სიყვარული მოუნდა, — ხარხარებენ ბიჭები.

**„მე რომ ვუყვარვარ ვისმე
ვარ ბედნიერი და ხალასი.
მინიდან უენო ბალახის
ხმამალალ ლაპარაკს ვისმენ.**

**შევცინი ცასა და ქვეყანას
მე რომ ვუყვარვარ ვისმე.
მე როცა ვაღმერთებ ვისმე
ვმალდე ვით ცაში სამრეკლო.**

**მსურს ცისკრის ზარებად დამრეკონ,
ვიცინო ისევ და ისევ.**

ვულიმი გამვლელს და გამოძვლელს

**მე როცა ვაღმერთებ ვისმე,
მე თავი მგონია მაშინ**

ყველა ტკივილის მომრევი.

ვარ დიდ სიმღერის მორევი

ვარ ენატიკტიკა ბავშვი

და ყველა ლამაზი სიმღერა

მე ჩემი მგონია მაშინ.

მე მინდა სიცოცხლის ბოლომდის

ვენდო ოცნებას და მოლოდინს.

დიდი სიყვარულის ხალისი

გულს მენტოს ისევ და ისევ.

ვიმღერო მზის სავალბოელი

მიყვარდეს, ვუყვარდე ვისმე“.

ბიჭები იდგნენ, მიყურებდნენ და ცრემლები ჰქონდათ ჩამდგარი. რა მშვენიერია ვაჟკაცის სევდა.

— ნანა დეიდა, — ჩუმად მეუბნება აქეთობას ნიკა.

— ჰო, ნიკა. — მეც ჩუმად ვეპასუხები.

— ბიჭებთან არა თქვათ.

— რა? — თავს ვხრი.

— ეგ ლექსი დამინერეთ, რა.

— დაგინერ.

— ოღონდ ლამაზად.

— ლამაზად დაგინერ. — ვხვდები, რისთვისაც უნდა და მეღიმება.

— შეიძლება, გოგოს გავუგზავნო?

— რატომ არ შეიძლება.

— არ გაიცინებს?

— რატომ გაციინებს ვითომ?

— რა ვიცი.

— გიყვარს? — ვაპარებ სიტყვას.

— ჰჰჰ — იცინის ნიკა — მგონი, კი.

— იმას?

— ჰჰჰ, მგონი, კი.

— მაშინ რა გაციინებს.

— დამინერთ.

— რა თქმა უნდა, მივიდეთ, ვარლამას ჩაი დავხვრივით და დაგინერ.

— არა, ახლა არა, ბიჭები რომ დაიძინებენ.

— კარგი, კარგი, ბიჭები რომ დაიძინებენ, მაშინ იყოს.

ბიჭებმა რომ დაიძინეს, ნიკამ ფურცელი და პასტა ამოაძრო ვილაცის ჩანთიდან და ჩაცუცქული, გახშირებული სუნთქვით გადაფორილი იცავდა ლექსს, ბიჭებმა არ გაიგონო.

ნიკა ერთი თვის შემდეგ დაიღუპა, არ ვიცი, თუ გაუგზავნა გოგოს ის წერილი, მე არ ვიცი სად ცხოვრობს ის გოგო, ვინ არის და სად ვნახო. აი, უბედურება, ვინ მოუთხრობს მას იმ მშვენიერი ღამის ზღაპრებს. ვიცი, გავა დრო, ის გოგონაც ნახავს სიყვარულს, ექნება ოჯახი, საყვარელი ადამიანი ეყოლება, შვილები, იქნებ ასე სჯობია კიდეც. მაგრამ ნიკა? ნიკა იქნება მარტო? უსიყვარულოდ. ეს მშვენიერი ღამე, ნიკას გახშირებული სუნთქვა, ლექსის სტროფებს დანაფებული ტუჩების თრთოლვა, აზარბებული თმები, აქეთ-იქით დაცეცხლებული თვალები, „ბიჭებმა არ დამინახონო“, გულის გახშირებული ბაგა-ბუგი, ვილაცას ხომ უნდა ესიზმრებოდეს, უფრთხობდეს სიმშვიდეს, ვილაც ხომ უნდა უნთებდეს სანთელს, ხომ უნდა არქმევდეს სახელს და დროდადრო ცრემლს ადენდეს თვალებს. აი, რა მანუხებს, მტანჯავს და მბრუნებს ნიკასთან და მინდა ჩემთან ერთად ნუხდეს გოგო, მე რომ ნიკას თხოვნით ლექსი „ჩავუჭიკჭიკე“. „ყველაფერი ძველდება მზის ქვეშეთში, ცვდება, იფიტება, მტვრად და ფერფლად უბრუნდება მარადისობის წიაღს. ათასი ბაბილონის გოდოლი ჩამოაქცია ჟამთა სიავემ. ათასი გოროზი გულის ძახილი შეურიდა დიდ უდაბნოთა დაუსაბამო მდუმარებას.

უდაბურდებიან სემირამიდას ბალებიც. ვინ იცის, რამდენი ამპარტავანი სულის ზვაობას მოელო ბოლო, რამდენი ამო ზრახვა ჩაჰყვა სამუდამო ძილში ბედისა და საბედოს ხელაღე-

ბულ მაძიებლებს და „გამწარებით ხრავენ ქვიშასა.

ინავლება სიყვარულიც.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ბრონეულის ლორთქო ფესვები კადნიერად გაჰკვეთენ ქვიან ბალავარს და სარკოფაგის ათასწლოვან სიგრილიდან კვლავ ამოგიზგიზდება „ვით ბაზმა გაუქრობელი“ ჩვილი, უმწეო, სამარადისო ძახილი „ძევახ, სიყვარულო ჩემო“.

ათასი ძევახი დარჩა აფხაზეთში, მე მათ აფხაზეთად და ქართველებად არ ვყოფ, რადგან მათ შორის იყო გულბოროტიც და სულკალმახიც, იყო გმირიც და ლაჩარიც, მაგრამ იყო „ძევახიც“, სიყვარულის და გმირობის მარადიული ოდა.

და დღეს, როცა ფითრდება შემოდგომა, ნამი ეცემა ნანვიმარ სკამს ბაღის კუთხეში, მოდის უცნაური გაფითრება, სიყვარულის ანგელოზი, უცნაურად წარმართული სულის და მე კვლავაც მათზე ვფიქრობ; ვინ იყვნენ ისინი ჩემთვის? რომელი კანონზომიერებით შემორჩნენ ცნობიერებას? რატომ დაატარებს გული ტკივილით? რატომ მიხარია სულის გვემა მათი ხსოვნით? თუ არა ხსოვნა, დაიცვლებოდა მაშინ წიაღი სულისა ყოვლისაგან, რითაც აღივსო, თავი დაიხსნა სიტყვებისაგან და იქმნა სევდა ჩუმი, სინაზე სიყვარულისა. შენ მოგმართავენ, გულო, მაშინ, შენ აძლევ პასუხს; შენთან მოდიან, შენს ფსკერზე იღუქებიან და კიდობანი ხარ ერთგული ხსოვნისა, სევდიანი და სიცოცხლით სავსე. იქნებ ამიტომაც ამოიბრდღვიალებს ცეცხლისფერი ბრონეული, ამიტომაც მარგალიტი ობოლი, ცრემლი წმინდა, გვრიტი უმანკო, ტირიფი მტირალი: მოგისმენიათ როგორ მღერიან ვარსკვლავები აპრილის ცაზე? მათი ხმები ყველა განზომილებიდან, პლანეტების ყველა განზომილებიდან ერწყმიან ერთმანეთს, ერთ მთლიან ქოროში გადადიან — ვარსკვლავების ქოროში... ქვევით კი... გაზაფხულის მინა სუნთქავს, გაჟღენთილი და აფუებული ამ სიმღერის ციური მანანით. ასე მოდიან ჩემთან ბიჭების ხმები, მათი სიცილი, მათი სევდიანი ლილინი, მათი უკანასკნელი სიტყვები, მათი გამოხედვა, მათი წუხილი. მათ შორის იყო გულბოროტიც და სიტყვამახვილიც, იყო გმირიც და ლაჩარიც, მაგრამ, იყო „ძევახიც“, სიყვარულის და გმირობის მარადიული ოდა.

თუ ზოგჯერ ყოველდღიურ ამაოებით დამძიმებული ცნობიერებიდან გამისხლტნენ ისინი, შენ მოგმართავ, გულო, შენ ხომ არ სდუმხარ, როცა სიყვარულს ვთხოვენ. არ მინდა განთავისუფლდე მათგან, ეს არის და ეს. ტანჯვა — იყოს, გვემა — კარგია, სიყვარულია, კიდევ უფრო მეტი — ხსოვნაა, ამინ!

— ქალბატონო ნანა. — მესმის ლოცულის ხმა, მორიდებული. გარშემო ყველას სძინავს, ღამეა, მინაზე გაფენილი მოთიბული ბაღის ხმელი სურნელი ცხვირში სასიამოვნოდ

მიღიტინებს. ახლა ამ სიცივეში და სინოტივეში ამაზე უკეთესი ლოგინი უკვე სამეფოა. ბიჭები წრიულად შემოსჯარვიან ერთადერთ ფიგულს, რომელიც საერთო გადანყვეტილებით მე მერგო, რადგანაც ერთი ქალი ვარ, ბიჭებმა „ლუქსი“ უწოდეს ამ მანქანას, შუაგულ წრეში მოქცეული, ნაბდებითა და თბილი ფარაჯებით განყობილი ნამდვილი „საუფროსოა“. ცივა, გაზაფხულის პირია, მაგრამ ღამე ნისლი ნამადწევა მინაზე და ირგვლივ სისველეს და სიცივეს კიდევ უფრო აძლიერებს. ხელები ეყინება რკინას.

— ქალბატონო ნანა, — ისევ მეძახის ჩურჩულით ლოცულა.

— ჰო, ლოცულა.

— არ გძინავთ, ქალბატონო ნანა? — თავი წამოჰყო ლოცულამ.

— არა, არც მეძინება.

— არც მე. — ლოცულა წამოჯდა.

ხომ არ გცივათ, ჩემს ფარაჯს მოგცემთ.

— არა, ლოცულა, მანქანაში თბილა, დაიძინე, ლოცულა.

ლოცულა მიყურდება. სიბნელეში სადღაც აქვე, ტყის პირას, ღამის ფრინველი გაფართხუნდება.

— ქალბატონო ნანა.

— რა იყო ლოცულა.

— ქალბატონო ნანა, ხომ არ გეშინიათ.

— არა, — უკვე წამომჯდარი ვპასუხობ და მანქანიდან თავს ვყოფ.

— ქალბატონო ნანა, — ისევ მეძახის ლოცულა, — „სგუშონკა“ გინდათ.

— დაიძინე, ბიჭო. — ვიციანი და ლოცულას წაგრძელებულ კისერს ღიმილით ვათვალიერებ.

— რა დროს „სგუშონკა“?

— არა, თუ გინდათ მაქვს, — არ მეშვება ლოცულა.

— თუ გაქვს, შეინახე, ხვალ ჩაის დალევ, ხომ ვიცი როგორ გიყვარს.

— კიდევ მაქვს, ბურდანიჩს „დავანერე“.

— ეგ, ბურდანიჩი, სანამ არ მოგკლავს, არ მოეშვები?

ცაზე ტრასირების ზოლმა იჭექა და გაანათა ყველაფერი. ვხედავ, წამომჯდარა ლოცულა და ისეთი ვედრებით მიყურებს, ისეთი თხოვნაა მის თვალეში, ცრემლებს ვერ მალავს.

— კარგი, კარგი, — ვუბნები, — წადი, ნახე ვარდენას მდულარე თუ დარჩა ქვაბში.

მანქანიდან ჩამოვდივარ და იქვე თივა მოყრილ მინაზე ვჯდები. ლოცულა მიყურებს, ვიცი, ბიჭს რაღაც აწუხებს და ლაპარაკი უნდა.

— მოიცა, ლოცულა, ჯერ მითხარი, რატომ არ გეძინება.

ლოცულა უხერხული ღიმილით მხრებში მოხრილი საველე სამზარეულოსაკენ მიდის.

— მოიცა, ლოცულა, ვარდენას მდულარე დაიცდის.

ლოცულა ბრუნდება და ჩემს გვერდით
ჯდება, თივის ზვინიდან გამხმარ ღეროს იღებს
და კბილებით წინწკნის.

— ნანა დეიდა, — შეპარვით, თავჩაღუნუ-
ლი ჩურჩულებს. — მე თუ ახლა მოვკვდი, დედა
თქვენსავით ახალგაზრდაა, — მერე, დედაჩემი
ჩემთან მოვა?

— აბა, რეებს ამბობ? — ენას ვიკვნიტ
და აღარ ვიცი, რა ვთქვა. რა დროს სიკვდილია,
რამდენიმე დღეში სოხუმში შევალთ, ნახე ყვე-
ლაფერი რა კარგად იქნება. ახლა სოხუმში ყვე-
ლაფერი ყვავის. ზღვა ისეთი ლამაზია.

— ზღვა არ მინახავს.

— მართლა არ გინახავს?

— არა, კახეთში ზღვას სად ვნახავდი.

— აი, ნახავ, რა ლამაზია ზღვა.

— ზღვამდე თუ ჩავედი...

„ველოდები ხალხს, არავინ არ ჩანს. კარ-
გად მახსოვს მთვარიანი ღამე. ნათელი. თან სა-
ოცარი სიჩუმე იდგა. ვსხედვართ ორნი, მე და
ელდარ ლოცულაშვილი. ერთი ტყვიამფრქვევი
გვაქვს და ერთი ავტომატი. უცებ ატყდა სრო-
ლა, მაგრამ რა სროლა. როგორც კი გამოჩ-
ნდნენ, ჩვენ გავხსენით ცეცხლი. ღამის პირველ
საათამდე ვისროდით. შემდეგ, როდესაც ტყვი-
ები გამოგველია, ელდარს ვუთხარი, შვილო,
ზემოთ ადი, ცეცხლი გახსენი და ისევ უკან ჩა-
მოგორდი, სიმინდებში, ოღონდ, წინ არ წაინი-
ო-მეთქი. არ დამიჯერა და ერთი-ორი მეტრით
წინ გაგორდა. იმ დროს ტყვია მოხვდა ზურგში
და დამიძახა — დავიჭერიო. მივატოვე ტყვიამ-
ფრქვევი და ავტომატურად ვტაცე მარჯვენა
ხელი, რომ უკან ჩამომეთრია, ამ დროს ავტომა-
ტის ჯერმა გადამიარა და მომგლიჯა მარჯვენა
ხელის სახსარი. მარცხენათი ჩამოვაგორე ელ-
დარი... დაიღუპა... მოვიკიდე ზურგზე და წამო-
ვედი... (გუჯარ ყურაშვილი)“.

რა იყო ეს ომი, ეს საშინელება, უბედუ-
რება, ეს ლაბორატორიაში გამოყვანილი სენი
უკურნებელი ავადმყოფობისა, არასამყარო-
სული, რომელმაც დაანგრია ადამიანების სუ-
ლები, დაშალა ძვლები, ჩაერია უფლის ნებაში
და დედამიწაზე მოვლენილ ადამიანთა ბედში.
დაამსხვრია ჯვარი სულიერი მისიისა და ციხე-
კოშკი ცხოვრების. შეწყვიტა ადამიანთა ბედისა
და მოვალეობის უფლისგან დაწესებული ნება.

— ზღვამდე, თორემ, შენც არ გადასცუ-
რო თურქეთამდე! — ჩუმი ფხუკუნი მესმის.

— არ გძინავს? — ეკითხება ლოცულა და
მოქირქილეს დაუძახებს.

— ძალიან არ დააძინო კაცი. — წამოჯდა
ბურდანიჩი. — ზღვა მომინდომა და პლაჟი.

— შენ ხომ მზისაგან ხარ დამწვარი. პლა-
ჟიდან ვერ ავაყენებს კაცი. — ბურდლუნებს
ლოცულა — ნადი, ნახე ვარდენას ცხელი წყალი
თუ აქვს, ერთი ჭიქა მაინც.

— ვერან, — წამოჯდა ბურდანიჩი, —
ცხელი წყალი რაღად გინდა, ზღვაში აგერია?

— ქალბატონ ნანას ჩაის დავალევინებთ,
ხომ ხედავ, რა სიცივია.

— წყალი შენ მოძებნე. — ბურდანიჩმა
თავისი ზურგჩანთა დაითრია, თავი შეუხსნა და
სიბნელეში ხელის ფათურით რაღაც მოიძია.

— გავინიოთ სანამ დროა. — ჩაიფხუკუნა
ლოცულამ და საველე სამზარეულოსაკენ გა-
ხობდა.

— ეეე — ჯერ ხელებს არ ენდობა ბურდა-
ნიჩი, ჩანთაში თავჩაყოფილი, მერე თვალებს.
— ამათი შიშით ველარაფერი შეგინახია.

— რა იყო, ბურდანიჩ? — ბიჭები სათითა-
ოდ დგებიან.

— რა, რა იყო, — თითქმის ყვირის ბურ-
დანიჩი. — მოგკლავ, შე ვერან.

— რა დაგერიათ, ძილს აღარ აცლით
კაცს. — კაკო თვალებს ისრესავს. — ვინ არი-
ან ესენი, ამათ ომში რა უნდათ, კოჭობანა უნდა
ეთამაშათ.

— ბურდანიჩის „სგუშონკა“ ფაფუ. —
ლოცულა მანქანის გარშემო დარბის ბურდანი-
ჩი მისდევს, ფეხს წამოკრავენ მძინარე ჯარის-
კაცს, ორივე ზედ გადაემხობა და მერე მთელი
მინდორი ყაყანებს, ხარხარებს, ცაზე ტრასირ-
ები წითელი ენებით ზმუის და ყოველ გაელვე-
ბაზე ველი ნათდება. გარემოს ანათებს, ბიჭე-
ბის სახეები წითელი ფერისაა, წმინდანებივით
დგანან სივრცეში და შიშით შევყურებ, რადგან
ვიცი, ხვალ შეიძლება რომელიმე მათგანი გა-
მოგვაკლდეს, დედის გუშანით ვგრძნობ ამ უბე-
დურებას და მდულარე წყლით სავსე „კრუშკა“
ხელში მეყინება. მერე მშვიდდება ყველაფერი.

— ეი, ვერან! — იძახის კაკო.

— ჰო, — ერთად პასუხობენ ლოცულაც
და ბურდანიჩიც.

— აღარ არის მდულარე.

მერე ყველანი ერთად ვსხდებით, დიდი
ნაძვის ძირში, ერთმანეთის ზურგს მიყრდნობი-
ლი.

— რა მინდოდა კახელ კაცს აქ? — კითხუ-
ლობს ლოცულა.

— შენ არა თქვი, ზღვა მინდაო? — წამო-
არტყამს ბურდანიჩი.

— ესეთი ზღვა რად მინდოდა?

— როგორი გინდოდა?

— აი, კინოებში როა.

— ქალებით თუ ისე, ცარიელი ქვიშით?

— ეეე, — აღშფოთებულია ლოცულა. —
ამათ რა სულ ქალები ახსოვთ?

— აბა, ზღვა უქალებოდ სად გინახავს?

— არა, ძმაო, — ლოცულა ჩემს უკან იყუ-
რება და მაკვირდება. — მე ჩემს ცოლს ზღვაზე
არ წავიყვან.

ბიჭები გამოცოცხლდნენ. საკბილოს ჩა-
ავლეს, თვალით მანიშნეს, თქვენ არ ჩაერიო-
თო.

— რათა, ბიჭო?

— ცოლს რა უნდა, ბიჭო, ზღვაზე?

— ზღვაზე თუ პლაჟზე? — წამოეშველა დათო.

— ჰოო, პლაჟზე. — გაუხარდა ლოცუ-ლას.

— აბა, როგორ, ზღვაზე წამოიყვან და პლაჟზე არ ჩაიყვან?

— არა, — იცინის ლოცულა. — აილე და კარგა დიდ „ლახანკაში“ ჩაუსხი წყალი და ზღვა არ არის?

— მაგას ზღვა რათ უნდა, ბიჭო, ეგრე ხომ გურჯაანშიც შეგიძლია, ჩაასხი წყალი „ლახანკაში“ და იცურავე.

— ზღვის წყალი ზღვისაა, გურჯაანში ზღვა სად არის, მე ზღვის წყალზე ვამბობ.

— მერე, — იხრჩობიან ბიჭები. — ომი დამთავრდება, ვარდენას სამზარეულოს გამო-აბი „კამაზი“, ჩამოიყვანე, გაავსე ზღვის წყლით და ჩაიტანე გურჯაანში.

— ეეე, ვირები ხართ! — ლოცულა იცინის „სგუშჩონკის“ ქილით მოდის და მელრიჯება — კიდევ დაგისხამთო.

— გმადლობთ, ლოცულა, ბიჭებს დაუსხი, — ვიცინი.

— ამათა? — მეკითხება ლოცულა.

— ჰო, ამათ.

— ერთი დროზე დამთავრდეს. — ამბობს ლოცულა და ცოტა ყოყმანის შემდეგ ბიჭებს „სგუშჩონკას“ უწვეთებს ჭიქებში.

— რა, ომი რომ დამთავრდება? — ეკითხებიან ბიჭებს.

— ის მე ვიცი, რაცა...

და დარჩა ყველასთვის გაუმხელებელი, რას გვპირდებოდა ლოცულა.

აქ წყდება ლოცულას ფიქრები. მერე მე ვაგრძელებ მას ჩემი ფიქრებით. ხშირად ვხედავ, როგორ ზის ლოცულა გურჯაანში, ერთ მშვენიერ მწვანე მოლზე, ქვის ყორეთი შემორაგულ ეზოში, აი, სახლიდან გამოდის შავტუხა გოგო, მზეს ეფიცება, იხდის კაბას, მშვენიერი ტანი საცურაო კოსტუმში მზეზე თახთახებს. ლოცულა „ლახანკაში“ ვარდენას „სამზარეულოდან“ ზღვის ქაფიან წყალს ასხამს, გოგო „ლახანკაში“ ფეხს ყოფს და იცინის, მეორე ფეხს ყოფს, შემდეგ ისხავს ზღვას, წყლის წვეთები ცრემლებივით ასხდება ტანზე. დატროყვილი ბოკვერები გარშემო უვლიან „ლახანკას“ ყვირილითა და თამაშით. ლოცულა იქვე ზის ყორესთან, დანით რალაცას ჩორკნის და ელიმება. დროდა დრო თვალს გააპარებს ყორეს იქეთ, ხომ არავინ ხედავს მზეთუნახავ შავტუხა გოგოს. მერე ყველაფერი ქრება და ვრჩებით მე და უსასრულო ველი ტრასირებით გადანათებული, ბიჭების წმინდანებივით წითელი სახეები. ეს ნიგნიც ცრემლებსა და ტანჯვაზეა ამოზრდილი. ეს არის აღსარება ადამიანისა, რომელმაც შეიცნო ჭეშმარიტი ძალა სიყვარულისა, ეს არის აღმოჩენა ნათელისა საკუთარ სულში და ფიქრებში და ამ ნათელის ამოცნობა სხვათა გულებშიც, ეს არის

სიტყვა უფლისა, ამიტომაც ებოძა ამ ადამიანს აფხაზეთი, რათა სცოდნოდა ჭეშმარიტი არსი და აზრი სიცოცხლისა. ეს არის გზა გოლგოთისა, რომელსაც ვერ გაივლი ეკლის გვირგვინის, ჯვარის, ცრემლის, ადამიანთა რისხვისა და თანადგომის გარეშე იმავდროულად. შემინდე, უფალო, თუ უმეცარი ვემონებოდი ფუჭსა და ამაოებას, ამპარტავნებას, თუ ბეცი ვიყავი და ვერ განვასხვავებდი ოქროს მოზრდვიალეს უფლის მზერისგან. თუ ვერ ვარჩევდი სიტყვას ფარისევლისა ჭეშმარიტი მლოცველის სიტყვისაგან. თუ ვერ ვხედავდი მიზანთა წამდვილსა ხეს. თუ ჩემი სიტყვით პატივს მივაგებდი ცრუ პატრიოტს — ოქროს მაძებარს, შემინდე, უფალო, თუ ერთად და ერთნაირად მჯეროდა თხისა და კრავისა. შემინდე, უფალო, ეს უმეცრება. შემინდე თუ ვმრისხანებდი და არ ვიცოდი რისთვის. შემინდე, უფალო, თუ ვმსახურებდი და არ ვიცოდი ვის. შემინდე, გულთამხილავო, თუკი თვალი მქონდა ხილული, გულიც ხილული, მაგრამ არ მესმოდა შენი ხმა და ამიტომაც მიჭირდა გამომეგლიჯა უმეცრებით მიყრილი მარგალიტები ღორებისათვის. შემინდე, უფალო, რადგანაც ვერ მოვაპყარი თვალი და გული იმავდროულად. მადლობელი ვარ ტანჯვისათვის და იმ დანთხეული სისხლისთვის, რომელმაც დამანახა გზა ჭეშმარიტი და გმირი ჭეშმარიტი. ეს ნიგნი გზაა გოლგოთისაკენ, სადაც სულის აღდგომაა. ეს გზა ათასებთან ერთად გაიარეს ძმამ ჩემმა და მეუღლემ ჩემმა. ამ გზას ატყვია სისხლის წვეთები და ნათელი ჯვარისა. შემეჩიე და ამამალლე ყველა ცდუნებაზე, რათა თვითეული სიტყვა აქ თქმული იყოს შენი სინათლითა და სიტყვით ნაკარნახევი. ჩემი უმეცრებაც და აზრის ნათელიც ყოველთვის იყოს სურვილი, ნება შენთან მოახლოებისა.

ეს ხომ ჩემი გზა იყო, შენი მარადიული ათი მცნებით ნაკვესი და აღთქმული. რამდენადაც ძნელი იყო ამ გზის გავლა, იმდენად იოლია ახლა ამ გზის შემეცნება. ვგრძნობ, როგორ იტანჯები და სწუხარ, როგორ ჩასძახი უძღებ შეილს, რომელმაც ადრე თუ გვიან მშობლის კალთაში უნდა ჩარგოს თავი და მწარედ ატირდეს. ღმერთო, შეუნდე და მოაქციე მტერი ჩემი. დიდხანს, თითქმის 12 წელი ვფიქრობდი იმაზე, რა ფორმა მომეძებნა მონათხრობისთვის „წერილები გარდაცვლილ მეუღლეს“, „ნოველები ძმის ხსოვნას“, „მოგონებები ჩემი დაღუპული მეგობრებისა“, „ვახსენება იმათი, ვისთან ერთადაც გავიარე გზები“. ბოლოს შენ გამონათდი. შენდამი აღსარება ავირჩიე, რადგან ერთადერთი ხარ, ვის წინაშეც აღსარებად მისული არ ცრუობს, არ იგონებს, არ ეშინია ცოდვათა აღიარებისა, რადგანაც შენ ერთი ხარ ცოდვათა მიმტვევებელი, შენ ერთადერთი გვაძლევ ძალას ერთმანეთს მივუტევოთ და აღარ ვცოდოთ. მაშ, ნაილე ლოცვა და აღსარება ჩემი, ვითარცა საკმეველი წინაშე შენთა.

1991 წლის სექტემბერ-ოქტომბერი.

ქალაქი ახაგრულია. ყალყზე დგას, გაუცხოებული და გაველურებული ადამიანები ერთმანეთს ვლანძღავთ, ვგლეჯთ, ვანოკებთ. აზვირთებული ტალღები და ვერ ვგრძნობთ, რომ ყველას ერთნაირად გვიქადის წალეკვას. არადა, ყველა საქართველოსთვის გაჰყვიროს, ყველას საქართველო გვინდა ძლიერი, დამოუკიდებელი და ერთიანი, ქართული სისხლითა და ხორციით, ქართული ენითა და ქრისტეს სჯულით, ყველას თავისი სიმართლე აქვს, თავისი პარტია, თავისი ლიდერი ჰყავს, თავისი კულტი. საქართველო კი დგას, შეშფოთებული, შეძრული და შეშინებული. რუსთაველის პროსპექტი ჩახერგილია, ბარეკადების იქითა და აქეთა მძულვარებით „ჩვენებითა“ და „მათით“ დაჩოქილი, ძაძებშემოსილი მუხლებზე დაცემული დადის „9 აპრილი“, იქით და აქეთ, „ჩვენებთან“ და „იმათთან“. და არავის ესმის გოდება. ფიქრობდა მაშინ ვინმე, რომ ვყოფდით იმას, რაც ერთნაირად გვებოძა, რომელიც ღვთისმშობლის ნიღბვედრი იყო წმინდა გიორგის შენეული და დაფარული. კაენი ბობოქრობდა, ხორხოცობდა ჩვენში და ვერ ვამჩნევდით აბელს, რომელიც თავისი წმინდა სულით უკვე ადგა აფხაზეთის გზას ჩვენი ცოდვილი სულების გამოსასყიდად.

9 აპრილის შემდეგ კიდევ ერთხელ დაიხუნძლა ტელევიზიის წინ კიბეები, მაგრამ არა ერთ მუშტად შეკრული, „იქეთად“ და „აქეთად“, „ჩვენებად“ და „იმათებად“. დახლეჩილი და დანანევრებული. გაიყო ქალაქიც, „ზონებად“ და „ფრონტებად“. „ლოზუნგებად“ და „მოსაზრებებად“. „სურვილებად“ და „კანონებად“, „მოკეთებებად“ და „მტრებად“... „ისტებად“ და „კონტრისტებად“. და მათ შორის ყველაზე საბრალოებად, ვინც ჯერ კიდევ არ იცის, რომ მხოლოდ „საზარბაზნე ხორცია“ მავანთა უკვე კარგად გათვლილი მომავალი კეთილდღეობისათვის, მხოლოდ მათ სჯერათ ბრმად, რომ მათ გულწრფელობას, მათ სიხალისეს უკიდევანო სიმართლე და სიყვარული მართავს. ის ადამიანები, ვისაც ერთი „ჭეშმარიტება“ მართავდა, ერთი „სიყვარული“, ერთი „რწმენა“ — სამშობლოს გამონურულ ჩენჩოსავით მოისვრიან. დარჩება ღრმა ჭრილობა და სახტად დარჩენილი სიცარიელე, რომელსაც ველარაფერი ამოავსებს და ოდესმე ამ ღალატის დავინყების იმედიც გაქრება.

ნ ოქტომბერი

წინა დღით ზღვაზე გასულ სამხედრო ნაწილს ალყა შემოარტყეს. მშვიდნი გამოვედით ეზოში. ერთმანეთს ვათვალიერებთ... ვერც ვგრძნობთ საშიშროებას. ჯერ ყველაფერი იმ ორი ერთმანეთს ნაკიდებული მეგობრის ჩხუბს გვაგონებს, ბოლოს ერთ მაგიდასთან რომ მოიხებებენ გულს.

თენგიზ კიტოვანი მოდის და მთხოვეს თეთრი ბაირალით გავიდე „იმათთან“ მოსალა-

პარაკებლად. „სხვას არ მოუსმენენ“, — მეუბნება და არჩევანს მიტოვებს... მივდივართ. გზა-გასაყარზე ვჩერდებით. მიახლოვდებიან სამინი. ჩემი ცნობიერებიდან ვერავინ ამოშლის იმ პირმშვენიერი ვაუკაცების დაბნეულ ღიმილს. ვუახლოვდებით. ვუღიმი ერთმანეთს. პირველი ვუნვდი ხელს და ვეკითხები: როგორა ხართ, ბიჭებო? იფანტება შიში და ორგულობა, ბიჭები მეხვევიან: კარგად, თქვენ როგორა ხართ? ო, ღმერთო, ისმინე, „თქვენ როგორა ხართ?“ — სათითაოდ ვკოცნი.

(ცოტა მოგვიანებით ერთი ცნობილი კინორეჟისორი ამ კადრებს ამოჭრის, რათა თავისად შეასაღოს საზოგადოებას. ჩემი კოლეგა ნანა კაკაბაძე კი მეტყვის, მაღლობა მას, თუ რაიმე მოარჩენს, თუ რაიმე გამართლებას მოვუძებნით ამ საშინელებას, ეს შეხვედრა იქნება, ეს გამართლება.) ბიჭები თავისას მეუბნებიან, მბარებენ „აქეთ“ გადმოსაცემად. მერე უკვე დაძრულ მანქანას გამოედევნება ერთი და ჩამომძახებს, პასუხი მხოლოდ თქვენ მოგვიტანეთო. ღმერთო მაღალო, მოგვიტევე, ჩვენ არ გვინდოდა, თურმე, სისხლის ღვრა. იყო პირველი გასროლა. კამათი „საიდან“, „ჩვენგან“ თუ „იმათგან“? ვაი, სირცხვილო, მერე იყო მსხვერპლი, ფიცი: შენს სისხლს არ შევარჩენთო. ვინ, ვის? სისხლი ერთი დაიღვარა — ქართული.

გაიხლიჩა საქართველო. ქობამორღვეული დადის დედა ქართველისა „იქით“ და „აქეთ“. მაინც მოინახა ძალა, მაინც მოიძებნა სიტყვა. ორი იკარუსით სამეგრელოსაკენ მივდივართ, შიში და სევდა ახლავს ჩვენს მოგზაურობას, სენაკი, ხობი... ადამიანები ნდობადაკარგულები ვხვდებით ერთმანეთს, საყვედური, სევდა, იმედი... ერთმანეთში ირევა სამღურავი, ტირილი და კვნესა, მაინც ერთნი ვართ. ერთი სისხლი და ხორცი. ზუგდიდი... ვერ შევდივართ ქალაქში... უკან ვბრუნდებით... გზაში გვაჩერებენ... ჩამოვდივართ... იგრძნობა გულისტკივილი და, რაც მთავარია, იმედი. ეს წერილიც მაშინ დაინერა ერთი სატელევიზიო გადაცემისათვის.

„ჩემო მორდუ, თოლივე, ჩემო ნანა!

შეგვინდე, უფალო. შენდობას გთხოვ მათი სახელით და ჩემი სახელით. არა „ჩემიანებისათვის“ და „იმათიანებისთვის“, არა „აქეთათვის“ და „იქეთათვის“, არა ჩემი ძმისთვის და არა მათი შვილებისათვის, არა ჩემი მეგობრისათვის და „იმათი“ მეგობრისათვის, არამედ იმათთვის, ვინც იდგა ჩვენს შორის და არ იცოდა რას იქმნა! იმათთვისაც, ვინც ახლაც გულგამეხებულნი ისევ ურცხვად „მწყემსავს“ ცოდვის ნახირს, მადღრობის ჩამოსანველად.

გადავწყვიტე წერილი მოგწერო და ისე გითხრა სათქმელი, რადგანაც შენამდე არ მომიშვეს. გული მტკივა, ნანა, რომ ვერა ვთქვით რაც უნდა გვეთქვა. შენ მითხარი: „სიმართლეს ნუ უმაღავთ ხალხსო. შენ ძაძებში იყავი და შეილი რად მომიკალითო, ვაი, ჩემო ნანა, მკერ-

დმენგრეულია საქართველო. დავტირი, ნანა, შენს შვილს, შენი ძაძებით შემოსილი სხეულის ცეცხლი მწვავს, ჩემო თვალის ჩინო. არ მინდა, არ მინდა შეგანუხო. მაგრამ, შენ მითხარი, სიმართლე ვთქვათო, ვთქვათ, ჩემო ნანა, ვთქვათ და დავიცვალოთ ამ ბოლმისაგან. სული მოვითქვათ და ნელში გავსწორდეთ. სიმართლე კი მწარეა, ნანა. შენ შვილი მომიკალითო, მე ძმა მომიკალით-მეთქი, შვილზე უტკბესი, შენ არ გთხოვ პასუხს. შენ არაფერ შუაში ხარ, ნანა, ღმერთმა დალაზეროს ეშმა, ჩვენი გამთიშავი. ღმერთი განიკითხავს მტყუანსა და მართალს.

არ მინდა შენს თვალზე ცრემლი ვნახო, ვიცი, ოთახის კუთხეში ზიხარ და ჩუმად იწმენდ ცრემლებს. რა ვქნა, ჩემო ნანა, ვალში არ დავრჩენილვართ ერთმანეთს და ხარხარებს სატანა, მაგას მოეკითხოს. მე შენი წყენა არა მაქვს, მაინც შენი სიყვარული გამომყვა, ნანა.

გაივლის სიძულვილი, ნანა. მე და შენ ვიცით, ნანა, სიკვდილის და სიცოცხლის ფასი. ვინ, თუ არა ჩვენ, ვინ შეარიგებს ამ ხალხს. შენი თავნათელი მანდილი ჩააგდე, ნანა. მერე დავსხდეთ და ერთად ვიტყვი ჩვენი შერცხვენა და ამოგდება. მერე წამოვდგეთ, ერთმანეთი წამოვაყენოთ, მხარში შევეუდგეთ და გავწიოთ ჭაპანი. ნუ გავახარებთ მტერს, ნანა. საჯიჯგნად ნუ მივცემთ სამშობლოს გადამთიელს. ნუ გავახარებთ.

მომწერე წერილი, ნანა. მისამართი კი იცი, ალბათ. დამიძახე და მოგივალ. ბევრს არ შეგანუხებ. ვინ იცის, როგორ გიჭირს, ახლა მთლად საქართველოს უჭირს (იქნებ, ახლაც იმიტომ ვერ მიმასპინძლევ, კარი მომიკეტე, საკადრისი სუფრა ვერ გამინყვე, ალბათ, ნანა) თორემ, ვინ ნახა, ნანა, სამეგრელოში სტუმარი უკან გამობრუნებულნი.

ვაი, ჩემო ნანა. გულს ნუ იტყენ, დამიძახე და ჩემი პურ-ღვინოთი მოგივალ, ბევრს არ გთხოვ. ჯოხს ნუ დაიჭერ, ნანა, ქვას ნუ ჩაიგდებ გულში, შენს თბილ გულთან ქვას ნუ გაიკარებ. სულს ნუ გააქვავებ, ნანა. დამიძახე და მოვალ, ბევრს არ შეგანუხებ. შენს გულს ჩამახუტე. შენი ჭის წყალი დამალევიწე, შენი ოდის კარი შემალეზინე. შენი ნანა მასმენინე, შენი ვოი ნანა. ნუ მოვკლავთ აკვანში ჩაკრულ ყრმას დღეს რომ დაიბადა. კიდევ ბევრჯერ მოგიწევს უფლის წინაშე აღსარება, ჩემო ნანა, რომ ეს მძიმე ცოდვა გამოვისყიდოთ. არც ისე პატარაა ეს ჩვენი საქართველო... ჰფარავდეს უფალი შენს ფუძეს, შენს შვილებს. სკანი გოლუაფირო, ნანა, სკანი გოლუაფირო, ნანა, სკანი გულიშა გოლუაფირო. „ორივეს ბრალი მიგვიძღვის უწყალოდ ხმლით დაჭრილსა“. (პროგრამა „წრე“, 1992წ.)

ქალაქი ორად გაიყო.

ჩემი ბავშვობის მშვენიერი ქალაქი. რა მშვენიერი იყო აპრილის ლურჯი საღამოების თბილისი. ლამაზობით განათებული ხეების მორცხვი სილუეტები, დახეთქილი კვირტების

მწვანე ფიფქებით, სახლების ბრდღვიალა ფანჯრებით, ჩამუქებული წითელი სახურავებით, ეკლესიის ნათილი გუმბათებით, ქაშვეთის თეთრი მოსასხამით, შადრევნების გამჭვირვალებით, ჯიშთან ქალ-ვაჟთა თვალთვალთ, თელების ჩუმი, ვნებიანი ტრფიალით. დილდილობით ახლად მოგვილი სველი ასფალტის ოსშივარით. ეს ყველაფერი ერთ დილით დამხოვილი და მიწასთან ლამის გასწორებული ვნახე. გადაჩეხილი თელები, თვალედათხრილი შენობები, სახურავავგლეჯილი სახლები, გაოგნებული სახეები, დამწვარი სახურავები და მანქანები, აყრილი ქვაფენილი, დანაცრებული ღიმილი. მთავრობის სახლის სახურავზე ტყვია გაჭედული ტყვიამფრქვევის სამიზნედან ისე მოჩანდა ქაშვეთის დაცხრილული გუმბათი, როგორც ჯვარზე გაკრული მაცხოვარი. ტყვიებით მოფენილ ქუჩაზე, მთავრობის სახლისა და ქაშვეთის შუა მუხლისჩოქვით მოილოცავდა გზას შაოსანი ქალი, ჩუმი ბუტბუტით. ცრემლგამშრალი და უბედური. შეგვინდე, რადგან მოწყალე ხარ აზრთა გამნათებელი. შეგვინდე, თუ ვფიქრობდით, რომ რომელიმეს განსაკუთრებით გვიყვარდა საქართველო, შეგვინდე თუ სხვათა სიყვარულისა საქართველოსი არ გვეჯეროდა, ვერ ვხედავდით. ახლაც და მაშინაც ჩვენი სულების განსანმენდელი მგონია ტყვიებით მოფენილი ის გზა მთავრობის სახლსა და ქაშვეთის შუა, და ის შაოსანი ამაღლება ამა სოფლისა ამაოებათა ამაოებაზე. აფხაზეთი... გვირგვინი ჩვენი სიძულვილის, და ბიჭები კათარზისი ჩვენი ცოდვილი სულებისა. ესაა თორემ, ომში სიკვდილი რაა. ომში სიკვდილზე, არც ვფიქრობ. არაა შიში, ვერ გრძნობ როგორ გისაფრდება, როდის ჩაგაფრინდება. ომს არ ჰქონდა არც წარსული, არც აწმყო. ომს მიმავალი ჰქონდა, ომში ომი არ ჰქვივის. ომში მშვიდობა განუხებს, ომში ზოგი ხვალინდელ დღეზე ფიქრობს, გათენებაზე, მომავალზე, ზოგიც მონაპოვარზე, ამიტომ თავისუფლების მნიშვნე ნაყოფიც მას ეკუთვნის. ამ გზაზე გაიარა მრავალმა ღირსეულმა სულმა, რომლებთანაც სიკვდილს არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ვიდრე ცოცხლები ვართ, სიკვდილი არ არის, როცა სიკვდილია, ჩვენ აღარა ვართ. აი, ამ ურთიერთობაში ღირებული არის ის თუ როგორ ვიცხოვრეთ, რადგანაც მიღწეული, სულის უდრეკელობა ითხოვს ყველა შიშისგან და ამაოებისაგან სრულ თავისუფლებას, არჩევანის სისწორეს.

ამიტომაც ბიჭები, რომლებიც დაეცნენ ამ ომში, რომელსაც შემდგომ აყვია „უაზრო“ ომი უწოდეს, არ იყო სიზიფეს აბსურდი, რადგან სიზიფეს დიდება სწორედ ის არის, რომ მისი ტვირთი ყოველთვის აღწევდა მწვერვალს. სიზიფეში განთავსებულია თაობათა გმირობა, ისინი მოდიოდნენ სხვადასხვა დროში და ტვირთი ჰქონდათ მწვერვალზე და ეს ღირსების ტვირთი იყო, მამულის სიყვარული, რომლის

აღმა სვლას ყველა თაობა მწვერვალის ფუძიდან იწყებდა.

სამი სიმბოლიკა დამრჩა აფხაზეთიდან. ერთზე უკვე მოგახსენეთ, როგორ შეხვდა ერთმანეთს მდინარე კელასურთან უბელო ცხენებზე ამხედრებული ორი ქართველი ჭაბუკი. დანგრეულ-დამწვარი ტანკის ფონზე. ახლა კი გამახსენდა... სოხუმიდან, გამოფრინდით, დაღლილები, ერთიანად დამტვერილები, ტალახებშემხმარი ჩექმებით. თვითმფრინავში ლტოლვილი ქალები და ბავშვები დაგვხვდნენ. თვითმფრინავი აფრინდა და გეზი თბილისისკენ აიღო. როცა ზღვას გადავფურინეთ, ქალებმა ცრემლიანი თვალები მიაშტერეს ილუმინატორს. ჩემს წინ ახალგაზრდა ქალმა ჩვილი ბავშვი გადაახედა ილუმინატორიდან, რალაც ჩასჩურჩულა და ცრემლი მოინმინდა. პატარა შეფრთხილდა და ატირდა. თვითმფრინავმა მკვეთრად შეიცვალა გეზი, შემობრუნდა, ცალი მხარე დაუშვა და ასე სანახევროდ გადაზნექილმა წრე მოხაზა, ქალმა თავი ვერ შეიკავა და გადმოქანდა. გელა ლანჩავა წამოხტა და ბავშვს ხელი შეაშველა. პატარა ორივე ხელებით შემოეჭდო გელას და გაუღიმა, მერე რალაც ნაილულულა, აჭყლოპინდა, ოპერატორს თვალთ ვანიშნე კამერა ჩართე-მეთქი და დარჩა ეს კადრი ისტორიას, როგორ ეხვევა პატარა გოგონა ძლიერს, როგორც იმედს და დასაყრდენს. და კიდევ ერთი, გამოფრენის წინ, ასაფრენ ბილიკზე პატარა ბიჭუნა იჯდა ჩემოდნებით და საჩქაროდ შეკრული ფუთებით შემორაგული. ბიჭი დიდი ადამიანის სევდით გვიყურებდა. გაცივებული აცეცებდა თვალებს. მერე ჩემოდნები და ფუთები მათმა პატრონებმა თვითმფრინავში შეიტანეს, ბიჭუნა კი დარჩა მოხუც ბაბუასთან ერთად. მოხუცს ვკითხე, თქვენ რატომ არ მიდიხართ-მეთქი. სად უნდა წამოვიდეო. მამა მოუკლეს, ჩემი ქალიშვილი ავად არის, ლოგინიდან ვერ წამოვაყენეთ, ჩემი ბებრუხანა ვის რას დაუშავებს. ამ ბავშვის მეტი არაფერი გაგვაჩნია, ვის ვანდოო... თუ სიკვდილია, ყველა ერთად გავწყდებითო. უერთმანეთოდ მაინც არ ვვარგვივართო, ან რაა სიცოცხლე უერთმანეთოდო? თუ სიკვდილია, ერთად მოვკვდეთ, ეს ბიჭი მენანება... იქნებ ამის უმანკოებამ გვიხსნას... ღმერთი მაღალია, შვილო... ფუძის ანგელოზი მონყალეაო.

დავიხარე და ბიჭს ვკითხე, რა გქვია-მეთქი, იმედაო, მითხრა. ეს კადრებიც დარჩება ისტორიას. ჩვენი აფხაზეთში დაბრუნების იმედად, სიმბოლოდ მესახება ახლაც სოხუმში დარჩენილი პატარა ბიჭი — იმედა.

ახლა, როცა წლები გვაშორებს ამ ტრაგედიას, ხშირად ჩნდება კითხვა: რა იყო აფხაზეთი, ომი, თავს მოხვეული უბედურება, თუ ჩვენივე უმეტრებით დატრიალებული ბედის ბორბალი, ჩარხი, რომელმაც ძვლებიანად დაფქვა თაობა, რომელიც აღარ დაიბადება? დაირ-

ღვა ჰარმონია სულთა მიმოქცევისა. ოცდაათი ათასი დაღუპული, უგზო-უკვლოდ დაკარგული, ოცდაათი ათასი ოჯახი, ოცდაათი ათასი მშობელი და მათი შვილები, ვითვლი, ვითვლი, ვითვლი, რამდენი იქნება მათი აღწარმოებული ერი, გეტყვის ამას ვინმე? წარმოიდგენს ამას ვინმე შიშისა და განგაშის გარეშე? ამას დაუმატეთ ისინიც, ვინაც დაკარგა ცხოვრების უნარი. ისინი, ვინაც დარჩა სამყაროში გაბნეული, დაცალბებული, გახლეჩილი, მთელის უმაქნისი ნახევარი. სად არის საქართველო?

ერთი საღამო მახსენდება. ბიჭები მოღზე სხედან და ტრადიციულ სადღეგრძელოებს სთავაზობენ ერთმანეთს: წინაპრების, მშობლების, ხვალინდელი გამარჯვების, შვილების, მომავალი შვილებისა და მინისქვეშა საქართველოსი, ანუ იმათი ვინც მიიცვალა, ვინც აღარ არის, მკვდარია. შემზარავია. არაბუნებრივი სიკვდილში არაფერია, ისევე როგორც შემოდგომით ფოთოლცვენაა, ბუნების მიძინება. ასე მესახება თაობათა ცვლაც, თუკი ერთ სიცოცხლეს მეორე ენაცვლება. მაგრამ აქ, აფხაზეთში, აქ ხომ გაიჩება „ტყე“, გაზაფხულზე როგორღა იყვავილებს, ან რა იყვავილებს. სად არის საქართველო? მინისქვეშა? მინის ზევით, აქ, სადაც ცოცხალი საქართველოა? თუ იქ, ზეციურში?

ბიჭები ფეხზე წამოუდგნენ მინისქვეშა საქართველოს, ფეხზე წამოუდგნენ პაპებს, მამებს; ვინ წამოდგება მათი სახელების, მათი სულების მოსახსენებლად: გელა, ვაჟა, ილია, ნიკა, ედუარდი, ლადო, გია, ირაკლი, გოჩა, მამია, დათო, გოგი, ელდარი, აჩიკო, ყველა ახალგაზრდაა, ყველა ლამაზი, ყველა უცოლშვილოა...

რეზო ჩაჩუა მესაუბრება, მიკროფონს ვერ ვიკავებ, ხელები მიკანკალებს... რეზო შვილის წერილს მიკითხავს, პატარა გოგონა წერს მამას... მამიკო, მიყვარხარ, ძალიან მენატრები, დედიკოსაც უყვარხარ და ძალიან ენატრები დედიკოსაც. შენ თუ დაიღუპები, მე ვიტყვი, გამირი მამა მყავს-მეთქი... მამა... მამა... მამიკო.

რეზო სოხუმელია, მასთან ერთად სოხუმელ ვაჟკაცებს მეზრძოლთა გაერთიანება შეუქმნიათ. ახლა ყველანი ერთად არიან. ოთახში ნახევრად ბნელა, ლამფის შუქზე მიკითხავენ წერილებს. რეზო მუშტს ურტყავს მაგიდას და ქვეყნის გასაგონად ყვირის: „ჩვენ შეიძლება ყველა დავიხოცოთ, მაგრამ აფხაზეთი როგორც იყო საქართველო, ისევე დარჩება“. ასეა ეს. სად არის აფხაზეთი? არ ვიცი ახლა სად არიან „სოხუმელი ბიჭები“, არც ის ვიცი ვინ გადარჩა, ვინ დაიღუპა, მაგრამ ვიცი, რომ მათი შვილები ცოცხლობენ. სამი წლის შემდეგ, შავოსანი ახალგაზრდა ქალი მოვა ჩემთან სტუდიაში, გადამეხვევა და როგორც ლოცვას ისე მეტყვის: „ჩემი ბიჭი სამი წლისაა, დაბადებული არ იყო მამა დაეღუპა, მითხრეს, თქვენ გქონიათ გადაღებული კადრები. იქნებ გადამინეროთო, ბავშვი მთხოვს მამა მაჩვენეო. მინდა, ასე

მინც იცნობდეს, ახსოვდეს“. მძიმეა თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა. რადგანაც თავისუფალი უპირველესად უფლის ათინათია სულში. უფლისაკენ მიმავალი გზა, მძიმე და ვიწრო. უფალი — უფალია შენში და ამაღლება. როგორ ამაღლდები თუ არ დამდაბლდი. უფლისაკენ მიმავალ გზაზე კი უხვად დევს ცდუნება და არჩევანიც. თავისუფლება უპირველეს ყოვლისა შინაგანი განთავისუფლებაა. არჩევანსა და ბრძოლაში, შემოქმედებაში, მოქმედებაში თავისუფლება. ამიტომაც ღვთის გზაზე თავისუფალი თვითონ პოულობს, ირჩევს გზა, ან სიკეთისა ან ბოროტებისა — ან გმირისა ან ძაბუნის.

აეროპორტში სოხუმისკენ მიმავალი თვითმფრინავი აფრინდება. წუთები რჩება აფრენამდე. ტრაპზე ადიან ბიჭები, კაცები, ზოგი სამხედრო ფორმით, ზოგიც გაცრეცილი ბოტასითა და ნათხოვარი ქურთუკით. სულ რაღაც საათები აშორებს ამ რეისს, სხვა რეისებისგან, დუბაისგან, ოქროს ქვიშებისგან, პრალისგან, ბერლინისგან, პარიზისგან. იქაც ტრაპზე ადიან ადამიანები, ღიმილით, კმაყოფილი სახეებით, ევროპულ სტანდარტებზე მორგებული ჩაცმულობითა და ჟესტებით. სად არის საქართველო? აქეთ თუ იქით. სად არის თავისუფალი, აქეთ თუ იქით?

კოცონთან, მგონი გელო ერქვა, ბიჭმა საქართველოს სადღეგრძელო თქვა, მერე ჩაფიქრდა და ვითომ თავისთვის. „დამთავრდება ეს ომი... ისე სიკვდილი ნამდვილად არ მინდა, რა მოხდება მეც ვიცხოვრო თავისუფალ საქართველოში?“ თავისუფლება კი გამოცდა იყო, გზის არჩევანი, ერთი მიმართულებით, რომელიც უნდა თვითონ აგერჩია. ამიტომაც იყო აფხაზეთი „მოხალისეთა“ რეისი, ზოგისთვის ერთი მიმართულებითაც კი. თავისუფლება იქ არის, სადაც თავისუფლებისათვის სიკვდილი უნდა ყველას.

რა კარნახობს არჩევანს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის? სამშობლოს სიყვარული? აბა, ჰკითხეთ, გეტყვით ვინმე, რომ მას სხვაზე ნაკლებად უყვარს თავისი სამშობლო. იქნებ უფრო მეტადაც. ე. ი. მხოლოდ ...სამშობლოს სიყვარული არ ირჩევს. ყოველთვის, როცა აფხაზეთი თავს მახსენებს, ეს კითხვა მიტორლიალებს გარშემო და პასუხს მთხოვს. თითქოს ამ პასუხზეა დამოკიდებული ხსოვნის, ყველაფერი იმის გამოცდა, რასაც ჰქვია აფხაზეთი ჩემთვის, ჩემისთანებისთვის, ვინც სისხლით ენათესავება ამ ომს. თითქოს ამ პასუხშია მიზეზიც და მიზანიც, სირცხვილიც და სიამაყეც, დამარცხებაც და გამარჯვებაც, დაცემაცა და ამაღლებაც. ვეკითხები ყველას, ვინც ჩემს სულს აჩნია და ჩემი ცნობიერების გადაულახავი ზღვარია რეალობასა და წარსულს შორის. ისინი, ვინც ყოველამე „მოდიან“ ჩვენი შეხვედრის ბოლო წუთებით: ძმა, მეუღლე, ბიჭები... ბიჭები... ბიჭები. „ვევედრები“ გაამართლონ ჩემი სევდა. პასუხი არ არის. არის მხოლოდ მათი სიმართლე, რომელსაც იქნებ ვერ ჩავწვდები, პასუხი არ არის. ე. ი. პასუხი ჩემგანაა საჭირო. არ ვიცი, მოვნახავ ოდესმე, ვიპოვნი თუ არა პასუხს, რომელიც სა-

ბოლოოდ შეაერთებს ჩვენს ფიქრებს, გზას და არჩევანს. თავს ძალას ვატან, ვძაბავ გონებას, არაფერი გამომდის. მინდა ჩემეული განცდით მოვნახო პასუხი არა ფილოსოფოსთა, არა მეცნიერთა განცდით. ჩემი მინდა, ჩემი ტკივილი. გადავდებ ჩანანერს, იქნებ, ხვალ მეწვიოს შთავგონება, რომელიც გამინათებს გონებას, ან, იქნებ, რაიმე ნიშნით ან მოვლენით ან სიმბოლოთი მივიდე ბიჭების სიმართლესთან. უნდა ვიპოვო, უნდა ავხსნა, უნდა მიუუახლოვდე, სხვანაირად მომკლავს სევდა ცოცხლად დარჩენისა:

აჩიკო მიშველაძე: — მისი სიკვდილიდან ერთი თვის შემდეგ ბატონმა რეზო მიშველაძემ, ჩემმა პროფესორმა, შეხვედრისას მითხრა: „აჩიკოს წერილი ვიპოვნეთ, მის სანერ მაგიდაზე, წიგნებში: „მაპატიე, მამა, გავიპარე შენს გაუფრთხილებლად, თუ დავიღუპე, დედა გაამხნევე, რადგან სხვანაირად არ შემიძლია, მე არავის ვათქმევინებ, რეზო მიშველაძემ შვილი გადამაღაო“.

გოჩა წითელაშვილი: — მე ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ერი სულ ერთი წუთით იფიქრებს ჩემზე. (გოჩა მაშინ სკოლის მოსწავლე იყო) ომის დღეებში მითხრა, როცა კატეგორიულად მოვთხოვე გარიდებოდა სიკვდილს, შენ გინდა შენს ძმას უკანალი დაუძახონ?

საშა იოსელიანი: — ნავალ იქ, სადაც ნაღდი საძმოა. ნამეტანი კაი ბიჭებმა მოიყარეს იქით თავი.

რეზო ჩაჩუა: — ჩვენ შეიძლება გავწყვეთ ყველანი, მაგრამ აფხაზეთი დარჩება საქართველოდ, როგორც იყო... ასეა ეს.

ირაკლი ამირეჯიბი: — მინა ითხოვს სისხლს, მინა ითხოვს ოფლს...

ჯარისკაცი, რომლის სახელიც აღარ მახსენდება: — ის რუსი იყო წარმოშობით, სოხუმელი: „Я никаму не дам обидеть эту руку.“

ვოვა ერმაკოვი: — მე არა მაქვს უფლება გულგრილი ვიყო ამ ომში, იქნებ, ყველაზე მეტი მე მევალება.

ჯარისკაცი, აფხაზი, რომელიც მატარებელში შემხვდა სულ ერთი წამით და მთხოვა გადაცემაში ჩამესვა სიმღერა:

„ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი, აშრიალდება უნაზეს ზღაპრად“.

და კიდევ...


„ამ ლამაზი მინისთვის, ამ ლამაზი ცისტვის ამ ლამაზი ქალისთვის, უყოყმანოდ ვკვდები“.

ასე. არც მეტი და არც ნაკლები, არჩევანი კეთდება მაშინ, როცა შენ პატივს მიაგებ შენს სქესს. მათ სხვანაირად არ შეეძლოთ, ისინი კაცები იყვნენ. აი პასუხი. ჩემი პასუხი:

სადა ხართ, ბიჭებო — კაცებო!

მძიმეა ჯვარი თქვენი მონატრებისა, მაგრამ კიდევ უფრო მძიმეა ჯვარი თქვენი დანატრვარი, ჯვარი თავისუფლების.





ფრიდონ
ხაჩვაძე

ყორე

სიტყვა არ მითქვამს ვინმეზე
უსიყვარულო, უმზეო,
მე როცა სიძულვილზე ვწერ,
ისიც კი სიყვარულზეა.

დამდნარი შენზე დარდებით
წელიწადები იყორა,
დავბერდი, მარა ამ ბედით
ჯერნა მაინცნა ვიყონა.

წევდენა თანნა წევლონა
შენი თვალების დღეობა, —
ის ისე მეცხუნ — მეომა,
ვიტირო და ვიმღერონა.

ვიცი, ბოლოს სად მელიან,
ვიცი, რა უნდა ვიციოდე,
რომ ჩემი მოსაველეია
სიკვდილის მერეც სიცოცხლე.

„ჩემო ჩემო ჩადროსანო...“
სოფლური

დღე იყავი, დამილამდი,
გიყურებდი, აღარ ჩანდი,
ჩადრო, ჩადრო, მტერო ნატვრის,
შენ თუ მადლი ხარ და მაშინ
მითხარ, რალა არის მადლი?

„გულის თვალებით ხედვამა...“
ვაჟა

გიცქერდი გულის თვალებით,
მახსოვხარ, მუდამ მახსოვხარ,
რამდენს შორ დამემალეები,
იმდენი უფრო ახლო ხარ.

თუმცა სულ მუდამ მიყვარხარ,
სადაც მინდიხარ იქ არ ხარ, —
არ ვიცი ვინმეს მიყავხარ,
თუ ჩემთვის თავსაც იკარგავ.

მიხარია, რომ აველდი.
ღელვაში ვის არ უვლია.
სიცოცხლის ნიჭის სახელი
ყოველთვის სიყვარულია.

სიტყვები

სიტყვები ციცნათელები
ნათობენ, სადაც ბნელია,
დაგოგმანობენ, დაფრენენ,
დაჭერა მათი ძნელია,
სიტყვები, სიყვარულივით,
თავის საბედოს ელიან.

ჩვარნაფრენი ისე კობტად გემოსა,
ჩვენებურა, თანაც უცხო გემოზე,
ვთქვი, რა ვუთხრა, რაფერ დავიახლოვო,
ასე შორი და მაღალი მაღლობი?
ჭინჭ-ბარდუკლებს შენ ტანზე უხაროდათ
და ეს გული იმ სიხარულს ყვარობდა.

„საქართველოს დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ნონასწორობისათვის“
გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“
1920. 5. 06. მემედ აბაშიძე

— თუ შეიძლება მუსლიმანი იყოს ქართველი? —
ვკითხე მე დროს და წინ აინთო, როგორც სანთელი
სახე მემედის... სხვა დასტური არც მსურს მე მეტი!

თუ მემედივით იქართველებ, იყავ, —
თავაზით,
ალაღად ალაჰს არწმუნებდე ოლონდ
ამაში, —
შენი ნამაზი საქართველო არის ლამაზი!

დიდი, სრული, თბილი სულის თბილისური
ლექსი,
განა გალა — გოგლას დროში?! მერეც,
ვითა წესი,
კვესდა, მაგრამ სატკენია, დღეს რომ აღარ
გვესმის.

ბაზალეთის ტბაზე

დღეს მე ბაზალეთის ტბაზე
ვნახე, ბანაობდა სხვა მზე.
ღმერთს ვთხოვ, — ო, გამჩენო, აქ ვინც
ტბის ძირს დარწეული აკვნის
ჩვილის გმირობას ნატრობდა, —
აუხდინე ნატვრა, დროა!

2008, აგვისტო, რუსეთს

არა იმიტომ, რომ სიდიდე ხშირად ავად
გხდის, —
იყო, დრო იყო, ტოლსტოივით დიდი იყავი,
დღეს კი, რუსეთო, პუტინივით
დაპატარავდი.

ხან დაცემას გავს ლექსის დანერა,
ხან შენით შენივ სისხლის დაქცევას,
ხანაც — გაფრენილ ფიქრზე დანევას.

მატყლს ართავდენა, წინდას ქსოვდენა,
თან სამობდენა, მღერდე „ჰოვდელას“...
გოვ, ზამთრამდენა თუ გათხოვდენა?!

ჩემს კუთხეს, უხეშ ჟამთა მეხაბრეს,
საკუთარ ენის მოკვლის შესახებ,
წყეულმა წლებმა რამდენიც უთხრეს,
იმდენჯერ გონში, გულში და ძარღვში,
როგორც ლოცვები ტაოს ტაძარში,
დაძველებულან, დაძველებულან.

იმერხეველი აჭარულად

მოენატრე, იტიროსნა ჩანგურ —
გიტარამო,
დოლ-ჭიბონმა იშაირა, იგანდაგანაო, —
ეს ქეჭელა პაიჭები ვინ მოგიტანაო.

17 აგვისტო, 2008

(სამი სამყურა)

მძიმეა სულიც და ბედისწერაც...
მაგრამ ყველაზე უფრო მძიმეა
დამარცხებული სამშობლოს ცქერა.

დილა ჰგავს შვილზე მოტირალ დედას, —
ხედავ, — შენი ცაც დახრილა, წვეთავს,
ცრემლივით წვეთავს.

აღარავინ ჩვენ აღარ გვისმენდა,
ცარიელ ცისკენ ხმა ხმას მისდევდა,
მგონი არყოფნას გავდა ის სევდა.

ფოთოლი

ბოლო ფოთოლი ვარ ხის ბებერის,
თავზე დამსხმია ყველა ავდარი,
მაღლე მომწყვეტს მე, — რაგინდ
მეფეროს, —
ნიავექარების ტყუილმართალი.

ვით წუთისოფლის ლურჯი იგავი,
ტაროსს ყოველგვარს ყაბულ ვიყავი...
ძირს დავარდნილიც ცად ავყურებდი
კვირტებს დატენილს გაზაფხულებით.

მამარჯაბი და ხანძთელი

შავშეთს რომ ლამე ვითიე,
დავწექი, მამა მესიზმრა.
— ბაბავ, აქ ჰიდან? — ვკითხევი.
ხმა მისი იყო ზეცის ხმა.

ხანძთელი ვარო, გრიგოლი, —
თქვა მამაჩემმა იმ დამეს.
გაქუხხნიმებამ, გრიგალმა
მინები გადამიღვარეს.

ახლაც ხსოვნაში მეფობენ
რატომღაც იმ დღის განცდები.
ვიარე, თან დამყვებოდნენ
მამაჩემი და ხანძთელი.

ტბელი

აბუსერიძე ტბელი, XII-საუკუნის აჭარის
ერისთავი, მწერალი, მსოფლიო სახელის
ასტრონომი, განისვენებს ხიხანის ციხის
ძირას, სოფ. თხილვანას უძველეს
ნაეკლესიართან.

იგი თხილვანას, საგვარეულო
საძვალედანაც დღეს გვეუბნება:
— როცა დრო ასე გადარეულობს,
კაცს გადარევის არ გაქვს უფლება.

ჩემო სისხლბორცო შთამომავლობავ,
შენც, გზაო, ჩემო ფეხდანაბიჯო,
ძველს სიყვარული არ მოაკლო და
ახალი აღარ დაამახინჯო.

მუდამ გახსოვდეს, ვინ ხარ, ვინ იყავ.
ხედავ? — დღეები ხელებს გიშვერენ,
სამშობლოს მშობლად ყავხარ შვილი და
ის გეხვეწება, — შვილო, მიშველე!

მე ერისთავი მერქვა აჭარის,
ერისა, განა ჩამონაჭარის.
რაც იქმნა, იქ ვარ!
ხომ გადარჩა ის?!
დახარჯულიც ვარ, დასახარჯავიც!

ვიცი, თქვენში სხვა ამინდებია,
მაგრამ მთები ხომ ყვავილდებიან?! —
ტაძრები ხშირად გაგრინდებიან,
მაგრამ სანთლები კვლავ ინთებიან.

ჩემო სისხლბორცო შთამომავლობავ,
შენი კაცობა, შენი ქალობა,
სადღეისოდაც, სამომავლოდაც,
რწმენის მადლშინა ამოავლონა!

შემოდგომა წვიმს...

ტარიელ ხარხელაურს

შემოდგომა წვიმს, ქარი ქარს ერთვის,
ეზოში ფოთოლ-რკოები ცვივა,
მეც მაგონდება ხანდახან ერთი
„გოგო, რომელსაც უყვარდა წვიმა“.

ვედახდი, ის კი მირბოდა მაინც,
თმებში ელავდა წვეთები მძივად,
ვით შერიგება ავდართან დარის,
ერთმანეთს ჰგავდნენ გოგო და წვიმა.

მიყვარს, ღამისფერ თვალების ირგვლივ
გათენებული დღე როცა ჰყვავის.
როდესაც გოგო წვიმაში მირბის
და წვიმის მეტი არ უსმენს არვის.

ახლაც წვიმა და ქარია ზოგან,
დახილს ვედახი... სადღაა ის ხმა?!
წვიმას კი, რაიც უყვარდა გოგოს,
ჭაჭვებში ვჭუჭკავ და თავზე ვისხამ.

ფრიდონ ხალვაშის „ომრი“

ბოლო რამდენიმე წელია, ამნაირი
აღამიანური წიგნი, როგორც ფრიდონ ხალ-
ვაშის „ომრი“, მე არ წამიკითხავს.

წიგნი იკითხება გაუნელებელი ინ-
ტერესით.

დანერვილია
მიმზიდველი ენით.

პირადი ცხ-
ოვრება, ქვეყნის
ცხოვრება
მოთხრობილია
უზადო გულწრ-
ფელობით.

წიგნში მრავ-
ლად შეხვდებით
ცნობილ ქართველ
და არაქართველ
მწერალთა სახე-
ლებს; შიგადაშიგ
დახასიათებულია ზოგიერთი პოლიტიკური
მოღვაწეც;

რაც მთავარია, ავტორი ყოველი მათ-
განის მიმართ იჩენს ჭეშმარიტად ქრის-
ტიანულ გულითადობას;


მთელი წიგნის მანძილზე ვერსად
წაანყდებით სუბიექტურობის ნატამალსაც
კი.

ქვეყნის საჭირობოროტო საკითხებზე
გამოთქმულია (შესაძლოა, სადავო), მაგრამ
ფრიად საყურადღებო მოსაზრებანი...

ერთი სიტყვით, ფრიდონ ხალვაშის
„ომრი“, ჩემი აზრით, ზედმინეწვით ობიექ-
ტური, უაღრესად ეროვნული და საკმაოდ
გონივრული თხზულება გახლავთ.

მუხრან მაჭავარიანი





გულთა
წიბისძვლი

მონათ

— მივედი დილაადრიან ავტოსადგურში, დავიკავე ჩემი ადგილი და დავიდე მუხლებზე ტორტი. საგანგებოდ გავაკეთებინე კერძო კულინარს, მე ხომ ვიცი, ბიცოლა, როგორ გიყვართ ტორტი, თანაც უკვე ახალი წელი მოდის და... ვუფრთხილდები, ვუფრთხილდები, რომ ნუ იტყვით, ხუმრობა ხომ არაა, ამხელა გზაზე ტორტის წამოღება... ისაა, დაიძრა ავტობუსი, რომ მომიჯდა გვერდით ვილაც ქუდიანი, არყით გაჭყეპილი, ნვერულ-ვამგაბურძენილი ტიპი. გულმა მაშინვე ცუდი მიგრძნო, მივინიე ფანჯრისკენ და შევეუდექი არემარის თვალიერებას. ცოტა ხანს თავჩაკიდული იჯდა, მერე ვიგრძენი, მიყურებს. უცებ მესმის: „ქალიშვილო!“ მე ვითომც არაფერი, განვავგრძობ არემარის თვალიერებას, რა მეთარება, მაგრამ... „ქალიშვილო!“, კიდევ მეძახის. ვეღარ მოვითმინე და მივხედე ამრეზით: შავი, შავი, როგორც ნახშირი, გაბურძენილი,

ნილი, გაბურძენილი, როგორც ეშმაკი... „რა გნებავთ?“ — ვეკითხები. „რა გიდევთ კალთაში?“ — მეკითხება. „არაა თქვენი საქმე“. — ვპასუხობ მე. „დიახაც, რომ ჩემი საქმეა!“ — ამბობს ის, კარტუს თვალებამდე იფხატებს და ჩუმად მესისინება: „სად მიბრძანდებით?!“ შემეშინდა და ვუპასუხე, „ბიძასთან და ბიცოლასთან-მეთქი“. „ახ, ნითელქუდას ვარიანტია?“ — ხითხითებს ის და შავ, ჭყყყიან თითს ადებს ტორტის სახურავს. „რა არის ეს?!“ მე არ ვპასუხობ. ეს მგელი... უცებ დასწვდა ყუთს, მოაძრო სახურავი, დახედა და პირი გაანკლაპუნა, — ტორტზე ბლებით იყო გამოსახული ყვავილი, აილო ერთი ბალი, — სახურავი ილლიაში აქვს ამოჩრილი, შეჭამა, თქვა: „იფ-იფ!“ და აილო მეორე. „რატომ ხულიგნობთ, ახალგაზრდავ?“ — ვკითხე შიშით. „მე ვხულიგნობ?!“ — გაიკვირვა მან, მიაყოლა მესამე ბალი და პირიდან გამოსროლილი კურკა, ნკაპ! — მომარტყა პირდაპირ შუბლში. მე წამოვინიე და დავიყვირე: „მიშველეთ, ხალხო!“ ჰმ... ხალხი... ესენი ხომ ხალხი არაა, ნახირია. გაუნევიათ ცხვირები გვერდზე და ვითომ ვერ ხედავენ, რა ხდება. ვილაც გოგო წამოხტა წინა სკამიდან, ხომ იცით ქალები უფრო მამაცები რომ არიან, და გამოექანა ჩემსკენ. უყვირის, „ადექი ახლავე აქედან, ადექი შე დეგენერატო და დაანებე ამ გოგოს თავი!“ — ადგა კი არა, მთლად გადაიკრია, მიუშვა კურკების ნიაღვარი ახლა იმ გოგოსკენ: ერთი თუ ორი... ერთი თუ ორი... ადგა მერე, სახურავი ჩამიდო კალთაში, დასწვდა ამ გოგოს მხრებში, შეატრიალა, მიყვანა თავის ადგილამდე, დააგდო ზედ, შემოტრიალდა ისევ და დაძიჯდა გვერდით...

ჰო... დაჯდა კვლავ, ამოიჩარა ილლიაში სახურავი და განავრძო ყვავილის ჭამა. მთელი ყვავილი რომ გადაჭამა, დანა ამოიღო ჯიბიდან. დავეკარგე შიშისაგან ფერი და წამოვიყვირე მთელი ძალით. ადგა ერთი სოლიდური გარეგნობის კაცი, წამოვიდა ჩვენსკენ, მაგრამ არ იკითხავთ, ამ ვიგინდარამ რა ქნა? სწრაფად ჩამოაჭრა ტორტს ორი მოზრდილი ნაჭერი და გააქანა: ერთი პირდაპირ შუბლში — ტყლამპ! მეორე პირდაპირ ცხვირში — ტყლუმპ!

ეს ნახირი ხალხი... სხედან, არ იღებენ ხმას, არადა, სასვსეა ავტობუსი, ნემსი არ ჩავარდება! მე უკვე გომძობადაკარგული ვზივარ და ლაპალუპით ჩამომდის ცრემლი.

ჩამოაჭრა მესამე ნაჭერი, ჭამს და აგინებს გამკეთებელს: ბევრი შაქარი გიქნია, ამის შემდეგ ეგ შეცდომა არ გაიმეორო და ყვავილიც უკურკო ხილით დაახატე, თორეო!.. — თვალეებს მიბრიალებს.

შეჭამა ნახევარი ტორტი, დაჭრა დანარჩენი წვრილ-წვრილ ნაჭრებად, ადგა და ჩამოიარა მთელი ავტობუსი: „ინებეთ, ისიამოვნეთ, ძალიან მეწყინება, თუ არ შეჭამთ“-ო.

სხედან გასუსულები, მხრებანურულები, მორცხვად იღებენ და ჭამენ. ბუზის გაფრენის ხმა გაიგონება. ერთმა არ აილო მხოლოდ, „ტორტი რა კაცის საქმეა“-ო, „ვირმა რა იცის,

ხურმა რა ხილია“-ო, — თავში წაარტყა და მომიტანა დარჩენილი უკან, — ეს იმ შენს ბიძა-ბიცოლას ნაუღეო. მოინმინდა ტუჩები, შეინმინდა ტანსაცმელზე ხელები, დაახურა სახურავი ტორტს და ჩაჰკიდა თავი ისევ.

ახლა არ იკითხავთ, როგორ ჩავიდა? გაიღვიძა რაღაც მომენტში, მოათვალიერა გარემო, „უკვე გამოვცდენივარ ჩემს სოფელს, გააჩერე, მე შენი დედა!“-ო, — დაუღრიალა მძლოლს, როგორც კი მანქანა გაჩერდა, ადგა, წკიპურტი წამარტყა ცხვირში, აიღო დარჩენილი ტორტი, მივიდა კართან, ყუთიანად ჩამოამხო თავზე მძლოლს და ჩახტა კიდევაც.

მერე კი, ატყდა, მაგრამ რა ატყდა! მოჰყვინენ ლანძღვა-გინებას, გამოიდეს თავი... ასეთია ბრბო, ხალხი წესიერი რომ იყოს, ხელცარიელი მოვიდოდი ახლა მე თქვენთან?! ვინ მყავს თქვენზე უკეთესი და ახლობელი.

— რას ამბობ, კიდევ კარგად გადარჩენილხარ, შვილო... შვილო, ინგა, — ჩიფჩიფებს უშვილძირო, შიშისგან მთლად განაცრისფერებული ბიცოლა და ლოყაზე უღონოდ იტყაპუნებს ხელს.

— ოოხ, ამ გაჭირვებამ როგორ გადარჩია და როგორ გააფუჭა ხალხი... როგორ გააფუჭა!.. — მკერდზე ხელს იბაგუნებს ნელში მოხრილი, დამწუხრებული ბიძა.

— აბაა!.. თქვენ ქალაქში უნდა ნახოთ, რა ხდება: მათხოვრები, მათხოვრები ყოველ ნაბიჯზე, რომ გზას ვერ აუქცევ. თანაც, როგორი გათავხედებულები, იცით? ლამის ჯიბეებში ჩაგიძვრნენ, რაღას არ კადრულობენ დანარჩენებიც, რომ როგორმე ამოიყორონ მუცელი... არ გაიხაროს ჩვენმა მთავრობამ, უამრავი ფაბრიკა-ქარხანა გააუქმა, უამრავი სანარმო და დანესებულება დახურა... მოკლედ, სასიკვდილოდ გასწირა ხალხი.

— აქაც ასე არაა? სოფელში. ჯერ რა პენსიას გვაძლევს და, იმასაც ხან როდის და ხან როდის. ამ საცოდავ გლეხობასაც ლობიო მოგვდის, მეტი არაფერი და ალბათ, ესეც რომ არა, შიმშილით დავწყებოდით უკვე. ღორები გვყავდა ხოლმე, ყოველ წელიწადს, გახსოვს, ალბათ, ერთს საშობაოდ, ერთს სააღდგომოდ თქვენც გიგზავნიდით ყოველთვის, თბილისში. ღორებს ვილა ჩივის, ნელს ერთი ღორიც კი ვერ შევინახეთ, რა ვაჭამოთ, რო?! ერთი, ამ ლობიოსლა შევყურებთ მე და ჩემი დედაკაცი, ქლიავისა და ვაშლის ჩირებსა და ვაართ ასე ღვთის იმედად... ეს ლობიო, ეს ოხერიც რო ვერა დიდად ავიღეთ. ამ შემოდგომაზედა, — ნახევარი ტომარაა, ეგაა და ეგ. ჩუ... ვილაცა იძახის, მგონი...

ის ვილაც, თვითონვე აღებს კარს, ტუს-ტუსით შემოდის ოთახში და ძველ, უჯრულა შალში მთლიანად გამოხვეულ-შეფუთული, პირდაპირ ბუხრისკენ იღებს გეხს.

— სალამო მშვიდობისა, სალამო მშვიდობისა, არსენ, თამრო... დაბარებული ციტრამონი ჩამოგიტანეთ ქალაქიდანა, ველარ მოვითმინე დილაშინ, სულ რაღაცა გტკივით

და... აჰა! — ქალი მაგიდაზე დებს წამალს და ინგას აკვირდება, — ქაა, ამათთან მოდიოდი?! მამიკვდა თავი, კი ველარ გიცანი, შვილო. რა ვქნა, ან კი რა გამემტყუნება, ისე ხაართ შეღებილები, ახლანდელები, კარგად თუ არ გაგრეცხათ კაცმა, კი ვერ გიცნობთ ვერავინ. გულმა კი მიგრძნო თითქოსა, გამოლაპარაკებაც მინდოდა შენთანა, მაგრამა ან გეძინა მთელი გზა, ან მობილურზედ ლაპარაკობდი ვილაც-ვილაცებთანა და ველარ გაგიბედე, განა; თან გვერდიგვერდ ვისხედით, შორი-შორს კი არა, მაგრამ ბოლომდე ვერ გიცანი ქალო, ვერა. რას შვრება მამაშენი, როგორ არი, ან შენი ქმარ-შვილი რასა შვება, შვილიშვილებიც დიდები გეყოლება უკვე.

— მამაჩემი კი არის კარგად, გმადლობთ დეიდა, მაგრამ მგონი ვილაცაში შეგეშალეთ. მე არ მიმგზავრია თქვენთან ერთად.

— არა, ელო, არა. ეხლა კი შეგეშალა ანგარიშში. ან კიდევ, სკლეროზი დაგწყებია ნაღდათა. ამას იმისთანა რამეები გადახდენია გზაზედა, იმისთანა ვერზილა ხულიგანი დასხმია თავსა, რომა...

— რას ბუფტურობ, შენ კიდევ, არსენ, რა ხულიგანი დასხმია, რის ხულიგანი დასხმია. მთელი გზა იჯდა და ან ეძინა, ან კიდევ მობილურზე ქაქანებდა. სიზმარში თუ რამ გადახდა თავსა, ვერ გეტყვით, მაგრამა... შეგეშალაო, სკლეროზი დაგმართინაო... ეგრე კი არა ვარ დაბერებულ-გაშტერებული, ასეთი რამეები შემეშალოს... აბა, მაშ თუ არ გვიმგზავრია ერთადა, გეტყვი... ეხლა ხო არ გაცვია, გახდილი გაქვს და ვერც ვხედავ, სად არის შენახული... მაშ ნითელი, მოკლე კურტკა არ გეცვა, ზედ შემონცხეულ, რა ვი, შავ კოლგოტკაზედა თუ შურვალზედა?! აი, ეხლა ხო გაცვია თამროს ჩუსტები, ნითელი ჩექმა არ გეცვა ავტობუსში?! გრძელყურიანი შავი ჩანთა არ გქონდა გადაკიდებული, შუაში ნითელი „ზმიკითა“? ეხლა შეიძლება ისიცა სთქო, ჩემს მეტს არავისა აქვს ნითელი კურტკა, ნითელი ჩექმები და ნითელზმიკიანი ჩანთა? გეთანხმები, შეიძლება აქვს კიდევაცა, მაგრამ სუყველა ეგეთი ჩვენს სოფელში მოდიოდა დღესა, თუ?! რაში გჭირდებათ, თორე კი. ჰა-ჰა-ჰა... შეგეშალაო, ვერზილა ხულიგანიო... სულ ხუთი მგზავრი ვიყავით, ამი გვერდით ვიჯექი და ეს შემეშლებოდა? ამი ნითელი თავი დამავინყდებოდა? კარგი, არსენ, კარგი, შამაყარეთ თვალში ნაცარი, დამიძახეთ სკლეროზიანი და იმასაც ნახავთ, თულა მოვიდე თქვენსა... შენ არ იყავი, ქალო, ვილაცას ახარბებდი ტელეფონითა, ორასი დოლარი მივეცი ჩექმაშიო; შენ არ იყავი, ვილაცას ურეკავდი, ბიძაჩემს მთელ ღორს, ვიჩინას, ლობიოსა და სხვა რამე-რუმეებს შევანერ, ხვალ ჩამოვალ, სალამოს, გამოიარე და მაგრა ვიგრილოთო?!

კართან მისულ მოხუცს კიდევ რაღაც გაახსენდა და უცებ უკანვე შემოტრიალდა:

— ქაა, შენს დანახვაზედ პირველად ისიც კი გავიფიქრე, — რა ჩექმებიან კატასავით

გამაიყურება ეს დედაკაცი-მეთქი, მერე კი, უფრო კარკატი რო შეგათვალაიერე, ისიცა ვთქვი, კატასთან ბოდიში მამითხოვნია, „სადიას“ გაყინულ ქათამს რო ჩექმები ჩააცვა და კურტკა შამააცვა, ეგეთია-მეთქი... მაშ, არ გინდოდა კარკი სალამ-ქალამი, მოკითხვა და მოფერებაა, კი ბატონო! მაშ სკლეროზი დამმართნია, დავერუებულვარ კიდევაცა და დავბრმავებულვარ კიდევაცა, მე უბედური, არა?

ის იყო, ქალმა როგორც იქნა, კარი გაიჯახუნა, რომ იმავე წამს უკან შემოჰყო ცხვირი:

— არსენ, ბიჭო! ეს ღვთისპირიდან გადავარდნილი არ იყო, შვიდის წლისამ არდადეგებზე აქ მყოფმა, მთელი სოფელი რო შეყარა, — ვილაც კაცი მოვიდა ტირილით და მითხრა, მამაშენი ნიკო მოკვდა და ბიძაშენ არსენას უთხარი, ეხლავე თბილისში ნაგყვანოსო? არ ნახვედით იმნუთასვე შენ, შენი ცოლი და დედაშენი ბლავილითა და ნიოკითა და არ ნაათრიეთ ესეცა და არ გამოგყვათ ნახევარი სოფელიცა ერთი ვაი-უშველებელითა და ქოთქოთითა, ჰა?

მაშ, სკლეროზი მე დამმართნია და არა შენ და შენს ცოლ თამარასა, არა? ჰა?

თინეიჯერი სატრუო

მთელი წელიწადია, ნიკა თავაულებლად, ლამის შეუსვენებლივ ჩაჰკირკიტებს კომპიუტერის ეკრანს.

„ენაცვალოს დედა, რა კარგად აითვისა და რა კარგად იყენებს. ამბობს, ინგლისურშიც მშვენივრად ვმეცადინეობ და მათემატიკაშიცო, მე თუ მკითხავთ, რეპეტიტორი სულაც არაა საჭირო და მართალიცაა, — თვალცრემლიანი ჭრის ხახვს ნონა, — ან სად მქონდა გადასაყრელი ფული, მასწავლებელი მექირავებინა. სადაცაა დაინყება მისაღები გამოცდებიც და ვნახავთ, ვართ თუ არა მე და ჩემი შვილი სხვებზე უფრო ჭკვიანები... რა ნიჭიერია, ღმერთო, მაღლობა შენ, რომ მამამისივით არაყით არ იბრუებს ტვინს. ადვილი კი არაა, ამხელა მახინას ეჯდე და შენს ნებაზე მართავდე...“ ხახვისაგან წამოსულს, აჩუყებული გულიდან წამოსული ცრემლიც ერთვის თან, ქალი სლუკუნებს, ცრემლს წინსაფრის ბოლოთი იმშრალებს და სამზარეულოს კარის ჭრილიდან კვლავ მინახებული სიყვარულით გაჰყურებს კომპიუტერის ეკრანს გაუნძრევლად, შელოცვილივით მიშტერებულ შვილს, „— ფუჰ, ის ლოთი როდისლა მოეთრევა ნეტა, შინ, მოვასწრო დროზე ეს ოხერი ჩახობილი, თორემ დამაყრის შავ დღეს. ამასავით კი არაა, აბა, აღარც ჭამა რომ ახსოვს და მაღლობა ღმერთს, არც დალევა აინტერესებს“.

— დაცემა ხარ! — კლავიმებზე განაფულ თითებს დაარბენინებს ნიკა — მოვკვდები შენი უნახაობით, სადაცაა! რატომ მემალე-

ბი, უკვე წელიწადზე მეტია, რაც ვჩათაობთ, ბოლო-ბოლო ხომ უნდა შევხვდეთ, ვიზუალურადაც გავიცნოთ ერთმანეთი. გაზაფხულია, გავიაროთ, გამოვიაროთ.

— ჯერ არა, ჩემო სიცოცხლე! როცა შემეძლება, მე თვითონ მოგწერ. მეც ერთი სული მაქვს, როდის გნახავ, მაგრამ... ვაიმე, ჭიშკრის ხმა ისმის, — მამაჩემმა რომ მომისწროს, მომკლავს, თან რეპეტიტორთან ვარ წასასვლელი. დროს მოვიხელთებ თუ არა, როგორც ყოველთვის, მე თვითონ მოგწერ. ჩაო!

— თაკო, შე საცაგელო, დაანებე ამ ეშმაკის მოგონილს თავი და წესიერად იმეცადინე, თორემ მოგკლავ! რამდენჯერაც მოულოდნელად დავბრუნდი სამსახურიდან და კომპიუტერი დამჭირდა ან შევამონმე, იმდენჯერ ეროტიკული, ან პორნოსაიტები დამხვდა ამოყრილი. რადგან ამ საზიზღრობით დაინტერესდი, არც იმაზე დაიხვე უკან, მეცადინეობის მაგიერ, მთელი დღე ვინმე შენნაირ დეგენერატთან იჩათაო. არაა მოდაში, თუ?! — გაცეცხლებულმა შეგლიჯა თაკოს საძინებლის კარი ნარგიზამ და შვილი რომ ვერ აღმოაჩინა, ახლა დედამთილის საძინებელს მიადგა გააღმასებული, — სად ჯანდაბაშია, მე და მამამისი დღედაღამ გარეთ ვართ გასული, რომ მაგისი რეპეტიტორების ფული როგორმე გადავიხადოთ და ეგ, იმის მაგიერ, რომ იმეცადინოს, ვირტუალურად ბოზობს, არდასაცალელებელი?!

ტელეეკრანს მიჩერებულმა, ტახტზე წამოკოტრიალებულმა მოხუცმა, თმის სახვევებით დახუნძლული თავი ზანტად შემოატრიალა, დაამთქნარა, მხარი აიჩეჩა და წამოჯდა.

— ამ წუთას გავიდა. კომპიუტერს ეჯდა მთელ დღეს. რატომ არ მეცადინეობ-მეთქი, რომ ვუსაყვედურე, — ვჩათაობ და ხელს ნუ მიშლიო, — მიღრიალა. ეგ ჩათაობა რაღა უბედურებაა, რას ნიშნავს, თუ იცი?! ისიც საკითხავია, როცა გადის, რეპეტიტორებთან მიდის, თუ... თმა ძალიან მაქვს შესაღები. შემიღებავ საღამოს?

— შეგიღებავ, აბა რას ვიზამ. სად მაქვს იმდენი, პარიკმახერი აქ მოგიყვანო, — შეუღრინა რძალმა.

„ოთხმოცდასამი წლის დედაბერი რომ ისევ თმის შეღებვაზე იფიქრებს, თანაც ყოველ ორ კვირაში და თანაც ასეთი გაჭირვების დროს... ცოტა ღირს საღებავი, თუ? ფუჰ! რაც ახალგაზრდობაში იყავი, იგივე ხარ სიბერეშიც, ელინა ალბერტოვნა, იგივე! მოეთრეს ერთი, თაკო შინ! როგორ ვცემე იმ დღეს და კიდევ რა დამახვედრა, რა შემზარავი პორნოგრაფია. დაავიწყდა ან ველარ მოასწრო წაშლა, ქალბატონმა; რაღა ვქნა, ბებუის კვალზე არ წავიდეს ეგეც. ეს სიბერეში მაინც დანყნარდა და მაგის სიბერემდე ჯერ კიდევ საუკუნეა დარჩენილი, მაგით მაინც რომ დავიიმედო თავი“.

...

გაზაფხულის უმშვენიერესი დილაა. ახლად აფეთქებულ ხეთა თუ ეზო-ბაღების ყვავილთა სურნელითაა გაჯერებული არემიდამო.

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებით ხიდიდან ფენა, მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის და სიყვარულის ასე მოთმენა...“ ღმერთო, როგორ მიყვარს გალაკტიონი!“ — თავო წიგნს და რვეულს დებს ჩანთაში, ქართული ლიტერატურის პედაგოგთან აპირებს წასვლას ნაძალადევში. „არ დამავიანდება, ნახევარი საათიც კი არ მინდა მეტროთი“, — თავს იმშვიდებს და მხარზე ჩანთა გადაკიდებული კარს აღებს.

ოთახში გაზაფხულის ყვავილების უზარმაზარი თაიგული შემოდის ორი ფეხით. თავო გზას უთმობს თაიგულს და განცვიფრებული უყურებს მის უკან ამოფარებულ შავტუხა, თმაგაჩეჩილ ბიჭს, რომელიც აღფრთოვანებით ათვალეირებს თავოს.

— მართლა დაცემა ხარ, აი! ინტერესით ვკვდებოდი, ასეთი ახლობლები ვართ უკვე, ამდენი რამე ვიცით ერთმანეთის შესახებ, არაფერი საიდუმლო არა გვაქვს უკვე და ნეტა რა ხდება-მეთქი. ხაკერი გავხდი ლამის, ვილა არ დავიხმარე თანაც, რომ როგორმე მეპოვე, ვინ ხარ, სად ცხოვრობ, როგორ გამოიყურები... აბა, სურათი შენ არ მაღირსე და... რას მიყურებ პირდაღებული, — ხარხარებს ბიჭი, — გაგიკვირდა რომ გიპოვე?

— კი მაგრამ... ვინ ხართ? — ეკითხება თავო ბიჭს, მართლა პირდაღებულია და მართლა განცვიფრებული.

— შენი ნიკა!

— ჩემი ნიკა?! — მხარს გაკვირვებით იჩეჩავს თავო, — არავითარი ნიკა მე არ მყავს.

— კი, მაგრამ, შენ არ მეჩათავეები მთელი წელიწადია?

— ცხოვრებაში არ მიჩათავია და ფუჰ, არც ვიჩათავებ არასოდეს, — მკაცრად იკრავს წარბს თავო.

— რა გქვიათ? — იბნევა ბიჭი.

— თამარი, თავო.

— ოო, ა-არა... მე... მე... ელის... ელინას ვეძებ. ამ ბინაში უნდა ცხოვრობდეს, დანამდვილებით ვიცი, შეუძლებელია, მეშლებოდეს. ალბერტი ჰქვია მამამისს და თუ არ ვცდები, „თიბისი ბანკში“ მუშაობს.

— ააა... — ამბობს უცებ სახეგაცისკროვნებული თავო და ბიჭს თაიგულიანად მიათრევს შიგნით, — როგორც იქნა, გაირკვა ყველაფერი, როგორც იქნა, დაანებებს დედაჩემი ჩემს ცემა-ტყუპასა და ლანძღვა-გინებას თავს. მობრძანდით, ახლავე წარგადგენთ თქვენს თინეიჯერ სატრფოსთან, თქვენს საოცნებო ელინა ალბერტის ასულთან!

მოულოდნელად თვითონ ელინა ალბერტოვნა გამოდის საძინებლიდან, თავზე ჩაჩით,

ფეხზე ფლოსტით, ღამის პერანგითა და ხელში ღამის ქოთნით.

— გაიცანით თქვენი ელი. ეს კიდევ, თქვენი სატრფოა, ქალბატონო ელი, — ნიკა! — თავს მდაბლად უხრის ორივეს ეშმაკურად თვალეზაციმციმებული თავო და პირდაღებულ, გაოგნებულ ბიჭს მხარზე უტყაპუნებს ხელს, — მე მგონი, ყვავილების მაგიერ ცოცხი უნდა მოგეტანათ, ერთად შესხდებოდით ორივე და ფრ... რაც მე თქვენი ტრფიალის გამო მომხვედრია! აბა, თქვენ იცით, როგორ ისიამოვნებთ, იმედია, ქორწილშიც დამპატიუბთ!

ისაა, თავო, მხიარულად ახითხითებული კიბეზე აპირებს დაშვებას, გვერდზე გიჟივით ჩაუქროლებს ნიკა, გაზაფხულის ყვავილები ცოცხივით უჭირავს თავდაყირა, გიჟივით აღებს ჭიშკარს და ნამში ქრება ახლა უკვე ხმამაღლა აკისკისებული გოგონას თვალსანიერიდანაც.

დათვი

თამთამ ხის ძველი, მორყეული კიბე აირბინა, მეორე სართულის ნახევრადბნელ საერთო დერეფანს გაუყვა, მოძებნა კარი, რომელზედაც ენერა „კობაიძე“ და ლილაკს დააჭირა თითი. ზარს არავინ გამოპასუხებია. თამთან ამოიოხრა: „ეჰ, მობილურის ანგარიშზეც რომ აღარაფერია? წინასწარ მაინც დამერეკა მანანასთან... ვაიმე, ყველა სიკეთესთან ერთად, ტელეფონიც შინ დამრჩენია...“ კიდევ ერთხელ მოიჩხრკა ჯიბეები, ჩანთაც და ისევ ამოიოხრა: „ათ წუთს მოვიცდი... არა, არა, ათი ბევრია, დამავიანდება, ხუთს, და თუ გამოჩნდა, წამითაც აღარ შევყოვნებ, ფულს ვესესხები თუ არა, მაშინვე გავიქცევი. დღესაც რომ დავავიანო, ვერაფრით ველარ შემოვირიგებ გიორგის. ამ საშინელ რუსეთ-საქართველოს ომში რაც დასახიჩრდა, ისედაც ნერვები აქვს აშლილი და ისედაც ისე ეჭვიანობს... ჰმ, სულელი! ჰქონდეს მაინც საბაბი, ისე მიყვარს, სიცოცხლე რომ სიცოცხლეა, იმასაც კი არ დავიშურებ მაგისტვის“, — გაიფიქრა სიყვარულით და დროის გასაყვანად ადამისუამინდელი სახლის გრძელ დერეფანში აქეთ-იქით ჩამწკრივებულ კარებზე გამოკრული გვარების კითხვას შეუდგა: დევდარიანი... კალმახელიძე... ასათიანი... Манукян... Джиев... Димитриади... Даниелов... Грязнов...

თამთამ ის იყო, მომდევნო კარისკენ გადნაცვლება დააპირა, რომ უცებ გრიანზოვის ჩაუანგებული კარის ანჯამებმა შემზარავად გაიჟღირა და კარი ნელ-ნელა შეიღო. გაშეშებული თამთამ უხერხულობისაგან მხოლოდ განითლება მოასწრო, შემდეგ მონუსხულივით მიაშტერდა კარის ლიობს: შიგნიდან გამოყოფილმა მკვდრის გამხმარმა

ხელმა ფრჩხილებნამოზრდილი, დაკრუნხული თითებით უსასოოდ მოფხოჭნა ჰაერი, თითქმის იმავე წამს კი უსიცოცხლო, ყვითელ ტყავგადაკრული, ცხვირპაჭუა, ნაოჭებ და ღაბაბშემხმარი სახეც გამოჩნდა მონღოლური, წვრილი თვალებითა და თავის ქალაზე აქა-იქ ბაბუანვერასავით გადაშლილი ორიოდ ღერი თმით.

ანჯამებმა კვლავ საზარლად გაიჭრიალეს და თავზარდაცემულმა თამთამ უკან დაინია. დირესთან მომდგარი ჩონჩხი მხოლოდ იმით განსხვავდებოდა ანატომიის კათედრაზე ნანახისაგან, რომ მთლიანად ყვითელი ტყავი ჰქონდა გადაკრული, ორივე ყურზე ეკეთა წითელი საყურე, ემოსა ქვედა საცვალი და როგორც ჩამქრალი ცისფერი თვალებისა და გაღეული ტუჩების ცმაცუნზე ეტყობოდა, ხმის ამოღებასაც აპირებდა.

— მე... მე... — უაზროდ წაიბუტბუტა თამთამ.

ჩონჩხმა წინ წამოდგა ნაბიჯი, თამთას ხელი წაავლო და ამოიხავლა:

— Позови Фатиму... нет, нет, её наверно нет дома... вот ты заходи!

ჩონჩხ-ქალი შეტრიალდა და შიგნიტკენ წაიყოლა შიშისგან მუხლებაკანკალებული, გაოცებული თამთაც.

ჩაბნელებულ შესასვლელში შმორისა და სიძველის გაუსაძლისი სუნი იდგა, თამთა ბუნდოვნად ხედავდა წინ მიმავალ მოჩვენებას, წამის შემდეგ კი ჩონჩხი სადღაც გაქრა.

თამთამ რაც შეიძლება ფართოდ გაახილა თვალები და რაც შეიძლება მწარედაც იჩქმითა მკლავზე, ალბათ სიზმარში ვარ და იქნებ გამეღვიძოსო, ხოლო როდესაც მკლავი აენვა და თავიც ისევ აშმორებულ შესასვლელში აღმოაჩინა, გასაქცევად შეტრიალდა.

— Иди сюда! — მოისმა უცებ საიდანღაც ჩონჩხის მბრძანებლური ხმა.

თამთა შემობრუნდა და მონუსხულივით მიჰყვა ქალის ხმას. უკვე სიბნელეს შეჩვეული თვალებით კარის მაგიერ წინ ჩამოფარებული ფარდა აღმოაჩინა და გადასწია თუ არა, ქალიც დაინახა, — აბურდულ-დაბურდულ ოთახში დიდი სარეცხი ტაშტის გვერდით იდგა და კვნესით იხდიდა საცვალს. ელექტროქურაზე შემოდგმულ ჩაიდანში წყალი ჩუხჩუხებდა, ტაშტში ჩასხმულ წყალს კი შენელებული ორთქლი ასდიოდა.

— რუსული იცი? — თამთა დაკვირვებით შეათვალიერა: და უცებ ქართულად იკითხა ჩონჩხმა, საცვალი როგორც იქნა, გაიძრო და ამჯერად უკვე მთლად თავზარდამცემი, როგორც თამთას მოეჩვენა, ძვლების ჩხარა-ჩხურით ჩაჯდა ტაშტში.

— ა-არა! — ძლივს ამოიდგა ენა თამთამ.

— მე ვიცი კარტული, აკ გავიზარდე, ტბილისში... Проклятая перестройка! Проклятые Американци! კარტველები ახლა რუსულის მაგიერ ინგლისურს სცავლობთ,

არა? ხი-ხი-ხი... — ჩაიხითხითა უცებ ქალმა და მტაცებელივით ბრჭყალნამოზრდილი მოკაკული თითი სამზარეულოსკენ გაიშვირა, — ცივი ცვალი მოიტანე იკიდან და ვედროში გადაანელე... სიზმარში ვნახე ცუხელ, რომ დგეს მოკვდები... სიზმრისა არ მჯერა, მაგრამ ერთიც ვნახოთ და მარტლა მოკვდი... სუპტა რომ ვიქნები, ბეზ პრობლემ, პირდაპირ შევალ სასუფეველში!

— „ღმერთო, შენ მიშველე! — პირჯვარი გადაინერა და წაიბუტბუტა თამთამ, — ეს რა უბედურება დამატყდა თავს, რა დააჯერებს გიორგის“. ქურა გამორთო, ჩონჩხისგან მითითებული სამზარეულოდან ვედროთი ცივი წყალიც გამოიტანა, გადაანელა და ღრუბელი გასაპნა. „ახლა ეს მართლაც რომ მოკვდეს და თანაც ტაშტში... ღმერთო, დამიფარე! ამის მოდგმას ევროსასამართლოც კი ვერ დაარწმუნებს, რომ ძალით არ შემოვუფარდი და ძალით არ ჩავაგდე ტაშტში დასაბან-დასახრობად, რაც შეიძლება უპრობლემოდ რომ შესულიყო სასუფეველში... ვაიმე, გიორგი! რომელი საათია, ნეტა?“

— ნელა, ნელა! სად გექჩარება, чёрт побери! ჯერ ტავი უნდა კარგად დაბანო, ტავი! — ანივლდა უცებ ჩონჩხი.

თამთა გასწორდა, ბაგეზე იკბინა და საპონი კვლავ წაუსვა ქალს ორ ბონონგადაშლილ, გაძვალტყავებულ თავის ქალაზე. სიბრალოლი, ზიზლი და შიში ისევ მოეძალა, როცა მხრებიდან თავქვე ჩაუყვა. ჩონჩხი კვნესოდა, ფრუტუნებდა, ხელებს ატყაპუნებდა საპნიან წყალში და რუსულად იგინებოდა, ბოლოს, ეტყობა, თვალები აენვა, თამთას მწარედ ჩასცხო მკლავში და გოგოს უფრო კარგად რომ გაეგო, ქართულად მოჰყვა წყველა-კრულვას.

თამთა გრძნობდა, რომ სადაცაა გული შეუღონდებოდა და თვითონაც ჩონჩხიან-საპნიან წყალში მოადენდა ტყაპანს, მაგრამ უცებ ჩონჩხისავე ბრძანებამ გამოაფხიზლა.

— გადამავლე, чёрт побери! გადამავლე, საზიზგარო!

თამთა სიბრაზისაგან აკანკალდა, წამით წარმოიდგინა, როგორ მიატოვებდა ამ საშინელებას საპნიან ტაშტში, როგორ გავარდებოდა გიჟივით, როგორ მიირბენდა პაემანზე, როგორი სინაზით მიეფერებოდა ჯერ კიდევ მოუშუმებელ მარჯვენამოკვეთილ მხარზე გიორგის... ამოიოხრა, წყალი კვლავ გადაანელა და ქალი წამოაყენა.

დაბანილი, გაკრიალებული ჩონჩხი ტაშტიდან წვალეებით გადმოვიდა, უკვე გამშრალეულმა კი უხმოდ მიუთითა საწოლზე დანყობილ სუფთა საცვლებზე. საწოლის თეთრეულიც ასევე უხმოდ შეაცვლევინა და თამთას მკლავზე დაკიდებულმა კრუსუნით მიაშურა ლოგინს.

— დამისხი არაკი! — როგორც კი მოხერხებულად მოეწყო, ახალი ბრძანება გასცა ჩონჩხმა, — მანდ არის, რადიოს გვერდით, ბოტილიც და ჩიკაც!

თამთამ რადიომიმღების გვერდით დადებული არყიანი ბოთლი აიღო, ჭიქა შეავსო და ჩონჩხს გაუნოდა.

ჩონჩხმა არაყი გადაჰკრა, პირი გაანკლავუნა და ნუთის შემდეგ გამოცოცხლებულმა თითი გაიშვირა მოპირდაპირე კედელზე ჩამომწკრივებული ჩარჩოიანი სურათებისკენ.

— Вот мой родные! ისინი მე უკვე ნამდვილად სამოცხეში მელოდებიან!

თამთა კედელთან მივიდა და რამდენიმე რიგად დაკიდებული ჯარისკაცების სურათები შეათვალიერა: თითოეული მათგანი თავისი ეპოქის შესაფერი სამხედრო ფორმითა და ასევე, ეპოქის შესაფერი სამხედრო აღჭურვილობით იყო გადაღებული: ვინ ფინლით, ვინ ხმლით, ვინ ხიშპით, ვინ თოფით, ვინ შაშხანით, ვინ ავტომატით, ვინ ზარბაზანით, ვინ ხელყუმბარით... ვინ ტანკით, ვინ ბეტერიით, ვინ სამხედრო თვითმფრინავით, შვეულმფრენით თუ მასიური რკინის გისოსების წინ ავტომატით მდგარი, — ზურგს უკან ზეცისკენ მრისხანედ თავაღერილი რაკეტით.

— ეგენი სუკველა მომიკლეს დაწვევლილებმა: ზოგი კავკასიაში, ზოგი საკარტველოში, ზოგი პინეტში, ზოგი პოლშაში, ზოგი ნემცებმა, ჩეხოსლოვაკიაში... კმარი პრიბალტიკაში... ორი ბიჩი ავგანისტანში, შვილიშვილი ჩეჩნეტში... აკეთ საცოლთან მე და ვანია ვართ გადაგებული, — სანოლის გვერდით, ხალიჩაზე დაკიდულ, ერთმანეთზე თავმიდებული ფაშფაშა ქერა ქალისა და გამხდარი ქერა კაცის სურათზე მიუთითა ჩონჩხმა, — ხედავ, რა ლამაზი და მსუკანი ვიკავი... ვანია საკვარელი იყო ჩემი, აკაა დასაპლავებული, კუკი-აზე, ტავის სომეხ ცოლთან... დამისხი კიდეც არაკი და დროზე მორჩი დალაგებას!

თამთამ კვლავ ჩამოუსხა არაყი. იატაკის სანმენდი ტილო განურა, წყალი სააბაზანოში გაიტანა, გადაღვარა და უკან შემობრუნებულმა იქაურობა შევებით მოათვალიერა, „მადლობა ღმერთს, თითქმის მოვრჩი, ავდგები ახლა და კიდე ერთხელ მოვუსვამ ტილოს. მადლია, ამ უბედურისთვის“.

— მისმინე, — საბრალო ხმით ალაპარაკდა მოულოდნელად ქალი და ამღვრეული, ქუთუთუოებშესიებული თვალები მიაპყრო თამთას, — შენ გკაავს დედა?

— დიას, მყავს! — თავი დაუქნია თამთამ, შუბლზე მომდგარი ოფლი შეინმინდა და კაბა ჩამოიფერთხა. „მობილური მაინც არ დამვინწყებოდა, ვინ იცის, რამდენს რეკავს და როგორ ნერვიულობს, რომ არ ვპასუხობ“.

— მე კი არა მკავს დედაა!.. — უცებ ხმამაღლა აბღავლდა ქალი და ჩაჩდაკოსებულ თავზე დაინყო ხელის ტყაპა-ტყუპი, — Мамаа... мамочкаа... маму хочу!

— ქალბატონო! — საშინლად დაიბნა თამთა, — დანყნარდით, თქვენი ჭირიმე, დამშვიდდით. ნავალ, გინდათ, მეზობლებს დავუძახებ!

— Нет! нивкоем случае! — ტირილი შეწყვიტა და კვლავ მბრძანებლურად აუნია ხმას ჩონჩხმა, — ვერ ვიტან მაგატ და არც მაგატ ვუკვარვარ მე... მხოლოდ Фатима Бакатаровна შემოდის ხოლმე ჩემთან და მეხმარება. დგეს ისიც არაა შინ. ეტკობა ცხინვალში ცავიდა, მშობლებთან და დზმასთან. ხომ იცი, ჩვენ, რუსებმა, ნება დავრტეც ოსებს, ჯერჯერობით იცხოვრონ კარტლში... ხი-ხი-ხი... სულელი კარტველები, ამერიკა მოინდომეს! დაგებმარნენ? ეგეც ტკვენი ნატო-კატო! ახლა აპხაზეტიც ჩვენია და კარტლიც! აბა, რა გეგონატ, დაგავიცკდატ, რომ ჩვენ დატვები ვართ, ტკვენ კი კურდგლები? ВО ВСЁМ ВИНИТЕ САМОГО СЕБЯ, დჟერ კიდეც სადა ხარტ, პიკრობტ ამიტ დამტავრდა? რას მიკურებ, ტუ არ მოგცონს რასაც ვამბობ, ცადი და იჩივლე გაერომი... კარტულად როგორაა, ჰაერო, ВОЗДУХ, ДА? ხი-ხი-ხი... დამისხი კიდეც არაკი, არა, არა, მომეცი პირდაპირ ბოტლიტ!

სიბრაზისგან მთლად აცახცახებულმა თამთამ არყის ბოთლი უმაღლ მიაჩნა ხელში გახალისებულ-გამოცოცხლებულ ჩონჩხს და თვალთ თავისი ჩანთის ძებნას შეუდგა.

— გმერთო, მაპატიე ჩემი სოდვები და კიდეც დიდ ხანს მასოსხლე! — ჩანთაგადაკიდებული თამთა დაცივნით შეათვალიერა ჩონჩხმა — ტკვენ კი დაიმახსოვრეტ, რომ დატვი გმერთი არაა და ის არავის პატიობს! Да, да, хорошо запомни заяц, — это тебя я говорю - Медведь! დატვი! დატვი გეუბნები ამას!

ქალმა კვლავ მხიარულად მოიყუდა ბოთლი, თამთამ კი მწარედ გადააქნია თავი და გასასვლელისკენ წავიდა. ის იყო, ხელი კარის მაგიერ ჩამოფარებული ფარდის გადასანევადაც წაიღო, რომ რაღაც უცნაურმა, ხველაში გადაზრდილმა ხრიალმა შემოაბრუნა უკან — ჩონჩხმა წამოინია, სასულეში გადამცდარი არყის ამოხველება სცადა, ბოთლგავარდნილი ხელით თამთასაც ანიშნა, მომეხმარეო, მაგრამ სანამ თამთა მივარდებოდა, უკვე თვალებიც გადმოკარკლა და პირიც სამუდამოდ დატოვა ღია.

— მიშველეთ! — ყველა მეზობლის კარზე რიგრიგობით ატეხა ბრაზაბრუხი დერეფანში შემლიღივით გამოვარდნილმა გოგომ.

— იქ... დ-დ-დატვი... დ-დ-დათვი მოკვდა!





ნინო ნადირაძე

ოქროს შუალედი

შენ სამშობლოზე მეტი ხარ ჩემთვის და იესოზე ოდნავ ნაკლები. ლურჯი ბალების გადაღმა მესმის შენი თეთრი ხმა და ვიფაკლები. ყურთან ლამუნობს სიო, სისველე... და სიმარტოვე არის ფიქრების სულ დაზუთხვა და სულ დამიზნება, მერე ელქეში გადაფიქრებით. მზეებზე წვანან შემწვარი ზღვები. არ მავინყდები, თუმც არც მიცდიხარ. ათას სიზმარში ასჯერ ბრუნდები, სუნთქვეჯერ გიჯერებ, ფეთქვეჯერ მიდიხარ.

ლურჯი ბალების გადაღმა მესმის ჩურჩული სკამის და მონატრების. შენ სამშობლოზე მეტი ხარ ჩემთვის და იესოზე ოდნავ ნაკლები.

ფანჯრების მიღმა

ფანჯრების მიღმა მზე და სიზმარია, ფანჯრების მიღმა სივრცე და ფოკუსი, ფანჯრების მიღმა ხარ შენც, ცა გიკავია, ფანჯრების მიღმა მთამ წვერი მოუშვა. აქეთ კი მე ვრჩები, დაყრილი ფულივით, დაყრილი ფულივით ხელში ასაკრეფი ლექსები და ჩვენი ნედლი სიყვარული. აქეთ დარჩენილმა როგორ გაგაღმერთო? ოთახი. ჰაერი. იდაყვით დაყრდნობილ ჩემს სევდას ცისხელა, შენფერი დალი აქვს. გავცქერი შენს იქეთ მზერით არდანდობილ ცას ცისფერკაბიანს და ყვითელხალიანს. ფანჯრების მიღმაა მზემრგვალა,

პულსივით ფეთქავს და სიკვდილი თითქოს მიზანია. გიჩივი, სხვა რა ვქნა სამყაროვ, გულცივო! ფანჯრების მიღმა ვარ და აქ გრიგალია.

აღმოსავლეთი

სულის სახელურთან მკლავებით დაები, ლაბავ, თავდახრილი იერით მუნჯდები. უკუღმართ წრებრუნვას სად

გინდა გაექცე? ან თავად ტკივილო, ვის გაუყუჩდები? ფესვიდან გამზომეთ, ფესვიდან ვინყები. ტუსალი ზანგივით უდაბნოს ვაბერებ. სული ამომვესო ბინძური მიწებით, ხვატიან ქვიშაში მირაყად გავბევრდი. მზე ფეხში შემერჭო. დახეთქილ ტუჩებზე შენს კოცნას დავიფენ, ოდესმე თუ გნახე. ოაზისს ჩავჭმუჭნი ჯიბეში ჩუმად და გათანგულს, ცხელ შუბლზე მალამოდ დაგადებ.

აზიას ვუხიე ორთვალა საღამო, სულში ჩახედვის რომ აღარ ერიდება. გავხადე დიაცებს სილალის დამალვა, სიცხეში ჩავუნვი ჩადრი და რიდები. დახრუკულ ბედუინს დახალულ ნიკაპზე მუქად დატყობია ფაშატის ნაკოცნი. მზეს შეუნმენდია ფეხები ნოკაზე და ახლა ჩამქრალ ცას ზურგიდან აკოცებს. სულის სახელურთან მკლავებით დაები. ამხსენი მინიდან და აღმოსავლეთით დამაბი. იყურე, სად გინდა გაექცე? შენ კავკასია ხარ სიგრძით და განედით.

გამორთეთ სიკვდილი

ნაფიქრი, ფრაზებში ფეხდამცდარს
მოჰგავს ლეკვს,
ზეცისკენ გამექცნენ, თვალებმა აიშვეს.
მოხვედი, დამსერე და კოცნით ნამლეკე,
თითქოსდა ოდესმე მინდოდა გამეშვი.
გაფნყვეტ სიზმრებში ყიალს და ბორიალს,
ხელებით დაგმანულ დარაბებს

დავამტვრევ.

ამ ჩემი სულის და ლექსების ფორიაქს
გავიტან მზეზე და სიცოცხლეს დავარქმევ.
დამწყვედულ სურვილებს ფრანებზე
მივაბამ,

ბაგეებს შენეულ ვნებებით დავისვრი
და ტანგოს რიტმებში დაფშვნილი
რიტმებით
გავტენი სიტყვებს და შენს ყურთან
გავისვრი

და მერე სიყვარულს, ცხოვრების ნესივით
მიზეზად ვიქცევ და სუნთქვაც იოლია.
ასჯერ დახეული, ასჯერ დაკემსილი
გული მაქვს და ყოფნა ათასგზის ომია.
შენ მოხვალ, დამსეტყვავ,

გახედნილ ბაგეზე

დამაფენ, რაც კი გაქვს, თვალებით
გამზომავ.

ბედთან გვაქვს მე და შენ გრძნობების
ტრაპეზი,
გამორთეთ სიკვდილი - ბებერი ნამზომი!

წულით წული

ასე მგონია, ღმერთი თოვს დღეს.
თოვლია..

ვერდანერილი თოვლი.
მე ვზივარ ჩემი ფანჯრის სევდასთან ერთად
და უცნაურად ხერხავს ტვინი ჩემი ფიქრის
კუნძს.

შენ გამახსენდი. გამახსენდა შენი ხელები,
რომ ვერ ამოკლეს ჩვენ შორის სიგრძე
და შენი კითხვა: მიყვები პოეზიას?..
მას მერე მხოლოდ ღმერთს და მას
მივსდევ...

და მე მიყვები პოეზიას და მე ვწერ სულს.
მინდა ვილოცო და მე ვლოცულობ...

თვალები ფართოდ დახუჭული მაქვს.
დახუჭულშიც თოვს. ნაზად, ფაქიზად,
მელოდიურად.
და მე ამწუთას დანამდვილებით სამი რამ
ვიცი:

რომ მიყვარს ღმერთი და რომ არ გელი
და შენც არ მიცდი.
მე და შენს შორის ანგარიში ნულით ნულია.

ჰალი

ყოველ დილით მინდა გავალო შენი უჯრა
ხერხემლის მალეებიდან მარჯვნივ რომ
გაქვს

და ნეკნი ჩაგიდო.

ვალი მაქვს შენი და ყოველ დილით
ჩემი პერმანენტული ვალი გასტუმრებას
ითხოვს.

ოლონდ, ეგ არის, უჯრა ისე როგორ
გავალო,

შენ რომ ვერ მიხვდე.

ექსტრა ვესტიტუს

მე შენ გამხილე, სამოსელო, შეურღვეველო.
შენ, ჩემო თავო, ეს ნაბიჯიც მომილოცნია.
მონაზონისა მე მშურს გული დაურბეველი
და რომ საფლავებს მზის სხივებიც
მოუკოცნიან.

ნუ დაიჯერებ, რომ ცხოვრება არ
მეორდება

და რომ არ ცივა, თითქოს თბილა,
კარგი დარია.

როდესაც გზები მიწის ზემოთ კვალს
მოშორდება,


უკვე ჩათვალე კვალს აცდი და შენი
ბრალია.

მე შენ გამხილე, სამოსელო, შეურღვეველო.
შენ, ჩემო თავო, ეს ნაბიჯიც მომილოცნია.

მონაზონისთვის ცოდვა – კაბა ფართოდ
რღვეული,

მე კი ჯერ კიდევ ხატისთვისაც არ
მიკოცნია.





გივი
სიხარულიძე

სიკვდილის ნაძვის ხე

სრულიად პატარა ბიჭი ვიყავი, როდესაც დედას პირველად ვკითხე: დედა, დედა, სხვების ნაძვის ხეზე ამდენი ბურთულებია, ჩემსაზე ყველანაირი სათამაშოა, მაგრამ ბურთულები მხოლოდ ხუთია... დედამ თავზე ხელი გადამისვა სიყვარულით და მითხრა: შენ უკვე ხუთი წლის გახდი, ეს ნაძვის ხე კი სიცოცხლის ნაძვის ხეა, რომელზეც შენი წლოვანების მიხედვით ჰკიდია ბურთები, ყოველ წელს თითო ემატება. გვინდა, რომ ას ბურთულამდე ავიდეთ! მართალი გითხრათ, დედაჩემის პასუხისა ვერა გავიგე რა, მაგრამ თავი დავუკარი აქაოდა, ყველაფერი გასაგებია-მეთქი. იმ დღის შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მე კი ყოველ ახალ წელს ველოდებოდი, თუ რა ფორმის, ფერისა და მოხატულობის ბურთულას ჩამოჰკიდებდნენ საშობაო ნაძვის ხეზე ჩემს გასახარად მშობლები. მეორმოცე ბურთულაზე მამა გარდამეცვალა, ხოლო ორმოცდამეცხრეზე, ჩემი ცხოვრების მშვენიერება, დედაც დავკარგე. დავრჩი ასე უძიროდ, არც დედა, არც მამა, არც

ცოლ-შვილი. კარგად მახსოვს, ახალი წლის წინა დღე, თოვლი ციდან ისე ბარდნიდა, ვიფიქრე თეთრი ფერების გუნდი დაიძრა დედამინის მოსაფერებლად-მეთქი. გამახსენდა გარდაცვლილი მშობლები, რომლებიც ახალი წლის წინა დღეს ბრუნდებოდნენ სახლში ულამაზესი ნაძვის ხითა და მისი შემამკობელი ბრჭყვიალა ბურთულით. სევდამ შემიპყრო. იქვე, ქუჩის კუთხეში, ვილაც გლეხი ნაძვის ხეებს ჰყიდდა. რა ღირს-მეთქი? როცა მიპასუხა, ჯიბიდან ფული ამოვიღე, გავუწოდე და ორი ნაძვის ხე ამოვირჩიე. როცა მოსამსახურემ კარი გამიღო, განცვიფრდა: ორი რად გინდოდაო? რად და, ჩემო ოლია, ეს ერთი სიცოცხლის ნაძვის ხეა, მეორე კი სიკვდილთან დაახლოებისა. ეგ როგორო? გაიკვირვა. როგორ და ესე!!!... და სახლში შევაბიჯე. აბა, ოლია, მომეხმარე ნაძვის ხეების განყოფაში... სიცოცხლის ნაძვის ხეზე ორმოცდაცხრა ბურთულა ჩამოვკიდე. უცებ ოლიას თვალები ეშმაკურად აუციმციმდა და კალთის ჯიბიდან დიდი ფრანგული ბურთულა ამოიღო, — ვიცოდი, რომ აღარ შეიძენდი და მე გიყიდე დაბადების დღისთვის. ხომ არ დაგავიწყდა, პირველ იანვარს, 50 წლის ხდები! მის კეთილად გაცისკროვნებულ სახეს შევხედე და მადლობა გადავუხადე ასეთი სიყვარულისათვის. მერე კი ბურთულა სიკვდილის ნაძვის ხეზე ჩამოვკიდე. ენყინა, რას შევბიო? მაგრამ მიმიხვდა ჩანაფიქრს და მხოლოდ თავისთვის ჩაილულულა, დიდი უცნაური კაცი ხარო. ის დღე იყო და ის დღე, ყოველ ახალ წელს ოლია სიცოცხლის ნაძვის ხიდან თითო ბურთულას აკლებდა და სიკვდილის ნაძვზე ჰკიდებდა. მთელმა ჩემმა სამეგობრომ შეიტყო და ალაპარაკდა ჩემი უცნაური ახირების შესახებ. მკიცხავდნენ, ღმერთს ნუ სცოდავ, ამ სისულელეს შეეშვი, თორემ იცოდე ცუდად დაამთავრებო. მე კი ღიმილით ვპასუხობდი: ამაზე მეტი რა უნდა დამემართოს? დავრჩი ასე ეულად და ველოდები სიკვდილის განაჩენს-მეთქი. უკვე ოთხი ბურთულა აკლდა სიცოცხლის ნაძვს, რომლებიც სიკვდილის ნაძვის ხეზე გადასკუპებულ იყვნენ. „პრივეტ“, ლამაზებო, ჩავილაპარაკებდი ჩემთვის და ისე, რომ სიცოცხლის ნაძვისკენ არც კი ვიხედებოდი. სიკვდილის ნაძვთან ვიდექი მდუმარედ. ოლია მსაყვედურობდა, დავანებოთ ამ სისულელეს თავი და დავდგათ ყოველ წელს ერთი ნაძვის ხე, როგორც ნორმალურ ხალხს შეჰფერისო. მე კი თითქოს ჯორზე შევჯექი, ვჯიუტობდი, არა-მეთქი! ჩემს ეზოში, ერთოთახიანბინაში ლტოლვილები ცხოვრობდნენ. დედა, მამა და ორი შვილი. ისეთი ლამაზი ბიჭი და გოგო ჰყავდათ, რომ სახლში ისე არ დავბრუნდებოდი, მათთვის რაიმე საჩუქარი არ მომეტანა. ერთ მშვენიერ დღეს, მამა რუსეთში ნავიდა სამუშაოდ. კაი ფულის შოვნა დაიწყო. სანყლებმა ამოისუნთქეს. არ გასულა ორი წელი, გავიგე, რომ ამ ძაღლისშვილმა ვილაც რუსის გოგო მოიყვანა ცოლად. სანყალმა ბავშვებმა მოინყინეს. ჯერ ის არ კმაროდა, რომ საკუთარი

კერა დაკარგეს, ეხლა კი ბედისწერამ მამაც წაართვათ. დედამ ისე განიცადა ქმრის ღალატი, რომ ცოტა ხანში ლოგინად ჩავარდა და გარდაიცვალა. ის დამძალი კი ცოლის დაკრძალვაზეც არ ჩამოვიდა, ნათესავებს ფული გამოუგზავნა, პატივისცემით დამარხეთო. ხომ იცით, რო ჩამოვიდე, უკან ველარ დავბრუნდები ვიზას აღარ ჩამირტყამენო. მერე თავის დას დაურეკა, ბავშვები საცხოვრებლად შენთან გადაიყვანე, მათი რჩენა, ჩემზე იყოსო. მაგრად დავიბოღმე ამ არაკაცზე. კიდევ კარგი, არ ჩამოვიდა, თორემ, ალბათ ცემაში ამოვხდდი სულს. შევხედე გაუბედურებულ მის დას და მივხვდი, რა დღეშიც ჩავარდებოდნენ ბავშვები. ჯერ თვითონ რა ჰქონდა, რომ ამათთვის გაეღო. თანაც, სადღაც გარეუბნის დასახლებაში ცხოვრობდა ყოფილ სკოლაში, ლტოლვილებთან ერთად. იცი, რას გეტყვი, ეთერ, მოდი, ეს ბავშვები მე დამიტოვე. ხომ იცი, არავინ მყავს. მე და ოლია ჩიტის რძეს არ მოვაკლებთ, შენს ძმას კი უთხარი, ვითომ შენთან იზრდებიან. ამათთვის გამოგზავნილი ფულით კი შენს შვილებს მიხედე-მეთქი. ეგ როგორ? როგორ და ღამაზად, არც შვილებად ამყავს და არც მამას ვართმევ. იყვენ ჩემთან, სანამ სკოლას დაამთავრებენ და მერე კი თვითონ გადაწყვიტეთ მათი ბედი. ეგრე როგორ შეგანუხოთ? პირიქით გამახარებთ! შევძახე და ორივე ჩემთან დავტოვე. შენს კაცობაში არასოდეს შემპარვია ეჭვიო, მითხრა ოლიამ და ბავშვები საკუთარი შვილებივით ჩაიკრა გულში. მაგრად ვანებივრებდი ორივეს, მინდოდა დედის გარდაცვალებითა და მამის ღალატით გამონეული სევდა როგორმე გამექარწყლებინა მათთვის. უკვე მესამე ახალ წელს ვხვდებოდით ერთად. ნაძვის ხეების ამბავი ბავშვებმაც მშვენივრად იცოდნენ. მართალია უკვირდათ ჩემი ასეთი მოქცევა, მაგრამ არ იმჩნევდნენ. მეც ორი ნაძვის ხე მოვიტანე სახლში. დამტკრეული ყუთიდან სათუთად ჩანყობილი ბურთულები ამოვიღე და სიცოცხლის ნაძვის ხეგავანყვე. შემდეგ, ერთი ბურთულასიკვდილისაზე გადავანაცვლე. მერე ჩემს უსაყვარლეს ოჯახის ნევრებს შევუტრიალდი და შევძახე: აბა, თუ მიხვდებით, რა სიურპრიზი მოგიმზადეთ-მეთქი. პატარა არჩილი გაცივებული თვალელებით მიყურებდა და ვერაფრით გამოეცინო, თუ რა სიხარული ელოდა, ხოლო სახეგაბრწყინებულმა ნინომ შესძახა: თოვლის ბაბუა და ფიფქია უნდა გვესტუმრონო! მივხვდი, რომ ოლიამ „ჩამიშვა“ ნინოსთან და ღიმილით გუთხარი არჩილს, ხედავ, შენი და რა ჭკვიანი გოგოა, როგორ გამოიცნო-მეთქი. მან თავისი ჭკვიანი თვალელები შემომანათა და შესძახა: ოლია ბებო თუ მეტყოდა, მეც გამოვიცნობდიო. ყველას სიცილი წაგვსკდა. მართლაც, ცოტა ხანში, თოვლის ბაბუა და ფიფქია გვეწვივნენ, ათასი სათამაშოებითა და ტკბილეულით. შემდეგ, სიცოცხლის ნაძვს, ბავშვებთან ერთად რამდენჯერმე შემოუარეს და ცეკვითა და სიმღერით აიკლეს იქაურობა. ჩემს სიხარულს საზღვარი

არ ჰქონდა, როცა მათ გაბრწყინებულ სახეებს ვუყურებდი. ახლა კი მთიულური დავუაროთო, ახტა და დახტა თოვლის ბაბუა და ფიფქია გამიცეკვა. მერე არჩილს დაავლეს ხელი. არჩილიც დატრიალდა, კარგი ვაჟკაცივით გაუსვა და გამოუსვა. ის იყო, თავმომწონედ რალაც ილეთი ჩაახვია, რომ ფეხები აებლანდა და სიკვდილის ნაძვს დაეჯახა. ნაძვი შეტორტმანდა, თითქოს ნაქცევად არ უნდოდა, მაგრამ მაინც თავის სათამაშოებიანად მოაძინა ძირს ზღართანი. ყველა სათამაშო დაიმსხვრა. არჩილი შეშინებული მიყურებდა, არ გამოიჯავრდესო. მე კი გიჟივით მივვარდი, რამე ხომ არ იტკინამეთქი, როცა დავრწმუნდი, რომ ყველაფერი კარგად იყო, გულში ჩავიკარი და გავიძახოდი, ესეც შენ სიკვდილის ნაძვის ხე, შენ იქ რა გესაქმება, სადაც სიცოცხლის ავარდნილი ალი სამყაროს ეალერსება... ესეც შენ-მეთქი. ის დღე იყო და ის დღე, ორი ნაძვი აღარ მიყიდა, ხოლო სიცოცხლის ნაძვზე, ჩემი წლოვანების მიხედვით, ყველა ბურთულა ჩამოვკიდე, რომლებსაც ზედ დავამატე ნინოსა და არჩილის წლოვანების ახალი ბურთულები. ერთ ღამეს ძილში დედა გამომეცხადა, — გმადლობ, შვილო, იმ სიკეთისათვის, რაც მე და მამაშენს გაგვიკეთეთო. რა სიკეთე, დედა, ისე წახვედით ამ ქვეყნიდან, ვერაფერი მოვასწარი, თქვენთვის რომ მომეძღვნა. დანყნარდი, შვილო, დედისათვის იმაზე დიდი საჩუქარი რა უნდა იყოს, როცა მისი შვილი სიკეთით ცხოვრობსო. მერე ხელი მომჭიდა, თეთრი მტრედების გუნდს ძაფი გამოაბა და ცაში ამაფრინა. მტრედები ეკლესიის გუმბათზე შემოსხდნენ, მე კი ჯვარს ჩავეჭიდე იმის შიშით, არ ჩამოვვარდნილიყავი. უცებ საიდანღაც ანგელოსი მოფრინდა. სახე ბავშვების დედას მიუგავდა. ფრთებზე შემისვა და ეკლესიაში შემაფრინა, ნელა დაეშვა საკურთხეველთან და ფრთები ნაზად დაიქნია, მერე კი, უკვე, ვიღაც მექორწილებთან ერთად ჯვრისწერაზე აღმოვჩნდი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. გვერდზე მდგომ თეთრწვეროსანს ვკითხე — ვისი ჯვრისწერაა-მეთქი? შენიო, მითხრა. მინდოდა მეთქვა, ცდებით, ბატონო, როგორ გეკადრებათ-მეთქი, რომ კაციც გაქრა და მეც გამეღვიძა. სიზმარი არავისთვის არ მომიყოლია. იმავე საღამოს მეზობელი ქალბატონი გვენვია, რომელიც ხშირად გვსტუმრობდა იმის შემდეგ, რაც ბავშვები საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიყვანე და მათ გერმანულ ენაში ამეცადინებდა. თვის ბოლოს გარკვეული თანხა ჩავდე კონვერტში და გავუწოდე. მაგას ნუ მაკადრებთ, სიკეთე ფულით არ იზომებაო. ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, მივხვდი, არ არტისტობდა. ბოდიში-მეთქი და ფული ცივად დავდე მაგიდაზე. ჰოდა, ჩემო ბატონო, სწორედ ამ ახალგაზრდა ქალმა შემოაბიჯა ჩემს სახლში. მორცხვად, თავდახრილმა მომმართა, შემიყვარდი და რა ვქნაო? არაფერი, აქ დარჩი-მეთქი, მივუგე ჩემდაუნებურად, ხოლო რამდენიმე დღეში ჯვარი დავინერეთ სიონის საკათედრო ტაძარში. როცა მღვდელი ჯვარს

გვწერდა, ვანგლობდი, ცოლი კი მომყავს, მაგრამ, ამ წლოვანებაში, ვერ ვხვდები, რა დანიშნულება აქვს ცოლს-მეთქი. ძმაკაცებმა იხუმრეს, სულ ცოტა ხანში მიხვდებითო. მე კი უკვე ვიცოდი, რომ ეს ცოტა ხანი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდებოდა. იმათ რომ გაიქილიყეს, ისე ვერ გამოვიდა. ალბათ იმიტომ, რომ იგი ღმერთმა მიბოძა და არა ვიღაცამ. ხოლო როცა ჩემს არჩილსა და ნინოს აქეთ-იქიდან ხელჩაქიდებული ჩემი გოგონა საბავშვო ბაღში მიჰყავდათ, კიდევ ერთხელ გამახსენდა დედის გამოცხადება სიზმარში. ბავშვების დედის სახიანი ანგელოსი და თეთრწვეროსანი. ბედნიერმა ცას ავხედე, სადაც მტრედები ნავარდობდნენ.

ის კლუს მი

ვორონცოვზე, კალინინის ქუჩაზე, მანქანით მივდივარ. ვხედავ, უღმერთოდ მოჭრილი ხეები სულს ლაფავენ. ბრძოლის ველზე დაჭრილი ჯარისკაცებით ყრიან მიწაზე. ელექტროხერხის ხმა იქაურობას აყრუებს. ნელ-ნელა ჩემს ყოფილ სახლს მივუახლოვდი, სადაც დავიბადე და გავიზარდე. თვალში მეცა ჭიშკართან ნაქცეული უზარმაზარი აკაციის ხე, რომელსაც უმონყალოდ ხერხავდნენ ნაწილებად.

— რას შვრებით, შეჩერდით! — შევყვირე, მერე კი ჩემს საქციელზე გამეცინა და წყნარად ვთხოვე:

— თუ შეგიძლიათ, ეს გადაჭრილი მორი მომყიდეთ.

— თქვენ რა, ხუმრობთ? რა ჭირად გინდათ? შეშად არ გამოდგება და მასალად. მანქანა მოვა და ქალაქარეთ გადავყრით. თუ გნებავთ, მთელ ხეს გაგატანთ.

დიდი მადლობა-მეთქი, და ვთხოვე საბარგულში ჩაედოთ. მხერხავმა და ორმა ახალგაზრდამ მორს ხელი დაავლო და საბარგულში ჩადო. მორი დიდი იყო და საბარგულის სახურავი ღია დამრჩა. როცა მანქანას ვძრავდი, ერთმა მათგანმა მკითხა:

— ბიძია, მაინც, რად გინდა ეს კუნძი?

ახალგაზრდას ნალვლიანად შევხედე და ვუპასუხე:

— ეს ხე ჩემი ბავშვობის მეგობარია და რადგანაც ბავშვობის მეგობრებიდან აღარავინ შემომრჩა, გადასაგდებად არ მემეტება.

ბიჭმა ისეთი გაოცებით შემავლო თვალი, ალბათ იფიქრა „ამ სანყალს გაურეკიაო“.

შეიძლება არც ცდებოდა.

როცა მანქანიდან გადმოგვექონდა მე და ჩემს მეზობლებს, ხელზე სისველე მომხვდა, როგორც კი განაჭერს კვლავ შევებე, თითქოს მისი „გულისცემა“ ვიგრძენი, ხოლო, როცა ბალის კუთხეში ვდგამდით, ფეხზე ორი-სამი წვეთი დამეცა, მივხვდი, რომ მადლიერების ცრემლი წვეთავდა.

და მეც ავტირდი. უცებ თავში გამიელვა:

დღეს ხომ მეც ამ ხესავით მჭრიან და მხერხავენ. მაინც კიდევ რამდენჯერ მომიწევს დაქუცმაცება? ნეტავ ჩვენს შორის ვინ უფრო ადრე გაუყვება იმქვეყნიურ გზას?

უცებ ხმა ჩამესმა:

— გახსოვს, 13 წლისამ შენი შეყვარებულის სახელი „ის + გივი“ რომ ამოჭერი ჩემს მკერდზე? ვერ წარმოიდგენ, გული როგორ მატკინე, როცა გავიგე, რომ შენი რჩეულის სახელი მხოლოდ ჩემზე დარჩა მწარე მოგონებად. შენ კი სხვა არჩიე ცხოვრების მეგზურად. შენს შემდეგ ვინც კი ამოჭრა თავისი და შეყვარებულის სახელი, აღარავის დაუფუჯერე. რაც უფრო არ მჯეროდა ადამის მოდგმის წმინდა გრძობისა, უფრო და უფრო ვიხრებოდი ქუჩის მეორე მხარეს მდგარი ცაცხვისკენ, ჩვენი ტოტები კი ბოლოს ისე გადაიხლართა ერთმანეთში, რომ ყველა გამვლელი გაოცებული ამბობდა: „რა სილამაზეა! პირდაპირ სამოთხის ხეივანიო“.

ასე გავატარეთ 40 წელი. მაგრამ ერთხელ, დიდთოვლობისას, თოვლს შეეუყვარდი. აღარ იცოდა რა ექნა, რომ ცაცხვისგან როგორმე დავემორებიანე და თითქოს ბუნებაც მიუხვდაო, ერთ ღამეს ისეთი დიდი თოვლი მოვიდა, რომ ცაცხვს ტოტები ჩამოამტვრია. მინდოდა მის ტოტებში ჩახლართული, თან გავყოლოდი, მაგრამ თოვლმა დამასწრო, ჩემი ტოტებიდან ჩასრიალდა და ჩემს ფესვებთანვე მოადინა ზღართანი.

— რას შვრები? — შევყვირე გამწარებულმა, — ახლა ხომ აღარც იმისი ვარ და აღარც შენი.

მომაკვდავმა თოვლმა მაინც მოასწრო და ამომძახა:

— ახლა უფრო ჩემი ხარ, რადგან შენს ფესვებში ისე გავჯდები, რომ შენი სიცოცხლით მეც ვიცოცხლებ....

ამ სიტყვებმა უცნაური ყრუოლა მომგვარა. „ნუთუ მეც მიყვარს?!“ — გამიელვა თავში და ტოტებდალენილ და გაუბედურებულ ცაცხვს გადავხედე. თითქოს მიმიხვდა ღალატს. სირცხვილისაგან, დარჩენილი თოვლი ცრემლებად დამდინდა თვალებიდან.

— შემინდია, ღალატი შემინდია, — ჩამწვდა ტოტებში.

იმ გაზაფხულზე, როცა კვლავ მწვანედ გავიფურჩქნე, გარდაიცვალა ცაცხვი.

ქალაქის გამწვანების ტრესტიდან მოვიდნენ და პირველივე გამხმარი ტოტი მოახერხეს. მაინტერესებდა, საით დაეცემოდა, — არც ერთი ჩემკენ არ დაეცემულა. ხოლო როცა ძირში გადაჭრეს და მოკლე ნაჭრებად ხერხავდნენ, ბოლო კუნძი ჩემსკენ გადმოგორდა. თითქმის ქუჩის შუამდე მოაღწია. ის-ის იყო უნდა შემხებოდა, რომ პლენხანოვის მხრიდან ჩქარი სვლით მომავალმა ტრამვაიმ დაარტყა და ნაფოტებად აქცია. ნუთუ ჩემთან ბოლოს გამოთხოვება უნდოდა და უფალმა არ ინება მოლაღალატესთან მისი სხეულის მოახლიება.... აკი, შენც ბევრჯერ აგე პასუხი შენი ღალატი-

სათვის. მეც, ცოცხალი ხნის შემდეგ ისე დავინყე გახმობა, როგორც მეძუძურ ქალს რძე უშრება. და აი, დამანანევრა კიდევ ადამიანთა მოდგამამ. როცა მჭრიდნენ, კვნესაც არ დამცდენია, თითქოს ღალატის საფასურს ვიხდიდი. ახია ჩემზე: ღმერთმა გამწირა-მეთქი; ახლა კი მივხვდი, რომ უფალმა ცოდვები შემიწოდო, რადგან შენი თავი გამომიგზავნა გადამრჩენად.

ამ სიტყვების გამგონი, გიჟივით შევვარდი სახლში, იქიდან დანა გამოვიტანე და მოჭრილი ხის კუნძს, რომელიც ჩემთვის გასულიერებულიყო, დავანერე: „აკაცია + ცაცხვი, ის + მე...“

თეთრი გული

1987 წლის აგვისტო. სოჭის სასტუმრო „ჟემჩუჟინაში“ ხალხმრავლობაა. ერთ თავისუფალ ნომერს ვერ ნახავ. ეგრეთ ნოდებულები „ვერხი“, ესე იგი ქრთამი, სასტუმროში მოსაწყობად 1000 მანეთს აღწევს. ისიც, თუ მაგარი ბიჭი ხარ და გენდობიან. მე ჩემს მეგობართან ერთად, რომელიც იმ პერიოდისათვის ერთ-ერთ მდიდარ კაცად ითვლება, სასტუმროს აპარტამენტებში ვნებავრობ. საღამოს კი, მთელი ეგრეთ ნოდებულები მაგარი ბიჭები, თავიანთი ოჯახებით, ან საყვარლებით, სასტუმრო „ჟემჩუჟინის“ რესტორანში ვერთობით.

არის ერთმანეთის ჯინაზე რაც შეიძლება გრძელი სუფრების გაშლა, რომელზეც სურსათ-სანოვაგე სართულებად დაუნყვიათ. ჩემი თვალით ვნახე, ერთი ძალიან მდიდარი ლენინგრადელი კაცი, თავისი ოჯახის წევრებს როგორ აჭმევდა კოვზებით ხიზილალას. მტრების ჯინაზე, ვითომც და დიდი პატივისცემის ნიშნად, ერთმანეთს ურიკებზე დანყობილ შამპანურებს უგზავნიან.

ერთი სიტყვით, საბჭოთა ეპოქის დაშლის ბოლო წლებია, ამიტომ მდიდარი ხალხის აღვირახსნილობამ პიკს მიაღწია, რადგან ფულით უკვე ყველას და ყველაფრის ყიდვა შეიძლება.

მასხენდება ან გარდაცვლილი ერთი ბიზნესმენის სიტყვები: „ჩემო გივი, ფულით ყველაფრის ყიდვა არ შეიძლება, მაგრამ დიდი ფულით ყველას და ყველაფერს იყიდი“. მერე, მე დავრწმუნდი, როგორ სცდებოდა ამ სიტყვების ავტორი, რადგან იგი არნახულ ფულს იხდიდა ერთ ბინძურ საქმეში. ეს საქმე მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ღლის თორმეტი საათიდან პლაჟზე, სადაც შესვლა უბრალო მოკვდავთ არ შეუძლიათ, მხოლოდ წინა ღამეს მაგრად გამომთვრალი, ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ცოცხალი ლეშებივით თვლემენ შეზღონგებში, ხოლო მათი „სიცოცხლეები“ ერთმანეთში ჭორაობენ და წინა ღამის საოცრებებს არჩევენ. ერთ ინტელიგენტს ვერ ნახავთ მთელ ამ ნაკრებში.

ინტელიგენცია სანოლში ორ მანეთს იხდის სოჭის მთებზე მოფენილ სახლებში, საიდანაც დილაადრიან ჩამოდიან და ქალაქის საერთო,

ქვიან პლაჟზე დაფენილ პირსახოცებზე წვანან და მზეს ეფიცებიან. ვის არ ნახავთ აქ: დიდი მეცნიერიდან დანყებული უბრალო ექიმითა და ინჟინრით დამთავრებული. მათი საუბრის მოსმენა დიდი ფუფუნებაა.

ერთხელ გავიფიქრე, მართალია „ჟემჩუჟინას“ პლაჟსა და ქალაქის პლაჟს ერთმანეთისგან გერმანიის კედელი არ ჰყოფს, მაგრამ ეს უხილავი კედელი უფრო ძლიერია, ვიდრე გერმანიის, რადგან „ჟემჩუჟინას“ კედელში გამომწყვდეული ფულის მშოვნელები თავისი ოჯახებით, უფრო შორს არიან, უხილავი კედლის მეორე მხარეს მყოფთაგან, როგორც შინაგანი მრწამსით, ასევე ინტელექტით.

გერმანიის კედელს ერთ მშვენიერ დღეს დაანგრევენ, მაგრამ ამ ფულით განებივრებულ კაცებსა და ინტელიგენციას შორის სამუდამოდ არის ხიდი ჩატეხილი-მეთქი.

ერთი სიტყვით, „ჟემჩუჟინას“ სასტუმროში დიდი გრიალია, ხოლო გარყვნილება უმაღლეს „შკალას“ ანგრევს.

ერთი, ძალიან სუფთად და კომპიად ჩაცმული სიმპატიური ახალგაზრდა ვაჟი, თავისი „ჟემჩუჟინაში“ მცხოვრები ნაცნობების წყალობით, ხან ერთისა და ხან მეორისაგან ნაშოვნის საშვით, ჩვენს პლაჟზე შემოდის. კარგი ვინმეა: კარგად ცურავს, მაგიდის ჩოგბურთში ყველას ჯაბნის, ხოლო მინი ფეხბურთში ბადალი არა ჰყავს. საღამოს, რესტორანში, სადაც უდავოდ ვილაცის დაპატიჟებულია, ძალიან კარგად ცეკვავს. ერთი სიტყვით, კარგი ვინმეა. ყველას ყურადღებას იქცევს თავისი ზრდილი მოქცევით. ნელ-ნელა ჩვენც დაუახლოვდით. ერთი-ორჯერ რესტორანშიც დავპატიჟეთ, მერე კი მის გარეშე სუფრასთან დაჯდომა ველარც ნარმოგვედგინა. საოცრად ენაწყლიანს, თითქოს მარგალიტები სცვივა პირიდანო, თანაც იუმორის საოცარი შეგრძნება აქვს.

ერთხელ ვკითხე, რომელ სასტუმროში ცხოვრობ-მეთქი, „ჩარლი“? სასტუმრო „თეთრი გედო“, — მიპასუხა — ერთი ოთხი დღე სასტუმრო „გენერალ პროხომენკოშიც“ ვიცხოვრე.

უცებ გადაწყვიტეთ რესტორან „კავკაზსკი აულში“ გვესადილა. რადგან პლაჟზე ჩვენს ახალ მეგობარს დილით ვერ შევხვდით, ჩვენს ადმინისტრატორს ვთხოვე სასტუმრო „თეთრი გედის“ ტელეფონის ნომერი მოეცა ჩვენთვის.

ცნობარში ძებნის შემდეგ ცალსახა პასუხი მივიღეთ, — ასეთი სასტუმრო სამწუხაროდ სოჭში არ არსებობს.

— როგორ არ არსებობს, ჩვენი მეგობარი ცხოვრობს.

— ცდებით, ბატონო — მიპასუხა ადმინისტრატორმა.

— მაშინ, იქნებ სასტუმრო „გენერალ პროხომენკოს“ ნომერი მითხრათ.

— ასეთი ცნობარის გარეშეც ვიცი, რომ სოჭში არასოდეს ყოფილა.

კუდამოძუებული გამოვბრუნდი და ის იყო, ნომერში ასვლას ვაპირებდი, რომ ვესტიბიულ-

ში განათებულსახიანი, გამონკეპილი „ჩარლი“ შემოვიდა, — როგორ ბრძანდებითო, — მითხრა და ალაღად გადამეხვიდა.

არარსებული სასტუმროების შესახებ არაფერი მითქვამს.

— რა კარგია, რომ მოხვედი. „კავკასიური აულში“ ვისადილოთ-მეთქი და მართლაც, ნახევარ საათში უკვე იქ ვქეიფობდით.

ლამის ორ საათზე, როდესაც ქეიფი მორჩა და სუფრა აიშალა, მას ჩვენს მანქანაში ჩაჯდომა და სასტუმრომდე მიყვანა შევთავაზე.

— არ მინდაო, — მითხრა. — ოფიციალტ ნინას დაველოდები, იქნებ ჩემთან წამოსვლაზე დავიყოლიო.

— შენი საქმისა შენ იცი. — ამ სიტყვებით ერთმანეთს დავცილდით. ჩვენი ძმაკაცის მანქანიდან ტაქსიში გადავსხედით, მის მძღოლს კი ვთხოვე, ჩუმად „ჩარლიკას“ გაჰყოლოდა უკან და გაეგო, სად ცხოვრობდა ჩვენი საიდუმლოებით მოცული მეგობარი.

— კი, ბატონო.

ორი საათის შემდეგ მძღოლმა გამაღვიძა: — ბატონო გივი, ისეთ რამეს გეტყვით, შეიძლება გიჟი გეგონოთ.

— მომიყევი. ასეთი რა ნახე, შე კაცო.

— რა ვნახე და ჩვენს „ჩარლიკას“ სოჭის სასაფლაოზე სძინავს ვიღაცის საფლავზე. იმ საფლავზე თეთრი გედის მონუმენტი გამოკვეთილი, სწორედ გედის ჩაღრმავებულ ადგილზე, პლედი აქვს გადაფარებული და სძინავს.

— ვერ დავიჯერებ. მართლა, თუ სიგიჟეს ჰყვები? — მივუგე გაკვირვებულმა.

— თუ არ გჯერათ, წამომყევით და განახებთ.

— არა, ახლა არ გვინდა. დილით წავიდეთ, როცა ის იქ აღარ იქნება.

— კი, ბატონო, — მიპასუხა მძღოლმა და დასაძინებლად წავიდა.

მთელი ღამე არ მიძინია, ყველაფერს წარმოვიდგენდი, ამის გარდა. დილის საუზმის შემდეგ პლაჟზე ჩავედი. ვხედავ, „ჩარლიკა“ უკვე ჩოგბურთს თამაშობს, ე.ი. სასაფლაოდან წამოსულია.

მე დრო ვიხელთე, მძღოლს მანქანაში ჩავუჯექი და სასაფლაოს მივაშურე. მძღოლმა ზუსტად იმ საფლავთან მიმიყვანა, სადაც საკმაოდ დიდი ზომის თეთრი გედის მონუმენტი დავინახე წარწერით: „თამარა უსპენსკაია. ჩემი ცხოვრების თეთრ გედს ანდრიასაგან“. ამ საფლავის გვერდით ერთი გადახურული საფლავი შევამჩნიე, რომელშიც გრძელი ხის სკამი იდგა. სკამის გვერდით დიდი ზომის მარმარილოს მაგიდა დაედგათ. ხოლო ობელისკზე სამხედრო ფორმაში გამოკვეთილი გენერალი მოსჩანდა, ქვემოთ კი წარწერა: „გენერალი პროხომენკო“.

სასონარკვეთილებამ შემიპყრო. ნუთუ მართალია?! ამ ფიქრებში ვიყავი, რომ თავზე სასაფლაოს დარაჯი წამოგვადგა, — ვის ეძებთო...

მძღოლმა მიუგო: — ჩვენს მეგობარსო.

— იმას ხომ არა, აქ ღამეს რომ ათევს?

— დიახ, იმას. — გავეპასუხე მე.

— დიდი უცნაური ბიჭია. რამდენჯერ შევთავაზე, ჩემს ჯიხურში დანექი-მეთქი, მაგრამ უარს მეუბნება, აქ სუფთა ჰაერზე მირჩევნია, თანაც ბალეტის სტუდია მაქვს დამთავრებული და ბალერინას გვერდით კარგად ვგრძნობ თავსო. წვიმის დროს კი გენერალ პროხომენკოს გადახურული საფლავის სკამზე იძინებს. ისე, წესიერი ბიჭია. მოსული არ არის, რომ ორ მანეთს მიტოვებს ყოველ ღამით.

— პირველად ვნახე, კაცს სასაფლაოზე ეძინოს და ასე სუფთად იყოს ჩაცმული. — გამოვთქვი ჩემი მოსაზრება.

— ტანსაცმელი ჩემს ჯიხურში უკიდია, ხოლო შარვალს, ყოველ დილით, პროხომენკოს საფლავის მარმარილოს მაგიდაზე აუთოებს, რადგან საფლავს ელექტრო შესაერთებელი აქვს.

— კი, მაგრამ „შტეფსელის“ გაკეთება ვის დასჭირდა საფლავზე? — ვიკითხე გაკვირვებულმა.

— გენერლის მეუღლემ შუქის ასანთები დააყენებინა, შემთხვევით ორმაგი აღმოჩნდა. ეს „შტეფსელიც“ სწორედ ამიტომ არის აქო.

გაოცებისაგან ენა მუცელში ჩამივარდა. სადღაც შორს წავედი ფიქრებით.

ჩემი კასტის ყველა ადამიანი, რომელიც ფულში იხრჩობოდა, შემზიზლდა.

— ვაი, ჩვენს ყოფას-მეთქი, — წარმოვთქვი, დარაჯს 10-მანეთიანი ვაჩუქე და ვთხოვე, ჩვენს ვოიაჟზე არაფერი ეთქვა.

— კი, ბატონო, — წარმოსთქვა და დავცილდით ერთმანეთს. იმ დღიდან „ჩარლიკას“ ნომერი გავუკეთე „ჟემჩუჟინაში“ და ბოლო ერთი კვირა ერთად ცხოვრება შევთავაზე.

— არ მინდა, მე ისევ ჩემს სასტუმროში ვიცხოვრებო, — მითხრა „ჩარლიმ“.

— სად გეძებო ყოველ წუთს. სჯობს ისევ აქ იცხოვრო, რომ სულ ერთად ვიყოთ.

იმ დღიდან მოყოლებული, ჩვენი მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. ძალიან ნიჭიერი იყო და მისგან ძალიან საინტერესო მწერალი დადგა, რომელსაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში კითხულობენ.

ეს ამბავი ერთ-ერთ წიგნში შეიტანა ნოველად. როცა წავიკითხე, აზრი მკითხა, მომეწონა თუ არა და როცა ჩემგან დადებითი პასუხი მიიღო, — ძალიან-მეთქი, — მაშინ გამომიტყდა რომ ეს ამბავი ნამდვილი იყო და საკუთარ თავზე ჰქონდა დანერილი.

— ვიცი. — ვუთხარი მე.

— მეც ვიცი, რომ იცი და არასოდეს არ გამიმხილე, გული არ მატკინე. ამიტომ არის, რომ ძალიან მიყვარხარ. დარაჯი ყველაფერს მომიყვა.

მე მის ჭალარა თმასა და უკვე მიმქრალ, გადაღლილ თვალებს შევხედე და კიდევ ერთხელ მივხვდი, რა ძალა ჰქონია სიკეთით ცხოვრებას.

ამ წიგნის გამოსვლიდან დიდი ხნის შემდეგ,

როცა იგი გარდაიცვალა, ჩემი დაჟინებული თხოვნით მისმა ცოლ-შვილმა საფლავის ქვაზე თეთრი გედი ამოატვიფრინა, რომლის ქვეშაც ეწერა. სასტუმრო „თეთრი გედი“.

ამ ქვეყანაზე არავინ იცოდა, რას ნიშნავდა ეს წარწერა, უფლის, ჩემი და სასტუმროს ახალი ბინადრის გარდა.

მოლაპატე მეგობარი

ამას წინათ რუსეთის ერთ-ერთ არხზე ტელეგადაცემას ვუყურებდი. ტელენამყვანებმა არენაზე ვილაც ულამაზესი გარეგნობის ახალგაზრდა ქალბატონი გამოიყვანეს და პირველი კითხვაც გაუღერდა:

— ჩვენო უმშვენიერესო კატინკა, გყავთ თუ არა მეგობრები ქალთა სქესის წარმომადგენლებში?

უცვებ გამოიხატა ირონიული ღიმილი მის მშვენიერ სახეზე და მომენტალური პასუხიც გაისმა: — არა! და არც ვაპირებ ყოლას.

— კი, მაგრამ, რატომ? ვინ ან რა განყენინათ ისეთი, რომ საერთოდ აიყარეთ გული მეგობრობაზე?

— რას ბრძანებთ, ქალი მეგობარი, ეს იგივეა, გველი ატარო უბით.

დარბაზში მოწვეულმა სტუმრებმა ტაშის გრილით დააჯილდოვეს ეს განებივრებული კატა.

ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა და გაკვირვებულმა ნამყვანმა მამაკაცმა გადაწყვიტა ჩაძიებოდა რესპონდენტს:

— არც სკოლის მეგობარი გყავთ?

— არც მყავს და ვერც მეყოლებოდა, რადგან როდესაც ჩემი გარეგნობისა და მდგომარეობის ქალი თავისი კარიერის კიბეზე მწვერვლებისკენ მიისწრაფვის, ცხადია საერთო ენას ვეღარ პოულობს თავისი სკოლის არაფრით გამორჩეულ მეგობრებთან. სამწუხაროა, მაგრამ ასეა! — ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ქალმა ისეთი ცივი სახე მიიღო, ამ პაპანაქება ზაფხულში ტანში შემაცვივა.

— რა შუაშია კარიერისადმი მიზანსწრაფვა მეგობრის სიყვარულთან და ურთიერთგაგებასთან ... თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ გულით არავინ გიყვართ და არც ენდობით.

— მე მხოლოდ ჩემს დედას, მამას და მეუღლეს ვენდობი.

ამ სიტყვების მოსმენისას ცოტა ამოვისუნთქე. ვილაცა მაინც ჰყვარებია ამ ოჯახამეზობულს-მეთქი.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როცა რაიმე გიჭირთ, ან საიდუმლოს გაზიარება გსურთ, ვის ეუბნებით? — შემხვედრი კითხვა მიაგება ნამყვანმა.

— მხოლოდ და მხოლოდ ჩემს მშობლებს.

სიმართლე ვითხრათ ეს სიტყვები ძალამოსავით მომედო გულზე.

— საერთოდ როგორი ხართ ადამიანებისა

და სამყაროს მიმართ, გიყვართ ისინი? — არ ცხრებოდა ენერგული ნამყვანი.

— მე მომწონს, როცა მე ვუყვარვარ ვინმეს. არ მიყვარს დალლა და ზედმეტი ემოციები.

— ესე იგი, თქვენ უარყოფთ სიყვარულს.

— არა, რატომ, პირიქით. ვიმეორებ, მე მომწონს, როცა ჩემთვის იხარჯებიან, ინვიან და იფერვლებიან.

— კი, მაგრამ, თქვენ იცით თუ არა, რომ სიყვარული რჩეულთა ხვედრი და ბედნიერების მწვერვალია?

— რას ბრძანებთ, მწვერვალია, არა? ჰოდა რადგან სიყვარული მწვერვალია, სწორედ ამიტომ დამითმია ჩემი პარტნიორისთვის, რადგან მე სიმაღლეებს ვერ ვიტან.

თაღლით ნამყვანს, რომელსაც თითქმის ყველა გრძნობა დაეკარგა გარდა არტისტობისა, ამკარად შეეცყო, რომ ამ ლამაზად მოხატულ დედალი ავაზის სიტყვებმა და აზროვნებამ სერიოზული პროტესტი გამოიწვია მასში და ალბათ ცხოვრებაში პირველად ალაღ-მართლად აღმოხდა:

— ესე იგი, თქვენ ყველაფერ იმას, რაც ადამიანს უტყვი ცხოველისგან გამოარჩევს, უარყოფთ!

— რატომ? ვითომ რატომ გაიგეთ ჩემი სიტყვები ასე. მე რა, განა ვინმეს ვუკრძალავ სიყვარულს? — არამც და არამც. უყვარდეთ, რამდენიც უნდათ ერთმანეთი, ბატონო.

— თქვენი ქმარი ხომ გიყვართ?

— აკი გითხარით, მას ვუყვარვარ და ძალიან ბედნიერია ამით.

— ამ გადაცემას უყურებს თქვენი მეუღლე?

— დიახ.

— მერე არ სწყინს თქვენი სიტყვები?

— რატომ უნდა ეწყინოს. მე ხომ მას არ ვატყუებ. ასეთი ვარ და მორჩა!

— კარგით, კარგით. მაშინ ახლა, მწერალ ქალბატონს მოვუხმობთ. მისი აზრიც გვინტერესებს.

უცვებ, ვილაც შეუხედავი ქალი გამოერთო დარბაზში, ნამყვანმაც არ დააყოვნა, — აი, თქვენ ცნობილი მწერალი ხართ, რომელმაც არაერთი ნაწარმოები მიუძღვენიტ სიყვარულს. რას იტყვით, მეგობრები გყავთ?

— დიახ, ექვსი. რომ ვთქვა, ყველანი ბუღლები ვართ-მეთქი, მოვიტყუებ. ჩვენც კაი „სტერეები“ ვართ, მაგრამ უერთმანეთოდ ცხოვრება მაინც არ შეგვიძლია.

მერე, ამ „დიდმა“ მწერალმა რაღაცეები იბოდილა, რაც მის უხიავ შესახედაობას სრულიად არ შეესაბამებოდა. ამ ყველაფრის მაყურებელი ცუდად გავხდი. გავიფიქრე, იმ პირველს გარეგნობა მაინც არგუნა ღმერთმა ცივ გულთან ერთად. ამ მეორე ვიროხას კი არც ერთი აქვს და არც მეორე.

— ახლა კი სიურპრიზი, — შესძახა აჟიტირებული ნამყვანმა და არენაზე ვახტანგოვის თეატრის, ხანში შესული, ცნობილი მსახიობი გამოჩნდა. კითხვის დასმაც ვერ მოასწრო ჟურ-

ნალისტმა, რომ მსახიობმა ჯერ ანა ახმატოვას ლექსი წაიკითხა მეგობრობის თემაზე, შემდეგ მარინა ცვეტაევასი. ამასაც აღარ დასჯერდა და მისი და ერთი, თეატრის მხატვარი ქალის გატაცებაზე აღტაცებით ისაუბრა. როცა წამყვანმა ჰკითხა, ცოლი ეჭვიანობდა თუ არა, თვალზე ცრემლმორეულმა უპასუხა:

— ნეტა ცოლი ცოცხალი მყავდეს და იეჭვიანოს, მაგასაც ავიტან. მე უმეგობროდ და უსიყვარულოდ ცხოვრება არ შემიძლია.

უცებ მომინდა ეკრანში შევსულიყავი და გულში ჩამეკრა ეს თავით ფეხებამდე „ჯიგარი“.

ცოტა ხანში ეკრანი ვიღაც ჩაპუტკუნებულ, ლამაზი სახის სტილისტს დაუთმეს:

— მეგობარი ქალი თუ გყავთ?

— მყავს კი არა, მათ გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია.

— თქვენზე ამბობენ, მეგობარმა ქმარი წაართვაო.

— კი არ წამართვა, დაუთმეთ.

პასუხმა ყველა გააოცა. მათ შორის მეც. ამასობაში წამყვანი კიდევ უფრო ღრმად ჩაეძია.

— როგორ თუ დაუთმეთ?

— ისე, როგორც უთმობენ. ერთ დღეს მოვიდა სამსახურში ჩემთან ტანია, ფოიეში გამიხმო და ბლავილით შემომჩვილა, რომ მასა და ჩემს ქმარს ერთმანეთი უყვართ. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ საშველს ჩემგან ითხოვდა. ჯერ მაგრად ჩამწყდა გული, მაგრამ მერე თავი ხელში ავიყვანე. ტანია დავამშვიდე, სახლში გავუშვი და დავპირდი, რომ ყველაფერს მე მოვაგვარებდი. სამუშაოდან დავეთხოვე. მთელი დღე ქუჩაში უაზროდ ვიხეტიალე, უცებ თავს ყველაზე ახლობელი ადამიანებისგან დამატყდა ლალატი: მეუღლე და უახლოესი მეგობარი ... რა მექნა, არ ვიცოდი. ბოლოს თავს შევეუძახე, თუ მართლა ძლიერი პიროვნება ხარ, მეგობარს გაუგე, მიუხედავად იმისა, რომ გიღალატა, მაინც შენთან მოვიდა, სიყვარულის გამო თავს ვერ მოერიდა და აუცილებლად უნდა უშველო.

სახლში მისულმა ჩემს მეუღლეს, რომელიც თვალს ვერ მისწორებდა, მტკიცედ ვუთხარი: — ტანიუშას უყვარხარ, ვიცი რომ შენც გიყვარს, ჰოდა, გოგო არ მინერვიულო. დღესვე აკრიფე შენი გულდა-ნაბადი და მასთან გადაბარგდი. მანაც, ისე რომ ხმა არ ამოუღია, ჩემოდანი ჩაალაგა ყურებჩამოყრილი ჯორივით, ჩემს წინ, მუხლებზე დაეცა და „მაპატიეო“, ძლივს ამოილულულა. მიპატიებია, მხოლოდ ტანიასაც არ უღალატო, თორემ მაშინ მიფრთხილდი-მეთქი. ასე გავუშვი სახლიდან. მთელი ღამე ვტიროდი ბალიში თაყვარგული.

იმ უბედურმა ჩემმა ქმარმა ტანიასაც უღალატა. ნასვლიდან მეორე დღეს დააკვდა სექსუალური აქტის დროს. შუალამეზე დამირეკა შემინებულმა და დამფრთხალმა: „რალა ვქნა, ეგორი გარდაიცვალაო“. შევწუხდი, მაგრამ ისევ ის გავამხნევე და ვუთხარი, რომ ნახევარ საათში მასთან გავჩნდებოდი. მართლაც, მალე

მივედი ტანიასთან, ისიც პატარა ბავშვივით ჩამეკრა გულში: — შენს მეტი მშველელი არავინ მყავს, არადა, რომ გაიგონ რაც მოხდა, თავი მომეჭრება ყველასთანო.

აქაც მე გამოვიჩინე გონიერება.

— ნუ ხარ დამფრთხალი ნრუნუნსავით. ახლავე სასწრაფო გამოვიძახოთ. ვითომ შენთან ვიყავით სტუმრად და ჩემი ქმარი გულის შეტევით გარდაიცვალა. როცა სასწრაფო მოვა, ჩემს სახლში გადავიყვან მიცვალებულს და ამით შენც სირცხვილს გადაგარჩენ.

— მართლა გამიკეთებ ამას?

— უკვე გაგიკეთე, რადგან სასწრაფოს დავურეკე.

რამდენიმე წუთში სასწრაფოს ექიმმა დაადასტურა ეგორის გარდაცვალება. ექიმს ვუთხარი, რომ ეს ჩვენი სახლი არ იყო, მხოლოდ სტუმრად ვიყავით მეგობართან, ეს საშინელი ამბავი შეგვემთხვა და ვთხოვე სახლში გადაგვესვენებინა ეგორის ცხედარი. მართლაც, ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩავიფიქრეთ. პანაშვიდებზე ისე დავიტირე ან უკვე სხვისი ქმარი, როგორც მეუღლეს ეკადრებოდა ქმრის დატირება და მიწასაც მივაბარე.

ტანიუშა ერთი კვირის შემდეგ გამომიტყდა, რომ სწორედ იმ ექიმს მიჰყვებოდა ცოლად, რომელიც იმ ღამეს მოვიდა გამოძახებაზე და იქვე დასძინა, რომ მეჯვარე აუცილებლად მე უნდა ვყოფილიყავი.

რა გაენყობოდა, ნავყევი მეჯვარედ. ტანიამ ისე მოილხინა, თითქოს საწყალი ეგორი 50 წლის წინ მიებარებინოთ მინისთვის. ბოლოს მე მომიბრუნდა და მითხრა: — შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა?!

შევცქეროდი ჩემს მეგობარს და ვფიქრობდი, ალბათ ღმერთმა მე ამისი ბედნიერებისთვის გამაჩინა, ეს კი ჩემი უბედურებისთვის-მეთქი. მწარედ ჩავფიქრდი ჩემს ყოფაზე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ სწორედ ის არის მეგობრობა, როდესაც ვიღაცას შენს თავს მიუძღვნი მისდა საბედნიეროდ. მე არც შვილი მყავს და არც ძირი. იმის შემდეგ აღარ გავთხოვილვარ. ტანიუშას სამი ჰყავს და მისივე დაყინებული თხოვნით, სამივე ჩემი მონათლულია. ძალიან მიყვარს სამივე, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი ბინა და ქონება ანდერძით მათ დაუტოვო.

ხშირად მეუბნება მისი ქმარი: — ალბათ ძალიან უყვარდი შენს ქმარს და დუნიაზე არავისში არ გაგცვლიდა. შენნაირი ქალი არც მიწახავს და არც გამიგონიაო.

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, ყოველთვის თავს ვხრი და ჩემთვის ვბუტბუტებ, სწორედ ეგრეა-მეთქი, შემდეგ კი ტანიას მხარეს ვიყურები, მისი რეაქცია მაინტერესებს.

ტანიაც, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, გადაიკისკისებს, მომეხზევა და დასძენს: — ამის ლალატი სამშობლოს ლალატიაო ...

„თ ბ ი ლ ი ს ა“

ვორონცოველი ბიჭები ოსური ლუდისა და ხაჭაპურის ბართან ატუზულიყვენ და ვილაცის მოლოდინში თვალებს აცეცებდნენ.

— ალბათ ვერ „განია“, თორემ უკვე დიდი ხნის მოსული იქნებოდა. — გადაულაპარაკა ნითელცხვირამ მეორეს.

— არა „ვასია“, ეგ ისეთი მაგარია, „გასანევს განევდა“.

— კაი-კაი, დანყნარდით, თუ მოსასვლელია, მოვა. — ჩაერთო ლაპარაკში „სიფათა“.

ბიჭებს ლაპარაკი არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ ქუჩის კუთხეში ვილაც ახმახი გამოჩინდა, რომელსაც ხელში გაზეთში გახვეული რალაც ნივთი ეჭირა.

— ხო გითხარით, მოვა-მეთქი, — ჩაიქირქილა ნითელცხვირამ და ახმახს შეეგება. მათ მცირე მანძილი გაიარეს და სადღაც გაუჩინარდნენ, საიდანაც გაბრწყინებული სახეებით დაბრუნდნენ, შემდეგ ბიჭებს ანიშნეს, მოგვეყვიროთ და ყველანი რიგრიგობით ბარში შელაგდნენ.

როცა კარგად დანაყრდნენ და ოსური ლუდითა და არყით პირი ჩაიტკბარ-ჩაიმნარუნეს, „სიფათა“ ვილაც ნალდი ქალაქური იერის მატარებელ, ძლიერი აღნაგობის მამაკაცს მიესალმა, რომელიც თავისი ცხოვრების წესს აშკარად წელში გაეტეხა.

— ეჰ, სანყალი „თბილისა“. — ჩაილაპარაკა „პონჩიკამ“.

— მაგისთანა ვაჟკაცი ქალაქში არ დადიოდა, რაც ცოლმა უღალატა, იმის შემდეგ სულ ლოთობს, ერთი დღე არ ჩაუგდია.

— გახსოვს, ბიჭო, რა ალპინისტი იყო? —

— მახსოვს, მა რა, სპორტულ გაზეთს ვერ გადაშლიდი, მაგისი სახელი და გვარი რომ არ წაგეკითხა. მოვიპატიჟოთ სუფრასთან ...

— არ მოვა, მაგარი თავმოყვარეა. აი, სულ ეგრე მარტო ლოთობს.

„თბილისა“ დახლთან მივიდა. მებუფეტეს ორასი გრამი არაყი ჩამოასხმევინა გათილლ ჭიქაში, აკანკალებული ხელით პირთან მიიტანა, მერე რის ვაი-ვაგლახით მოირგო და ლიმონათივით ნელ-ნელა ჩაარიკრიკა.

— აშენდა შენი ოჯახი. — მიმართა „ბუფეტჩიკს“, რომელიც აშკარა თანაგრძნობით შეჰყურებდა, — იქნებ რამე მიაყოლოო, — სევდანარევი ხმით შესთავაზა ნაცნობ სტუმარს.

ამ სიტყვებზე „თბილისას“ მწარედ ჩაეცინა და თავისთვის ჩაილაპარაკა: — როდის იყო, „იუზგარ“, სიკვდილი „დაბავკას“ თხოულობდაო. — მერე გაუპარსავ ლოყაზე ხელი ჩამოისვა და მძიმე ნაბიჯით ისე, რომ არავისკენ გაუხედავს, გარეთ გავიდა. შემდეგ მოპირდაპირე ეზოში შეაბიჯა, ფარღალალად დატოვებულ კარს ნიხლი ჰკრა, სახლში შევიდა, ოთახში მდგარ სავარძელში ჩაესვენა და თვალებით სადღაც შორს, უსასრულობაში წავიდა.

ასე გაატარა რამდენიმე საათი. შემდეგ, თითქოს რალაცას, დიდი ხნის ნაფიქრალს ნერტილი დაუსვაო, ხელი ჩაიქნია. მერე, როგორც მის მდგომარეობაში მყოფ კაცს შეეძლო, ფეხზე წამოდგა, კარადის უჯრა გამოსწია, იქიდან რალაც გროშები ამოიღო და ოთახიდან გარეთ გავიდა. ნელი ნაბიჯით სანაპიროს გაუყვა, ყოფილ სტალინის ხიდთან ჩაუხვია და ავტობუსების სადგურში ამოჰყო თავი. თვალებით რალაც მოიძია, როცა იპოვა, ანანურში მიმავალ ავტობუსთან მივიდა და ძლივს ალასლასდა. მძლოლს ფული გადაუხადა და ბოლო რიგის სკამზე შეუმჩნევლად ჩაეშვა.

როცა მანქანა მგზავრებით გაივსო, მძლოლმა, — ნავედითო, — ჩაილაპარაკა და მშვიდად დაძრა ავტობუსი.

მალე ანანურის ციხე-სიმაგრე გამოჩნდა, „თბილისა“ თითქოს გამოცოცხლდა, — ესეც-ესეო, — ჩაილაპარაკა და ისეთი თვალებით შეხედა იქაურობას, თითქოს სამარადისოდ ემშვიდობებოდა.

ავტობუსმა სვლას უკლო და ანანურის ცენტრში გაჩერდა.

მგზავრებმა ნელ-ნელა ჩასვლა დაიწყეს. როგორც იქნა, „თბილისას“ ჯერიც მოვიდა.

დაბინდულ გონებიანს გვერდზე არც გაუხედავს, ისე გაუდგა გზას. როცა სოფლის ბოლოში გავიდა, ხეებით შეფენილ მთას აუყვა სვენებ-სვენებით. სადღა იყო ძველი „თბილისა“, კერკეტი კაკალივით მაგარი და სიცოცხლით სავსე. ყველაფერი წარსულმა შთანთქა. კაცი, გზადაგზა, რომელიმე ბუჩქთან შეჩერდებოდა ხოლმე, რალაცას ჩაიბურტყუნებდა და ისევ მიბობლავდა მთის წვერისკენ.

დიახ, მიბობლავდა, რადგან ეს უკვე ბობლავა იყო და არა სვლა. დიდი ხნის წვალების შემდეგ მთის წვერს მიაღწია. ღონემიხდილი ერთი-ორი საათის განმავლობაში მოკვეთილივით ეგდო მინაზე, მერე როგორც იქნა ფეხზე წამოდგა, ზეცას უცოდველი თვალები იმგვარად მიაჰყრო, თითქოს ღმერთს აღსარებას ეუბნებოდაო და აშკარად დიდი ხნის ნაფიქრალის აღსასრულებლად მოემზადა.

როგორც შეეძლო ისე გასწორდა წელში, მერე ხელების მალა აწევა სცადა, ალბათ უნდოდა არწივივით გაეშალა ფრთები, აკი მთელი ახალგაზრდობა შურდა მისი, როცა რომელიმე მწვერვალის დალაშქვრისას შეამჩნევდა, როგორ მეფურად დასტრიალებდა ზეციდან დედამიწას მისი აღმატებულება არწივი, თავდაც სურდა ფრინველთა მეფესავით ზეცაში ფრენა.

ერთხელ ისიც იფიქრა, არწივს ფრენაში გასჯიბრებოდა. ღმერთო, ნუ უწყენ, მაგრამ როცა ჰიმალაიზე ასვლისას, ერთი რუსი მთამსვლელი მწვერვალიდან მოსწყდა და წარაფებში ჩაიჩეხა, მთელი არსით შეშურდა მისი. არადა, კაცმა რომ თქვას, შესაშური კი არა, ტრაგიკული სანახაობა იყო. ამიტომ მომხდარით შეძრწუნებული ჯგუფის წევრები ჩაჩეხ-

ილზე თვალის მიდევნებასაც ვერ ბედავდნენ და თითქმის ყველამ დახუჭა თვალები. მარტო „თბილისა“ ჩასცქეროდა უფსკრულს, სადაც ხიდან ჩამოვარდნილი უმწეო ფოთოლივით მიფრინავდა, სულ რაღაც ორიოდ წამის წინ სიცოცხლისა და ენერჯის წყარო.

დასცქეროდა „თბილისა“ და თეთრი შურით შურდა მისი, რამეთუ რამდენჯერაც ეცადა მთის ქიმისთვის ხელი გაეშვა და გაფრენილიყო, ყოველთვის ამაო გამოდგა სურვილი.

ახლა კი, „თბილისა“ თავად სიცოცხლეს მობეზრებოდა. არადა, მთელი უბედურება ის გახლდათ, რომ სიკვდილსაც არაფერში სჭირდებოდა.

„თბილისამ“ კიდევ ერთხელ სცადა ხელის გასწორება. როგორ უნდოდა არწივით გაეშალა ფრთები, მაგრამ ამაოდ. როდესაც დარწმუნდა, რომ მის სანადელს აღსრულება არ ეწერა, ნახევრად გაშლილი ხელებით მთის ქიმთან მივიდა ... უფსკრულს და სიკვდილს ერთდროულად ჩახედა თვალებში, — ეჰე-ჰეი-ო, დასწყვილა და ქარაფებში გადაეშვა.

აქაც ბედმა უმტყუნა. ჯინსის ქურთუკით ციცაბოზე, რამდენიმე მეტრის დაშორებით ამოსულ ხის ტოტს გამოედო, რაღაცა წამები ტოტზე გამობმული ფართხალებდა, შემდეგ ჯინსის ნაწილი ტოტს შერჩა, „თბილისა“ ისევ მოსწყდა ადგილს და უფსკრულში ჩავარდნის ნაცვლად, მიმართულება შეცვლილი მთის გამოწეულ ფერდობზე გაიშხლართა.

საწყალმა, სიმწრისგან ისე დაიგმინა, მის დასაგლეჯად უკვე მომზადებული ყორნებიც კი დააფრთხო. გმინვა სულ მალე გაბმულ კვნესაში გადაიზარდა. იწვა კლდის ქიმზე პირალმა, რამდენიმე წუთის წინ სანახევროდ გაშლილი ავადმყოფი ხელები თავისთავად გაშლოდა არწივით.

სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილში, გასისხლიანებულ სახეზე, სიკვდილს შეგუებული კაცის გამომეტყველება აღბეჭდვოდა. მიგადაშიგ ტკივილისგან დაჭრილი ლომივით გმინავდა, ხოლო ზოგჯერ უმწეო თვალებით გაჰყურებდა იქაურობას.

ყორნები იქვე, ქიმზე ჩამოსხდარიყვნენ და მშვიდად უცდიდნენ თავიანთ ლუკმას. ერთი მათგანი სიკვდილის მოციქულივით დასტრიალებდა თავს.

საწყალი „თბილისა“ ნელ-ნელა ლაფავდა სულს. მისთვის უკვე ყველაფერს დაეკარგა მნიშვნელობა. ასე ეწამა დაღამებამდე და მერე დაღლილი სული უფალს მიაბარა.

მშორის სუნზე გამოწვრთნილმა ყორნებმა სიკვდილის დადგომა იგრძნეს თუ არა, წამოშალნენ და „თბილისას“ გვამს დასაგლეჯად მიესივნენ. ნისკარტის ჩასობაც ვერ მოასწრეს, რომ სწორედ იმ წამს, მთის ქიმიდან მედიდურად დაეშვა არწივი, ერთი მეფურად დასწყვილა და ყორნებისკენ გაფრინდა.

ყორნებმა საშიშროება იგრძნეს, „თბილისას“ უსულო სხეულს მოსცილდნენ და ცაში აქეთ-იქით გაიფანტნენ.

არწივმა „თბილისას“ თავზე რამდენიმე წრე დაარტყა, მერე ირაო მოხაზა და დარბაისლურად დაეშვა იმ ქიმზე, სადაც „თბილისა“ განისვენებდა. ერთადერთი ჭირისუფალი ისეთნაირად უთვალთვალეზდა მთის კალთებზე შეფენილ დამფრთხალ ყორნებს, თითქოს ეუბნებოდა, — ვისაც ტრაკი გაქვთ, მომეკარეთო.

ყორნები მოთმინებით ელოდნენ, როდის მიატოვებდა მათ ლუკმას არწივი. ისე დაღამდა და გათენდა, რომ არწივი არც განძრეულა და ნამდვილი ჭირისუფალივით დასცქეროდა საწყალ „თბილისას“. არც ყორნები იცვლიდნენ ფეხს ადგილიდან, ალბათ უკვირდათ არწივის საქციელი.

რაღაც მომენტში არწივი მოსწყდა მთის ქიმს და ჭიუხებისკენ დაეშვა. ყორნებმა იფიქრეს, გვეშველაო და „თბილისას“ დასაკორტნად წამოიშალნენ. მაშინ არწივმა ფრთები გაშალა და ისეთი ძალით წამოვიდა ყორნებისკენ, რომ შეძრწუნებულმა ყორნებმა არანორმალური ხმები გამოსცეს. ისინი ისევ გაიფანტნენ აქეთ-იქით.

არწივი „თბილისას“ ცხედარს ძლიერი ფრთების ტყლაშუნით დასტრიალებდა თავს და თან შემზარავი ხმით ყიოდა. ასე გაგრძელდა იმ დრომდე, სანამ მონადირის ნასროლმა ტყვიამ, სულ რამდენიმე მილიმეტრში არ ჩაუქროლა ფრინველთა მეფეს. მაშინ კი შურდულივით მოწყდა ადგილს და ზეცაში გაუჩინარდა.

— ბიჭოს, მგონი მთის ქიმზე კაცი გდია. — შესძახა ერთმა მონადირემ.

— აქ კაცს რა უნდა, ხომ არ გაგიჟდი. — გაეპასუხა მეორე.

— არ გაგვიჟდი, არა. ნაღდად კაცია. — ამ სიტყვებზე მონადირემ დურბინდი მოიმარჯვა, დარწმუნდა თავის სიმართლეში და თქვა: — აკი გითხარი, კაცია-მეთქი, დურბინდი თანამგზავრს მიანოდა.

— მართალი ყოფილხარ, კაცია, კაცი ...


სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ, დამწუხრებული მონადირეები ხელში აყვანილს ბარისკენ მოასვენებდნენ მთელი ანანურისთვის ნაცნობ, კაცობისა და სისპეტაკის ნიმუშს, გარდაცვლილ „თბილისას“.

არწივი შორიახლოს, სიფრთხილით დასტრიალებდა თავს მიმავალთ, იქამდე, ვიდრე „თბილისა“ ბარში არ ჩამოასვენეს.

ჭიუხებში ძლივს მიმავალ მონადირეებს უკვირდათ არწივის ასეთი საქციელი, ერთმა თოფიც ჩამოიხსნა მხრიდან სასროლად, მაგრამ როცა მიხვდა ვერ გაარტყამდა, ისევ მხარზე გადაიდო და ჩაიბურტყუნა: — „ნეტა ამ ვერანას რაღა დაემართა, სულ რომ თავს დასტრიალებსო“.

ლმერთის გარდა არავინ იცოდა, რომ ერთი არწივი მეორე არწივს მიაცილებდა თავის უკანასკნელ გზაზე.





ფენი
ფიფროს
მონაზონი

გავჩუმდი, ბალიშზე გადაწოლილმა ხელი გავუწოდე, მან ჩემი ხელი თავისაში მოიქცია. ეტყობოდა, ფიქრობდა, ყოყმანობდა; თვალის გახელისა ემინოდა. და მაინც ახელდა, ცისკენ ალაპყრობდა და კვლავ მე შემომცქეროდა. ერთბაშად მღელვარება დაეტყო; მისი სული ხან ბობოქრობდა, ხან ცხრებოდა. ღმერთმანი, ეს ქალი წინასწარმეტყველად იყო დაბადებული. ამაზე მისი იერიც მეთყველებდა და ხასიათიც. ოდესღაც ლამაზი იქნებოდა, მაგრამ წლებს დაეჭკნო და მოეღვენთა მისი სხეული, მისი სახისთვის კი უფრო მეტი ღირსება მიენიჭებინა. პატარა თვალები თითქოს ხან სულის სიღრმეში იხედებოდნენ, ხან სადღაც შორს, წარსულსა და მომავალს არჩევდნენ. დრო-

დადრო ღონივრად მიჭერდა ხელს, უცბად იკითხა, რომელი საათიაო.

„— მალე ექვსი გახდება.

— ნახვამდის, მივდივარ. თქვენს შესამოსად მოვლენ. არ მინდა დავესწრო, დამაბნევს. ახლა მხოლოდ ერთი საზრუნავი მაქვს, პირველსავე წუთებში გონიერებას ვუხმობ და გავმაგრდე“.

გავიდა თუ არა, მაშინვე მორჩილთა წინამდგომი და ჩემი დამხმარე მონაზვნები შემოვიდნენ. გამხადეს მონაზვნის სამოსელი და საერო ჩამაცვეს; ალბათ, მოგეხსენებათ ეს წესი. გავიგებულ ვიყავი. არ მესმოდა, ვინ რას ლაპარაკობდა, თითქოს ხედ ვიქეცი; ირგვლივ ვერაფერს ვამჩნევდი, მარტო დროდადრო კრუნჩხვა მერეოდა. მკარნახობდნენ, რა უნდა გამეკეთებინა და მეც ვემორჩილებოდი. პირველად რომ ვერ ვიგებდი, რამდენჯერმე მიმეორებდნენ. არა, სხვა რამეზე სულაც არ ვფიქრობდი, მარტო იმაში ვიყავი ჩაძირული, რაც ჩემს სულში ხდებოდა. თავში სამინელ სიმძიმეს ვგრძნობდი, იმგვარს, როგორსაც ძალზე გადაღლილი კაცი გრძნობს ხოლმე. ამ დროს კი წინამძღვარი დედაჩემთან საუბრობდა. ჩემთვის სამუდამოდ დარჩა საიდუმლოდ, რა მოხდა იმ შეხვედრის დროს, რომელიც ძალზე დიდხანს გაგრძელდა. მე მარტო ის მითხრეს, რომ დედაჩემი წასვლისას ისეთი აღელვებული ყოფილა, კარიც კი ვერ მოუძებნია, ხოლო წინამძღვარი თავზე ხელებშემოჭდობილი გამოსულა.

ამასობაში ზარებმაც ჩამოჰკრეს; ეკლესიაში ჩავედი. ცოტანი შეკრებილიყვნენ. არ ვიცი, გზის დამლოცავი სიტყვა კარგი იყო თუ ცუდი, არაფერი გამიგია. დილიდან საღამომდე მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რაც თვითონ სურდათ და ეს დღე ჩემი ცხოვრებიდან თითქოს ამოგდებული იყო. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ყოველივე. არც ის ვიცი, რას ვაკეთებდი, რას ვამბობდი. ალბათ, რაღაცას მეკითხებოდნენ და მეც, ალბათ, ვპასუხობდი; ალბათ, ალთქმაც დაედე, მაგრამ არც ეს მახსოვს; და ისევე გაუაზრებლად გავხდი მონაზონი, როგორც თავის დროზე ქრისტიანი. მთელს ამ განამანიაში იმაზე მეტი არაფერი გამიგია, რაც ნათლობის დროს გავიგე. და ახლა რომ ვფიქრობ, მათ შორის მარტო ის განსხვავებაა, რომ ერთი წყალობას გიძღვნი, მეორე კი ალგითქვამთ. მართალია, მონყალეო ბატონო, ღონშანში წინააღმდეგობა არ გამინევი, ისეთი არაფერი ჩამიდენია, რაც წმინდა მარიამის მონასტერში ჩავიდინე, მაგრამ ხომ არ გგონიათ, რომ ამ გარემოებამ უფრო მეტად შემაკვეცა ფრთები? მე თქვენს სამართლიანობას მოვუხმობ; უფლის სამართლიანობას მოვუხმობ. ისეთ დღეში ჩავვარდი ორიოდე დღის მერე, როცა მალსახვედრად მგალობელთა გუნდში უნდა იმღეროო, ვერც კი მივხვდი, რისი თქმა უნდოდათ. ვიკითხე, მართალი იყო თუ არა, რომ მონაზვნად აღვიკვეცე; ჩემი ალთქმის ჩანაწერების ნახვა მოვინდომე, რომელზედაც დამსწრეთ თავიანთი თემის სახელით მონმის ხელმოწერა უნდა აღენიშ-

ნათ და ზოგიერთ დამსწრესაც უნდა დაემონ-
მებინა. ბევრჯერ ვკითხე ნინამძღვარსაც:
„ნუთუ ეს მართალია?...“. და ყოველთვის ვე-
ლოდი, რომ მიპასუხებდა: „არა, შვილო ჩემო,
გატყუებენ...“. მისმა მრავალგზის მტკიცებამ
ვერაფერში დამარწმუნა, ვერ შემაგნებინა,
როგორ მოხდა ყოველივე. რა ჩოჩქოლით, რა
უჩვეულო მოვლენებით გაიარა იმ დღემ. მე კი
არაფერი მახსოვს. იმ ქალების სახეებიც არ
მახსოვს, მე რომ შემსახურებოდნენ, არც იმ
მღვდლის სახე, ვინც გზის დასალოცი სიტყვა
წარმოთქვა, არც იმისი, ვინც ჩემი აღთქმა მი-
იღო. გამხადეს მონაზუნის სამოსელი და საერო
ჩამაცვეს — აი, ერთადერთი, რაც მახსენდება.
იმ წუთიდან ჭკუადაბნეულ ქალად ვიქეცი. და
რამდენიმე თვე გახდა საჭირო, ამგვარი მდგო-
მარეობიდან გამოვსულიყავი. დროის დინე-
ბას, თუკი შეიძლება ასე გამოვხატო, მივანერ-
მას, რომ მაინც დავივიწყე ყველაფერი, რაც
გადამხდა. ასე ემართებათ ხანგრძლივი ავად-
მყოფობით გატანჯულ ადამიანებს, რომლებ-
მაც თითქოს წმინდა საიდუმლო მიიღეს და
გამოჯანმრთელდნენ, მაგრამ როცა გამოჯან-
მრთელდნენ, აღარაფერი ახსოვდათ. მონას-
ტერში ამგვარ რამეს ხშირად შევხვედრივარ
და მუდამ ჩემს თავს ვეუბნებოდი: „აღბათ,
მეც ასე დამემართა ჩემი აღკვეცის დღეს-
მეთქი“. ისლა რჩება გავიგოთ, ეს მოქმედება
ადამიანიდან გამოიღის თუ არა, და თუ ეს ასეა,
ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი
პასუხს აგებს თუ არა, მონაწილეა თუ არა იმ
ქმედებისა, რაც უკვე მოხდა, თუმცა კი მგო-
ნია, რომ ეს ასეა.

იმავე წელს სამი ახლობელი ადამიანის და-
კარგვა გამოვცაღე: მოკვდა მამაჩემი, ანუ,
კაცი, ვისაც მამაჩემი ერქვა; ახალგაზრდა
აღარ იყო და შრომამ მოქანცა. აღსრულა
ჩემი წინამძღვარი; მერე კი — დედაჩემი.

ამ ღირსეულმა მონაზონმა ადრევე იგრძნო
აღსასრულის უამის მოახლოება; სიჩუმის
აღთქმა დადო და ბრძანა, კუბო მის სენაკში
შეეტანათ. ძილი დაკარგა, დღეები და ღამეე-
ბი ფიქრსა და წერაში გაატარა; სიკვდილის
შემდეგ „ფიქრების“ თხუთმეტი ჩანაწერი და-
ტოვა, რომელიც სულიერი სილამაზის მაგალ-
ითად მიმაჩნია; ამ ჩანაწერების ერთი პირი
მეც შემომრჩა და თუ ერთ დღეს მოინდომებთ
მისი აზრების გაცნობას, რაც სიკვდილის წინა
დღეებს შთაუგონებია, გამოვიგზავნით; ეს
წაწერი ამგვარადაა დასათაურებული: „დაა-
დე მონის ბოლო წუთები“.

სიკვდილის წინ, ლოვინად ჩავარდნილმა
ჩაცმა მოისურვა; აზიარეს და ზეთი აცხეს;
ხელთ კი ჯვარცმა მისცეს; ეს მოხდა ღამით,
თაფლის სანთლების მკრთალი ნათელი სვე-
დიან სანახაობას შუქს ჰყვებდა. მის სარეცელს
გარს ტირილით ვეხვეოდით. ქვითინი რა ჩაეს-
მა, მომაკვდავის თვალებმა უცბად გაიბრწყი-
ნა, თავად კი წამოინია და ლაპარაკი დაიწყო;
მისი ხმა ისევე ძლიერად ჟღერდა, როგორც
მაშინ, როცა ძალა მოსდევდა. ღვთით ნაწყ-
ალობევი ნიჭი, დაკარგული რომ ჰქონდა, კვ-
ლავ დაუბრუნდა. გვისაყვებდურა, ნუ ტირითო.

ჩვენ თითქოს გვშურდა კიდევ მისი, რომ სულ
მაღე მარადიულ ნეტარებას ეზიარებოდა.
„შვილო ჩემო, თქვენი მწუხარება თქვენვე
გატყუებთ, აი, იქ, იქ, — ამბობდა და თანაც
ცაზე მიგვანიშნებდა, — იქ გემსახურებით.
თვალნი ჩემნი მუდამ ამ მონასტრისკენ იქნება
მოპყრობილი; ვილოცებ თქვენთვის. შევთხოვ
უფალსა ჩვენსა, რომ თხოვნა აღმისრულოს.
მომიახლოვდით, რომ თქვენი ამბორი შევძლო,
მიიღეთ ჩემი ლოცვა-კურთხევა და ჩემი უკა-
ნასკნელი სალამი...“. ეს იყო ბოლო სიტყვები,
სიკვდილის წინ რომ წარმოთქვა ამ საოცარმა
ქალმა, რომელსაც გაჰყვა ჩვენი სინანული და
უსაზღვრო მწუხარება.

დედაჩემი შემოდგომის მიწურულს გარდა-
იცვალა, ერთ-ერთ ქალიშვილთან სტუმრობის
შემდეგ. მუდმივმა მწუხარებამ ჯანმრთელობა
ძალზე შეურყია. ასე რომ, მე ვერც მამაჩემის
სახელი გავიგე და ვერც ჩემი დაბადების ამ-
ბავი. ჩვენმა საერთო სულიერმა მოძღვარმა
დედაჩემის დავალება აღასრულა და ტილოს
ნაჭრით გამოკრული მცირე ბოლჩა გადმომცა.
ბოლჩაში ორმოცდაათი ლუი და ბარათი იდო.
აი, რა ეწერა, იმ ბარათში:

„ჩემო შვილო, აქ ძალიან ცოტა ფულია. სინ-
დისი უფლებას არ მაძლევს უფრო დიდი ფული
მქონდეს. ესეც იმ თანხის წარჩენია, რაც ბა-
ტონ სიმონენის პატარ-პატარა საჩუქრებიდან
გადავიწახე. იცხოვრეთ, როგორც წმინდანმა.
ეს უფრო უკეთესია, ვიდრე ამქვეყნიური ბედ-
ნიერება. ილოცეთ ჩემთვის. თქვენი ამქვეყნად
მოვლინება, ჩემს მიერ ჩადენილი ერთადერთი
დიდი ცოდვაა. დამეხმარეთ, გამოვისყიდო
ეს ცოდვა. დაე, იმ კეთილ საქმეთა გამო,
რომელთაც თქვენ მოიმოქმედებთ, უფალმა
მომიტევოს, რომ მე მოგავლინეთ ამქვეყნად.
მთავარია, ოჯახის მყუდროება არ დაარ-
ღვიოთ, და იმ ცხოვრებისა, რომელიც თქვენ
გხვდათ ნილად და თქვენი ნების გარეშე მი-
იღეთ, რაკი მე ასე მსურდა, მაინც გემიწოდეთ
და ნუ უმუხთლებთ. რატომ თავად არ ვიყავი
მთელი ცხოვრება მონასტერში ჩაკეტილი? მა-
შინ ფიქრი იმაზე, რომ ნუთიც და უნდა წარვს-
დგე უზენაესი სამსჯავროს წინაშე, ესოდენ
აღარ შემაშინებდა. გახსოვდეთ, შვილო ჩემო,
დედათქვენის ხვედრი იმ ქვეყანაში ბევრად
არის დამოკიდებული თქვენს ამქვეყნიურ
საქციელზე. უფალი ღმერთი, რომელიც
ყველფერს ხედავს, თავის სამსჯავროზე მიით-
ვლის კარგსაც და ცუდსაც, რასაც თქვენ გაა-
კეთებთ. მშვიდობით, სიუზანა, თქვენს დებს
წურაფერს მოსთხოვთ. მათ თქვენი დახმარება
არ შეუძლიათ. მამათქვენის იმედიც ნუ გექნე-
ბათ. მან უკვე გამასწრო და უზენაეს ნათელს
ეზიარა; იგი მელოდება. ჩემთან შეხვედრა
მისთვის უფრო ნაკლებად საშინელი იქნება,
ვიდრე ჩემი მასთან. კიდევ ერთხელ გემშვი-
დობები. ოჰ! უბედური დედა! ოჰ! უბედური
შვილი! თქვენი დები ჩამოვიდნენ. არ მომე-
წონა მათი საქციელი: ყველაფერი დაიტაცეს,
ყველაფერი გაზიდეს და მომაკვდავი დედის
თვალწინ ფულის გულისთვის ჩხუბი გამა-
რთეს. ეს მე დიდ მწუხარებას მაყენებს. როცა

ჩემს სანოლს უახლოვდებიან, მე მეორე მხარეს, კედლისკენ ვბრუნდები. მათში მხოლოდ ორ ვილაძას ვხედავ, რომელთაც სიღარიბემ სათნოება ჩაუქრო. ერთი სული აქვთ, ხელში ჩაიგდონ ის მცირე რამ, რასაც ვტოვებ. ექიმსა და მომვლელ ქალს კი უხამს კითხვებს აძლევენ, საიდანაც აშკარად ჩანს რა მოუთმენლად ელიან ჩემი გაქრობის ნუთს, რათა ყველაფერი დაიტაცონ, რაც მამადაა. არ ვიცი საიდან, მაგრამ ეჭვი აიღეს ლეიბქვეშ ფული რომ მქონდა დამალული; ყოველი ღონე იხმარეს და მაიძულეს სანოლიდან წამოდგომა. მაგრამ, საბედნიეროდ, დღეს ჩემი სანდო კაცი მოვიდა და მას ვანდობ ამ ბოლჩას წერილთან ერთად, რომელსაც იგი ჩემი კარნახით წერს ახლა. წერილი დანვით. როცა გაიგებთ, რომ აღარა ვარ, და ეს მოხდება ძალიან მალე, ჩემი სულის მოსახსენიებელი წირვა შეუკვეთეთ და კვლავ გაიმეორეთ თქვენი აღთქმა, რადგან ძველებურად კვლავ მსურს, რომ მონაზვნად დარჩეთ. იმაზე ფიქრი კი, რომ თქვენ, ასეთი ახალგაზრდა, შეიძლება მშველელისა და შემწის გარეშე, აღმოჩნდეთ, საბოლოოდ დაარღვევდა ჩემი ამქვეყნად არსებობის უკანასკნელი ნუთების სიმშვიდე“.

მამაჩემი ხუთ იანვარს გარდაიცვალა, წინამძღვარი — იმავე თვის ბოლოს, დედაჩემი კი — მომდევნო შობის დღესასწაულზე.

დედა დე მონის ადგილი წმინდა დამ — ქრისტინამ დაიკავა. ოჰ! მოწყალეო ბატონო, როგორი განსხვავებაა მათ შორის! მე უკვე გაიმბეთ ჩვენს პირველ წინამძღვარზე. ეს უკანასკნელი კი წერილმანი, შეზღუდული და ცრუმორწმუნე ქალი იყო. ვითომ ახალ რელიგიურ მიმართულებებს მისდევდა და დღენიადაც სულპიციანტებთან ა იეზუიტებთან თათბირობდა. ეზიზღებოდა ყველა, ვინც კი მის წინამორბედ წინამძღვარს უყვარდა. მოვიდა თუ არა, მონასტერი მაშინვე არეულობით, მძულვარებით, ავი მითქმამოთქმით, ბრალდებებით, ცილისწამებებითა და დევნა-შევიწროვებით აავსო; გვაიძულებდნენ ისეთ თეოლოგიური საკითხების შესწავლას, რისიც არაფერი გავგეგებოდა. ტვინში გვიჭედავდნენ უცხო რელიგიურ დოგმებს და უცნაურ წეს-ჩვეულებებს. დედა დე მონი გაურბოდა ყოველივე იმას, რაც სხეულს არაქათს აცლის. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ორჯერ იგვემა სხეული, პირველად ჩემი აღკვეცის წინადღეს და მეორედაც ამგვარივე მიზეზით. ამბობდა ხოლმე, მონანიების ასეთი გზა არავითარ ნაკლს არ შლის, მხოლოდ და მხოლოდ ამპარტავნებს აღვივებსო. მას სურდა მონაზვნებს თავი კარგად ეგრძნოთ, ჯანმრთელი სხეული და ნათელი გონება ჰქონოდათ. როგორც კი თავისი მოვალეობის აღსრულებას შეუდგა, მონაზვნებს მაძინვე ჯვალო და მათრახი ჩამოართვა და ჩაკეტა. ასევე აღკვეთა საჭმელში ნაცრის შერევა და შიძველ ფიცრებზე წოლა. ახალმა წინამძღვარმა კი, პირიქით, დააბრუნა ჯვალო და მათრახი, სამაგიეროდ, ნაგვართვა ძველი და ახალი აღთქმა. ძველი დედოფლის

ფავორიტები არასოდეს არ არიან ხოლმე ახალი დედოფლის წყალობით აღვსილნი. ახალი წინამძღვარიც ჩემდამი, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, გულგრილად იყო განწყობილი, თუნდაც იმიტომ, რომ ძველ წინამძღვარს ნაზად ვუყვარდი; მეც აღარ დავახანე და ჩემი ბედი ჩემივე საქციელით გავიუარესე, რასაც თქვენ ალბათ, დაუფიქრებლობას მიაწერთ ანდა სიმტკიცეს, იმისდა მიხედვით, თუ რა თვალთ შეხედავთ მას.

ჯერ ერთი, მე არ ვმალავდი იმ მწუხარებას, ჩემი პირველი წინამძღვრის დედა დე მონის გარდაცვალებამ რომ მომგვარა; როგორც კი საბაბი მომეცემოდა, ხოტბა-დედებას ვასხამდი, ახალ წინამძღვარს ვადარებდი და, რა თქმა უნდა, არა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. აღვწერდი მონასტრის გასული წლების ცხოვრებას, ვიხსენებდი საზრდოს, რომლითაც მაშინ გვკვებავდნენ და ხმამაღლა ვამბობდი, თუ რა აღფრთოვანებული ვიყავით უწინდელი წინამძღვრის სიკეთით, მგრძნობიარობით და ხასიათით. მერე დავწვი ჩემი ჯვალო და მათრახიც გადავადგილე. ესეც არ ვიკმარე, ამხანაგები შევაგულიანე და ზოგიერთი ავიყოლიე კიდეც; მოვიბენე ჩემი ძველი და ახალი აღთქმა; ზურგი ვაქციე ყოველგვარ მიმდინარეობას, ჩემს თავს ქრისტინას ვუნოდებდი და უარი ვთქვი იანსენისტის თუ მოლინისტის სახელის მიღებაზე.

მკაცრად შემოვიფარგლე მონასტრის წესდებით და არაფერში არ ვლაღატობდი. აქედან გამომდინარე, არ ვემორჩილებოდი არავითარ დამატებით ბეგარას, რომელიც ძალზე მძიმედ მიჩვენებოდა. ორღანთან მხოლოდ და მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში ვჯდებოდი. მხოლოდ მომლერალთა გუნდში ვმღეროდი და არავის მივეცი ნება ბოროტად გამოეყენებინა ჩემი თავაზიანობა და ჩემი მუსიკალური ნიჭი, ყველას ავუკრძალე ყოველდღიურად გამოეფინათ ჩემი თავი. კვლავ და კვლავ გადავიკითხე მონასტრის ტიბიკონი და ზეპირად ვისწავლე. თუ რამე ისეთს მიბრძანებდნენ, რაც საკმაოდ ნათლად არ იქნებოდა ტიბიკონში გამოხატული, ან საერთოდ არ იქნებოდა, ანდა მისი საწინააღმდეგო აღმოჩნდებოდა, ბრძანების შესრულებაზე მტკიცე უარს ვაცხადებდი. ავიღებდი წიგნს და ვიტყვოდი: „აი, ჩემს მიერ აღებული ვალდებულება. სხვა ვალდებულება ჩემს თავზე არ ამიღია“.

ზოგიერთი მონაზონი ჩემმა გამოხდომამ მოხიბლა. უხუცეს დედათა ხელისუფლება ძალზე შეზღუდული აღმოჩნდა. მონებივით ველარ გვექცეოდნენ. ერთი დღეც არ გავიდოდა, რაიმე შემამფოთებელი ამბავი არ მომხდარიყო. როგორც კი საჭირო გახდებოდა, მონაზვნები რჩევას ჩემგან იღებდნენ, დესპოტთაგან თავის დასაცავად წესდება ყოველთვის თან მქონდა. მალე მემამბოხის სახელი მოვიხვეჭე და, კაცმა რომ თქვას, რაღაცით მართლაც ვიყავი მემამბოხე. მონასტერში მოი-

1. კათოლიკური ეკლესიის რეფორმატორული მიმდინარეობები.

წივის მთავარეპისკოპოსის უფროსი ვიკარიუსი და სასამართლოს წინაშე წარვსდები, სადაც ჩემი თავიც დავიცავი და ჩემი ამხანაგებიც, ერთხელაც არ მომხდარა ვინმეს დამნაშავე მივეჩნიე და დავესაჯე, რადგან ჩემს მხარეს ბევრი დასაბუთებული გონივრული აზრი იყო. ბრალს ვერავინ დამდებდა დადებული ალტქმის დარღვევაში, რადგან ჩემს ალტქმას კეთილსინდისიერად ვასრულებდი. ხოლო ის მცირე წყალობები, რაც მთლიანად წინამძღვარზეა დამოკიდებული, არასოდეს მითხოვია. ნაცნობი არავინ მყავდა, სტუმრებს არ ვიღებდი და არც მისაღებში გამოვდიოდი. სამაგიეროდ, ჩემი ჯვალთ დავსვი, მათრახი გადავაგდე და სხვებსაც ვურჩიე, ასე მოქცეულიყვნენ. იანსენიზმზე, ან მლინიზმზე არც კარგის გაგება მსურდა, არც ცუდისა. როცა მეკითხებოდნენ, ვემორჩილები თუ არა ტიბიკონს, ვპასუხობდი: ვემორჩილები ეკლესიას. როცა მეკითხებოდნენ, ვალიარებდი თუ არა პაპის ბულას! ... ვპასუხობდი, რომ ვალიარებდი სახარებას. ერთხელ ჩემი სენაკი გაჩხრიკეს. ძველი და ახალი ალტქმა იპოვეს. თავშეუკავებლობამ მძლია და რაღაცები ვთქვი ზოგიერთი ფავორიტის წინამძღვართან საეჭვო ახლობლობაზე; მას ხანგრძლივი და ხშირი შეხვედრები ჰქონდა ერთ ახალგაზრდა სასულიერო პირთან და მე გამოვიცანი მიზეზიც და საბაბიც მათი შეხვედრებისა. მოკლედ, რას აღარ ვაკეთებდი, რომ შიში და ზიზღი დამემსახურებინა, დამეღუპა საკუთარი თავი და მივალნიე კიდევ ამას. საეკლესიო ხელისუფლებაში ჩემზე უკვე აღარ ჩიოდნენ, უბრალოდ გადანყვიტეს ჩემი აუტანელ პირობებში ჩაყენება. მონაზვნებს ჩემთან ურთიერთობა აუკრძალეს და მალე სრულიად მარტო დავრჩი. მეგობარი ცოტა მყავდა. წინამძღვარი მიხვდა, რომ ისინი გამონახავდნენ ჩემი ნახვის საშუალებას, ჩემად დაარღვევდნენ მის ბრძანებას და თუ დღისით ვერ შეძლებდნენ, ღამით მაინც მოვიდოდნენ ჩემთან სასაუბროდ; დაგვიწყეს თვალთვალი. ხან ერთთან მხედავდნენ და ხან — მეორესთან. ამგვარმა წინდაუხედაობამ, უფალმა იცის, რა მითქმამოთქმა აღარ გამოიწვია და დასჯის ყველაზე არაადამიანურ ხერხს მიმართეს. რამდენიმე კვირის მანძილზე მაიძულებდნენ წირვის დროს სხვებისგან მოშორებით მუხლზე დაჩოქილი ვმდგარიყავი, მარტო პურსა და წყალზე მამყოფს. სენაკში მამწყვდევდნენ. ყველაზე უფრო ჭუჭყიან საქმეს მაკეთებინებდნენ. ვინც ჩემს თანამონაწილედ ჩათვალეს, არც იმათ დაადგათ კარგი დღე. როცა რაიმე დანაშაულს ვერ მიპოვნიდნენ, თვითონვე იგონებდნენ. ერთდროულად მაძლევდნენ რამდენიმე ერთმანეთთან შეუთავსებელ ბრძანებას და მსჯიდნენ, რატომ ვერ ასრულებო. გადასწიეს

წირვისა და ტრაპეზის დრო; აურ-დაურიეს მონასტრული ცხოვრების წესი და არც კი გამაფრთხილეს, რის გამოც, მიუხედავად ჩემი დიდი მცდელობისა, ყოველდღე დამნაშავე ვიყავი და, ცხადია, ყოველდღე მსჯიდნენ. გაბედულება და გამძლეობა კი მაქვს, მაგრამ აბა, რა გამძლეობა აიტანს ამგვარ ათვალწუნებას, მარტოობას და დევნა-შევიწროებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩემი ტანჯვა თამამად აქციეს, ორმოცდაათი გაერთიანებული ქალის გასართობად. შეუძლებელია, მათ ბოროტებაზე ყველაფერს დანვრილებით ვერ გეტყვიო. ხელს მიშლიდნენ ძილში, სიფხიზლეში, ლოცვაში. ერთ დღეს ანფოსიდან რაღაცას მომპარავდნენ, მეორე დღეს გასაღები მეკარგებოდა, ანდა ლოცვანი; ხან კარი არ იკეტებოდა. არ მაცლიდნენ საქმის კარგად კეთებას. მიფუჭებდნენ იმას, რაც უკვე კარგად მქონდა გაკეთებული. ხან იმგვარ ნათქვამსა და საქციელს მომანერდნენ, რაც არც მითქვამს და არც ჩამიდენია. ყველაფერზე პასუხს მე მთხოვდნენ. და ჩემი ცხოვრება მართალი თუ გამოგონილი, დანაშაულის სასჯელთა უწყვეტ ჯაჭვად გადაიქცა.

ჩემმა ჯანმრთელობამ ამ უსასრულო, მკაცრ გამოცდას ვერ გაუძლო; სასონარკვეთილება, სევდა და მეღანქლოლია მომერია. თავდაპირველად ძალას და სულის სიმძვიდეს საკურთხევის წინ ვეძებდი; ისეც ხდებოდა, რომ ზოგჯერ ერთსაც ვპოულობდი და მეორესაც. სასონარკვეთილებასა და მორჩილებას შორის დავლასლასებდი. ხან ვემორჩილებოდი ჩემს წილ სიმკაცრეს, ხანაც რაღაც გადამწყვეტი საშუალებების მოხმობით მისგან გათავისუფლება მინდოდა. მონასტრის ბაღში ღრმა ჭა იყო; რამდენჯერ მივსულვარ მასთან! რამდენჯერ ჩამიხედია შიგ! იქვე ქვის სკამიც იდგა; რამდენჯერ ვმჯდარვარ იმ სკამზე და თავი ჭის კიდზე ჩამომიდვია! ჩემი ნადილით შეძრული რამდენჯერ ნამოვმხტარვარ და გადამწყვეტია ტანჯვისთვის ბოლო მომელო! რამ მაიძულა თავის შეკავება? რატომ ვარჩევდი ტირილს, ყვირილს, მანდილის ფეხით თელვას, თმების გლეჯას და ფრჩხილებით სახის ხოკვას? და თუ უფალმა ღმერთმა თავის მოკვლა არ დამანება, მამ, რატომ აღარ შეაჩერა ჩემსკენ მომართული სხვათა ბოროტება?

ახლა რასაც გეტყვით, შეიძლება ძალზე უცნაურადაც გეჩვენოთ, მაგრამ წმინდა სიმართლეა, ეჭვიც არ მეპარებოდა, ჭისკენ ჩემი ნდობა ლტოლვა შეუმჩნეველი არ რჩებოდა და ჩემი უღმობელი მტრები სიამოვნებას მიიღებდნენ თუ ერთ მშვენიერ დღეს ჩემს განზრახვას, გულის სიღრმეში რომ მიდულდა, აღვასრულებდი. როცა კი ჭისკენ გავნევიდი, ისინი განგებ იქაურობას შორდებოდნენ და სხვა მხარეს იყურებოდნენ. ბევრჯერ მინახავს ბაღში გამავალი კარი ღია იმ საათებში, როცა უკვე დაკეტილი უნდა ყოფილიყო და რაც ყველაზე უფრო უცნაურია, ეს ხდებოდა ზუსტად იმ დღეებში, როცა განსაკუთრებით მკაცრად მსჯიდნენ; ჩემს აღრინდელ დაუდგრომლობას უკვე ბოლო მოუღეს და ახლა შემლილადღა

1. იგულისხმება პაპ კლიმენტი XI (1700-1721) ბულა „ნიგენიტუს“, რომელშიც იანსენიზმი ერეტიკულ მიმდინარეობად არის გამოცხადებული, ეკლესია კი სახელმწიფოზე ზედამდგომელად.

მთვლიდნენ. მაგრამ, როგორც კი მივხვდი, ცხოვრებიდან განრიდების ამგვარ საშუალებას მხოლოდ ჩემი სასონარკვეთილება მკარნახობდა, რომ მე თითქოს ვიღაცის ხელს მივყავდი იმ ჭისკენ, ჩემს გადასაყლაპად ყოველთვის რომ მზად იყო, მეტი აღარც მიფიქრია ამაზე და ჩემი გონება ახლა სხვა გზის ძიებისკენ შებრუნდა; დერეფნებში გავლისას თვალთ ფანჯრების სიმაღლეს ვზომავდი. ღამლამობით ჩემი წვივსაკრავების სიმაგრეს ვსინჯავდი უაზროდ. იყო დღეები, როცა უარი ვთქვი ჭამაზე. სატრაპეზოში ჩავდიოდი და კედელს მიყრდნობილი, მხრებჩამოყრილი, თვალდახუჭული ვიჯექი, ჩემს წილ ულუფას ხელსაც არ ვკიდებდი. მაკინცდებოდა საკუთარი თავი და იმასაც ველარ ვამჩნევდი, როგორ გადიოდნენ მონაზვნები გარეთ და როგორ ვრჩებოდი მარტო. ისინი განზრახ გადიოდნენ უხმაუროდ და მარტო მტოვებდნენ. მერე კი მსჯიდნენ ლოცვის გაცდენისთვის, მეტი რაღა გითხრათ. აი, ამგვარად შემაზიზღეს, სიცოცხლის ხელყოფის ყველა საშუალება, რადგან ვხედავდი, რომ ისინი წინააღმდეგობას კი არ მიწევდნენ, მიბიძგებდნენ კიდევ თვითმკვლელობისკენ. როგორც ჩანს, ამქვეყნიდან ნასვლა ძნელი ყოფილა, იქნებ, სააქაოში აღარც ვიყავი? შეიძლება, ადამიანი სიცოცხლეს იმისათვის ეთხოვება, რომ ახლობლებმა დაიტვირონ, მაშინ კი, როცა დაინახავს, რომ მისი სიკვდილი ვინმეს ახარებს, სიცოცხლეს ებლაუჭება. გრძნობები, ჩვენს სულებს რომ შესძრავს, მოუხელთებელია. მართლაცადა, ახლა რომ მახსენდება, ასე მგონია, ჩემს საქციელს ის საცოდავი ქალები განაგებდნენ, იქ, ჭასთან, შორიდან მითვალთვალდებდნენ და ვითომ თვალს მარიდებდნენ: „ერთი ნაბიჯი გადმოდგით ჩემსკენ, ჩემი ხსნის უმცირესი სურვილი მაინც გაამჟღავნეთ, მოირბინეთ, ვითომ მაკავებთ და დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ძალიან გვიან მოხვალთ“. დიახ, ვცოცხლობდი მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ჩემი სიკვდილი უნდოდათ. ვნების მიყენების სიმშაგემ, ტანჯვა-წამებამ შეიძლება თავი მოაბეზროს კიდევ ამ სამყაროს, მაგრამ მონასტრებში ეს არ ბეზრდებათ.

აი, რა დღეები ვიყავი. და ყოველივე ამან ჩემი წარსულისკენ მიმბრუნა. იმ აზრამდე მივედი, რომ ალთქმა უნდა დამერღვია, სხვა გამოსავალი არ მქონდა. თავდაპირველად ამაზე მხოლოდ სხვათა შორის ვფიქრობდი. მარტოსულს, ყველასგან მიტოვებულს, ვინმე შემწეს გარეშე, როგორ უნდა განმეხორციელებინა ჩემი ჩანაფიქრი, რომელიც სხვათა დახმარებითაც ძნელად იქნებოდა აღსასრულებელი? შემწე კი არავინ მყავდა! ამის გაფიქრებამ მაინც მანუგეშა. დავმშვიდდი და ცოტა გონება მოვიკრიბე. ახლა უკვე ზედმეტად თავს არ ვიტანჯავდი და უფრო მოთმინებით ვიტანდი ჩემს სატკივარს. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე, მაშინვე შეამჩნიეს და, დიდადაც გაოცდნენ. მათი გაბოროტებული გამოსხრობები შემცირდა, ასე შედარება ხოლმე ღაჩარი მტერი, აქამდე რომ ფეხდაფეხ მოგდევდათ, მერე კი ერთბაშად თქვენს წინ აღმოჩნდა. მითხარით

ერთი, მონყალო ბატონო, რატომ ხდება, რომ უამრავ საბედისწერო გადაწყვეტილებათა შორის, სასონარკვეთილი მონაზვნების თავში რომ გაიფიქრებს, ვერ შეხვდებით სურვილს მონასტრის გადნვისა? მე ეს ერთხელაც არ მიფიქრია, ალბათ, არც სხვებს უფიქრიათ, მაგრამ ამაზე ადვილი გასაკეთებელი ხომ არაფერია. დატოვე, მხოლოდ ქარიან ამინდში, სხვენზე, შემის ფარდულში, ან რომელიმე დერეფანში ანთებული სანთელი და ყველაფერი თავისთავად მოხდება. ამგვარ დროს ხომ ყველა კარს აღებენ, და ჰაიდა, თავს უშველეთ, ვისაც შეგიძლიათ! მაგრამ მონასტერში ხანძარი არასოდეს მომხდარა, იქნებ იმიტომ, რომ გვეშინია, საფრთხეში არ ჩავაგლოთ ჩვენი თავიც და ისინიც, ვინც გვიყვარს? ან არა გვსურს ის დახმარება, რომელსაც იმათ თანაბრად აღმოგვიჩინენ, ვინც გვძულს? ეს უკანასკნელი აზრი ძალზე დახვეწილია საიმისოდ, რომ ჭეშმარიტება იყოს.

როცა დიდი მიზანი გვიპყრობს, ეს მიზანი სრულიად გონივრულად, უფრო მეტიც, შესაძლებელიც კი, გვეჩვენება. ეს ვეება ძალას გვმატებს. ორ კვირაში ყველაფერი კარგად მოვიფიქრე; გონება კარგად მიჭრიდა და აი, რა გადაწყვიტე: ერთი რიგიანი ნერილი უნდა დამენერა და ვინმესთვის რჩევა მეთხოვარს; ერთიც და მეორეც საფრთხისგან არ იყო დაზღვეული. მას მერე, რაც სრულიად გამოვიცვალე, უფრო მეტი ჩაძიებით დამიწყეს თვალთვალთ; თვალს არ მაშორებდნენ. ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდი, მაშინვე ყველას რომ არ სცოდნოდა. ერთ სიტყვასაც ვერ ვიტყვოდი, მაშინვე არ აენონ-დაენონათ. კვლავ დაიწყეს ჩემთან დაახლოება, ცდილობდნენ ეთქმევიინებინათ რამე, ხან რას მეკითხებოდნენ, ხან — რას, ვითომ გული შესტკიოდათ, მეგობრობას მეფიცებოდნენ, იგონებდნენ ჩემს წარსულს, ალერსიანად მტუქსავდნენ, ალბათ, ახლა მაინც უკეთესად მოიქცევიო და ტკბილ მომავალს მპირდებოდნენ; და მაინც, სხვადასხვა მიზეზით, დღისით თუ ღამით, ერთბაშად, უხმაუროდ, ჩემს სენაკში შემოდოდნენ, საწოლის ფარდებს სწევდნენ, დამხედავდნენ და გადიოდნენ. ჩვეულებად მექცა გაუხდელს მძინებოდა; სხვა სურვილიც გამიჩნდა — აღსარების დანერა მოვინდომე. ერთ დადგენილ დღეს წინამძღვართან მივედი, ქალაღი და მელანი ეთხოვე, უარი არ უთქვამს და მომცა. უკვე აღსარების დღესაც ველოდი, ჩემს ჩანაფიქრს ამ ლოდინში ვაყალიბებდი. მოკლედ, უნდა აღმენერა ყოველივე, რაც თქვენ მოგწერეთ, ოღონდ გამოგონილი გვარებით. მაგრამ სამი წინდაუხედავი ნაბიჯი გადავდგი: პირველი — წინამძღვარს ვუთხარი, ბევრი მაქვს საწერი-მეთქი და ამ საბაბით იმაზე მეტი ქალაღი მოვიტხოვე, ვიდრე ჩვეულებრივ დამჭირდებოდა. მეორე — ჩანაწერებმა გამიტაცეს და აღსარების წერა გადამავინყდა. მესამე — აღსარებას მოუმზადებელი შევხვდი და სააღსარებოში მცირე ხანს დავყავი. ყველაფერი, რა თქმა უნდა, შეამჩნიეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ნათხოვარი ქალაღი სულ სხვა

რამისთვის გამოვიყენე. მაგრამ თუ აღსარება არ დამინერია, რაც თავისთავად ასეც იყო, მაშინ, ქალაღი რალაში გამოვიყენე?

არც კი ვიცოდი, თუ რა აურზაური გამოიწვია მონასტერში ამ ამბავმა, მაგრამ ვიგრძენი, რომ საშიში იყო ჩანანერების ჩემთან დატოვება. ჯერ ლეიბში ან ბალიშში ჩაკერება მინდოდა, ან ტანსაცმელში დამალვა, ბალში დამარხვა ან ცეცხლის მიცემა. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მეჩქარებოდა ყველაფრის დაწერა და ახლა როგორ გამიჭირდა, როცა უკვე დაინერა. კონვერტი დავებეჭდე, უბეში შევინახე და როცა ზარებმა წირვაზე გვიხმო, დაბლა ჩავედი. მოუსვენრობა მომეძალა და ეს ყოველ მოძრაობაში მეტყობოდა. ერთი ახალგაზრდა მონაზონის წინ ვიჯექი. ვიცოდი ვუყვარდი, ერთი-ორჯერ შევამჩნიე რა სიბრალულით მიყურებდა და ცრემლებიც ერეოდა; არც დამლაპარაკებია, მაგრამ ცხადი იყო, იტანჯებოდა. ვიცოდი თავს საფრთხეში ვიგდებდი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე ჩემი ჩანანერები ამ მონაზონისთვის მიმენდო. იმ დროს, როცა ყველა მონაზონი იჩოქებს, თავს ხრის და მერხებში აღარც კი ჩანს, უბიდან ჩუმად ამოვაცოცე ქალაღები და ჩემს უკან დარქოქილ იმ მონაზონს გადავანოდე; მან გამომართვა და უბეში ჩამალა. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იმ სამსახურთა შორის, რომელიც ჩემთვის გაუნგვია; ამგვარი ცოტა როდი იყო. მრავალ დღეთა მანძილზე ისე, რომ საკუთარი თავი არ გაეცა, ათას წვრილმან დაბრკოლებებს მარიდებდა, რომელთაც დანარჩენი მონაზვნები ჩემს წინააღმდეგ ქმნიდნენ, რათა ხელი შეეშალათ სამონაზვნო მოვალეობის აღსრულებაში და ამით ჩემი დასჯის უფლება მიეღოთ. კარზე მიკაკუნებდა, როცა გამოსვლის დრო იყო. აკეთებდა იმას, რასაც სხვები მიფუჭებდნენ. ჩემს მაგივრად მიდიოდა ზარების დასარეკად, ან მგალობელთა გუნდში სამღერლად; სად არ გამოჩნდებოდა ჩემს მაგივრად... და ყველაფერს ისე აკეთებდა, ზოგჯერ ვერც კი ვხვდებოდი.

მივხვდი, რომ სწორედ მოვიქეცი. რა წამს კლიროსიდან გამოვედი, წინამძღვარმა მითხრა: „დაო სიუზანა, გამომეყევით...“. მე მორჩილად გავყევი. დერეფანში რომელიღაც კართან მეჩერდა და მითხრა: „აი, თქვენი სენაკი. თქვენს უწინდელ სენაკს დაე იერონიმი დაიკავეს...“. შევედი. ისიც შემომყვა. ორივენი ჩუმად ვიჯექით. მერე ერთი მონაზონი შემოვიდა, ტანსაცმელი შემოიტანა და სკამზე დამინყო. „დაო სიუზანა, — მითხრა წინამძღვარმა, — გაიხადეთ ეს სამოსი და ეს ჩაიცვით...“. დავემორჩილე და მის თვალწინ ტანსაცმელი გამოვიცვალე. ჩემს ყოველ მოძრაობას თვალყურს ადევნებდა. მონაზონი, რომელმაც ტანსაცმელი მოიტანა, კარს უკან იდგა. მერე კვლავ შემობრუნდა, ტანსაცმელი მოაგროვა და გავიდა. წინამძღვარიც მას გაჰყვა. ჩემთვის არაფერი უთქვამთ და არც მე მიკითხავს რამე. ამასობაში ჩემი ძველი სენაკის ყველა კუთხე-კუნჭული გადააქოთეს. ბალიშები და ლეიბები დაარღვიეს; მისნი-მოსნიეს ყველაფერი, რაც

კი ხელთ მოხვდათ. მოიარეს ყველა ადგილი, სადაც კი ფეხი დამიდგამს: სააღმსარებლოში, ეკლესიაში, ბალში, ჭასთან, ქვის სკამთან. მე მხოლოდ ზოგ რამეს მოვკარი თვალი, დანარჩენს კი გუმანით მივხვდი. ვერაფერი იპოვეს, მაგრამ ეჭვი ოდნავადაც არ დაცხრობიათ. მტკიცედ სჯეროდათ, რომ რალაცას ვმალავდი. რამდენიმე დღე მითვალთვალეს: კვალდაკვალ დამდევდნენ, ყველაფერს ამოწმებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს წინამძღვარმა, ალბათ, იფიქრა სიმართლეს მისგანვე თუ გავიგებო, ერთ დღეს ჩემს სენაკში შემოვიდა და მითხრა:

— დაო სიუზანა, თქვენ ბევრი ცუდი ჩვევა გაქვთ, მაგრამ სიცრუე არ გიყვართ. სიმართლე მითხარით, რაში გამოვიყენეთ ის ქალაღები, მე რომ მოგეცით?

— ქალბატონო, აკი მოგახსენეთ.

— შეუძლებელია. ქალაღი ბევრი მოგეცით, სააღმსარებლოში კი ერთი წუთი დაჰყავით.

— მართალია.

— მაშ, რალაში გამოვიყენეთ?

— უკვე გითხარით.

— კეთილი! დაიფიცეთ წმინდა მორჩილების აღთქმა, რომელიც უფალს აღუთქვით, რომ არ ცრუობთ და დაგიჯერებთ.

— ქალბატონო, უფლება არა გაქვთ ასეთი წვრილმანის გამო ფიცი ჩამომართვათ და არც მე მაქვს უფლება დაფიცებისა. არ დავიფიცებ!

— მატყუებთ, დაო სიუზანა და თვითონაც არ იცით, რა დღეში იგდებთ თავს. რა უყავით ქალაღი, რომელიც ჩემგან მიიღეთ?

— უკვე გითხარით.

— სად არის?

— აღარა მაქვს.

— რა უქენით?

— ის, რასაც ჩვეულებრივ უკეთებენ ამგვარ ჩანანერებს, როცა უკვე უსარგებლოდ მიიჩნევენ, გადავყარე!

— დაიფიცეთ წმინდა მორჩილების აღთქმა, რომ მთელი ქალაღი აღსარების დასაწერად გამოვიყენეთ და აღარა გაქვთ.

— ქალბატონო, გიმეორებთ, ეს ძალიან უმნიშვნელო საკითხია და არ დავიფიცებ.

— დაიფიცეთ, — მითხრა მან, — ანდა...

— არ დავიფიცებ.

— არ დაიფიცებთ?

— არა, ქალბატონო.

— მაშინ დამნაშავე ხართ.

— რაში შეიძლება დამნაშავე ვიყო?

— ყველაფერში. არ არსებობს ისეთი რამ, თქვენ რომ არ ჩაიდენთ. განზრახ აქებდით ძველ წინამძღვარს, რომ მე დაგემცირებინეთ. გაჟულდათ ის წესები და ჩვეულებები, მან რომ გააუქმა და მე კი საჭიროდ ჩავთვალე მათი აღდგენა. თქვენ აამბოხეთ დათა კრებულნი. დაარღვიეთ წესდება. არ ასრულებთ არც ერთ მოვალეობას. იძულებული გამხადეთ დამესაჯეთ და დამესაჯა ყველა, ვინც აცდუნეთ, ეს უკანასკნელი კი ყველაზე მძიმეა ჩემთვის. შემედლო თქვენს წინააღმდეგ მიმელო უფრო

მკაცრი ზომები, მაგრამ გზოგავდით. მეგონა, თავადვე შეიგნებდით დანაშაულს. გააკეთებდით იმას, რასაც თქვენგან თქვენი მდგომარეობა მოითხოვდა და დამემორჩილებოდით. ეს არ გააკეთეთ. თქვენს გონებაში რალაც უკეთური ხდება. რალაც განზრახვა გიტრიალებთ. მონასტრის ინტერესები იძულებულს მხდის ყველაფერი ვიცოდეთ და მეცოდინება კიდეც. დაო სიუზანა, სიმართლეს მითხარით!

— უკვე გითხარით.

— ახლა ნავალ. მაგრამ გეშინოდეთ ჩემი დაბრუნებისა... ერთ ნუთს კიდევ გაძლევთ, გადანყვით... ან ქალაღები, თუკი ისევ გაქვთ...

— აღარა მაქვს.

— ანდა ფიცი, რომ მასში სხვა არა ყოფილა რა, გარდა თქვენი აღსარებისა.

— ფიცის მოცემა არ შემძლია“.

ცოტა ხანს ჩუმად იყო. მერე გავიდა და ოთხ ფავორიტ მონაზონთან ერთად დაბრუნდა, რომელთაც შემულილი და მძვინვარე სახეები ჰქონდათ. მათ ფერხით დავემხე და ვევედრებოდი, რომ მონაზონება მოელოთ. ისინი კი ერთხმად გაჰკიოდნენ: „არავითარი მონაზონება, ქალბატონო, გული არ მოგიბოთ; ან ქალაღები მოგვცეს, ანდა მინისქვეშა საპყრობილეში ჩავსვამთ...“. ხან ერთს ვეხვეოდი მუხლებზე, ხან — მეორეს, ვევედრებოდი, სახელებს ვეძახდი: „დაო აგნესა, დაო უიუ-ლი, რა დაგიძვეთ? რატომ აბოროტებთ ჩემს წინამძღვარს? განა მე ასე გექცეოდით? რამდენჯერ გამოგექომაგეთ? რატომ აღარ გახსენდებათ? თანაც მაშინ დამნაშავენი იყავით, მე კი არა ვარ დამნაშავე, არა“.

წინამძღვარი გაშეშებული დამცქეროდა და ამბობდა: „— მომეცით ქალაღები, უბედურო, ანდა გამოტყდით, რა დანერეთ.“

— ქალბატონო, — ეუბნებოდნენ მონაზვნები, — ნულა ეხვევებით. რატომ ხართ ასეთი კეთილი. ამას არ იცნობთ. ეს დაუმორჩილებელი სულია, ხედავთ, თავადვე გიბიძგებთ. მით უარესი მისთვის.

— ძვირფასო დედაო, — მოვთქვამდი მე, — ისეთი არაფერი ჩამიდენია, რაც შეურაცხყოფდა ან უფალს, ანდა ადამიანებს, გეფიცებით.

— ეს ის ფიცი არ არის, თქვენგან რომ მოვითხოვ.

— ალბათ, უფროსს ვიკარიუსს, ან მთავარეპისკოპოსს გაუგზავნა თქვენზე საჩივარი. უფალმა იცის, როგორ დახატა მთელი მონასტერი. ცუდს ადვილად იჯერებენ. ქალბატონო, გააუვნებლეთ ეს გომბიო, თუ არ გინდათ, რომ ყველა დაგვასწებოვნოს.

წინამძღვარმა კი დაუმატა:

— დაო სიუზანა, ხედავთ?..

უცბად წამოვდექი და ვუთხარი:

— ყველაფერს ვხედავ, ქალბატონო, ვხედავ, რომ ვილუპები, მაგრამ სულერთი არ არის, როდის მოხდება, ერთი ნუთით გვიან თუ ერთი ნუთით ადრე. გააკეთეთ, რაც გნებავთ. ყური მიაპყარით ამათ მრისხანებას. დაავკირგვინეთ თქვენი უსამართლობა...“.

და ხელები გაუწოდეთ. მონაზვნებმა მამ-

ინვე ხელი მტაცეს. სამონაზვნო მანდილი ჩამომავლიჯეს, სამოსელი უსირცხვილოდ შემომადარცხეს, მკერდზე უწინდელი წინამძღვრის პანია პორტრეტი მიპოვნეს, კისრიდან ჩამომავლიჯეს და რამდენიც არ ვეხვეწე, უკანასკნელად ვეამბორები-მეთქი, არ დამანებეს. პერანგი მომიგდეს, წინდები გამხადეს, ტომარა ჩამომაცხეს, ფეხშიშველა და თავშიშველა გამატარეს დერეფანში. ვკიოდი, მშველელს ვუხმობდი, მაგრამ ზარები ხმამაღლა, გამაფრთხილებლად რეკდნენ, არავინ გაბედოთ გამოჩენაო. მინაზე დავემხე, ზეცას ვევედრებოდი დახმარებას, ხელ-ფეხი უკვე დაკანრული და გასისხლიანებული მქონდა. ისეთ დღეში ვიყავი, ქვის გულიც კი მოლბებოდა. ამასობაში უზარმაზარი გასაღებით მინისქვეშეთის ბნელი და ვინრო კარი გააღეს და სინესტისაგან ნახევრადშეჭმულ ჭილობზე დამავდეს. იქ, ერთი ნაჭერი ხშიადი, ცოლჩაწყალი და საჭიროების ტლანქი ჭურჭელი დამხვდა. ჭილოფის ერთი დახვეული ბოლო ბალიშის მაგივრობას მინევდა. ქვის ლოდზე თავის ქალა და ხის ჯვარცმა იდგა. როგორც კი ფეხი შევდეგი, თავის მოკვლა მინდოდა. ყელში ხელები ნავიჭირე, კბილებით სამოსელი ჩამოვიფხვინე და საშინელი კივილი მოვრთე. გარეული მხეცივით ვღრიალებდი, კედელს თავს ვურტყამდი. ერთიანად სისხლით ვიყავი მოთხვრილი. მინდოდა ქანცი გამომლეოდა. და ასეც მოხდა. ამ ყოფაში გავატარე სამი დღე. მეგონა ველარასოდეს ვიხილავდი დღის სინათლეს. ყოველ დღით რომელიმე ჩემი მწვალბელი გამოჩნდებოდა და მეტყუდა:

„— დამემორჩილეთ წინამძღვარს და აქედან გახვალთ.“

— არაფერი დამიშავებია, არც არაფერი ვიცი, ჩემგან რა უნდათ? ო, დაო კლემანს, ღმერთი ხომ არსებობს...“.

მესამე დღეს, საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, კარი რომ გაიღო და ისევ ის მონაზვნები შემოვიდნენ, აქ რომ მომიყვანეს. წინამძღვრის სიკეთე ქებით მოიხსენიეს და მაუწყეს, რომ მან ყველაფერი მომიტევა და მანთავისუფლებდნენ.

„— უკვე გვიანია, — ვუთხარი მე, — თავი დამანებეთ, აქ მინდა მოვკვდე“.

მათ მაინც ამაყენეს და წამათრიეს. შემეყვანეს ჩემს სენაკში, სადაც წინამძღვარი დამხვდა:

„— უფალს დავეკითხე, როგორ მოგქცეოდით. იგი ჩემს გულს შეეხო. მისი ნებაა მოგიტევეთ და მე დამემორჩილეთ. დაიჩოქეთ და შესთხოვეთ პატიება.“

დავიჩოქე და ვთქვი:

— უფალო, ისე გევედრები, მომიტევეო ცოდვანი ჩემნი, როგორც შენ ივედრებოდი, როცა ჯვარს იყავი გაკრული.

— რა ამპარტავნობაა! — იყვირეს მონაზვნებმა, — იესო ქრისტეს უთანაბრებს თავს, ჩვენ კი იუდეველებს გვადარებს, ქრისტეს ჯვარზე გამკვრელებს.

— მე კი ნუ მიყვირით, განსაჯეთ თავი თქვენი და თავად მიხვდებით.

— ეს არა კმარა, — მითხრა წინამძღვარმა, — შემომფიცეთ წმინდა მორჩილების ალტკმით, რომ, რაც მოხდა, არასოდეს არავის უამბობთ.

— რაკი ფიცს მთხოვთ, ეტყობა, საძაგელი რამ ჩაიდინეთ. გეფიცებით, საკუთარი სინდისის გარდა პასუხს არავინ მოგთხოვთ.

— იფიცებთ?

— დიახ, ვიფიცებ!“

ამის მერე გამხადეს ტანსაცმელი, დასჯის წინ რომ გადამაცვეს და ჩემი სამონაზვნო კაბის ჩაცმის ნება დამრთეს.

მინისქვეშა ნესტიან საკანში გავცივდი; ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. მთელი სხეული მტეხდა. დღეები ისე გადიოდა, მხოლოდ ორიოდ ნვეთ წყალსა და პურის ნამცეცს თუ ვიღებდი. მეგონა, ჩემი მაშინდელი წამება უკანასკნელი იქნებოდა. მაგრამ ამ ხანმოკლე, სასტიკმა ელდამ დამარწმუნა, რა დიდი ძალა ჰქონია ახალგაზრდა სხეულს. საკმაოდ მალე მოვლონიერდი. როცა გარეთ გამოსვლა დავინყე, მივხვდი, თურმე ყველა მონაზონს ჰგონებია, რომ სწეულება გადავიტანე. ისევ დავინყე ნირვა-ლოცვაზე სიარული, ეკლესიაში კვლავ კუთვნილი ადგილი დავიკავე. არ დამვიწყებია არც ჩემი ჩანაწერები, არც ის ახალგაზრდა ქმნილება, რომელსაც ისინი მივანდე. დარწმუნებული ვიყავი, ბოროტად არ გამოიყენებდა ჩემს ნდობას, მაგრამ იხიცი მესმოდა, რომ მას არ შეეძლო მშვიდად შეენახა ეს ქალაქდები. საპატიმროდან გამოსვლის ცოტა ხნის მერე, ზუსტად იმ დროს, იმ ადგილას, სადაც ქალაქდები გადავეცი, ანუ როცა დავიჩოქეთ, თავები დავხარეთ და ჩვენს მერხებში გავუჩინარდით, ვიგრძენი, ვილაცა ფრთხილად მენეოდა კაბაზე. გავინოდე ხელი და შიგ ქალაქდი ჩამიდეს. ქალაქდზე ენერა: „როგორ ვწუხდი თქვენზე! რა უნდა ვუყო ამ საშინელ ქალაქდებს?..“. წერილი წავიკითხე, დავაგორგლე და გადავყლაპე. ეს მოხდა დიდმარხვის წინ. დგებოდა დრო, როცა საეკლესიო ვალობის მოსმენის სურვილი ღონშანში პარიზის ყველა ფენის საზოგადოებას იზიდავს. მშვენიერი ხმა მქონდა და მიუხედავად ამდენი ტანჯვა-წამებისა, არც ისე შესამჩნევად დამზიანებია. არსად ისე არ აფასებენ წერილმან სარგებლობას, როგორც მონასტერში. ახლა ცოტა უფრო ფრთხილად მექცეოდნენ, მეტი თავისუფლება მოვიპოვე. მონაზვნებს, რომელთაც სიმღერას ვასწავლიდი, უკვე დაუსჯელად შეეძლოთ ჩემთან ურთიერთობა; ის მონაზონიც, რომელსაც ჩემი ქალაქდები ვანდე, მათ შორის იყო. დასვენების დროს ბაღში ვატარებდით. ერთხელ განზე გავიხმე და ვაიძულე ემღერა; ვიდრე ის მღეროდა, ვუთხარი:

— ერისკაცობაში ბევრი ნაცნობი გყავთ. მე კი არავის ვიცნობ. არ მინდა სახელი გაგიტეხოთ, უნინ სიკვდილს ვირჩევდი, ვიდრე რამე უსიამოვნება შეგხვდეთ ჩემთვის განუული სამსახურისათვის. ძვირფასო მეგობარო, შეიძლება თავი დაიღუპოთ, მე კი, ვიცი, ვერ გადამარჩინთ. და თუნდაც თქვენმა დაღუპვამ

გადამარჩინოს, ამ ფასად ნაყიდ თავისუფლებას არაფრით დაეთანხმდები.

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, — მითხრა მან, — რისი გაკეთებაა საჭირო?

— ამ ქალაქდებმა რომელიმე გამოცდილ ადვოკატამდე უნდა მივლინოს. ოღონდ არ უნდა იცოდეს, რომელი მონასტრიდან გაუგზავნეს. მერე კი პასუხი უნდა მივიღოთ, რომელსაც ან ეკლესიაში გადმომცემთ ან სადმე სხვაგან.

— მართლა, რა უყავით ჩემი წერილი? — მკითხა მან.

— მშვიდად იყავით, გადავყლაპე.

— თქვენც მშვიდად იყავით, ვიფიქრებ თქვენს საქმეზე!“

ალბათ, მიხვდებით, მონყალეო ბატონო, რომ ვიდრე ის ლაპარაკობდა, მე ვმღეროდი, ხოლო ვიდრე ვპასუხობდი, ის მღეროდა, ასე რომ ჩვენი საუბარი და სიმღერა ერთმანეთს ენაცვლებოდა. ეს გოგონა კვლავ მონასტერშია და მისი ბედი, მონყალეო ბატონო, თქვენს ხელთაა. ვინმემ თუ გაიგო, რაც ჩემი გულისთვის გააკეთა, არ არსებობს ისეთი წამება, მას რომ არ მიაყენონ. მე არ მინდა მის წინაშეც გაიღოს მინისქვეშა საპყრობილის კარი. ამას მირჩევნია თვითონ დავბრუნდე იქ. მაშ, ცეცხლს მიეცით ეს წერილი, მონყალეო ბატონო. თუ ამ წერილს იმგვარი ინტერესით წაიკითხავთ, რომ ჩემი ბედით დაინტერესდებით, მაშინ უფრო არ არის წერილის შენახვა აუცილებელი.

აი, რას გწერდით მაშინ. მაგრამ ვაი, რომ ახლა იგი აღარ არის ამქვეყნად და სრულიად მარტო დავრჩი...

მან არ დააყოვნა ალტკმული სიტყვის შესრულება და ჩვენი ჩვეული ხერხით მაუწყა. დადგა ვნების კვირა. საღამოს წირვის მოსასმენად ბევრი ხალხი მოვიდა. დიდებულად ვგალობდი. საზოგადოებამ ისეთი ხმაურიანი, ეკლესიისთვის შეუსაბამო ტამისცემა ატეხა, როგორითაც მსახიობებს აჯილდოვებს თქვენი თეატრალური დარბაზი, და როგორიც არ უნდა ისმოდეს უფალი ღმერთის ტაძრებში, განსაკუთრებით კი იმ საზეიმო და პირქუშ დღეებში, კაცთა მოდგმის ცოდვათა გამოსასყიდად ჯვარზე გაკრული მისი შვილის ხსოვნისთვის რომ ეწყობა. ჩემი ახალგაზრდა შევირდები კარგად იყვნენ მომზადებულნი. ზოგიერთს მშვენიერი ხმაც ჰქონდა; მომეჩვენა, რომ დამსწრენი სიამოვნებით უსმენდნენ, ხოლო მონაზვნები ჩემი გულმოდგინების დაგვირგვინებით კმაყოფილნი იყვნენ.

როგორც მოგახსენეთ, მონყალეო ბატონო, ხუთშაბათობით, ზიარებისას წმინდა ნაწილებს სანაწილედან ამოასვენებენ და განსაკუთრებულ, საამდლეოდ მოწყობილ საკურთხეველზე დაასვენებენ ხოლმე, სადაც პარასკევ დილაზე რჩება. ამ დროს მონაზვნებმა, ზოგმა სათითაოდ, ზოგმაც ორ-ორმა, წმინდა ნაწილებს ზიარებისას უნდა სცეს თავყვანი. გამოაკრავენ განრიგს, რომელშიც ყოველი მონაზვნის თავყვანისცემის დრო აღინიშნება. ო, როგორ გამიხარდა, როცა ამოვიკითხე. რომ

მონაზონ სიუზანასა და მონაზონ ურსულასთვის განკუთვნილი დრო ღამის ორიდან სამ საათამდე იყო აღნიშნული. დანიშნულ დროზე საკურთხეველთან მივდი. ჩემი მეგობარი იქ დამხვდა. საკურთხეველის საფეხურთან ერთმანეთის გვერდით ჩავიჩოქეთ, მონანიების ნიშნად პირქვე დავემხეთ და ნახევარი საათი ვადიდებდით უფალსა ჩვენსა. ჩემმა ახალგაზრდა მეგობარმა ხელი გამომიწოდა, მომიჭირა და მითხრა:

„— იქნებ პირისპირ ასე ხანგრძლივად და თავისუფლად ველარ შევხვდეთ. უფალმა იცის, რა დღეშიც ვართ ამ საპყრობილეში და მოგვიტევენს თუ მისთვის კუთვნილ ცოტადენ დროს ნავართმევთ. მე არ ნამიკითხავს თქვენი ჩანანერები, მაგრამ მისი შინაარსის მიხედვით არ არის ძნელი. მალე პასუხსაც მივიღებ. თუ პასუხი დამაკმაყოფილებელი იქნება და ალექსის დარღვევის უფლებას მოიპოვებთ, განა უმჯობესი არ არის, ისეთ ვინმესგან მიიღოთ რჩევა, ვინც კანონები კარგად იცის?“

- მართალი ბრძანდებით.
- ალბათ, თავისუფლებაც დაგჭირდებათ.
- მართალი ბრძანდებით.
- საამისოდ ახლანდელი მდგომარეობა უნდა გამოიყენოთ.
- ამაზე ვიფიქრე.
- შეძლებთ ამას?
- ალბათ.

— ერთიც: საქმის გარჩევა თუ დაიწყება, მონაზონთა თემის მთელი მძვინვარება დაგატყდებათ. გიფიქრიათ იმაზე, რაც გელით?

— იმაზე მეტი რალა უნდა იყოს, რაც უკვე გადავიტანე.

- არაფერი ვიცოდი.
- მომიტევეთ. ამჯერად კაციშვილი ვერ გაბედავს ხელჰყოს ჩემი თავისუფლება.
- რატომ?

— იმიტომ, რომ კანონის მფარველობის ქვეშ ვიქნები: ველარ დამმალავენ. საერო ხელისუფლებასა და მონასტერს შორის აღმოვჩნდები. შემეძლება თავისუფალი ლაპარაკი და თავისუფალი ჩივილი; მოწმეებად ყველას დაგიძახებთ. ვერავინ გაბედავს ზიანის მოყენებას, თუ შევძლებ იმ წამების გამხელას, მე რომ გადავიტანე; ჩემს მტრებს შეეშინდებათ, რომ საქმე უცბად არ შეტრიალდეს. უკეთესიც კი იქნება თუ ისევ ცუდად მომექცევინან, მაგრამ ამას ველარ გაბედავენ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ახლა სხვანაირად მოიქცევიან. დამიწყებენ მტკიცებას, რომ ზიანს ვაყენებ ჩემს თავსაც და მონასტერსაც. ესეც იცოდეთ, ტკბილი სიტყვით და დაპირებებით რომ ვერას გახდებიან, მუქარაზე გადავლენ, მაგრამ ძალადობას მაინც ვერ გაბედავენ.

— როცა ვხედავ, რა თავისუფლად და ბეჯითად ასრულებთ თქვენს მოვალეობას, ვეღარ ვიჯერებ, ამოდენა ზიზღი თუ გაქვთ მონაზვნობისა.

— მაინც სიძულვილი მძლევს. ეს სიძულვილი ჩემთან ერთად დაიბადა და არც არასოდეს მიმატოვებს. სულერთია, ერთ მშვენიერ დღეს

მაინც აღმოჩნდება, რომ ცუდი მონაზონი ვარ. აი, ეს ნუთი არ უნდა დადგეს.

— მაგრამ, თქვენდა საუბედუროდ, თუ მარცხი მოგივიდათ?

— თუ დავმარცხდები, სხვა მონასტერში გადაყვანას მოვითხოვ ან აქვე მოვიკლავ თავს.

— ვიდრე სიკვდილი მოვა, დიდხანს მოგიწევთ ტანჯვა. ოჰ! ჩემო მეგობარო, თქვენი გადარწმუნებლობა მაშინებს. მაშინებს ისიც, რომ ალექსის დაარღვევით, და ისიც, ვაი, თუ ვერ დაარღვიოთ. თუ თქვენსას გაიტანთ, მაშინ რა მოგივათ? რა უნდა გააკეთოთ ცხოვრებაში? სასიამოვნო გარეგნობა გაქვთ, ჭკვიანი ბრძანდებით, ნიჭიერი, მაგრამ ამბობენ, ეს არაფრად არ ღირს სათნოებასთან ერთად. მე კი ვიცი, რომ თქვენ სწორედ სათნოებას არ უღალატებთ.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ სათნოებაზე რაც ბრძანეთ, ვერ დაგეთანხმებით. ამისი იმედი უფრო მაქვს, რომ ის, რაც ნაკლებად გვხდება ადამიანებში, უფრო მეტად იმსახურებს პატივისცემას.

— ქებას ყველა ასხამს, მაგრამ არაფრის გაკეთება არ უნდათ.

— ეს არის მხოლოდ, რაც მამხნევეს და მაიმედებს. რა ბრალიც უნდა დამდონ, ჩემი სული უმნიკვლო რჩება. იმას მაინც ვერავინ იტყვის, როგორც სხვებზე ამბობენ, რომ მონაზვნის სამოსელს უნესო ვნებათა გამო მინდა განვმორდე. კაციშვილს არ ვხედავ. კაციშვილს არ ვიცნობ. მე მხოლოდ თავისუფლებას ვითხოვ, რადგან ჩემი თავისუფლების დათრგუნვა ჩემი სურვილის გარეშე მოხდა. განა არ ნაგვიკითხავთ ჩემი ჩანანერები?

— არა. პაკეტი კი გავხსენი, რადგან ზედ მისამართი არ ენერა, მეგონა მე მეკუთვნოდა, მაგრამ პირველივე სტრიქონებმა გამომაფხიზლეს და აღარ ნავიკითხე. რა ბედნიერებაა, რომ მე გადმომეცით ის ჩანანერები! ნუთიც და თქვენთან იპოვნიდნენ... ჩვენი ლოცვის ჟამიც დასასრულს უახლოვდება. ისევ მოვიყაროთ მუხლი, რათა მათ, ჩვენს მერე რომ მოვლენ სალოცავად, იმგვარად დავხვდეთ, როგორადაც მოგვეთხოვება. შესთხოვეთ უფალს, მოგიტევეთ ცოდვანი თქვენი და გაჩვენოთ გზა ჭეშმარიტებისა. მე კი ჩემს ლოცვასა და სულისთქმას, თქვენსას შევუერთებ.“

**ფრანგულიდან თარგმნა
დავით კახაბერმა**

გაგრძელება იქნება



კონსტანტინე გამსახურდია
და რებეკა ვაშაძე

თურის
ვაშაძე

ბახათები სიყვარულზე

კოლხური კომკიდან სიზმრისეული განწყობილებით წამოვედი — ბატონი კონსტანტინესაგან მომყვებოდა ირეალური სამყაროს ხილვები — არამინიერი, ბუნდოვანი, თითქოს ოდესღაც უკვე ნანახი და განცდილი.

პროზის ოსტატს არაერთხელ შევხვედრივარ მისი ქალიშვილის (ჩემი მამიდაშვილის) ნათელა გამსახურდიას ოჯახში. თვეში ერთხელ მაინც, თუ მეტჯერ არა, მთელი „კოლხური კომკი“ გრიბოედოვის ქუჩისკენ დაიძვროდა, მათ მწერლის ახლონათესაობაც შემოუერთდებოდა და იყო მხიარულება, სიტყვის გაცვლა-გამოცვლა. მეც ხშირად ვყოფილვარ მონაწილე ამ სასიამოვნო პურობისა, ხოლო როცა კოლხური კომკის ეზოში ლეღვი იწყებდა მნიფობას, იქაურობის ხშირი სტუმარიც გახლდით.

მაგრამ იმ საღამოს, როცა ახალგაზრდული გაზეთის დავალებით, ბატონ კონსტანტინეს

თავის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ვენვლე (მაშინ უკვე აღარ იყვნენ ცოცხლები მწერლის მეუღლე მირანდა ფალავანდიშვილი და ქალიშვილი — თამარი), თითქოს პირველად მნახაო, ისე გაიოცა ჩემი მსგავსება ვაშაძეებთან. ახალი ნაავადმყოფარი იყო და კითხვებს გაბნეული „ჰოს“ ან „არას“ პასუხობდა, თითქოს ერთი სული ჰქონდა ეს სავალდებულო საქმე რაც შეიძლება მალე მოეცილებინა და თავისთვის საგულისყურო თემაზე გადასულიყო — იმ საღამოს ბატონი კონსტანტინე წარსულში გადასახლებულიყო და ანმყო აღარ აინტერესებდა. მხოლოდ ერთ ჩემს პათეტიკურ კითხვაზე — განსწავლულობის წლებში უცხოეთში მყოფს ესმოდა თუ არა სამშობლოს ძახილი, თითქოს სიზმრიდან გამომეხმარაო, — ხმადაბლა გამანდო: „დედაზე და პენელოპეზე მეტად არავის ვყვარებივარ“. ვერაფერი გავიგე, მაგრამ კითხვის შებრუნება ვერ შევბედე. და აი, თავად ნაწყვეტ-ნაწყვეტ, პაუზებით მეკითხებოდა: მახსოვდა თუ არა ჩემი ღვთისნიერი ბაბუა, მამა და ბიძა, დვას თუ არა ისევ ჩვენს ეზოში დიდი მაგნოლია, ან საშვეარდნო კლდის ძირში შეფარებულ ჩვენს პატარა ტყეში გაზაფხულობით ისევ ჰყვავიან თუ არა იები და ყოჩივარდები.

მწერალი ჰგავდა ტრაგედიის გმირს, რომელსაც ყველაზე ძვირფასი სადღაც, მიღმა სამყაროში დარჩენია და სულშეძრული ამაოდ ეძებს გარდასულ დღეებს.

გვიან წამოვედი იქიდან, შეძრული „სპექტაკლის“ სიღიადით („სამწუხაროდ ჩემში ძლიერია ჰამლეტური ელემენტი“ — ამოვიკითხე მოგვიანებით რებეკა ვაშაძისადმი მიწერილ ერთ-ერთ ბარათში). მაგრამ იმ საღამოს ფიქრისა და ანალიზის დრო აღარ მქონდა. დილით გაზეთი ჩემს მასალას ელოდა. ვიცოდი, „ჰო“ და „არა“ — თი იოლას ვერ გავიღოდი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სიტყვა დიდ კლასიკოსს ეკუთვნოდა და მის იმდღევანდელ განწყობილებასაც მიესადაგებოდა; ვერც ის ერთადერთი „ვრცელი“ პასუხი იკმარებდა, რომელიც დედასა და პენელოპეს შეეხებოდა (რა კავშირი უნდა ჰქონოდა ჩემს კითხვასთან — პენელოპეს?). სხვა გზა არ მქონდა, გამოვიჩინე ჟურნალისტური თავხედობა, შუალამისას გადმოვალაგე მწერლის ტომეულები და შევუდექი ჩემს კითხვებზე პასუხის ძიებას. „დილოგი“ მოინონა გაზეთმაც და რესპონდენტმაც.

დიდხანს მახსოვდა იმ შთამბეჭდავი საღამოს განწყობილება, რომლის მიზეზს მაშინ მივაგენი, როცა რებეკა ვაშაძისადმი მიწერილ ბატონი კონსტანტინეს მანამდე უცნობ წერილებს გავეცანი (ამ ბარათების არსებობა არც კლასიკოსის ბიოგრაფებმა იცოდნენ). 1916 წელს ჟენევიდან გამოგზავნილი ბარათი ასე იწყებოდა: „ჩემო დაუვინყარო რევა! მე ოდისეი ვარ ქვეყნად სამგზავროდ გასული, შენ მარად ერთგული პენელოპე — მე ღირსიც არ ვარ შენი სიყვარულისა“. აი, თურმე ვინ



ყოფილა ის მეორე, ვისი „ძახილიც“ მოუხმობდა სამშობლოსაკენ და ვისი მივიწყებული (ან იქნებ სულაც არ იყო მივიწყებული) სახეობაც იმ საღამოს კვლავ ეწვია მწერალს.

ამ ბარათებთანაც პროფესიამ შემახვედრა. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (ყურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატება) ბატონ კონსტანტინეზე, ისევე როგორც სხვა ქართველ კლასიკოსებზე, სპეციალურ ნომერს ამზადებდა. მისმა რედაქტორმა, ცნობილმა ფილოლოგმა თამაზ კვაჭანტირაძემ, იცოდა რა ჩემი ურთიერთობა გამსახურდიებთან, მთხოვა, იქნებ ნათელასაგან იმგვარი მასალა მომეპოვებინა, რაც მკითხველისთვის უცნობი და საინტერესო იქნებოდა. და აი, ჩემს ხელთ აღმოჩნდა ბატონი კონსტანტინეს უამრავი ბარათი, რომლის ადრესატიც მწერლის პირველი მეუღლე — რებეკა ვაშაძე გახლდათ. კლასიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართათვის ეს ნამდვილი საგანძური იყო და ამ საგანძურთანავე ყურნალისთვის რამდენიმე შიკრი, თუმცა სხვათა და სხვათა მიზეზის გამო, მკითხველამდე ვეღარ მიიღწია. გაივლის მცირეოდენი ხანი და 90-იან წლებში ამ ბარათთაგან რამდენიმე იბეჭდება გაზეთ „გრაალში“ და „კოლხურ კომკში“, ასევე „ლიტერატურულ საქართველოში“. გამსახურდიას მკვლევარი, ლიტერატორი სოსო სიგუა კი ამავე წერილების საფუძველზე ბევრ მნიშვნელოვან დეტალს სძენს მწერლის ბიოგრაფიას. თუმცა

ერთმანეთისათვის ძვირფასი ამ ორი ადამიანის ურთიერთობაზე ბარათებზე უკეთ ვერავინ იტყვის სათქმელს, მიუხედავად იმისა, რომ თავად რებეკა ვაშაძის წერილები დაკარგულია. „ყოველი საღამო შავად ღამდება, როცა შენი მშვენიერი წერილები არ მომდის“, — წერს მწერალი და დასძენს: „...ეს რა დამჩემდა, მინდა ყველაფერზე გესაუბრო“... და ასე გადადიოდა ყოველდღიური ფიქრები, განცდები თუ შთაბეჭდილებები ქალაღზე. ბიოგრაფის თქმისა არ იყოს, მოედინებოდა ბარათები ყოველი მხრიდან: მოსკოვიდან, მიუნხენიდან, ბერლინიდან, ბაქოდან, ტუაპსედან, ჟენევიდან, მატარებლიდან, სადგურიდან, ტყვეთა ბანაკიდან, უწოდებდა რების, რევას, რებოს, პენელოპეს, უყვებოდა ყოველ წერილმანს და სთხოვდა ნუ დაიზარებდა საპასუხო წერილების გაგზავნას მისთვის.

მათი სიყვარული ქუთაისიდან დაიწყო. აბაშელი ვაჟი იქაურ გიმნაზიაში სწავლობდა, ჭიათურელი ყმანვილი ქალი კი ეპარქიალურ სასწავლებელში. ეს ის პერიოდი, როცა პოლიტიკური ვნებანი, რომელიც რუსეთის იმპერიაში ბობოქრობდა, ცეცხლივით ნაჰკიდებოდა საქართველოსაც და ორ რევოლუციას შორის „მოქცეულ“ განათლებულ ახალგაზრდობას ძალზე აღელვებდა და აახლოებდა.

ღვთისმოსაობითა და ქველმოქმედებით გამორჩეული მღვდლის ქალიშვილი, მაღალი იდეალებისაკენ, მშვენიერისა და ამაღლებულისაკენ ისწრაფოდა და როგორც ყველა განათლებულ ახალგაზრდას, მიმდინარე მოვლენებზეც მიუკერძოებელი აზრი ჰქონდა, ბუნებრივია ზოგჯერ ვაჟისგან განსხვავებულიც.

„ძვირფასო რებო! დღეს შენს წერილში ვკითხულობ „თქვენები პასუხს არ გასცემენო“? — როგორ ობლად ვიგრძენი თავი. ნუთუ ჩემები შენები არაა. რა საშინლაია ეგ სიტყვა ჩემთვის... მე რომ შენ საშინლად არ მიყვარდე, მე რომ ბრანდის ოდენი ღონე მქონდეს, გეტყოდი, გეტყოდი ისე, როგორც ბრანდმა უთხრა აგნესას: ან ჩემსკენ, ან იმი-საკენ (თუმცა ასეთი ანალოგია არაა)... განა მე გეუბნები გინდა თუ არა ჩემი სამშობლო (სულიერ სამშობლოს ვგულისხმობ) შენად გაიხადე მეთქი! არა! — ეგ უსიტყვოდ უნდა მომხდარიყო. აკი შენვე მწერდი: „მე ვერ წარმომიდგენია მიყვარდეს ის ადამიანი, რომელსაც არ თანაფუგრძნობო“. შენ უნდა დაამსხვრიო ყველა კერპი (თუკი ასეთები შენ გყავს) და ჩემ ღმერთზე უნდა ილოცო. სამაგიეროდ მიიღე ჩემგან ყველაფერი — მე ხომ შენზე უდიდესი ღმერთი არ გამაჩნია. მე ხომ შენი ერთი გაცილება მირჩევნია მთელ სამყაროს. მაგრამ დამიჯერე თუ ჩვენ ერთ ტაძარში არ ვილოცეთ — გული დაიფერფლება, ყოველი ჩვენგანი სულიერი მართობით იქნება მოცული.

ღმერთო, რა ვქნა, ისე ვწერ, ეგონება ადამიანს თავნება ქმარი უკვეთავს ცოლს თავის „მე მოდაზე“ იაროს. ოჰ, რევა, მე თუ გიყვარდე უსიტყვოდ გაიგე ჩემი ტკივილი — ჩემი სული“.

დასანანი, რომ არ ვიცით მაინც რა მოხდა, რა უძლოდა ამას წინ, მით უფრო, რომ მწერლის ბიოგრაფის აზრს თუ ვერწმუნებით „რე-ბეკას სიყვარულმა კონსტანტინე კიდევ უფრო დააახლოვა სოციალ-ფედერალისტებს“. ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ ამ მშვენიერი ქალ-ვაჟის სიყვარულის საზრდო, მათი საერთო იდეალები და მისწრაფებებიც იყო, რისი დასტურიცაა მწერლის ქუთაისური პერიოდის სხვა ბარათებიც (თუმცა შემდეგ ერთი-ორჯერ უსაყვედურა რებეკას — ნარიძეს თანაუგრძნობო):


„რაც შეეხება ნარ-ძეს, მე რამოდენიმე ფელეტონი წავიკითხე და ერთს ისეთ ბარბაროსობას წავაწყდი, რომ მივანებე თავი — პეტერბურგში უნდა იყოს გადამწყვეტი ზეიმით და სხვა. ამგვარად ისინი ცენტრალიზმს — ამ ძველ საყვარელს ველარ ეყრებიან... ისე პასუხი მალე იქნება. კიტა (ალბათ, კიტა აბაშიძე — თ.ვ.) გასცემს „სახალ-ში“ ან ლასხიშვილი. აქ უზ-ძე და სხვა. ბოლოს მალე გამოვა ჩვენი პარტიის თეორეტიკულად შემუშავებული ნაც.საკითხი.“

დღეს კერენსკის მოხსენება იყო. კერენსკი ხომ იცი, შრომის ჯგუფის (ყოფილი ესერების) ლიდერი — ქოსა, დაბალ-დაბალი, მაღალი შუბლით — ცხვირზე ზედ ამჩნევია ერთი მსხვილი ძარღვი, რომელიც შეჭმუხვნილ შუბლს უერთდება, რო გაიცინებს მინგვალი და მოგრძო ცხენივით კბილები გამოუჩნდება — ლაპარაკობს ტენდენცია — და სხვა უცხო სიტყვებს ხმარობს არა რუსული გამოთქმით. გრძელი წითელი ხელის ნეკზე საკმაოდ მოზრდილი ფრჩხილი აქვს, რომლითაც მაღიმალ იფხანს კეფას და ყურში იჩხიკინებს“.

ამას მოჰყვება 8 სექტემბერს გამოგზავნილი წერილი: „ჩემო ძვირფასო! ტირილის გუნებაზე ვარ — მინდა ჩუმად, ყრუდ ვიტყვო ნეტავ რათ. დღეს კერ-სკის ვხვდები 12 საათზე. 11-ზე წავედი ფოტოგრაფიაში. შენი სურათი ძალიან მომეწონა — მაგრამ ძლიერ დამალონა. იმ სურათს უნდა დავარქვა „უმისოდ“ — როგორ მოწყენილი ხარ გენაცვალე, თითქოს ლოცულობსო“ (მაშინ რებეკა ქიათურაში იყო).

ჩვევა, თუ ვერ-ნახავდა, ბარათით გასაუბრებოდა სატროს, უცხოეთშიც გაჰყვა. 1912 წლის სექტემბრიდან იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტია და თუ არ ვცდები, ეს ბარათიც იქიდანაა გამოგზავნილი:

„მე რომ შენ არ მიყვარდე, დედა, ღმერთო, რა უდაბნოდ მომეჩვენებოდა სანუთრო. რა უამხანაგოდ ვიგრძნობდი თავს. აქ ახლა მე ერთი მეგობარიც არა მყავს, მაგრამ აინუნშიც არ მომდის. რათ მინდა. განა შენ მუდამ ჩემ სულში არა ხარ? მე მთელი დღეები სახ-



ლში ვზივარ. ან მარტო დავხეტიალობ მუზეუმ-სამკითხველოებში. სულ შენ გეზაასები. თან მეცინება: ღმერთო, რა ბედნიერი ვართ მე და შენ. მართლაც ჩვენი ცხოვრება ახლა პოეზიითაა აღსავსე“.

... მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების საბაბით კონსტანტინე ერთწლიან შვებულეობას იღებს და გერმანიაში მიემგზავრება:

„დღეს საღამოს „ჰამლეტზე“ მივალ. ეს იქნება უკანასკნელი წასვლა თეატრში. მომწერე, გენაცვალე, როგორი ამინდებია. შენ არსად მიდიხარ გასასეირნებლად? რითი კლავ დროს; ახლა რას კითხულობ? შენი ბავშვები ალბათ იებს მოგიტანენ. ჩემთვის შეინახე ის იები“.

შემდეგ: „მამ ასე რევა! გენაცვალე — ზეგ რიხარდ ვაგნერზე მივალ. ჰო, ფაუსტმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ არც ერთ მხატვრულ ნაწარმოებს არ შეუწყვირვარ ისე — თარგმანს ვინცებ მალე. მთელი ადგილები ზეპირად ვიცი. ახ რამდენი უსესხებით რუსის მწერლებს ამ ნაწარმოებიდან... გაიცინებ მერე.“

მე ვაპირებ დრამა — ფაუსტის გადათარგმანს...“

გერმანიიდან ექვსი თვის შემდეგ ბრუნდება პეტერბურგს. იქიდან გამოურიცხავთ, ამიტომ საბუთები გადააქვს მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც რებეკას და — მარგარიტა ვაშაძე სწავლობს. ეს დიდად სასიამოვნოა შეყვარებული ქაბუკისთვის:

„გუშინ მე და მარგომ ერთად ვისადილეთ. მარგომ ახლა კითხულობს ზარატუსტრას — ძლიერ მოსწონს. აზრი — სიყვარულში ქალი ან ტირანია, ან მონაო — საერთოდ, ნიცშეს აზრით ქალის და კაცის მეგობრობაში ასე უნდა იყოს როლები — ქალს ტირანი უყვარს, ქალს ეზარება სინაზე. მე კი ვფიქრობ, შენ უფრო ტირანი ხარ. კარგი და პატიოსანი — შენ იყავ ტირანი, მე შენი მონა ვიყო — რა მენაღვლება, ოღონდ კი გიყვარდე...“

მომდევნო ბარათში: „17-ში მე და მარგომ სამხატვრო თეატრში მივალთ. ერთი ესთეტიკური საღამო უნდა გავატაროთ ერთად“.

ვერც მოსკოვში ძლებს და საქართველოში ჩამოდის.

...1914 წლის 13 აპრილს კონსტანტინე გამსახურდია და რებეკა ვაშაძე ჭიათურის ახლოს — შუქრუთის წმინდა მარინეს ეკლესიაში ინერენ ჯვარს და სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში მიემგზავრებიან. ახალდაქორწინებულებს მიუნხენში აპატიმრებენ. ჯერ კიდევ 1913 წლის ცირკულარის თანახმად, რუსეთის მოქალაქეებს თურმე გერმანიაში სწავლა ეკრძალებოდათ, შეეძლოთ მხოლოდ თავისუფალი მსმენელები ყოფილიყვნენ. ომმა კი ეს უფლებაც მოსპო. ამას ემატებოდა ისიც, რომ ახალგაზრდა ქალს სახელიცა და მამის სახელიც ებრაული ჰქონდა... ძლივს დაარწმუნეს თურმე ადგილობრივი ხელისუფლება, რომ რებეკა ებრაელი არ იყო და ქრისტიანმა მამამ — ეკლესიის მსახურმა, თავის შვილებს ბიბლიური სახელები დაარქვა... როგორც უფროსთაგან მსმენია, მამიდა გემის მოსამსახურედ გააფორმეს და ასე ფარულად ჩამოიყვანეს სამშობლოში.

მომხდარით თავზარდაცემული ქალი ტრაუნშტაინის ბანაკში (სადაც კონსტანტინემ ექვსი თვე დაჰყო), სისტემატურად უგზავნიდა მეუღლეს ფულს, ვაჟი კი ცდილობდა, როგორმე დაემშვიდებინა იგი: „მე ძლიერ კარგად ვარ. საქმე არა მაქვს რა“, თუმცა იქვე სევდიანი ნოტა ცვლიდა: „საშინლად დავიღალე — ჩემო საყვარელო გოგო, აბა შენ იცი, კარგად თუ დამხვდები. იცი რა, არ მინდა ძველი წერილებივით ვწერო, არ მინდა ტკივილები ავიშალო. ოჰ, საშინლად მტკივა გული — ... აბა შენ იცი თუ კარგად დამახვედრებ ყველას და ყველაფერს რაც მე მიყვარდა.“

... მე ხანდახან ვეცემი ჩემ ჩალის ლოგინზე და ვლოცულობ, ვლოცულობ, რომ ღმერთმა, უფალმა შენი წერილები მაღირსოს... ხშირად ძალზე საინტერესო მომენტებს განვიცდი, ხშირად ძლიერ მწარე წამებსაც — ალბათ ოდესმე ბოლო ექნება ამ წვალეებს“.

და აი, პატიმრობიდან განთავისუფლებული, ბერლინში, ძმები ჰუმბოლდტების უნივერსიტეტში ჩაირიცხა. მაგრამ მისი აფორიკაქებული სული იქ მხოლოდ ერთი სემესტრი სძლებს და ჯერ ლოზანაში მიემგზავრება,

შემდეგ კი უნევაში, სადაც ქიმიის ფაკულტეტზე ეპირება შესვლას. აი, მაშინდელი ბარათიცი: „ჩემო ძვირფასო რევა! შენმა წერილმა სული ჩამიდგა. ჩემს ამბავს თუ იკითხავ, ჩემო გოგონა, ვარ ახლა უკეთ, საგრძნობლად გამოვკეთდი — შენი წერილების ცდამ სული ამომართვა. რამდენი ხანია, გენაცვალე, აღარ მინახავხარ, რამდენი ჯავრი და დარდი გადამხდა, რამდენი უბედურება, ენით ვერ აგინერ...“

გადაწყვეტილი მაქვს, ქვეყანაც რომ დაიქცეს, მაინც გავათავო უნივერსიტეტი. აბა შენ იცი, თუ ხელს შემინყობ ამ ენით აუნერელ გაჭირვებისას — შენს მეტი ვინ გამაჩნია ქვეყანაზე, გენაცვალე! — ამას წინათ შენი ბავშვობის სურათი ვნახე ჩემს უბის წიგნაკში და რამდენი სიხარული მოეფინა ჩემ სულს, ამ უბრალო მოგონებისგან. — დარდი და უბედობა მე არ მომცილებია იმ დღიდან, რაც შენ გაგშორდი, მაგრამ რა ვქნა, რა ვიღონო. ომი გათავდება და ვნახავთ ერთმანეთს, გენაცვალე. აბა, რევა, შენ იცი და შენმა ქალობამ, თუ კარგად იქნები“.

1916 წლის ბოლოს კონსტანტინე უკვე სამშობლოშია, რებეკა კი ამდროს ჭიათურის ქალთა საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგია (მოადგილე), დეპუტატობის კანდიდატი. ცნობილი პედაგოგი და დიდი მოამაგე კულტურისა. მისი სახელი არცთუ იშვიათად ჩნდება ფედერალისტური პრესის ფურცლებზე. როგორც მწერლის ერთ-ერთი ბიოგრაფი მოგვიანებით აღიარებს, „რომ არა რებეკა, მაშინ მწერალი ვერც მატერიალურ დახმარებას მიიღებდა და ვერც საუნივერსიტეტო განათლებას. პრესის ფურცლებსაც არავინ დაუთმობდა“

... 1918 წლის 30 მაისს რებეკა ვაშაძესა და კონსტანტინე გამსახურდიას ქალიშვილი შეეძინათ. რამდენიმე თვის შემდეგ, სწავლის დასასრულებლად ვაჟი კვლავ გერმანიაში გაემგზავრა.

ადრეულ წერილებში უზიარებს რა სატრფოს თავის კრიტიკულ აზრს ერთ საერთო ნაცნობ ქიმიკოს ქალზე, საყურადღებო მოსაზრებებს აყალიბებს მშვენიერ სქესზე და საერთოდ დედის როლზე: „შენც დამეთანხმები, ჩემო კარგო, ქალს ყველაზე უწინ ესთეტიური განათლება სჭირდება, რომ შვილები აღზარდოს და არა საპარლამენტო სიტყვებზე იყბედოს. და თუ სუფრაჟისტებსა და ჩვენ ქალაბიჭა კურსისტებს ვკითხავთ, ისინი წინააღმდეგი არიან დედობისა. რა გაენყობა — ანტიინატურალური ცხოველები აბა რას გაიგებენ ამ დიად საიდუმლოებით მოსილ სიკვდილ-სიცოცხლის საოცარ კვანძს. იმათ, ჩემო კარგო, ერთი პატივცემული პროფესორის არ იყოს, მაპატიე შენთან ამას ვიტყვი, მაგრამ, გადაჭარბებულმა სექსუალობამ წარუკვეთა შვილის ყოლის იმედი. ერთხელ და სამუდამოდ დაგვიმტკიცა დიდებულმა ილიამ, რომ ვინც ბუნების წინააღმდეგ მიდის მას ბუნებისვე სასტიკი

Geneve.

Boulevard de la Cluse. 31.

Julia Schwilli. გვიკვ

ქართული თარგმანი

ჩემი ძვირფასო ხვა!

ჩემი ძვირფასო შვიკო მე არ ვაფიქსირებ - ვერ მინდა ჩემი ხვედრები -

მხოლოდ შენ მხოლოდ ხარ ჩემი. მე ვცხადებ იმას რომ უნდა
მეც ისე იმყოფებ - რომელიც ჩემთვის მარტო სიყვარულია.

ოღონდ რომ შენ ნაყვარული. მაგრამ რა აქვს ახლა

მეტი. ვაი ვაი! მხოლოდ ისე, ვინა, იმის ჩემი

აქვს არაფერი.

ხელი კისერს მოუქცევს. როგორ გგონია შენ, ასეთი ქალები იქნებიან ბედნიერნი, თუგინდ ღორღების პალატაში წამოსკუპდნენ, იმდენი უფლებები შეიძინონ. მე გეტყვი — არასოდეს! რადგან ისინი ვერ იგრძნობენ იმ უდიდესი ბედნიერების ნასახს, რომელიც მე დღეს უბრალო მწვანე კონვერტის დანახვაზე განვიცადე ან კიდევ შენ, როცა შორაპნის სადგურზე შეხედე ისეთ ადამიანს, რომელიც მე მგავდა. და არასოდეს ისინი დედობრივ გრძნობას ვერ განიცდიდნენ, რაც მე მგონია ერთი უდიადესი საიდუმლოებათაგანია ამ დიადსა და მართლაც საიდუმლოებით მოცულ მსოფლიოს რთულ ლაბირინთში. აი, რატომ არ მიკვირს, რომ შენ ჩემზე უკეთესად გესმოდეს გაბრიელ დე ანუნციოს ღვთაებრივი სტილი, შენ რომ ჩემზე უკეთ იცოდე შექსპირის სიდიადე, დოსტოვესკის სიღრმავე, შოთას სიბრძნე და ვაჟას ფოლადის რითმის ნაჭედი ლექსი. და ბოლოს შენ ჩემზე უკეთ იცნობდე რუსოს ალზრდას — ეს არამც თუ სასურველია, არამედ საჭიროც.

რაც შეეხება უფლებებს, ჩემო სიყვარულო, შენ გენაცვალოს ჩემი და შენი, და ბოლოს, ქვეყნის უფლებაც.

განა მე შემიძლია არ მიყვარდეს ის რაც შენ გიყვარს? და არ მინდოდეს ის რაც შენ გსურს? სასაცილო იქნება.

აგერ ჩემ წინ გახეული ლურჯი კონვერტი დევს, მარტო იმას არ გაცვლიდი მეფეების უფლებით აღჭურვილ „ღრამოტებზე“ და „უკაზებზე“. ხა, ხა, ხა... რამდენი ვებაახე ჩემს გადარეულ გოგოს.

აბა, ქალბატონო, უფლებას მოგართმევ!

შენ ჩემი კანონიერი ცოლი ხარ. მოვალე ხარ მარტო მე გიყვარდე“.

ალარ დასრულდა ოდისეა: ერთი წლის შემდეგ კვლავ საქართველოში დაბრუნდა და მეუღლეს განუცხადა: ბავშვთან ერთად გერმანიაში გაჰყოლოდა, მაგრამ უარი მიიღო — ძუძუთა ბავშვით გაუჭირდებოდა სხვა ქვეყანაში ცხოვრება და თანაც ქალის მესიერებიდან ჯერაც არ ამოშლილიყო ხუთი წლის წინანდელი ის საშინელი შთაბეჭდილება, რაც მათ საქორწინო მოგზაურობას მოჰყვა. გულდანყვეტილმა ჭაბუკმა მტკივნეულად განიცადა მეუღლის უარი. ვფიქრობ, მაშინაა დანერგილი ეს უთაროლო წერილიც.

„რეზო! შენ ისე უდროოდ წახვედი, რომ ჩვენ ბოლოს და ბოლოს ვერაფერი გამოვარკვიეთ. მე ისე დაფლეთილი მაქვს გული ტკივილებისაგან, ისე მაგარია ის უხილავი ძარღვები, რომელნიც მე შენთან და ჩემ სიჭაბუკესთან მაკავშირებს, რომ სრულიად უმწეო ვარ ქირურგივით მოვიქცე და ერთის დაკვრით მოულო ბოლო იმ საშინელ გამოურკვეველობას, რომელიც ჩემი აზრით დაბადების დღიდან თან დაჰყოლია ჩვენს სიყვარულსა და მეგობრობას.“

ერთსა გთხოვ, ვიდრე რამეს გადასწყვეტდე: დარჩი ფხიზელი, ამაღლდი ტრივიალურ გაცვეთილ მორალზე და მახლობელადმი კომპრომისებზე აიღე ხელი. მე პირადად არც ჩემსა და არც შენ მახლობელთადმი იცოდე იოტისოდენა კომპრომისს არ გავწევ. მე ვფიქრობ, ვიდრე კიდევ სულით ძლიერნი და ახალგაზრდანი ვართ, დავადგეთ გარკვეულ გზას. მე ყოველ შემთხვევაში შენ საუკეთესო მეგობრად მიგულის. ყოველი

ადამიანი ყოფილა ალბათ ისეთ მორალურ ჩიხში, რომელშიაც მე და შენ დღეს ვიმყოფებით.

... შენი ტანჯვის მოზიარე მე მარად ვიქნები. ეს ფილანტროპია როდია. შენ თვალეში მე მეგულება ჩემი მზეგადაცვლილი სიჭაბუკე. შენ ტყუილა გგონივარ მე ტლანქი ეგოისტი. ნეტავ მოეცა ჩემთვის განგებას ისეთი ენა, რომლითაც მე ჩემი სულიერი ტკივილების გადმოცემა შემეძლოს...

გთხოვ, გონივრულად იმოქმედო ორივეს ინტერესებში. ამას გეუბნები იმიტომ, რომ რაც შეიძლება უმტკივნეულო კრიტიკიუმი შენ თვითონ გამოსძებნო და იცოდე მე რაც ჩემი ღონისძიებისაგან იქნება დამოკიდებული, ყველაფერში მხარს დაგიჭერ... ყოველნაირად გვერდში გეყოლები, თვით იმ შემთხვევაშიც, თუ შენ ოფიციალური გაყრის მომხრეც იქნები. ვიმოქმედოთ ისე, როგორც თავისუფალ ადამიანებს შემევენის. შენი კონია. აკოცე ჩემს გოგონას”.

რალათქმა უნდა, ოფიციალურად არ გაყრილან, მაგრამ დასრულდა მათი ცოლ-ქმრობა და შეწყდა მიმონერა. კონსტანტინე ბერლინს იყო, რებეკა კი საქართველოში მუშაობდა და ზრდიდა მათი სიყვარულის ნაყოფს.

... და აი, 1925 წელს კონსტანტინე ახლად-გამოცემულ „დიონისეს ღიმილს“ უგზავნის რებეკას. ბიოგრაფის ცნობით მას ნაუკითხავს წიგნი და რეცენზიაც გამოუქვეყნებია. ამას კი კონსტანტინეს ბარათიც მოჰყოლია:

„რევეკა! შენ რომ წინასწარი აზრის გარეშე ჩაიხედო ჩემ სულში, შეცოდება არ მინდა ვინმეში აღვძრა, მაგრამ ვიცი შენი კეთილშობილი სულის ამბავი, თანაგრძნობას იგრძნობ. რადგან მე დიდი სატანჯველი გამიჩინა ბედმა და ღმერთმა. მთელი ჩემი იდეალები დაინგრა. კერძო ცხოვრება და სიხარული მე აღარ შემრჩა. სრულიად უვარგისი ვავხდი ამ ცხოვრებისათვის. გაძლევ პატიოსან სიტყვას: ისე მოვწყდი ამ ცხოვრებას, რომ ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში ეს ერთად ერთი წერილია (პირადი), რომლის სანერად დაჯვრევი. აღარ შემიძლია არც მიწერ-მოწერა, არც სისტემატიური საქმიანობა“. და ჩამოთვლის უამრავ გასაჭირს, რაც ცხოვრებას ჯოჯოხეთად უქცევს. შემდეგ კი: „მადლობელი ვარ გულწრფელი რეცენზიისთვის. მართალი გითხრა, ამ წიგნის შემდეგ თუ მოვკვდები, არ მენაღვლება. თუ გავუძელი შრომას, ახლა გერმანულად ვთარგმნი, ერთი ორი გამომცემელი დაინტერესებულია ამ წიგნით ბერლინში და ციურიხში, ნიმუშები გაგზავნილი მაქვს. თუ გერმანულად გამოიცა, ვიცი რეზონანსი ექნება, რადგან იგი გულის სისხლითა მაქვს დანერგილი... თვით ჩემი მტრები — ყანწლეუბი აღიარებენ, რომ ეს წიგნი ქაოსში შეჭრაა. პრესაში მაგინებენ, მინდა ტრილოგიად ვაქციო სავარსამიძის ეპოპეა. მაგრამ პირობები? 9 თვე მშვიდ-მწყურვალე ვნერდი

დღე და ღამე. ახლა ისე გამოფიტული ვარ, რომ არ მიჭირდეს, კიდევ 6 თვე მომინდება უქმად ყოფნა. ძილი აღარა მაქვს. თვალეები მტკივია, ნერვები აღარ მივარგა.

არ მინდოდა ამდენი შემეჩივლა შენთვის, მაგრამ ძველი ტრადიცია... ნათელიკოს წერილი მივიღე. გაკოცებ. თქვენი კ. გამსახურდია”.

ეს უკანასკნელი წერილი 1925 წლის 21 სექტემბერსაა დანერილი, მაგრამ, რა ვიცი, ეგების არც კია უკანასკნელი! ასეა თუ ისე, იმ უამრავი ბარათიდან, რომელთა მოხმობაც ერთ წერილში ყოვლად შეუძლებელია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ კიდევ ჰქონდათ შანსი ერთად ყოფნისა, მაგრამ ორმა ინტელექტუალმა ისიც კარგად იცოდა, რომ განმეორება არაფრის შეიძლება — მით უფრო იმ უმშვენიერესი და ამაღლებული გრძნობისა, რაც ერთმანეთთან აკავშირებდათ — კერპი რომ არ დაგემსხვრეს, უნდა გაეცალო მას.

რებეკა ვაშაძე 1933 წელს გარდაიცვალა მძიმე ოპერაციის შემდეგ. ამბობენ, რომ ჯანმრთელობის გაართულება ძლიერ ემოციას მოჰყვა — სწორედ იმ დღეებში დაბრუნებულა გერმანიიდან მისი 10 წლის წინ ნასული ძმა — მამაჩემი — სიმონ ვაშაძე.

დიახ, ძლიერ შიშნარევ სიხარულსაც შეიძლება მოჰყვეს ტრაგიკული დასასრული — იმ დროს ხომ უკვე გამოკვეთილი იყო რეპრესიის ნიშნები, რასაც ვაშაძეების ოჯახი ძალუმად გრძნობდა.

... როცა რებეკას სიკვდილის საზარელი ამბავი შეუტყვია თავზარდაცემული კონსტანტინე მაშინვე მის მამიდაშვილთან — უშანგი ჩხეიძესთან მისულა და მთელი ღამე ცრემლის ღვრაში გაუტარებია. მეორე დღეს დიდი მსახიობი ჭიათურას ჩასულა, კონსტანტინე კი თბილისს დარჩენილა. ალბათ, ასე სცნეს საჭიროდ...

... იქნებ ამ ტკივილიანი ისტორიის დავიწყება უნდოდა მწერალს და ამიტომაც აღარასოდეს უხსენებია თავისი პირველი სიყვარული, რომლის მეტსახელი — პენელოპე, ცხოვრების მიმწუხრს, იმ სევდიან საღამოს, უნებლიედ წამოსცდა ზმანებაში ნასულ მოხუცს...

გამომცემლობამ - „აბული“ (მანანა ზარიძე, ნოდარ ზარიძე, ელგუჯა კუნცხალია) გამოსაცემად მოამზადა წიგნი - „ბარათებით მოთხრობილი რომანი კონსტანტინე გამსახურდიასი“, რომლის ერთი თავიც ახლა შემოვთავაზებთ. წიგნის შემდგენელი და ჩანართების ავტორია თიურა ვაშაძე.

წიგნის რედაქტორია მანანა ზარიძე.



ნოდარ მამისაშვილი

ხონსხანსახი ქახთუნი ხასიათის ღიუხიღან

ასე მგონია, ადამიანი შვიდ ათეულს რომ გადააბიჯებს, ორი პარალელური გზით იწყებს მოძრაობას. პირველი - ეს ცხოვრების ყოველდღიურობაა, მომავლისკენ რომ მიგვაქანებს, მეორე კი - მოგონებათა კალეიდოსკოპია. იქ ადამიანს თითქოს კვლავ სურს მრავალგზის გაიაროს დროის მონატრებით გასხივოსნებული, სიცოცხლის მიერ უკვე განვლილი სივრცე.

ამბობენ, მეხსიერება ემოციაში დაბადებული ნაპერწკალიაო. ალბათ, ამიტომაც გახსენდება რაღაც განსაკუთრებული და არა უღიმღამო. დროდადრო მეხსიერება

თვითონ შლის ფურცლებს მოგონებათა დღიურიდან და თითქმის ყოველთვის მათში რაღაც განსაკუთრებულს პოულობს კიდევ. ალბათ, ამიტომაც მომესურვა მოგონებათა კონტრასტებს, როგორც ყოფიერების უნიკალური ეპიზოდი „მოგონება - წინასიტყვაობა“ წარვუმძღვარო.

მე და ჩემი მასწავლებელი, სახელოვანი ქართველი კომპოზიტორი, ანდრია ბალანჩივაძე სტუმრად ვიყავით მსოფლიოს გამოჩენილ კომპოზიტორთან, ბატონ დიმიტრი შოსტაკოვიჩთან. ამ ორი დიდი ხელოვანის დიალოგი მალე სტუდენტობისა და ახალგაზრდობის გახსენების სერიალად გადაიქცა. გახსოვთ, ამბობდა ბატონი ანდრია, სონატის ექსპოზიციამ რამდენი მანვალაო? ეგ რა არისო, იხსენებდა დიმიტრი დიმიტრის ძე, - მე სიმფონიის ერთ პატარა ეპიზოდს ლამის მთელ კვირას ვუკირკიტებდიო.

„მე იმას ვერ ვწერდი“ - „მე აი, ამ ტაქტებში გავიყინეო“ ისმოდა შენაცვლებით გაცოცხლებულ განცდათა ამეცყველებული ფრაგმენტები... მოულოდნელად დიმიტრი დიმიტრის ძემ ბატონ ანდრიას საუბარი შეაწყვეტინა და უთხრა: ანდრეი, რა საინტერესოა, ჩვენ მხოლოდ გაჭირვების ნუთებს ვიხსენებდით, როცა რამე არ გამოგვდიოდა და რასაც მაღალი სულიერებით უფალი შთაგვაგონებდა, არც კი გვახსოვს, ისე თავისთავად ითხზებოდა და იწერებოდაო? ვფიქრობ, მაღალი ნიჭიერების სამყაროში მუდამ ასე ხდება, მაგრამ მოგონებებს კიდევ ერთი საინტერესო ღირსება შეიძლება ჰქონდეთ. ზოგჯერ ისინი პიროვნული ხასიათის განცდათა ხატოვანებად გვევლინებიან, ზოგი თავისი უბრალოებით თითქოს არც კია გამოსაჩენი, ზოგი ეროვნული განცდის მარგალიტია, ზოგს ქართულ ფსიქიკაში დაბადებული იუმორიც ახლავს და ყოველდღიურობას ალამაზებს. ერთი კია, ცოდვა იქნებოდა, რომ ხასიათის ამგვარი კოლორიტული გაელვებანი ჟამთა სრბოლაში უკვალოდ ინთქმებოდნენ. ისინი ღირსნი არიან, მოგონებებად მაინც დიდხანს ცოცხლობდნენ.

გახსენება პირველი

მამას საოცრად ნიჭიერი მეგობარი ჰყავდა — ბატონი ვასო ყიფიანი. იგი გამოგონილი სიტყვებით ისე ბაძავდა უცხო ლექსიკურ ინტონაციებს, რომ პოლიგლოტი გეგონებოდათ. გნებავთ „ინგლისურად“ გაგესაუბრებოდათ, გნებავთ „გერმანულად“, „ფრანგულად“, „იტალიურად“... სინამდვილეში კი ქართულის გარდა არც ერთი სხვა ენა არ იცოდა.

მამინ მე მუსიკალურ სკოლაში ვსწავლობდი. მიყვარდა მუზიციერება და ჩემთან ხშირად დადიოდნენ პატარა მუსიკოსები: ვიოლინისტები, ფლეიტისტები, კლარნეტისტები... თქვენ წარმოიდგინეთ, ძია ვა-

სოს ყველა ამ ინსტრუმენტზეც შეეძლო დაკვრა. გეგონებოდათ, მასაც მუსიკალური განათლება ჰქონდა მიღებული და ბავშვობას იხსენებდა. სამწუხაროდ, ეს ნიჭიერი ადამიანი თავის შესაძლებლობებს მიღმა დარჩა. იქნებ ესეც ქართულ ხასიათში უნდა ვეძიოთ, როცა სხვისკენ ყურებით კისერი მოგვლრეცია და საკუთარს ვერ ვაფასებთ?

მოგონება მეორე

ძია ვასოს ჰქონდა საოცარი შვეიცარიული ჯიბის საათი (ალბათ ოჯახური ძვირფასეულობიდან გამოყოლილი) ვერცხლის ყალიბის თავსახური ცის კაბადონის დიზაინით იყო დამშვენებული. მზე ლალის თვალისა გახლდათ, მთვარე ოქროსფერი ცირკონისა, ხოლო ვარსკვლავებად „მოჭედნილ ცაზე“ ზურმუხტი, საფირონი, ფიროზი და სხვა ძვირფასი ქვები კიაფობდნენ. ყალიბის უკანა კედელს დიდი შავი გიშრის ქვა ამშვენებდა. ეს ავი თვალისაგან მიფარავსო, — ამბობდა ძია ვასო. სამაგრადაც ძალიან ლამაზი სქელი ვერცხლის ჯაჭვი ჰქონდა. ამ უნიკალურ, სპეციალური შეკვეთით გაკეთებულ ულამაზეს საათს, ასევე ძალიან ლამაზი ციფერბლატი ამშვენებდა. ძია ვასო ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი გახლდათ და მეც ჩვეულებად მექცა, რომ, როგორც კი გვესტუმრებოდა საათს ვთხოვდი ხოლმე. ისიც მაშინვე იხსნიდა და მე ამ საათზე მზის სხივების თუ შუქის თამაშით ვტკბებოდი.

დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, მამა ჯარში წაიყვანეს და აღარც ძია ვასო გამოჩენილა. უმამოდ ძალიან გაგვიჭირდა და იძულებულნი ვიყავით სოფელ საგარეჯოში, ბებიასთან გამგზავრებაზე გვეზრუნა, მაგრამ ამისთვისაც გარკვეული საარსებო თანხა გვჭირდებოდა და აი, სრულიად მოულოდნელად, ძია ვასო გამოგვეცხადა. მან ბოდში მოგვიხადა, ამდენხანს რომ ვერ გვინახულა. მერე მამა მოიკითხა, დედამ უთხრა, ლეო ჯარში წაიყვანესო. ვასო ძია ძლიერ შენუხდა და გვითხრა, შარშან ფული ძალიან მჭირდებოდა, ლეოს ვესესხე და აქამდე ვერ დავუბრუნეო. ახლა თქვენ გიბრუნებთ და დაგვიანებისათვის ბოდიშსაც გიხდითო. საკმაოდ დიდი თანხა მოგვცა და, როგორც იტყვიან, იმ თანხამ სულზე მოგვისწრო. ამ ფულის წყალობით სოფელში უკვე თავისუფლად ნავედით. გავიდა ხანი, მამა ჯარიდან დაბრუნდა და მას ვასო ძიას სესხად აღებული ფულის შესახებ მოვუყევით. მამამ გაიღიმა და მითხრა, — ვასო ძიას ჩემგან მანეთიც არ უსესხიაო. აი, შენ რომ მოგწონდა ის ძვირფასი საათი გაყიდა თქვენს დასახმარებლადო. ხოლო იმისთვის, რომ თქვენ უხერხულად არ გეგრძნოთ თავი, როგორც ვალი ისე მოგიტანათო. ახლა მითხარით, განა შეიძლება ქართული ბუნების ეს სილამაზე ყოველდღი-

ურობის აღიაქოთმა შთანთქას? ამ საქციელის სილამაზეც ხომ ქართულ ბუნებაშია.

მოგონება მესამე

უახლოესი მეგობარი მყავდა ბრონისლავ ბახტაძე, ჩვენი ოჯახები მეგობრობდნენ და ჩვენც ძმებავით ვიზრდებოდით. ერთხელ თანამედრვე ლიტერატურული ტენდენციების შესახებ საგანმანათლებლო ლექციას კითხულობდა კურორტ ჯავის სანატორიუმის დამსვენებლებისათვის. თურმე, იმ დროს ძალიან აცივდა და ქარიშხალიც მძვინვარებდა. ჩემი მეგობარი თბილისში ავადმყოფი დაბრუნდა. მას ფილტვების ანთება ჰქონდა ძალიან მწვავე ფორმით და ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა. მხოლოდ მაშინ, როცა ავადმყოფობამ გაუარა, ბრონისლავმა ჩემად გამანდო საიდუმლო, რომელსაც ასევე ქართული ხასიათის გამობრწყინება ვუნოდე. თურმე ჯავის სანატორიუმის ყარაულს ზამთრის ტანსაცმელი არ ჰქონია (მეუღლე დალუპვია და პანია შვილებს ეს მარტოხელა კაცი ზრდიდა). ბრონისლავს იმ სიცივეში აკანკალებული ოსი ელიოზა შესცოდებია. თავის თბილი ქუდი და პალტო მისთვის დაუტოვებია, გზაში კოსტიუმის ანაბარა დარჩენილა და იმ საშინელ ქარიშხალში გაცივებულა.

— აბა, რა მექნაო, ის კაცი და მისი პატარები შემეცოდნენო. ისე, იცოდე, ვინც სიკეთეს აკეთებს, იმას ღმერთი არ გასწირავსო, დაუმატა თავის მონათხრობს მეგობარმა.

აი, კიდევ ერთი ნიმუში ეროვნული ხასიათისა. სიკეთისათვის ყველა მახლობელიაო, უთქვამს ქართველს.

გახსენება მეოთხე

პირველად ამ გახსენებას „ავტორი“ მყავდა, მაგრამ როცა მეგობრების წრეში ეს ამბავი მოვყევი, აღმოჩნდა, რომ ამგვარი შემთხვევა თურმე კიდევ ყოფილა. ამიტომ გადავწყვიტე გამოგონილი სახელებით მოგითხროთ ეს თავისებურად ღიმილის მომგვრელი ისტორია.

— „ვანოს“ გაღვიძებია, სიგრილე მოსურვებია და ფანჯარა გაუღია. ყოველი შემთხვევისათვის ეზოში მდგარი საკუთარი მანქანისათვისაც თვალი შეუვლია. დაუნახავს: ვილაც თურმე მიპარვია მის მანქანას და თანაც ბენზინის „კანისტრა“ მოუმარჯვია და...

ჰაი! რას აკეთებო, დაუძახია ვანოს, ბენზინს რად მპარავ, თუ ასე გიჭირს მე თვითონ ჩავისხამო...

არა, ძია! შეპასუხებია ახალგაზრდა. ეს გუშინ ამოვიღე, ძალიან მეჩქარებოდაო და

ახლა ვალს გიბრუნებო. ნუ მინყენ გუშინ-დედსო... მერე თურმე ერთად უქეიფიათ კიდეც. განა სადმე მოხდება კიდეც რამე ამ-დაგვარი? ესეც ხომ ქართულია.

მოგონება მეხუთე

ჩემ დროს საქართველოს ფილარმონიას უჩვეულოდ კოლორიტული ხელმძღვანელი ჰყავდა, ბატონი ყიფიანი, რომელსაც მოფერებით ყველა გუგულის ედახდა. მისი აქტიურობით საქართველოში საკონცერტო ცხოვრება უაღრესად საინტერესო და მრავალ-ჟანროვანი გახლდათ. იქნებ ამიტომაც, ვინც კი, ასე თუ ისე, მუსიკალურ ხელოვნებაში თავს გამოიჩინდა, სურდა ფილარმონიის სოლისტი გამხდარიყო.

და იყო კიდეც ერთი პიროვნება, რომელსაც გუგულის მოადგილეობა სურდა. რა თქმა უნდა, ჩვენ კულტურულ ცხოვრებაში, ეს არც თუ ადვილი საქმე გახლდათ. უამრავი საკონცერტო ორგანიზაცია იყო და მეტ-ნაკლებად ყველას საქმიანობა და გეგმები უნდა გცოდნოდა (მოსკონცერტი, როსკონცერტი და სხვა მრავალი). გუგულის მოადგილეობის პრეტენდენტმა ყველა ეს საჭირო ინფორმაცია შეაგროვა, შეისწავლა და სავსე ვეება პორთფელით ფილარმონიისკენ გაემართა. იგი დირექტორის კაბინეტში მაგიდაზე ნელ-ნელა აწყობდა და შლიდა მოპოვებულ საინფორმაციო მასალას, რომელსაც ბატონი გუგული რატომღაც გულგრილად ადევნებდა თავს. როცა მომავალი მოადგილე შეეცადა საკონცერტო გეგმების შესახებ ახსნა-განმარტებითი ტექსტიც წამოეწყო, ფილარმონიის დირექტორმა შეანწყვეტინა და უთხრა: მე შენთან ერთი სერიოზული კითხვა მაქვსო. პრეტენდენტი დაიძაბა, თუმცა თავისთავში დარწმუნებული იყო, რომ წარმატებით გასცემდა პასუხს, რადგან თავისი მომავალი სამუშაო, მართლაც რომ კარგად ჰქონდა მომზადებული.

აღბათ, მოულოდნელობის აღბათობაზე, რომ მსოფლიო კონკურსი გამოვაცხადოთ ფილარმონიის დირექტორის შეკითხვა პირველ ადგილს აიღებდა.

„თუ იცი საახალწლო ინდაური როდის უნდა დაიკლასო, რომ ძალიან გემრიელი იყოსო?“

პრეტენდენტი გაშრა, ვერ გაეგო ეხუმრებოდნენ თუ არა.

დირექტორის გამოხედვა კი ამკარად მეტყველებდა, რომ ეს კითხვა სერიოზულად იყო დასმული.

აღბათ ახალი წლის წინა დღეებში, - დაექვებით უპასუხა პრეტენდენტმა. არაო, ბრძანა ბატონმა გუგულიმ. „პირველი თოვლი რომ მოვა, იმ თოვლში უნდა გააგდო ინდაური და რომ შესცივა, სწორედ ის შეციე-

ბული მაშინ უნდა დაკლა და ეს აქსიომააო“.

პრეტენდენტმა ცოტა არ იყოს იწყინა და უთხრა: ბატონო გუგული, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ეგ რა მოსატანიაო.

აჰ! არა აქვს ამას მნიშვნელობა? მაშინ ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთო. ბრძანა დირექტორმა და პრეტენდენტი უიმედოდ გამოისტუმრა კაბინეტიდან.

გავიდა ორიოდე კვირა და პრეტენდენტს დირექტორის დავალებით მდივანმა შეატყობინა თუ ავად იყავი და სამსახურში არ დადიოდი ჯამაგირის ასაღებად მაინც მოდიო.

თურმე ნუ იტყვი, გუგული ყიფიანს თავისი მახვილი თვალით სწრაფად შეაფასა მომავალი მოადგილის წამუშევარი, მოეწონა და მიღებაშიც იუმორისტული „სკეჩი“ გაითამაშა. ესლა მითხარი სადმე რომელიმე ქვეყანაში შეხვდებით რამეს, თუნდაც მიახლოვებით ამდაგვარს?

მოგონება მეექვსე

მოვიდა ჟამი და რკინის ფარდა გაიხსნა. მე რომ მკითხოთ, არაფერიც არ გაიხსნა. უბრალოდ, იმ რკინის ფარდაში ისეთი ბზარი გაჩნდა, რომელმაც საშუალება მოგვცა იქით რა ხდებოდა, უკეთ დაგვეჩახა. და მაინც, უცხოეთიდან ახალ ნაკადად შემოვიდნენ პიანისტები, დირიჟორები, მომღერლები...

დადგა დიდი რიგი ფილარმონიათა ხელმძღვანელებისა საკავშირო კულტურის სამინისტროში, კერძოდ იმ დროის კულტურის მინისტრთან - ეკატერინე ფურცევასთან. როგორც იტყვიან, რუსეთში რიგი რიგია და მისი გადალახვა აღბათ მერვე საოცრებად თუ ჩათვლება. თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე ასეთი საოცრებაც მოვიდა საქართველოდან. ათ წელზე მეტი გავიდა ამ „ისტორიული“ მოვლენიდან, მაგრამ, როცა მე ქალბატონ ეკატერინე ფურცევას მისაღებად მოვხვდი, მუსიკალური თეატრების სარეპერტუარო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით, მინისტრის მდივანი როგორც საქართველოს წარმომადგენელს, მიყვებოდა მითად ქცეულ ამბავს, თან ისე ხატოვნად აღწერა, რომ მე ისლა დამრჩენია, მისი მონათხრობი გავიმეორო.

იმ დღეს თურმე ქალბატონი ეკატერინე ფურცევა კაბინეტში იყო, რაღაც გეგმაზე მუშაობდა და არავის იღებდა, სამდივნოს ოთახში კი სხვადასხვა ფილარმონიის დირექტორების დიდი რიგი იდგა. აქა-იქ კითხულობდნენ - а где Грузия? მაგრამ „გრუზია“ არ ჩანდა. უცებ სამდივნოს კარი ვიღაც ახალგაზრდამ ფართოდ გააღო და შემოვიდა უზარმაზარი ვარდების ბუჩქი. ყველა გაკვირვებული მიაჩერდა ბუჩქს. ბუჩქი მინისტრის კაბინეტისკენ გაემართა, რაღაც „სასწაულით“ თითქოს კარები თავისით გაიღო და დაიხურა და ბუჩქი კულტურის



მინისტრის კაბინეტში აღმოჩნდა. ვარდების ბუჩქის შუა გულიდან ამოძვრა შამპანურის ბოთლი და ხმაურით ამოვარდა ბოთლიდან საცობი, მის გვერდით გაჩნდა ბროლის ლამაზი ბოკალი, რომელიც გაემართა ქალბატონ ეკატერინესკენ. ერთხანს გაოცებულმა მინისტრმა შეაფასა ეს საოცარი ფესტი იმპროვიზაციისა, აიღო თუ არა ბოკალი, მაშინვე ბუჩქიდან ამოვიდა მეორე ბოკალი, შეივსო ჭიქები და მხოლოდ მაშინ გადაინია ვარდების ნაწილი და გამოჩნდა მომღიმარე გუგულის სახე.

ალბათ ადვილი მისახვედრია, იმ წელს როგორი განებივრებული იქნებოდნენ თბილისელი მუსიკის მოყვარულები ხელოვანთა თანავარსკვლავედის სტუმრობით. ყოველივე ეს გუგულის თავისთვის არ გაუკეთებია, ეს საოცრება ქართულმა ხასიათმა გააკეთებინა.

ქართული ხასიათის დღიურში კი, ვინ იცის, კიდევ რამდენი ფურცელია.

ზოგჯერ ამბობენ - საქართველო მითების ქვეყანააო. მართლაც ლამაზი მითები გაგვაჩნია ქართველებს და განა გასაკვირია, იმ დიდი მითოსის მიღმა ქართულ საქციელშიც მცირე მითები იბადებოდნენ? - აქ არის ქართული არტისტიზმი, პოეზიის სიყვარული, სიმღერის სიყვარული, ტაძრების მშენება, ხატები, ოქრომჭედლობა, ქართულ სიტყვაში ხომ დაფარული განწყობის უწვდომი სიღრმეა...

შეუძლებელია ნაძალადევად დამკვიდრებულმა სარგებლიანობის სტერეოტიპებმა ნაშალონ ჩვენი თვითმყოფადობა. უვიცობის ბუდიდან ამოფრენილი „თავისუფალი აზრი“ ზოგჯერ გვიკიჟინებს: ყოველივე ეროვნული ის ძველი კოსტუმია, რომელიც უნდა გაიხადო და მოისროლოო, ასეაო დასავლეთში. სინამდვილეში კი დასავლე-

თის უდიდესი ფილოსოფია ნაციონალურ საფრთხეს, მხოლოდ ველურ ტომებში ხედავს. „მე არ მინდა ვიყო ქართველი“, „არ მსურს ინდოევროპელი ვიყოვო“, ამბობს ვილაც ახალგაზრდა და უხარია საკუთარი აზრის „თავისუფლება“ და არ იცის, რა უაზრობაა ასეთი თავისუფლება, არ იცის, რომ ქართველობაზე უარის თქმა ნიშნავს:

- გამოიცვალოს სისხლი;
- გამოიცვალოს ეთერული სხეული;
- გამოიცვალოს ასტრალური სხეული;
- გამოიცვალოს სხეულის თითოეული მოლეკულა, რომელსაც საქართველოს შაერი „ჩაუსუნთქავს“ და „ქართული წყალი უსვამს“, რადგან მათშიც ქართული ინფორმაციაა.

უარი თქვას მშობლებზე, ნათესაობაზე, ქართულ კულტურაზე;

გამოიცვალოს სხეულის განვითარების პროგრამა - ქართულ მორფოგენეზულ პროგრამაზეც უარი თქვას და ა.შ.

ანუ ეს უბრალოდ შეუძლებელია. მაშ რა არის შესაძლებელი?

გაიქცეს საქართველოდან და შეუერთდეს საქართველოს მტრებს;

იყოს საქართველოს მოღალატე; დაივიწყოს თავისი წარსული ხელოვნური ამნეზიით;

ხომ კარგი პერსპექტივაა? ესმის კი ყოველივე ეს იმ ახალგაზრდას?

ან ვერ გამიგია, რატომ ჰგონია ეს აზრის თავისუფლებად, იქნებ ამას დიდებული პეტრე იბერის სიტყვები უფრო მოუხდება, რომ ადამიანის ყველაზე დიდი მტერი „დამახინჯებული სიკეთეა“

ნამდვილი ქართველი კი სწორედ იქ არის, სადაც საკუთარის გაცემით დამდიდრებიან, რამეთუ სულიერ სიმდიდრეზე დიდებული, არა არსებობს რა ამ ქვეყანაზე.





იობაჩხ სხუჩანს შაოქაქაღიტი ღაბოჩახოჩი

(ტექსტზე მუშაობისას
ნათქვამი ამბები)

რობერტ სტურუა როგორღაც კეთილად განეწყობოდა სალიტერატურო ნაწილის მომცრო ოთახისადმი და პერიოდულად, როდესაც ახალ პიესაზე იწყებს მუშაობას, მით უმეტეს, თუ ეს პიესა სათარგმნელია, აქ საკმაო ხანს რჩება და ღილი ფოფხაძესთან ერთად მუშაობს. მათი ხმაშეწყობილი თანამშრომლობა ათეულმა წელმა გამოაწარმო. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანებს ერთმანეთის ფიქრიც კი ესმით და ერთმანეთს ნახევარი სიტყვით უგებენ, ერთი იწყებს ფრაზისა თუ წინადადების აგებას და მეორე ამ წინადადებას სრულყოფს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ჩვეულებრივი სიტყვა სცენურ სივრცეში მოულოდნელად აენთება, თავისთავად იწყებს მოძრაობას, მოქმედებას და რეჟისორის ჩანაფიქრს ცხადყოფს.

თავისთავად ეს პროცესი ჩემთვის ძალიან საინტერესოა, თანაც საკვლევა დამოუწუნოა, მაგრამ დროის ის მონაკვეთი, რომელსაც სტურუა ჩემს მაგიდასთან ატარებს და ჩემს კუთვნილ სავარძელს ანჯღრევს და არყევს, იმითაცაა განსაკუთრებით სახალისო, რომ

იგი უამრავ ამბავსა თუ ისტორიას გვიამბობს საკუთარი თუ სხვათა ცხოვრებიდან, ეხება საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, მსოფლიო ისტორიას, ხელოვნებას და ა. შ. მოკლედ რომ ვთქვათ, მას გარკვეულწილად განმანათლებლის პორტფელი უპყრია ხელთ და დრო და დრო საკუთარი დამოკიდებულებით, განცდებითა და ლიმილიანი თუ სევდიანი მზერით გვიამბობს ერთ დიდ საგას...

ამ პიროვნების მრავალფეროვნება უჩვეულოდ მაცდური და მომნიბვლელია, კეთილი და ამავედროულად საშიში, ბრაზიანი... ეს არცაა ვასაკვირი, ყოველი ადამიანი გარკვეული თვისებების მატარებელია, ყველას თავისი განცდების სიმზურვალე და სინედლე გააჩნია, მაგრამ... რობერტ სტურუა ერთია და გამორჩეული...

2007 წ. 18 ოქტომბერი

გადაწყვიტეს ჩვენს ოთახში თ. ჭილაძის ახალი პიესის „ჭალას ჩიტი მომკვდარიყოს“ მაგიდის რეპეტიციები ჩაატარონ და შიგადაშიგ ტექსტი ჩაასწორონ.

ესწრებიან: სტურუა, ბურბუთაშვილი, ფოფხაძე, ზანგური, სვანიძე.

სტურუა — პოეტობა დავინყე!.. და მოულოდნელად გალაკტიონს გვიკითხავს.

—...შემოიჭრება ტაძარში სხივი და თეთრ ოლარებს ააეღვარებს...

კითხულობს მგზნებარედ, ხელებს არტისტულად შლის, ოდნავ ენა ებორკება...

— პირველად რომ წავიკითხე ეს ლექსი, გავეციდი...

ზანგური — რესტორანში რომ წავიყვანეთ პირველად, მაშინაც სწორედ ეს ლექსი წავიკითხეთ, მერე გიორგი შალუტაშვილმა ხალხური ლექსის ნაკითხვა გადაწყვიტა, უნდოდა ეთქვა — ჩამოსხდებიან ყორანნიო... მაგრამ ბატონ რობერტთან ერთად ისიც პირველად იჯდა სუფრასთან, თანაც თამადაობდა და ეტყობა მღელვარებისგან შეცდა და თქვა — ჩამოსხდებიან რობერტნიო... სიცილით დავიხოცეთ... ბატონი რობერტი კი გიორგის წაეხმარა, — რას იცინით, თქვენთან შედარებით, მე მართლაც ყორანივით ბუბერი ვარო...

ახლად შექმნილი ფოტოაპარატით სურათებს ვიღებ, ვაჩხაკუნებ და ვაჩხაკუნებ...

სტურუა — რა გინდა, რატომ მიღებ სურათებს?

— მომწონხართ და იმიტომ...

...და მოულოდნელად ბატონი რობიკო წითლდება.

19 ოქტომბერი

ტექსტზე მუშაობისას იგი დადგმის სხვადასხვა ვარიანტზე ფიქრობს და თავადვე თამაშობს.

— სპექტაკლის დადგმისას გმირთა ცხ-

ოვრებისეულ ლოგიკას ხშირად ვარდევ, მაგრამ განა ცხოვრებაში ყოველთვის ვმოქმედებთ ლოგიკურად?... განა ყოველთვის ისე ვიქცევით, როგორც საჭიროა?... პირიქით, ზოგჯერ ისეთ საქციელსაც ჩავდივართ, რომ თავად გვიკვირს, მაგრამ რატომღაც ვერც აგვიხსნია... რაც გვჭირდება, მხოლოდ ის უნდა ვაკეთოთ, პირდაპირი ლაპარაკის არ უნდა შეგვრცხვეს...

სტურუა ხშირად საუბრობს კინოხელოვნების შესახებ, ჰყვება კინოსიუჟეტებს და უყვარს თრილერები, მძაფრსიუჟეტებიანი ფილმები, დეტექტივები, ბოევიკები... ამიტომაც თხოულობს, რომ ესა თუ ის სიუჟეტური სვლა მოულოდნელი, მაგრამ ლოგიკური იყოს...

—ამ ცხოვრებაში ყველაფერი ფარსია... ერთხელ, პოლონეთში ყოფნისას, ლამის სტრიპტიზ ბარში წავედი. ყველა შევიდა ჩემს გარდა, რადგან აუცილებლად ჰალსტუხი უნდა გკეთებოდა ან „პუჟელა“, მე კი არც ერთი არ გამაჩნდა... მაშინ იქვე ჩამოვჯექი, ფეხზე წინდა გავიხადე და როგორც „ბაზოჩკა“ ისე გავიკეთე... თქვენ წარმოიდგინეთ, შემიშვეს... სასაცილო და კომიკური ამბავი კი არის, მაგრამ, აბა, რა ლოგიკაა მასში?... თუმცა ასე კი იყო... და ის, ვინც კარებში იდგა, ხედავდა რას ვაკეთებდი და მაინც შემიშვა... რა ლოგიკა იყო იმაში, რომ შემიშვა?..

22 ოქტომბერი

ბატონი რობერტი მსხალს მიირთმევს, რადგან მსხალი დიეტურია და ორივე ლილის მიმართავს:

—ძალიან ნუ შეამცირებთ ტექსტს, მსახიობებთან ერთად გადავაკეთებ... დიდ საქმეს შევეჭიდეთ, პიესა ჩვენი სახელმწიფოს — საქართველოს, მისი მომავლის შენებაზეა... ამ დროს კი ცხოვრება თავისთვის გარბის, ის ისეთი მშვენიერია, ყველას გვხიბლავს თავისი ცდუნებებით და... ჩვენ გვინდა ფული, გართობა, ქალები... საერთოდ, კარგად ცხოვრება გვინდა... ქვეყნის ფულს ჩვენი ცხოვრებისთვის ვიყენებთ და ვართ ასე... ჰოდა, გვეშინია, როცა ფულს ვაკეთებთ... თამაზმა კარგად შეთხზა პიესა, სათქმელი ზღვარზეა... არც პირდაპირ ვაზეთივითაა და არც შეფარვით. მთავრობის ხალხი სწორედ ასე ლაპარაკობს, მათი ქვეტექსტი ასეთია — კარგია სამშობლო, მაგრამ ცხოვრებაც რომ მინდა?! კრეტიანიზმთან და ჯალათობასთან კი განათლებას მნიშვნელობა არა აქვს!..

მის მობილურში ვილაციისგან მესიჯი მოდის, კითხულობს და აღშფოთებული ამბობს...

—რა გამინყალა ამ ბიჭმა გული? ვინც პოლიტიკაში შექვრა, იქიდან თავი ვეღარ გამოიძვრინა, ან თუ გამოვიდა, ძალიან ცუდი სუნის ნიეთიერებად... მე მგონი, ყველა არანორმალური პოლიტიკაშია...

ჩემი პატარა შვილიშვილი რ-ს ვერ გამოთქვამს და მეძახის — ბაბუ იობიკო!.. ჩემი მძახ-

ალი კი ამის გამო საშინლად ნერვიულობს. მესმის, როგორ ეუბნება ხოლმე ჩუმად, — რობიკო, რობიკო... ის კი მაინც იმეორებს, ბაბუ იობიკო!.. და სტურუა გულიანად იცინის, — აი, რა მნიშვნელობა აქვს სიტყვის, ბგერების სწორად წარმოთქმას...

მახსოვს, ნიუ-იორკში ფრანკ ვედეკინდის შესანიშნავი პიესის მიხედვით, მუზიკლი „გაზაფხულის დაბადება“ ვნახე. დეკორაცია თავისებური ინსტალაცია იყო, მუსიკა ელექტროსაკრავებით სრულდებოდა და უცებ... სინათლე გაითიშა, მიკროფონები იმ მომენტში გამოირთო, როცა მთავარი როლის შემსრულებელი არიას მღეროდა... მხოლოდ ფორტეპიანოსა და ვიოლინოს ხმა ისმოდა... დარჩა დიდი დარბაზი და გოგონას არც ისე ძლიერი ხმა, მაგრამ გოგონამ სიმღერა გააგრძელა, ესაა, ოდნავ ეტირებოდა... და მოხდა საოცრება, ეს ცოცხალი ხმა, უცებ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ელექტროსაკრავოებით დაძლიერებული მელიოდია... დარბაზი ოვაციებით დაინგრა... და მივხვდი, რომ მისთვისაც ეს ბუნებრივი ხმა უფრო მნიშვნელოვანი იყო...

—„ვეფხისტყაოსნის“ დადგმას როდისღა აპირებთ?

—„ვეფხისტყაოსნის“ დადგმისას თეატრის ყოველგვარი საშუალება უნდა გამოვიყენოთ, ყველაზე უბრალოდ დაწყებული, უმაღლესი ტექნიკით, HI TEQ-ს რომ უწოდებენ, იმით დამთავრებული... მაგალითად, პროლოგი — „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა“... მინდა იყოს სამყაროს დიდი აფეთქების მსგავსი, ამას კი მხოლოდ თანამედროვე, კომპიუტერული საშუალებებით შევძლებთ... 70 წლისა ვარ, ტვინი უკვე მიდის, იპარება, ახლა თუ ვერ დავდგი „ვეფხისტყაოსანი“, მერე საერთოდ ვეღარ დავდგამ... ისე კი, ბევრს ვლაპარაკობ...


ლილი ფოფხაძე — ეს ყველა ხანდაზმულის დაავადებაა...

სტურუა — მეც მანდა ვარ!.. სამი დღით სადმე რომ მივდივარ, ორი ჩემოდანი მიმაქვს, რომელთაც არ ვხსნი, შიგ კი ოცი შარვალია... ჩემი კარადა რომ ნახოთ, საერთოდ გაგიჟდებით, ორასი პერანგი ჰკივია, რომელთაც მერე სხვებს ვჩუქნი ხოლმე და რა საოცარია, ყველას ყველაფერი რგებს...

...სპექტაკლის პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

2008 წელი, 21 მარტი

ადრიან გაზაფხულზე რობერტ სტურუამ ინგლისელი დრამატურგის რეი კუნის კომედიაზე დაიწყო მუშაობა. პიესას ინგლისურად „Out of order“ ჰქვია, რაც ზუსტი თარგმანით „მწყობრიდან გამოსულს“ ნიშნავს, ინგლისელები ასე ძირითადად გაფუჭებულ ტექნიკაზე ამბობენ. რუსულად კი პიესას გრძელი სათაური აქვს — „Мужчина, женщина, труп и окно“.



...და კვლავ საჭირო, ზუსტი სიტყვის თუ ფრაზის ძიება. როგორც კი ფრაზას მიაგნებენ და წინადადებას ააწყობენ, ბავშვებივით უხარიათ და კმაყოფილნი არიან. ფრაზეოლოგიის დადგენისას სტურუა ცდილობს გმირის ხასიათი გამოკვეთოს, უყურებ და სახეზე ატყობ, რომ პიესის გმირებთანაა, განუწყვეტლივ ილიმება.

პიესას კი ამჟამად პოლიტიკური სუნი ასდის.

ლილი ფოფხაძე — რობიკო, რაღაც იოლად დავინწყეთ, კარგად გამოდის...

სტურუა — იმიტომ, რომ ადვილი პიესაა.

ამასობაში ოთახში შემოდის მსახიობი პაატა გულიაშვილი და მაესტროს „მზის დარტყმის“ ვიდეოჩანანერებს უტოვებს, შემოდის მუზეუმის გამგე - ბელა ჭუმბურიძე ახმეტელის საიუბილეო საღამოს მოსანვევით ხელში. სტურუა ყველას სათანადო პასუხს აძლევს და ღიმილით ისტუმრებს.

ლილი ფრაზას კითხულობს და სტურუა თანხმობის ნიშნად თავს უქნევს, თუმცა მერე რაღაცაში ეჭვი ეპარება და კითხვას თავიდან იწყებს. ისინი ხშირად კამათობენ, მაგალითად — სასტუმროს მმართველი თუ სასტუმროს ადმინისტრატორი? ლილის აზრით, მმართველთან შედარებით ადმინისტრატორი რაღაც გაპანჩურებულია და მმართველი რჩება. ასე-

ვეა — დარჩეს ბატონი თუ მისტერი. რა თქმა უნდა, ბატონი, შუაღედურია!..

ან — ძალიან მოხარული ვარ, არა, უბრალოდ მოხარული ვარ, ფრიად... ფრიად... სიტყვა გათამაშდება, ამბობს ლილი.

ან — ძილი ნებისა, ტკბილ ძილს გისურვებ, ტკბილ სიზმრებს გისურვებ... კიდევ როგორ იტყვიან?..

ან — შენი უიღბლო მეუღლე, უბედური მეუღლე, არა, მაინც სჯობს უიღბლო მეუღლე, თუ გინდა ბედკრული იყოს...

ამგვარად ეძებენ ისინი ზუსტ ფრაზებს, ამასობაში გმირთა სახელები და გვარები ერთმანეთში ერევათ და ახალ სახელებს იგონებენ. პიესის მოქმედი გმირები ინგლისის პარლამენტის წევრები არიან, ლორდთა პალატის... ჩვენს თვალწინ პარლამენტის წევრები და მათი ცხოვრებაა...

ლილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფრაზიდან ფრაზაზე გადასვლას, სწორედ ამ გადასასვლელ ხიდეებს ეძებს დიდი მონდომებით.

— მართლაც საწყენია, ძალიან საწყენია... ძალიან ხომ არ დავამატო? — კი, ეთანხმება ბატონი რობიკო, მაგრამ ლილი კვლავ ინუნებს გადასვლას, როგორც თავად ამბობს, ხიდს. — რაღაც აზრი არ ებმება და... თარგმანზე მუშაობა გრძელდება. გრძელდება, ამავე დროს ზუსტდება რემარკები, მოქმედება.

— ჩემო საყვარელო რობიკო, პიესა ძალიან

დიდია, სანამ ბოლოში ჩავედი, დასაწყისი დამავინყდა, შემცირებას არ აპირებ?

—აუცილებლად! —და მაგიდიდან ქალის სურათს იღებს, —ღმერთო ჩემო, ეს ქალი მომეხვია და მითხრა, შექსპირი არ უნდა დავდგათ, ერთადო? და მე ვუპასუხე...

—თქვენ უპასუხეთ, აუცილებლად!...

—დიახ, დიახ —აუცილებლად! —იმეორებს სიცილით და კითხვას განაგრძობს, —შემოდის ჯენინი... გამაოგნებელი, თავბრუდამხვევი, ჯადოქრული და ბოლოს, მაცდური ქალი ხართ...

ბატონი რობიკოს მობილური ზმუილს იწყებს და ამასთან დაკავშირებით ლილის სასაცილო ამბავი ახსენდება. —ერთხელ, მალლა, სარეპეტიციოში ვიყავით, რობიკო საქმეზე გავიდა. მაშინ მსგავსი რამ ნანახი არ მქონდა და მაგიდაზე რომ რაღაც აზუზუნდა, მეგონა ბომბი უნდა აფეთქებულიყო და ძლივს გამოვასწარი გარეთ...

—რობიკო, შენთან სახლში რატომ არ მპატიუებ?

—მობრძანდი, იქ სულ დუდანაა...

—მე რა ვიცი...

—ნამდვილად სულ იქ არის, ამას წინათ ბესოსთან კივიდან ჩამოვიდა ნატაშა და სურათები გადავიღეთ. წარმოიდგინეთ მუხლებზე ეს ქალი მიზის, თავი კი მის მკერდში მიდევს... სურათი, რა თქმა უნდა, დავმალე და მოსკოვში წავედი, როცა დავბრუნდი, რას ვხედავ, ჩემს საწოლთან არ დევს?... ავიღე და კვლავ დავმალე, რამდენიმე დღეში ისევ იქ აღმოჩნდა...

ბატონი რობიკოსთვის ხილის სალათა შემოაქვთ, იგი გვიბოდიშებს და საუზმეს ძალიან სერიოზული სახით შეექცევა, მერე შოკოლადს შეუყვება ტკობით, კვნესით, სიამოვნებით... —მე მგონი, ჩვენს გმირს ოპოზიციონერობა აკლია, უფრო მკვეთრად უნდა იყოს გამოხატული!

ლილი —რაც არის, იმას ვწერთ, უფრო როგორ გავამკვეთროთ...

ნიკუშა შველიძე ამ დადგმაში მეორე რეჟისორია, დიდი მთავრის ასისტენტი და თარგმნის პროცესში ისიც მონაწილეობს. —ეს ქალი რაღაც შეგზავნილსა ჰგავს, როგორც კგბ-ში **ласточка**...

მაესტრო ფიქრებში მიდის, თვალი უშტერდება, ლილი ჩუმად კითხულობს, თავისთვის იღიმის... უცაბედად კარი იღება და თავს შემოჰყოფს პიროვნება, რომელსაც სტურუასთან საუბარი სურს, მაგრამ მოულოდნელად სასტიკი სცენა თამაშდება.

— არ შემოხვიდე — ამბობს სტურუა გაცოფებული. იგი არ მიდის, —წადი, არ მინდა ლაპარაკი, ძალიან გთხოვ... —მაშ, როდის? —არასოდეს!... — და ასე ამგვარად... სისხლი გაგვეყინა ძარღვებში.

სტურუა დამნაშავესავით იღიმის.

ლილი —ეს არ მოხდებოდა, ოთახი რომ არ გამოგვეცვალა და აქ არ დავსახლებულიყავით...

—არა, იგი ყველგან შემოაღებდა კარს...

რა ძნელია, როდესაც ამდენი ადამიანი შემოგყურებს და შენგან სიკვდილ-სიცოცხლის-დარ პასუხს ელის. ამ დროს უკიდურესად ობიექტური უნდა იყო, საკუთარ ემოციებს ანგარიში არ გაუნო და საზოგადო საქმეს ემსახურო, მაგრამ ცოცხალ ადამიანს რომ ემოციები ასულდგმულებს და საკუთარ თავს ვერსად დაემალები?..

ახლა, როდესაც ამ ამბის შემდეგ საკმაოდ დროა გასული, მაინც მიჭირს მტყუან-მართლის გამოჩვენება, რადგან ყველას თავისი სიმართლე აქვს.

—როდესაც როსტროპოვიჩთან ერთად ვდგამდი სპექტაკლს, როგორც ოპერის თეატრშია მიღებული, მაესტროს ვუნოდებდი, ის კი მეუბნებოდა, უბრალოდ სლავა დამიძახეო, ვერაფრით შევძელი. მერე მითხრა, ერთმანეთს აუცილებლად შენობით უნდა მივმართოთ და ბრუდერშაფტით დავლიოთო... მართლაც დავლიეთ, მერე ყურში ჩამჩურჩულა —ახლა მითხარი, წადი... შენი!.. მე აღვშოთ-დი, მაგრამ მიუხედავად ამისა, შენობით მაინც ვერ მივმართე. ერთხელ მთელი ორკესტრი გააჩერა და მიმართა, შეხედეთ, მოუსმინეთ, იგი თქვენობით მომმართავს!..

ოთახში საზეიმოდ შემოაქვთ მჟაუნას წვნიანი, ნიკუშა ალას გაეკიდა, ჩემთვის თუ დარჩა რამეო, —კი, კი, ცავატანემ...

— ერთხელ კი მექსიკის კულტურის მინისტრი გადავარჩინე სიკვდილს. აქ იყო ჩამოსული და რატომღაც ხმა წაერთვა, წავიყვანე ჩემს საყვარელ ადამიანთან, პროფესორ სიმონ ხეჩინაშვილთან, გასინჯეს, სასწრაფო ოპერაცია გჭირდებათო და იქაური ექიმის მისამართი მისცეს... როდესაც მე და დუდანა მექსიკაში ჩავედით, აეროპორტში დავგვხვდა, ყელზე უკვე აპარატი ჰქონდა მიმაგრებული. რესტორანში მიგვიპატიჟა საოცარ, დიდ, მრგვალ ლოკოკინებზე, რომ გავხსენით, შიგნით რაღაც უგემრიელესი ტივტივებდა, დუდანას ზიზღისაგან კინალამ გული წაუვიდა, მე კი მომეწონა, ზღვის პროდუქტი ყველაფერი მიყვარს... და გულიანად იცინის.

თარგმანი მართლაც ლაღად მიდის, მე სურათებს ვიღებ, ეტყობა ბოლოს და ბოლოს გამოივა სერია „ბატონი რობიკო ჩვენს ოთახში“.

27 მარტი

თარგმნისას ბატონი რობიკო კიდევ თამაშობს, ხელებს იშველიებს, თან გამალებით ისუსნება, შოკოლადს მიირთმევს,



ფილას ამტვრევს და ყველას გვანვდის, მაგრამ არ ვეცილებით. პიესა ძალიან მხიარულია და ვფიქრობ, სასაცილო სპექტაკლი გამოვა, ალბათ „ხანუმას“ შემდეგ რობერტ სტურუას ასეთი სასაცილო რამ არ დაუდგამს. როცა ჩაფიქრდება, თვალები ეშმაკურად უციმციმებს.

—საოცრება მოხდა, გერგიევმა დადგმაზე დამპატიჟა...

—ეგ რა საოცრებაა, მთელი ქვეყანა შენ გეპატიჟება... — ამბობს ლილი.

—არა, თქვენ არ იცით, რა გავაკეთე. მის თეატრში „კარმენს“ ვდგამდი, რეპეტიციები უნდა დამენყო, მე კი როლების განანილება არც ისე მომეწონა. დავურეკე ჩემს ფინელ მეგობრებს, იმათაც ვიზა გამომიგზავნეს, ჩავჯექი მატარებელში და პელსინკში წავედი. რეპეტიციაზე არ გამოვცხადდი... ვიცი, რომ საშინელება ჩავიდინე, ვუღალატე თეატრს, ჩემს პრინციპებს... პრემიერა ხომ უკვე დანიშნული იყო... რა მოხდა, რა მიზეზი იყო, ვერაფერი გაიგეს, არც მე ამიხსნია რაიმე... და ასეთი საშინელების შემდეგ იგი კვლავ მეპატიჟება... ნამდვილი რაინდია...

მოსკოვიდან გუშინ დაბრუნდა. ძალიან დაღლილმა თავი მაგიდაზე ჩამოსდო და საუბარი ისე განაგრძო.

ლილი — მე მგონი, შენ საერთოდ აღარ გძინავს...

—მეც ასე მგონია... ნახეთ, რაღაც sms მომივიდა, —თუ გასურთ ახალი ფეხსაცმელების შეძენა, დაგვიკავშირდით... მე კი ფული საერთოდ აღარ მაქვს... იცით, ჩვენი სპექტაკლი შეიძლება სულაც არ იყოს სასაცილო, ყოფილა ასეთი შემთხვევები... ალბათ არც 70 წლის

გავხდები, მოვკვდები და როცა ჩემს საფლავზე მოხვალთ, თითო ჭიქა ღვინო წააქციეთ, რომ მეც შემერგოს...

ჩვენ საუბარი სხვა თემაზე გადაგვაქვს...

—ვერ გავიგე გავხდით თუ გავსუქდი? ღმერთო, მეტი აღარ შემიძლია, როგორ მეგონა სიბერეში დავისვენებდი, სადმე „სოიუზპენჩატის“ მალაზიაში გავყიდდი გაზეთებს... ან სადმე ზღვის ნაპირას, ქოხში დავლევდი სულს... აღმოჩნდა, რომ ჩემს გარდა არავინ მუშაობს...

ლილი —ადრე მეც ვოცნებობდი, რომ ხელფასი 350 მანეთი მექნებოდა, მაშინ ეს ძალიან დიდი ფული იყო და აღარ გამიჭირდებოდა... რობიკო, შენ თუ არ მუშაობ, თეატრი მკვდარია...

—მე თეატრზე არ ვამბობ, ჩემს სახლზე ვლაპარაკობ... იცით, რუსულს მაიაკოვსკის პედაგოგი მასწავლიდა, არაჩვეულებრივი კაცი, გვარად სავინოვი. სულ სამი თვე ვიარე მასთან და უშეცდომო წერა-კითხვა მასწავლა.

შემოდის ზაზა პაპუაშვილი, ტურზე თითს იდებს, ანუ ჩუმად, არავინ გაგვიგოსო და იმდენად კომიკურად იწყებს აღშფოთებულ ლაპარაკს, რომ სიცილით ვიხრჩობით.

ლილისა და რობერტის ხელში არსებითი სახელი იქნება თუ ზედსართავი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და სცენაზე მოქმედების განვითარებას ემსახურება.

—ასეთი რეალისტური პიესა ჩვენს თეატრში არ დადგმულა! — ამბობს ბატონი რობიკო რეი კუნის პიესის შესახებ.

—რატომ, „ვახშობის წინ“ ხომ იყო?

—კი, იყო... იდგმებოდა ჩვენთან ცხოვრე-

ბისეული პიესები. მე თვითონ მედიკო ჩახ-
ავასთვის „მარი ოქტომბერი“ დავდგი, „ადა-
მიანის ხმა“... მაგრამ ისეთი რეალისტური,
როგორც „ვახშობის წინ“ იყო, საერთოდ
ალარ დადგმულა. მე მას დავჯერდი და შემდეგ
ალარ მიმიმართავს... რეზო ებრალიძის „თანა-
მედროვე ტრაგედია“ იდგმებოდა, სადაც
მედიკო და კოტე შეყვარებულებს თამაშობდ-
ნენ, კუნძულზე მიდიოდნენ, იქ კი პროფესორი
მოორი ცხოვრობდა — აკაკი ხორავა, ღია
კაპანაძე ზანგს თამაშობდა, ჩვენი ბიჭები კი
ცეკვავენ და ძალიან ბევრს ვიცინოდით...
ღმერთო, სად წავიდა ეს ყველაფერი?..

—წავიდა და გაფრინდა...

ლილი და რობიკო სხვადასხვა სასიყვარ-
ულო ისტორიებს იხსენებენ და სევდიანად
იცინიან, შემდეგ ისევ პიესას უბრუნდებიან,
რომ გადანყვიტონ რა ამოიღონ და რა დატო-
ვონ...

—სიტუაცია არეულია, პოლიტიკის გად-
ასარჩენად ადამიანები ერთმანეთს ატყუებენ,
რა დროს სიყვარულია, მხოლოდ თანამდე-
ბობებია საჭირო და საყვარლები, მე მიყვარს
ჩემი სავარძელი, აი, მათი დევიზი!..

—ვინ ამბობს ამას?

—ყველა, დევიზია ასეთი!..

**...Я ничего не боюсь, я на Фурцевой
женюсь,**

**Буду тискать сиски я, самые
марксистские...**

ამ სიტყვებით გამოგვემშვიდობა და წავიდა.
ხვალ „სტიქსი“ თურქეთში მიდის.

16 აპრილი

წინადადება, რომელიც ნახევარი საათის
მანძილზე ითხზებოდა, წაიშალა და უცებ
სხვა სახე მიიღო.

—ამასობაში მე დეკორაციაც მოვიფიქრე,
სასტუმროს ნომერში გავაკეთებ შპალერს
სთოუნხენჯის გამოსახულებით, შიგნიდან
კი ფანჯრები, კარები... ისე კი, სიმართლე
თუ გინდათ, სთოუნხენჯი მეზიზღება. მიშა
თუმანიშვილმა „მეფე ლირის“ დეკორაციად
სთოუნხენჯი გამოიყენა, გოგიმაც ამერ-
იკაში „ლირის“ დეკორაციად სთოუნხენჯი
დადგა... მაგრამ რეალისტური გარემოც რომ
მძულს... პირობითობას შეიძლება თავიდანვე
პროექტით მიაღწიო, თავიდანვე გამოაჩინო
ღამის ცა, ხიდი, ბიგბენი... არ ვიცი, კარგია თუ
ცუდი, მაგრამ ყველაფერი ნამდვილი უნდა
იყოს, თავიდანვე გარემო უნდა ვაჩვენოთ...
მაგრამ ეს ალბათ კოლოსალური თანხები და-
ჯდება...

და უცებ გვეკითხება —ჰო, როდის არის
შექსპირი დაბადებული?

— 23 აპრილს...

—როდესაც 425 წელი შეუსრულდა, ინ-
გლისში, შექსპირის კონგრესზე მიმინვიეს.

დაახლოებით 50 კაცი ვმონაწილეობდით.
სტრედფორდში მის მოსახსენებელ წირვას
დავესწარი, ძალიან სადად ჩაატარეს, მხ-
ოლოდ სამღვდლოება, არავინ — ხელისუ-
ფლებიდან. დიდი შთაბეჭდილება სწორედ
იმან მოახდინა, რომ სტრედფორდის მკვიდრი
- უბრალო მაყურებელი გალობდა. შემდეგ მის
საფლავზეწავედით, იქედან — ჯონ გილგუდის
სალამოზე, სადაც მონოლოგებს და სონეტებს
კითხულობდნენ, მერე კი — წვეულებაზე...
მაშინ იქ იყიდებოდა გრავიურები, თუ როგორ
გადაიხადეს საუკუნის ბოლოს შექსპირის
დაბადების 300 წელი... გრავიურაზე კი ისე-
თი დიდი დარბაზი იყო დახატული, თითქოს
უზარმაზარ სუფრასთან ასი ათასი კაცი იჯდა
და როგორც ეწერა, მთელი ინგლისი ზეიმობ-
და ამ დღეს.

ამასობაში ჩემს სავარძელს რაღაც დეტა-
ლი სძვრება და სტურუა დიდხანს უშედეგოდ
ექვს.

—ეს ან მე მომძვრა, ან სავარძელს...

გრძელდება ბრძოლა ტექსტთან — ტექს-
ტისათვის. ლილი არასოდეს იმეორებს ერთი
და იმავე სიტყვას ორ მომდევნო ფრაზაში, ბა-
ტონი რობიკო კი ყოველ ფრაზას მოქმედები-
დან გამომდინარე აგებს. ლილი უამრავ ვარი-
ანტს სთავაზობს, მაგრამ იგი ამბობს —არ
ვარგა და იწყება კვლავ საჭირო სიტყვის ძიება
და ბოლოს ის ერთადერთი და საჭირო იკვეთე-
ბა. ბატონი რობიკო მიმიკითაც კი უჩვენებს
ლილის, რათა უფრო კარგად დაანახოს გმირის
გამომეტყველება.

და კვლავ ჩნდება კითხვა —გაიგეს თუ შე-
იტყვეს... რომელი უფრო სწორია?..

ლილი —მე და შენ უფრო ხშირად ვწერთ
შეიტყვეს...

ლილის ასევე არ მოსწონს სიტყვა —
გამაქრობენ! ეცოტავება.


—ლიტერატურული თვალსაზრისით არ
მოგწონს?

—არა, სცენიდან არ ივარგებს, გაუგებარი
იქნება.

—არა, გასაგები იქნება, ეწინააღმდეგება
სტურუა, მაგრამ ლილი ჭირვეულობს, ეძებს
და ბოლოს გამოსავალს პოულობს —არ და-
მინდობენ, გამაქრობენ... მართლაც კარგად
უღერს, აზრიც ძლიერდება, აქტიურდება.
სპექტაკლში ყველაფერი მსახიობების ოსტა-
ტობასა და ნიჭზეა გათვლილი.

მოამზადა მანანა თევზაძემ

(გავრძელება შემდეგ ნომერში)



თინათინ ზუგანაშვილი

h m e m

„რონდო“ - წარმატების თხუთმეტწლიანი შემოქმედებითი ისტორია, რომელიც დღემდე გრძელდება. გოგონათა ვოკალური ჯგუფი „რონდო“ 1994 წელს შეიქმნა. მისი წევრები არიან: ელენე ოთარაშვილი, ლელა ოთარაშვილი, ნათია ჟორჟოლიანი და მაიკო ჩიქოვანი. „რონდოს“ პროდიუსერი ელისაბედ (ლიზი) ოთარაშვილი, პროფესიით მუსიკოსია. ის ჯგუფის ორი წევრის, ელენესა და ლელას დედაა და ამავდროულად კვარტეტის შემოქმედებითი მშობელიც, რადგან ყველამ იცის, რომ „რონდოს“ მთელი რეპერტუარი სწორედ ელისაბედ (ლიზი) ოთარაშვილის მუსიკალური ნიჭისა და პროფესიონალიზმის წყალობითაა შექმნილი. ჯგუფის ძირითადი წევრები არიან ელენე და ლელა ოთარაშვილები.

პირველი წარმატება პროფესიულ სცენაზე იყო ქართული მუსიკალური ფესტივალი „ლიგა 96“, სადაც ჯგუფი გამოარჩიეს, როგორც უცხოური სიმღერის საუკეთესო შემსრულებელი.

შემოქმედებითი აღმასვლის შემდეგი ეტაპი იყო 1997 წლის მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალი სახელწოდებით „პლანეტის ახალგაზრდობა“. სადაც „რონდო“ პირველი ადგილით დაჯილდოვდა, ხოლო მათ პროდიუსერს ელისაბედ (ლიზი) ოთარაშვილს საუკეთესო სამხატვრო ხელმძღვანელის წოდება მიანიჭეს და განსაკუთრებული დიპლომით დააჯილდოვეს.

„რონდო“ 1998-2005 წლებში წარმატებით იცვლიდა მსმენელთა ფართო აუდიტორიას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში: პოლანდია, ბელგია, რუსეთი, უკრაინა, ბულგარეთი, ეგვიპტე და სხვ.

გასტროლების პარალელურად გოგონები არც კონკურსებსა და ფესტივალებს ტოვებდნენ. ერთ-ერთი აღსანიშნავი წარმატება მათ ახალგაზრდა შემსრულებელთა საერთაშორისო სატელევიზიო კონკურსზე ხვდათ წილად. „რონდომ“ „იალტა-2001“-ის მეორე საპრიზო ადგილი და მასმედიის ერთადერთი საგანგებო ჯილდო დაიმსახურა — „ეროვნული ტრადიციების საუკეთესოდ წარმოჩენისა და საუკეთესო რეპერტუარისთვის“.

საზღვარგარეთ მოპოვებულ აღიარებას, რა თქმა უნდა, სამშობლოში დამსახურებული წარმატებებიც ახლდა თან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „ოვაცია 2002“ და „ოვაცია - 2003“. დაჯილდოვების ცერემონიაზე მათ „წლის საუკეთესო გოგონათა“ წოდება მიანიჭეს.

ზედზედ სამი წლის მანძილზე „რონდო“ „მეგა 2001, 2002, 2003“ რჩეულია და კომპეტენტური შემფასებლების მიერ დასახელდნენ, როგორც „წლის საუკეთესო გოგონათა ჯგუფი“, დაჯილდოვდნენ „წლის საუკეთესო სიმღერისთვის“, „წლის იმიჯისთვის“ და ასევე საგანგებო პრიზი დაიმსახურეს პროფესიონალიზმისთვის.

ასევე, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფესტივალი „წლის სიმღერა - 2001“, სადაც „რონდო“ ვიქტორ დოლიძის „ქართული საცეკვაო“ საუკეთესო მუსიკალური ინტერპრეტაციისთვის დააჯილდოვეს. ვოკალური ვერსიის ავტორია ელისაბედ (ლიზი) ოთარაშვილი.

„რონდოს“ პოპულარობის შემდეგი ეტაპია აღმა-ატის საერთაშორისო ფესტივალი „აზიის ხმები“, საკონცერტო გასტროლები ევროპის სხვადასხვა ქალაქებში.

წლების ამ ჩამონათვალს თან ახლავს ქართველ და უცხოელ მსმენელთა შორის განთქმული სახელი და წარმატებების ნუსხა არაერთი შესანიშნავი სიმღერით. ესენია: „აჭარული“, ვ. დოლიძის „ქართული საცეკვაო“, რომელიც მსმენელთა ფართო



ლიზი ოთარაშვილი

მასებისთვის „რონდოს“ სავიზიტო ბარათად იქცა.

ქართულ მუსიკალურ საზოგადოებაში ჯგუფმა დაიმკვიდრა გამორჩეული და ინდივიდუალური ადგილი. „რონდოს“ განსაკუთრებულობა ძირითადად მათი პროფესიონალიზმით ხასიათდება, რაც არაერთგზის ყოფილა არა მარტო კულუარული საუბრების საგანი, არამედ კომპეტენტური მუსიკათმცოდნე — კრიტიკოსების სამართლიანი შეფასებაც. ეს კი შედეგია მათი შემოქმედების განმსაზღვრელი ნიშნის, რაც არის ქართული მრავალხმიანობის შენარჩუნება თანამედროვე მუსიკის სასიმღერო უანრში. ტრადიციული მოტივების თანამედროვე დასავლურ მიმდინარეობებთან შერწყმა იმგვარი ფორმით, რომ შენარჩუნებულია ქართული ინტონაცია და ის ფეხდაფეხ მიყვება თანამედროვეობას.

ბობოხიძის „ადილა“ — ქართველ მსმენელს კრიმანჭულის ელემენტი არ ეუცხოება და მაშინვე განსაზღვრავს მას ზუსტი სახელებით, მაგრამ უცხოელი მსმენელისთვის ეს ეთნიკური ჯაზის მოტივია, ხმის ჩახვევის ორიგინალური ფორმით. ამიტომ „რონდოს“ შემოქმედება ტრადიციული და თანამედროვე მუსიკის ჰარმონიულად შერწყმის წარმატებული მაგალითია.

„რონდოს“ შემოქმედებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. დოლიძის „ქართული საცეკვაოს“ ვოკალური ვერსია, რომელიც ასევე ლიზი ოთარაშვილს ეკუთვნის. ძნელია დაფარო ის ემოცია, რომელსაც ეროვნული მუსიკის ამგვარი ჟღერადობა აღძრავს. მსმენელი გრძნობს ზღვა ენერგიას, რომელიც, თავის მხრივ, პროფესიონალიზმსა და კლასიკური მუსიკის ღრმა წვდომას ეფუძნება.

ვ. დოლიძის „საცეკვაოს“ „რონდოსეულ“ ინტერპრეტაციას მაღალი შეფასება მისცა შესანიშნავმა კომპოზიტორმა გია ყანჩელმა, რომლის შემოქმედებიდან ჯგუფმა საორკესტრო მინიატურის ვოკალური ვერსიის (ავტორი ლიზი ოთარაშვილია) ბრწყინვალე შესრულება შემოგვთავაზა.

ჯგუფის პროდიუსერს არც ელექტრონული მუსიკის აქტუალობა დარჩენია ყურადღების მიღმა და სწორედ ამის შედეგია „სისა ტურას“ ხალხურ მოტივზე აგებული კომპოზიციის ელექტრონული ვერსია. იგივე იტემის კომპოზიციაზე „სვანური“. ეს არის ხალხური „შინა ვორგილის“ გამიქსული ვარიანტი, რომლის მოსმენისას განგაცვიფრებს ქართული ხალხური მუსიკის დაფარული და სამწუხაროდ, გამოუყენებელი უსაზღვრო პოტენციალი.

ელექტრონული მუსიკის რიგშია „Night Jazz“, რომელიც ნებისმიერი გემოვნების მსმენელს აუმაღლებს განწყობილებას და მოტივების სიმდიდრით გამოირჩევა, მაგრამ შეუძლებელია არ აღნიშნო და არ აღფრთოვანდე ამ სიმღერის ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე — აღმოსავლური ელემენტის წარმატებული სინთეზით ჯაზის რიტმებთან, რაც სამხატვრო ხელმძღვანელის — პროდიუსერის (მუსიკის ავტორის), ლიზი ოთარაშვილის, პროფესიონალიზმის დამსახურებაა და „რონდო“ ამის წარმოჩენას საუკეთესო ფორმით ახერხებს.

„რონდოს“ შემოქმედების ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპია „ბოლერო“. ესაა მორის რაველის გენიალური ნაწარმოების შესა-





ტყვისი თანამედროვე მუსიკალური ვარიანტი, რომელიც მსმენელის აღფრთოვანებას ინვეს არა მარტო კომპოზიციური სრულყოფილებით, არამედ ტექსტითაც, რომელიც ომისა და მშვიდობის აქტუალურ თემას ეხება.

„ბოლეროს“ ტექსტის ავტორია რუსუდან კვირიკაშვილი, ინსტრუმენტული არანჟირების ავტორი – შესანიშნავი მუსიკოსი ოთარ ყუფუნია, ხოლო ვოკალური დამუშავება ეკუთვნის ჯგუფის პროდიუსერს ელისაბედ (ლიზი) ოთარაშვილს. კულუარებში „რონდოს“ პროდიუსერს ხუმრობით „ვანგაც“ კი შეარქვეს, რადგან ომის სისასტიკის წინააღმდეგ შექმნილი გემოვნებიანი და მალაღმბარისხიანი კლიპის პრეზენტაცია 2008 წლის 4 მარტს შედგა „ქორთიარდ მარიოტში“. კვარტეტი ამჯერად უკვე ეკრანიდან მოუწოდებდა დამსწრე საზოგადოებას ერთმანეთის სიყვარულისკენ და დაუნდობელი, ველური კანონებით მოქმედი ცხოვრების საპასუხოდ მსოფლიო მშვიდობისთვის გაერთიანებისკენ, რაც საკმაოდ სიმბოლური აღმოჩნდა ანმყოს გადმოსახედიდან.

კლიპის პრეზენტაციამ ბრწყინვალედ ჩაიარა. მსმენელი აღტაცებას ვერ მალავდა. საკმაოდ მაღალი შეფასებები გაჟღერდა ისეთი პროფესიონალებისგან, როგორებიც არიან: მუსიკათმცოდნეები ქ-ნი მანანა ახმეტელი, ქ-ნი ნანა ლორია, ქ-ნი მაია დათუნაშვილი, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი.

„ბოლეროს“ მუსიკალური ვერსია შეიქმნა კლიპის გადაღებამდე ბევრად ადრე. მოგეხსენებათ, მაღალხარისხიანი კლიპის შექმნა საქართველოში საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და ჯგუფის პროდიუსერი იდეის განხორ-

ციელებისგან ამიტომაც იკავებდა თავს. გარდა ამისა, ლიზი ოთარაშვილს სურდა, რომ კლიპის შინაარსიცა და ფორმაც ყოფილიყო „ბოლეროს“ მუსიკალური ვერსიის ადექვატური. ხანგრძლივი ძიების შემდეგ არჩევანი შეჩერდა შესანიშნავ რეჟისორებზე, დაჩი დარჩიასა და ბასა სამხარაძეზე.

საგულისხმოა, რომ „ბოლეროს“ ვოკალური ვერსია, მით უმეტეს მრავალხმიანი, არის ნოვაცია. მსოფლიოში ამის ანალოგი არ არსებობს.

კლიპი ძირითადად აგებულია ომის სასტიკი კადრების ფონზე თეთრი ფერის სამოსში გამოწყობილი მომღერალი გოგონების ნაზი და შთაგონებული მოძრაობებით, რასაც თან ახლავს პატარა ბავშვის (ელენეს ვაჟის — ნიკოლოზის) ლალი თამაში. ბოლოს კი გვხვდება ომის საპირისპიროდ კვერცხის ანუ სიცოცხლის სიმბოლოს გარშემო შეკრული მანდილოსნების წრე და მტრედი, როგორც მსოფლიო მშვიდობის, სიკეთისა და სათნოების სიმბოლო.

„რონდომ“ მსმენელს ორი გემოვნებიანი, მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული ალბომი აჩუქა და ამჟამად მიმდინარეობს მესამე ალბომზე მუშაობა. „რონდოს“ მუსიკანებისმიერი ასაკისა და გემოვნების მსმენელს ითვალისწინებს. ახალ ალბომში ისინი სიახლესაც გვთავაზობენ და არც ტრადიციებს დალაცობენ. ჩვენ ისლად დაგვრჩენია, ქვეყანაში არსებული ვითარების გამო ტკივილიანი განწყობილება მათი მუსიკის საშუალებით ხშირად გავიუმჯობესოთ და მოუთმენლად დაველოდოთ „რონდოს“ მესამე ალბომის ახალ შემოთავაზებას.



ემა ლალაევა-ედიბერიძე

ქრისტინე ფარჩია

ჯინაჰი სხოჰაზა და ჯითი სჯათის საილაძო

(ემა ლალაევა-ედიბერიძე)

უცნაური რამაა ფოტო... სამუდამოდ დაჭერილი წამი, საკუთარი ან სხვისი ცხოვრების ანაბეჭდი. იგი მუდამ დარჩება შენი არსებობის დასტურად და უტყუარ მოწმედ. დიდი ხნის შემდეგ მას ყურადღებით დაათვალიერებენ და შენს პიროვნებაზე წარმოდგენის შექმნასაც შეეცდებიან. მანამდე კი თავად შენ შეგიძლია ათვალიერო სხვისი ფოტოსურათი და მავანთა ფსიქოლოგიური პორტრეტის დახატვაც სცადო. ამ ფიქრით გათამამებულმა დიდხანს ვატრიალე ხელში ძველი, ოდნავ გახუნებული ფოტოსურათი, რომელზეც 1920-იანი წლებისათვის ტიპიურ სამოსში გამონწყობილი ქალბატონია გამოსახული;

წელზე დოინჯშემოყრილ თავი გვერდზე გადაუხრია და შლაპის ქვემოდან იმზირება, მის დგომასა და პოზაში მოდელის არტისტული ბუნება იკვეთება, თუმც მოძრაობა ოდნავ შეზღუდულია, როგორც ჩანს, თვითპრეზენტირება მისი ძლიერი მხარე არ უნდა ყოფილიყო. იქნებ ეს არის მიზეზი, რომ მის შესახებ ბევრი არაფერი იცის დღეს საზოგადოებამ?... ეს XX საუკუნის დასაწყისში თბილისში მცხოვრები მხატვარი ქალი, ემა ლალაევა-ედიბერიძეა. მოცემულ ფოტოზე მხატვარი საკუთარ სახელოსნოში პოზირებს და ამით კიდევ უფრო მეტის ამოცნობის საშუალებას გვაძლევს; სახელოსნო ხომ ყველაზე უკეთ ინახავს შემოქმედის საიდუმლოს. მაგრამ თანმიმდევრულად მივყვით და ამქვეყნიური ცხოვრების ამსახველი ბიოგრაფიული ცნობების წინაშეც მოვიხადოთ ხარკი:

ემა-ლალი ლალაევა-ედიბერიძე გახლავთ სრული სახელი ფოტოზე გამოსახული ქალბატონისა; თავად მხატვარი მის შემოქმედებით ფსევდონიმად „ლალის“ ირჩევს; ლალი, ლალი, lali, Лали - ასე აწერდა იგი ხელს ნამუშევრებს. ჩანს, არტისტ ქალს სურდა სწორედ ამ სახელით დარჩენილიყო ისტორიაში და ამ ფსევდონიმით სცოდნოდა იგი ქართულ საზოგადოებას.

ლალი დაიბადა 1904 წელს, ქ. თბილისში, ცნობილი თბილისელი ფოტოგრაფის, ყოფილი ერევნის (დღეს - თავისუფლების) მოედანზე მდებარე ფოტოატელიეს მფლობელის - არკადი ლალაიანცის (ლალაევის) ოჯახში. მისი ბიძა იყო ცნობილი მეცნიერთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი — ერვანდ ლალაიანცი. ლალი ბავშვობიდან გაიტაცა ხელოვნებამ და 1921 წელს იგი უკვე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო სახელოსნოში სწავლობს პედაგოგ ბორის ფოგელთან. 1924-28 წლებში სწავლას აგრძელებს თბილისის სამხატვრო აკადემიის მარაფიკის ფაკულტეტზე პროფესორ იოსებ მარლემანის კლასში. მისი პედაგოგები არიან: გიგო გაბაშვილი, ევგენი ლანსერე, კირილე ზდანევიჩი, დავით კაკაბაძე და სხვები. სტუდენტობის წლებიდან იგი მეგობრობს მოგვიანებით ისეთ ცნობილ მხატვრებთან, როგორებიც არიან თამარ აბაკელია, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, სერგო ქობულაძე, უჩა ჯაფარიძე, სოლომონ ნადარეიშვილი, ნინა თამამაშველა, აპოლონ ქუთათელიაძე, ტრდატ ნალბანდიანი, პეტრე ბლიოტკინი. მას იცნობდნენ და აფასებდნენ გოგლა ლეონიძე, ტიცვიან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, მიხეილ ჭიაურელი. 1928 წელს ოჯახური პირობების გამო, ლალი თავს ანებებს სამხატვრო აკადემიას, მას გადაწყვეტილი აქვს გადავიდეს მოსკოვში დეკორატიულ განყოფილებაზე, მაგრამ ვერ ახორციელებს ჩანაფიქრს, თბილისში რჩება და აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას განაგრძობს. ლალი საკუთარ ძალებს ცდის მხატვრობის

თითქმის ყველა დარგში; ერთდროულად მუშაობს, როგორც ფერმწერი, გრაფიკოსი, მხატვარ-დეკორატორი, მულტიპლიკატორი, კარიკატურისტი, წიგნის დიზაინერი, სცენოგრაფი, ტანსაცმლის დიზაინერი, ქმნის ექსლიბრისებს, აფორმებს საბჭოთა ზეიმებს.

1930 წელს ემა ლალაევამ ქორწინდება. იგი ცოლად მიჰყვება გიორგი ედიბერიძეს, პროფესიით ინჟინერ-გეოლოგს, რომელსაც განათლება გერმანიაში აქვს მიღებული. (20-იან წლებში ამთავრებს ქ. ფრაიბურგის სამთო აკადემიას.) სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გ. ედიბერიძე მუშაობს ჭიათურაში, მარგანეცის მალაროების დამუშავებასა და წიაღისეულის გამამდიდრებელი ქარხნების მშენებლობაზე. მოგვიანებით იგი ხდება საქართველოს სამთო წიაღისეულის სამმართველოს მართვის უფროსის მოადგილე. მაგრამ მალე ცოლ-ქმრის ცხოვრება ტრაგიკულად იცვლება: 1938 წელს გ. ედიბერიძე რეპრესიის მსხვერპლი ხდება; მას აპატიმრებენ, ასახლებენ ქვეყნიდან, როგორც სამშობლოს მოღალატეს. ოჯახს კი ატყობინებენ, რომ გიორგი ედიბერიძე ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. მარტოდმარტო დარჩენილი ლალი ზრდის ორ ვაჟს (ალექსანდრესა და მიხეილს) და უვლის მოხუც, ავადმყოფ დედას. პარალელურად ლალი ბევრს მუშაობს. აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების მიუხედავად, იშვიათად იფინება, ალბათ ესეც არის მიზეზი მხატვრის ქართული ხელოვნების ისტორიის ფურცლებიდან გაუჩინარებისა. სიცოცხლის ბოლომდე საქართველოში მცხოვრები ემა ლალაევამ ედიბერიძე 1991 წელს თბილისში გარდაიცვალა.

ახლა კი მოდით, ისევ ფოტოს დავუბრუნდეთ... მასზე ხომ ლალი ჯერ ისევ ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსეა, კედელზე დაკიდული თითოეული სურათი კი მზად არის მისი ავტორის შემოქმედებითი კრედიო გაგვიმხილოს. ჰოდა, ამოვარჩიოთ ნამუშევარი, რომელიც „გზამკვლევ მეგზურობას“ გაგვიწევს ლალის შემოქმედებაში. აი, თუნდაც ეს: ფრიალ უჩვეულო კომპოზიცია, რომლის წინა პლანზე ახალგაზრდა შავგვრემანი მამაკაცის გამჭვირვალე პროფილია მოცემული. მის აქეთ-იქით, ერთმანეთის მოპირდაპირედ, სხვადასხვა სიმაღლეზე მდგარი ქალისა და კაცის ფიგურებია განთავსებული. ისინი ერთმანეთს შეჰყურებენ. მოცემული სცენა, ნამუშევრის კომპოზიციური ლოგიკით, პროფილში წარმოდგენილი მამაკაცის უკან, საჭადრაკო დაფასავით მოპირკეთებული იატაკისა და დაზოლილი კედლის მქონე ინტერიერში თამაშდება. ნამუშევარში რამდენიმე უცნაური დეტალი იპყრობს ყურადღებას: ერთმანეთის საპირისპიროდ განთავსებული რკალური კიბეები სურათის ზედა ნაწილში; ჩაბნელებული გვირაბი მის სიღრმეში მიმავალი სატვირთო მანქანებით – ნამუშევრის ქვედა მარცხენა კუთხეში და იქვე ლოტოსის ყვავილზე

ფეხმორთხმული ბუდას მრავალჯერ გამეორებული გრაფიკული გამოსახულება. მიუხედავად ასეთი, ერთმანეთთან შინაარსობრივად დაუკავშირებელი ელემენტებისა, მნახველს რჩება შთაბეჭდილება, რომ მოცემულ გამოსახულებებს შორის უხილავი შინაგანი დაფებია გაბმული; მათ სწორედ სიუჟეტური ქარგა აერთიანებთ. თხრობითობა იმდენად საგრძნობია ნამუშევარში, რომ მნახველს უჩნდება განცდა, თითქოს კინოფილმის გაჩერებულ კადრს უმზერდეს. მუქი ფერადოვნების, შავი და თეთრი ფერების კონტრასტულობის და ცალკეული კომპოზიციური დეტალების გამო საერთო დაჭიმულობის განცდა მატულობს. სიუჟეტი მეტი დრამატიზმით ივსება. თითქოს მისი კულმინაციური მომენტი იყოს გამოსახული. საერთოდაც, სურათი თავისი კრებითი კოლაჟური სახისა და სიუჟეტის ერთ კადრში მაქსიმალურად აკუმულირების გამო კინოაფიშას ჰგავს.

სურათი სხვა მხრივაც ინვესს კინემატოგრაფთან ასოციაციას. კომპოზიცია ერთმანეთთან შინაარსობრივად ყოველად დაუკავშირებელი სცენების ერთობლიობაზე იგება. მთელი სასურათე სიბრტყე სხვადასხვა სცენებისა და კადრების „კოლაჟს“ წარმოადგენს. „გამჭვირვალე“ სცენები ალაგ-ალაგ ერთმანეთსაც გადაფარავს, თითქოს გამსჭვალავს. ასეთ დროს ორივე სცენა თანაბრად მოსახილველია, ერთმანეთთან მიმართებაში კი ისინი დამატებით ნაკითხვას ექვემდებარებიან, რადგან ახალ, ხშირად აბსურდულ რეალობას ქმნიან. ნამუშევრისათვის დამახა-





სიათბელო კადრიების ეს პრინციპი კინემატოგრაფიულობის ეფექტს ქმნის. სცენები კინოკადრებივით ენაცვლება ერთმანეთს, უფრო სწორად ძალიან მოხერხებული კომპოზიციური წყობის გამო, ისინი თანაარსებობენ სასურათე სიბრტყეზე. შეიძლება ითქვას, რომ ლალი აქ იყენებს საიმდროოდ ახლად შექმნილ, ჯერ ბოლომდე ჩამოუყალიბებელ, დაუხვეწავ და აუთვისებელ მონტაჟის პრინციპს (როგორც ცნობილია, მონტაჟს 1916 წელს პირველად იყენებს რეჟისორი დევიდ გრიფიტი). თანაც, ეს განსაკუთრებული ხერხის მონტაჟია, რომლის დროსაც ეკრანზე ერთდროულად დაშუქებულ ორ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სცენაზე პარალელურად მიდის მოქმედება. პროფესიონალურ ენაზე ამას „ორმაგ ექსპოზიციას“ უწოდებენ.

ეს, რაც შეეხება ნამუშევრის პირველად, გარეგნულ ეფექტსა და მნახველში გაჩენილ ასოციაციას. ახლა კი მკითხველის ყურადღებას იმ ტექნიკურ საკითხებზე მივაპყრობთ, რომლითაც ყველაფერი ზემოთთქმული მიიღწევა.

მოცემულ ნამუშევარში ლალი (და არა მართო აქ, სხვაგანაც საკმაოდ ხშირად) მიმართავს თავისთავად მეტად უცნაურ, ოსტატურ და მრავალმხრივ მოქმედ კომპოზიციურ ხერხს, რომელიც საგანგებო აღნიშვნის ღირსია; ვგულისხმობ, ერთი წერტილიდან გამოსული ორი წრფის მახვილი კუთხით გაშლას, რაც პროექტორიდან გამოსული სინათლის ეფექტს ქმნის. (ეს XX საუკუნის დასაწყისში, 1913 წელს მ. ლარიონოვის მიერ ჩამოყალიბებული მიმდინარეობის, ლუჩიზმის (იგივე რეიონიზმის) თავისებურ ინტერპრეტაციად გვესახება). ეს „შუქმფენი“ ჭავლი დიდად არ მოქმედებს უშუალოდ მის არეში მოქცეულ გამოსახულებებზე. განსაკუთრებულ გარ-

დასახვას პროექტორული სინათლის არეში მოხვედრით ისინი არ განიცდიან, თუ არ ჩავთვლით ფერთი შეფერილობის მცირედ ცვლილებას — „დაშუქებული“ გამოსახულებები ოდნავ უფრო გაღიაგებული ან გამუქებულია, (თანაც ყოველგვარი ბუნებრივი ლოგიკის გარეშე, ამასთან, ხშირად ორივე საშუალება ერთად გამოიყენება) და მეტად სილუეტურია, რადგან მკაფიო კონტურები დაუყვება. ეს უჩვეულო ხერხი, ერთი მხრივ, კიდევ უფრო აძლიერებს კინემატოგრაფიასთან ასოციაციურ კავშირს, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვან კომპოზიციურ მეთოდად გვევლინება. მისი საშუალებით, მოცემულ შემთხვევაში, ლალი ორმაგ კომპოზიციურ „სვლას“ აკეთებს, რომლის დროსაც სურათის ერთმანეთის მოპირისპირე განაპირა ადგილებში, განსხვავებულ სიმაღლეზე განთავსებული ქალისა და მამაკაცის ფიგურები უკავშირდება ერთმანეთს. მათ შორის ერთგვარი მზერიტი კონტაქტი მყარდება, რადგან „სინათლის ჭავლი“ სწორედ კაცის თვალიდან გამოდის და მისი გამომხაზველი ზედა წრფე ქალის თვალზე, მის ზედა ზღვარზე გადის. ამით ამ ორ ფიგურას შორის თავისებური კომუნიკაცია მყარდება. ამის წყალობით სხვადასხვა კომპოზიციურ სიბრტყეზე მყოფი ფიგურები ერთ სივრცეში მოიხილვება, რასაც ხელს უწყობს ინტერიერული დეტალიც, კერძოდ, კედლის შპალერული გაფორმება, რომელიც ერთნაირ ფონად გასდევს ორივე პერსონაჟს. ამავე დროს პროექტორული ნათება, რომელშიც წინა პლანზე მოცემული მამაკაცის თავის ნაწილიც ხვდება, უზრუნველყოფს მოცემული გმირის, გარკვეულწილად, უშუალოდ კომპოზიციურ, უფრო მეტად კი შინაარსობრივ კავშირს დანარჩენ ორ პერსონაჟთან. შავ ქურთუკიანი კაცის თვალთაგან მომდინარე შუქის ქვედა სხივი, ამ შემთხვევაში, ხსენებული მამაკაცის თვალზე გადის. ამით ისიც გარკვეულ ვიზუალურ კავშირს ამყარებს გარემომყოფებთან. შესაძლოა, ისიც მათთან ერთად, ერთ სიბრტყეზე (სივრცეში) მოვიაზროთ, მაგრამ, ამავე დროს, თუ კინემატოგრაფიული ეფექტების ლოგიკას მივყვებით (რომელიც ამკარად აქტიურად „მუშაობს“ მოცემულ სურათში), მივალთ დასკვნამდე, რომ კაცისა და ქალის ფიგურები წინა პლანზე წარმოდგენილი მამაკაცის გონებაშია მხოლოდ, ან პირიქით, თავად იგია ხსენებულ გმირთა წარმოსახვაში.

მოცემულ ნამუშევარში ლალი მისთვის ჩვეულ კომპოზიციურ ოსტატობას ავლენს. ნამუშევრის ქვედა მარცხენა კუთხეში, ბნელი გვირაბის სიღრმეში მიმავალ სატვირთო მანქანებს მათი მცირე ზომისა და მდებარეობის გამო, მნახველი სულ ბოლოს აღიქვამს. მისი თვალი ძალაუვნებურად მიცოცავს მანქანების მიმართულებით, მიუყვება მათ სრბოლას, მაგრამ ყველა კომპოზიციური პრინციპისა


თუ კანონის სანინალმდეგოდ, მას უკან არაფერი აბრუნებს; არც ერთი კომპოზიციური დეტალი აღარ „ამოაცილებს“ მაყურებლის თვალს გვირაბის სიღრმიდან, რომელშიც ის ასე მოხერხებულად შეიტყუეს. ამით მხატვარმა ერთგვარი „ხრიკი“ მოუწყო მნახველს — „შეიტყუა“ სურათის სიღრმეში და თითქოს იქ დაამწყვდია, რითაც ხანგრძლივი დროით მიაჯაჭვა სასურათე სიბრტყეს.

საკმაოდ უცნაურად ჩანს კომპოზიციის უფრო აუხსნელი მიზეზით ჩართული ლოტოსის ყვავილზე მჯდომი, მრავალგზის გამეორებული ბუდას გრაფიკული გამოსახულება. მისი ზედმინევი მსუბუქი, გამჭვირვალე, ორნამენტულად გადანწყვტილი გრაფიკულობის გამო, ბუდა ყველაზე ნაკლებმატერიალური გამოსახულებაა ნამუშევარში. იგი არც ერთ სიბრტყეს (სიბრტყით არეს) თუ სივრცით მონაკვეთს არ ეკუთვნის, თუმც კი ერთდროულად გადაფარავს რამდენიმე ასეთ ფენას (მაგ.: კაცის თავს, მხარს, გვირაბს). მრავალჯერ გამეორების და საერთო სიმსუბუქის გამო, ბუდას გამოსახულება გამჭვირვალეობის ეფექტს იძენს. მაგრამ მისი სახეების უცნაურობა იმაშია, რომ საბოლოოდ მაინც ძნელი დასადგენია ბუდას ხატ-სახე ქვემოდან „ამოდის“, „ამოჭვირდება“ თუ პირიქით, ზემოდან — სასურათე სიბრტყის ზედა ფენიდან, სიღრმისკენ მიიკვლევს გზას, მასში „ჩაჟონავს“. იმის თქმაც კი ჭირს, რამდენად გამოსცდება იგი წინ (ან გამოსცდება თუ არა საერთოდ) გვირაბის კედლებს. ყოველივე ზემოთთქმულის გამო მძაფრდება მისი სივრცეში გაბნეულობის, არამატერიალობის, თითქოს უხილავობის განცდა. ამის ერთადერთი გამართლება, შესაძლოა ახსნაც, შეიძლება იქვე, სურათის ქვედა მარჯვენა კუთხეში, იატაკზე მდგარი პატეფონიდან გამოსული სხივის საშუალებით ბუდას მასთან დაკავშირებაში დავინახოთ. ხსენებული კავშირი იმ სახისაა, რომ ადვილად გვაფიქრებინებს, თითქოს ეს, ნამუშევრის ნივთიერ სიბრტყეთა შორის ჰაერში მოლივლივე ბუდა პატეფონიდან გამომავალი მუსიკალური ბგერაა, მუსიკალური ჰანგი იყოს. ასეთ შემთხვევაში, უნდა ვაღიაროთ მხატვრის ოსტატობა, რომლითაც იგი სახვით საშუალებებსა და მხატვრულ ენას შეარჩევს. გამოსახულების მრავალჯერ გამეორება, ნაზი და მთრთოლვარე კალიგრაფიული ხაზით შემონერილი სილუეტი, ვიბრაციის შეგრძნებას ბადებს, რაც ნათქვამის არგუმენტირებაში გვინყობს ხელს. ეს არა მარტო ერთი მუსიკალური ბგერაა, არამედ მთელი მელოდია, რომელიც მნახველის თვალწინ „უღერს“. მაგრამ აქ დაისმის კითხვა - რა ხელი აქვს ამ ცხადად ევროპული ყაიდის კომპოზიციასთან (ვგულისხმობ, გარემოს, ტიპაჟებს და მათ მიერ მაყურებლისათვის შეთავაზებულ დრამატულ, შესაძლოა, საერთოდაც დეტექტიურ სიუჟეტს), ბუდას გამოსახულებას და, ჩვენი მოსაზრების შესაბამისად, აღმოსავლურ

მუსიკას? საფიქრებელია, რომ მხატვარს ამგვარი ხერხით ეგზოტიკური იერის მიცემა ან მეტი აბსურდულობის მინიჭება სურდა ნამუშევრისთვის. შეიძლება აქ საქმე კონკრეტულ მოტივთან გვექონდეს. შესაძლოა, სურათი რაიმე მხატვრული ნაწარმოების ან, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, კინოფილმის მიხედვით იყოს შექმნილი და ჩინურ-იაპონური მუსიკის თემაც სიუჟეტზე დაყრდნობით მოიხმოდ ავტორმა. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ლალი თავისი სინამდვილით საზრდოობს და იმ დროის პოპულარულ, ან უბრალოდ, მისთვის საყვარელი შორეული აღმოსავლური მელოდიის სახვითი ფორმით აუღერებას ცდილობს ნამუშევარში. (ეს არ უნდა იყოს გამორიცხული, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ სადღაც 1910-იანი წლებიდან საქართველოში ევროპის გავლით შემოსვლას იწყებს შორეული აღმოსავლეთის



თემზე დასავლური საოპერო ტრადიციით შექმნილი ოპერები და ოპერეტები. მაგ.: 1909 თბილისში პირველად დაიდგა „ჩიო ჩიო სანი“; 1913-14 წწ. — ვალენტინოვის „ჩინური კონსტიტუცია“. დაახლ. 1910-იანი წლების ბოლოს კი სიდნეის „გეიმა ანუ არაჩვეულებრივი შემთხვევა ერთ ჩინურ ჩაიხანაში“). ასე თუ ისე, მელოდიის „გავრცელების არე“ არც ისე დიდია, იგი ვერ გადაფარავს იმ დაძაბულობას, რომელიც უფრო ძლიერ ნოტად შემოდის ნამუშევარში. მას დიდწილად უწყობს ხელს კომპოზიციის ზედა ნაწილში



ატანილი კონსტრუქციულ-არქიტექტურული დეტალი — მომრგვალებული კიბე, რომელიც სხმული საფეხურებისა და მასიური მოაჯირის ნახატი თუ ვიმსჯელებთ, სავარაუდოდ, ქვის (ან სხვა რაიმე მძიმე მასალისა) უნდა იყოს. მას თითქმის არაფერი იჭერს. კედელი, რომელსაც იგი ორი მხრიდან გარშემონერს, უბრალო პანოსავით თხელი ტიხარის შთაბეჭდილებას ტოვებს; მასზე დატანილი წარწერა „ლალი“ — მხატვრის ფაქსიმილე, ამ განცდას უფრო აძლიერებს. კიბე თითქოს ჰაერში ჰკიდია, იგი სადაცაა ჩამოცურდება და უბედურებად დაატყდება თავს სურათის პერსონაჟებს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს კიბის პერსპექტივის ნორმების დარღვევით გამოსახვა. გამოსახვის ამ ხერხს უფრო „აყირავებული პერსპექტივა“ ეთქმის. ამგვარი ატექტონიკურობა გაუმართლებელი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: ჰაერში უხილავი ძალით დაკიდულ კიბეს, მისი არამდგრადობის გამო დამატებითი დაძაბულობა და დრამატიზმი შემოაქვს ნამუშევარში. მაგრამ იმავდროულად კიბე, რომელიც კომპოზიციის არც ერთ ელემენტს არ ეპასუხება, პარალელურ განზომილებაში გადადის თითქოს და სხვა სივრცით არეზე ინაცვლებს, რაც სულ სხვა სივრცით კატეგორიად აქცევს მას; შესაბამ-

ისად, იგი ისე გარდაუვალად აღარ ემუქრება სურათის გმირებს.

ალბათ, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ სურათის თავშეკავებული მონოქრომულობაც, რომელიც იმ პერიოდის კინემატოგრაფთან ვიზუალურ ასოციაციას აძლიერებს. მოცემული ნამუშევარი, პრაქტიკულად, ტონირებულ ქალღმერთზე შესრულებული შავ-თეთრი გრაფიკაა. ანუ თავისი გარეგნული არაფერადოვანი, სპეციფიურად მონოქრომული იერით იგი მართლაც ემსგავსება კინოს. თუ ამას დავუმატებთ თავად კომპოზიციისთვის დამახასიათებელ სიუჟეტურობას, კინემატოგრაფიული თხრობითობის მანერას თავისი ფრაგმენტულობით, მოულოდნელი რაკურსებით, დინამიზმით, უთუოდ მოგვინევს ვალიაროთ - მოცემული ეფექტის მოხდენა მხატვრის მიერ კარგად გააზრებულ უმთავრეს ამოცანას შეადგენდა, რისი გათვალისწინებითაც ირჩევდა იგი სახვით საშუალებებს.

ლალის ასეთი დაუნებელი „დილოგი“ კინემატოგრაფიასთან, უნებურად დაგვაფიქრებს, ხომ არ სურდა მხატვარს კინემატოგრაფის მიერ მხატვრობისთვის ჩამორთმეული უფლებების დაბრუნება, ოღონდ მისივე კანონებითა და ხერხებით? ეს ბუნებრივი იქნებოდა, რადგან XX საუკუნეში მხატვრობა კრიზისს განიცდის. ერთი მხრივ, მას ფუნქციები ფოტოგრაფიამ დაუკარგა,

მეორე მხრივ კი, რეალობის გადმოცემის აბსოლუტურ სიზუსტეში მას კინემატოგრაფი ეცილება და ჯაბნის კიდევ. ამადაც ამბობს დავით კაკაბაძე: „ჩვენ უკვე გვაქვს სივრცის ახალ განცდაზე დამყარებული ერთი ხელოვნება – ეს არის კინემატოგრაფი. ურყეველია ფაქტი, რომ კინემატოგრაფი დღევანდელი ცხოვრების ექსპრესიის ერთი საუკეთესო საშუალებაა, დამყარებულია – სხვა მის თვისებათა შორის – იმაზე, რომ ის სარგებლობს საუკეთესო საშუალებით ამ ახალი განცდის გადმოსაცემად: სინათლით და შუქით“. ხელოვნების ახალშობილი დარგით თავადვე მოხიბლულმა ლალიმ კარგად უწყის კინემატოგრაფის ეს უპირატესობა, რომელიც მხატვრობისათვის ფარულ საფრთხესაც შეიცავს. და იქნებ ამგვარი სახვითი მეთოდით ლალის მხატვრობის პოზიციების გამყარება სურს?

შეიძლება... მაგრამ მთავარი ის არის, რაც ამ სურათმა გაგვიმხილა — ემა ლალაევადიბერიძე 1920-იანი წლების ტიპიური და, ჩვენი აზრით, ძალზედ საინტერესო ნარმადგენელია; იგი ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე „მემარცხენე“ არტისტია იმ დროის მხატვართა შორის. დასავლური მოდერნისტული მიმდინარეობებისადმი გამძაფრებული ინტერესი მას საშუალებას აძლევს თამამად იშუშაოს სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობის მანერაში და მათ ერთგვარ ნაზავსაც არ შეუშინდეს; მხატვრისთვის კინემატოგრაფიკი კი სახვითი ხელოვნების მოპასუხე სფეროა და ლალი მასთან „კამათსაც“ არ ერიდება. იგი თითქმის ყველა ავანგარდისტულ მიმდინარეობებს (კუბიზმს, ფუტურიზმს, კუბო-ფუტურიზმს, ლუჩიზმს, კონსტრუქტივიზმსა და სხვ.) მიმართავს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ იყენებს სუფთა სახით. მხატვარი ახერხებს საკუთარი ხელწერა შექმნას, ამიტომაც რთულია კონკრეტული პარალელები მოეძებნოს ლალის შემოქმედებას იმ დროის ქართულ, რუსულ ან ევროპულ მხატვრობაში; მისი ნამუშევრები მხოლოდ შორეულად, ზოგადი მხატვრული პრინციპების დონეზე გვახსენებს რუსული ან ქართული მოდერნიზმის ნიმუშებს (განსაკუთრებულ სიახლოვეს ის რუსულ ავანგარდთან ავლენს). თუმც ამით სულაც არ გვსურს იმის თქმა, რომ ლალი სავსებით თავისუფალი იყო გავლენებისაგან. არა! უბრალოდ ლალი უდაოდ ნიჭიერი შემოქმედი გახლდათ, რომელმაც შეძლო დაეძლია ბრმა მიმბაძველობის იოლი გზის ცდუნება და საკუთარი ხელწერისათვის მიეგნო. ლალაევა-ედიბერიძე ინდივიდუალური მანერის მქონე მხატვარია; კონკრეტული ფორმისა თუ საერთო სახვითი ხერხების შერჩევის დროს ლალი მუდამ საკუთარ მხატვრულ გემოვნებას ენდობა და თამამად აკეთებს არჩევანს, რაც არტისტის შინაგან, შემოქმედებით თავისუფლებაზე მიუთითებს. ამგვარად, ლალი სახვით საშუალებათა და ფორმათა საკუთარი ლექსიკონს ქმნის. შეიძლება, „სახ-

ვით სიტყვათა“ ფუძე, ხშირად, რუსული თუ დასავლური ავანგარდის ფორმებთან იყოს თანაზიარი, მაგრამ მხატვრის მიერ ინდივიდუალური შემოქმედებითი გადამუშავების შედეგად, ისინი სულ სხვა სახვით კატეგორიებად გარდაისახებიან და პირადად ლალის „სათქმელისა“ თუ მხატვრული ჩანაფიქრის გადმოცემას ემსახურებიან.

მაგრამ სამწუხაროდ, ლალის ნიჭისა და უდაოდ საინტერესო მხატვრული დანატოვარის მიუხედავად, დღემდე მისი სახელი მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვისაა ცნობილი. ამის მიზეზად ბევრი რამ შეიძლება დასახელდეს; პირველ რიგში, ალბათ, ქალის რთული, ტრაგიკული ეპიზოდებით აღსავსე ცხოვრება, რომლის ქარტეხილებმაც არ მისცა მხატვარს საშუალება სრულად წარმოეჩინა საკუთარი ღირსებები ფართო საზოგადოებისათვის და სიცოცხლეშივე დაემკვიდრებინა ადგილი ქართული ხელოვნების ისტორიაში. დროის მსახვრალი ხელი კი, მოგეხსენებათ, დუმის იქ, სადაც მოქმედებაა საჭირო, არავის უატიობს და ლალის უჩინარი ცხოვრება და შემოქმედება წარსულის „დაუდევარ“ ხსოვნას ჩაბარდა, ამიტომაც ემა ლალაევა-ედიბერიძის თითოეული ნამუშევარი დღემდე ინახავს ნიჭიერი მხატვრის ჯერარგაცხადებულ საიდუმლოს.





შოთა აკობია, მიხეილ ქვლივიძე, გენო კალანდია.
სოხუმი, გასული საუკუნის 80-იანი წლები

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვეწიოთ!

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“ – ტელ: 93-
64-72, 99-01-37 და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერი:

გიორგი ქადაგიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ლექსო ოთარაშვილი, ნინო ნეკერიშვილი

ოპერატორი:

თამარ ტყაბლაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

Web: www.litandart.com.ge
litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში

